

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი
BUSINESS-ENGINEERING FACULTY
OF THE GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
ФАКУЛЬТЕТ БИЗНЕС-ИНЖИНИРИНГА
ГРУЗИНСКОГО ТЕХНИЧЕСКОГО УНИВЕРСИТЕТА

ISSN 1512-1305

თემიდა

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

THEMIS

SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE

ФЕМИДА

НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

№9(11)-2014

თბილისი-TBILISI-ТБИЛИСИ
2014

*შესაძლოა მე არც კი ვიცოდე ცხოვრების საზრისი,
მაგრამ ჩემს ცხოვრებას ამ საზრისის ძიებას მივუძღვნი.*
ბურდაევი

*May be I do not realize meaning of the life,
but I will devote the life to search of this sense.*
Burdaev

*Возможно я не осознаю смысл жизни,
но я посвящу свою жизнь поиску этого смысла.*
Бурдаев

სარედაქციო კოლეგია:

ქ. ქოქრაშვილი (თავმჯდომარე), ვ. ხრუსტალი (თავმჯდომარის მოადგილე),
ჯ. ხეცურიანი, პ. კუბლაშვილი, გ. ხუროშვილი, ჯ. გახოკიძე, ზ. რუხაძე,
ზ. ძლიერიშვილი, ზ. როგავა, ლ. შაიშმელაშვილი, ზ. გაბისონია, ქ. ჯინჭარაძე,
ნ. ნიორაძე, თ. შომერუსი, ა. ბრანტი.

Editorial Board:

K. Kokrashvili (chairman), V. Khrustal (vice-chairman), J. Khetsuriani, P. Kublashvili, G. Khuroshvili,
J. Gakhokidze, Z. Rukhadze, Z. Dzierishvili, Z. Rogava, L. Shaishmelashvili, Z. Gabisonia,
K. Jincharadze, N. Nioradze, T. Shomerus, A. Brant.

Редакционная коллегия:

К. Кокрашвили (председатель), В. Хрустал (зам. председателя), Дж. Хецуриани,
П. Кублашвили, Г. Хурошвили, Дж. Гахокидзе, З. Рухадзе, З. Дзлеришвили, З. Рогавა,
Л. Шайшмелашвили, З. Габисониа, К. Джинчарадзе, Н. Ниорадзе, Т. Шомерус, А. Брант.

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2014
<http://gtu.ge/temida/index.html>



ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის ნებისმიერი ნაწილის (ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არც ერთი ფორმითა და საშუალებით (ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

ნომინალიზმის პრინციპის სამართლებრივი ბუნება

ფულის ფუნქციის კვლევა ეკონომიკურ მეცნიერებაში იმ ერთ-ერთ პრობლემას მიეკუთვნება, რომელიც უძველესი დროიდან იღებს სათავეს და დღესაც დიდ აქტუალობას ინარჩუნებს. აღნიშნული პრობლემის მიმართ მეცნიერთა მიერ ერთიანი ჩამოყალიბებული ხედვა არ არსებობს. მიუხედავად აღნიშნულისა, დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, ფული, როგორც ეკონომიკური კატეგორია და სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი, საზოგადოებრივ ურთიერთობებში გარკვეული ფუნქციების შემსრულებლად გვევლინება, რაც გამომდინარეობს მისი, როგორც იურიდიული კატეგორიის არსიდან. ფულის ცნება ეს არის არა მარტო ეკონომიკური ცხოვრების, არამედ იურიდიული სამყაროს ნაწილი.¹

თავიდან ფული ორ ძირითად ფუნქციას ასრულებდა: 1. ღირებულების საზომის და 2. მიმოქცევის საშუალების, რომლებსაც შემდგომში დაემატა ფულის, როგორც გადახდის საშუალების ფუნქცია.

ოქროს სტანდარტის პერიოდში, ფულის ფუნქციას ოქრო ასრულებდა და, შესაბამისად, საქონლის ღირებულება გამოხატული იყო ოქროს განსაზღვრული წონით. როდესაც ოქრო წარმოადგენდა ფულის შემცველ ნაწილს, ფასის მასშტაბი ასახავდა კანონით ფიქსირებულ ოქროს წონით ოდენობას კონკრეტული ქვეყნის ფულად ერთეულში. დღეს ქალაქის ფულს კავშირი აღარ აქვს ოქროსთან და ვინაიდან საკუთარი ღირებულება არ გააჩნია, სახელმწიფო ანიჭებს მას იძულებით კურსს, მისი ღირებულებითი ფუნქცია გარდაიქმნა საანგარიშო ერთეულის ფუნქციად, რომლის მეშვეობით გამოიხატება ნებისმიერი მომსახურებისა და საქონლის ფასი.

ყოველი ფულადი ერთეული მუდმივად განიცდის მეტ-ნაკლებ ცვალებადობას მყიდველობითუნარიანობაში. ფულადი ერთეულის ცვალებადობის განმაპირობებელი ფაქტორი, როგორც წესი, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორებია. თანამედროვე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობაში დამკვიდრებული პრინციპის თანახმად, ფულადი ერთეულების რაოდენობა, რომელშიც გამოხატულია შესაბამისი ფულადი ვალდებულება, უცვლელი რჩება ფულადი ერთეულის მყიდველობითუნარიანობაში მომხდარი იმ ცვლილებების მიუხედავად, რომელსაც ადგილი აქვს ფულადი ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან მისი შესრულების დრომდე. აღნიშნული პრინციპი ნომინალიზმის სახელწოდებით არის ცნობილი.

ნომინალიზმის პრინციპი აისახა 1997 წლის 26 ივნისს მიღებულ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლში, რომელიც ძალაშია 1997 წლის 25 ნოემბრიდან. აღნიშნული მუხლის გამოყენება მეტად აქტუალური იყო იმ პერიოდში, რადგან, ქვეყნის შიგნით არსებული არასტაბილურობის გამო, ფულადი ერთეულის მყიდველობითუნარიანობა

¹Mann F. A. THE LEGAL ASPECT OF MONEY With special reference to Comparative Private and Public International Law. Oxford: Oxford University Press. 1992 [FIFTH EDITION] p.3

მკვეთრად ცვალებადი იყო. აღნიშნულმა განაპირობა ფულად ვალდებულებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობების მონაწილე მხარეების უკმაყოფილება, ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება დაზარალებულიყო როგორც კრედიტორი (მაგალითად, თუ ფულადი ერთეულის მყიდველობითუნარიანობა შემცირდებოდა), ასევე მოვალე (მაგალითად, თუ ფულადი ერთეულის მყიდველობითუნარიანობა გაიზარდებოდა). შესაბამისი უკმაყოფილება ასახვას პოულობდა სასამართლო საქმეებში, სადაც სარჩელის შემტანი მხარე ცდილობდა მიეღო ის დანაკლისი, რაც გამოწვეული იყო ფულადი ერთეულის მყიდველობითუნარიანობის ცვლილებით.

ნომინალიზმის პრინციპი ცალსახად გულისხმობს, რომ მოვალემ გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს, მიუხედავად ფულის კურსის მყიდველობითუნარიანობის ცვლილებისა. სასამართლო პრაქტიკაში სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის განმარტება ზოგჯერ არასწორად ხდებოდა. კერძოდ, ხშირ შემთხვევაში, ნომინალიზმის პრინციპის გამოყენება დაკავშირებული იყო ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებასთან უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი პირობითად შეიძლება ორ ნაწილად დავეყოთ. პირველ შემთხვევად შეიძლება განისაზღვროს ფულის მყიდველობითუნარიანობის შეცვლა ვალდებულების წარმოშობის დროიდან შესრულების მომენტამდე, ხოლო მეორე შემთხვევად – ვალუტის შეცვლა ანუ ძველი ფულადი ერთეულის ახალი ფულადი ერთეულით შეცვლა. გაუქმებული ფულადი ნიშნების მფლობელ პირებს საშუალება ეძლევათ სახელმწიფოს მიერ დადგენილ ვადაში გადაცვალონ ძველი ფულადი ნიშნები ახალ ფულად ნიშნებზე. გადაცვლა ხდება ნომინალის გათვალისწინებით, მაგრამ, თუ ადგილი აქვს ფულადი ნიშნების გაუფასურებას, სახელმწიფო აღნიშნულზე პასუხისმგებელი არ არის.¹

ფულის ერთეულის მყიდველობითუნარიანობის შეცვლის მაგალითია შემთხვევა, როდესაც საბჭოთა კავშირში ათი მანეთის ნომინალი შეიცვალა 1 მანეთის ნომინალით და ვალუტის შეცვლის მაგალითი – კუპონის ღირებით შეცვლა.

ნაშრომში განხილულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლით გათვალისწინებული პირველი შემთხვევა. აღნიშნული საკითხის განსახილველად უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: “X”-მა “Y”-ს ასესხა 100 ლარი ორი წლის ვადით. ხელშეკრულების დადების მომენტში 100 ლარად შეიძლებოდა 100 ლიტრი ბენზინის შეძენა, ხოლო ხელშეკრულების ვადის გასვლისას ანუ ვალდებულების შესრულების ვადის დადგომისას 100 ლარით შესაძლებელი იყო 200 ლიტრი ბენზინის შეძენა. თავისთავად იგულისხმება, რომ ფასების ცვლილება სხვა სახის პროდუქტებზეც აისახება. ამ შემთხვევაში “Y”-მა უნდა დაუბრუნოს თუ არა “X”-ს 50 ლარი ფულის მყიდველობითუნარიანობის შეცვლის გამო, თუ კვლავ 100 ლარი უნდა დააბრუნოს?

მოვალემ ვალდებულება ნაკისრ თანხაში უნდა შეასრულოს ანუ ვალი ფულადი ნიშნების იმავე რაოდენობით უნდა დააბრუნოს, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის მომენტს. შესაბამისად, “Y”-მა “X”-ს უნდა დაუბრუნოს 100 და არა 50 ლარი.

შეიძლება ზემოაღნიშნული მაგალითი პირიქით მოვიყვანოთ ანუ, როდესაც “X”-მა “Y”-ს 100 ლარი ასესხა, მაშინ ამ თანხით შეიძლებოდა 100 ლიტრი ბენზინის შეძენა, ხო-

¹ Савиньи Ф. К. Обязательственное право. СПб: Юридический центр Пресс . 2004, стр. 335.

ლო ორი წლის შემდეგ, როცა სესხის დაბრუნების ვადა დადგა, 50 ლიტრი ბენზინის შექენა. როგორ უნდა მოიქცეს “Y”, უნდა დააბრუნოს 100 ლარი თუ გადაიხადოს 200 ლარი?

ზემოაღნიშნულ შემთხვევაშიც პასუხი ცალსახაა, “Y”-მა 100 ლარი უნდა დააბრუნოს, რადგან მან, როგორც მოვალე, ფულადი ნიშნები იმავე ოდენობით უნდა დააბრუნოს, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის მომენტს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელობა არა აქვს, თუ როგორი სახის ცვლილებას ექნება ადგილი ანუ მოხდება ფულის მყიდველობითუნარიანობის გაზრდა თუ შემცირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფულის მყიდველობითუნარიანობის ცვლილებამ შეიძლება დააზარალოს როგორც მოვალე, ასევე კრედიტორი. გააჩნია შემთხვევას, თუ როგორი სახის ცვლილება ხდება, კერძოდ, როდესაც შემცირებულია ფულის მყიდველობითუნარიანობა, ეს მოქმედებს მოვალის სასარგებლოდ, ხოლო საპირისპირო შემთხვევაში, როდესაც გაზრდილია ფულის მყიდველობითუნარიანობა, ეს უკვე კრედიტორის სასარგებლოდ მოქმედებს. უნდა აღინიშნოს, რომ ნომინალიზმის პრინციპის უარყოფითი გავლენის რისკი ხშირად კრედიტორს აწევს, ხოლო მოვალეს შეღავათს უქმნის.¹

შემთხვევა, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლით, დამახასიათებელია გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობებისთვის, სადაც ხელშეკრულების ერთი მხარე მისთვის განხორციელებული შესრულების სანაცვლოდ მეორე მხარის მიმართ ახორციელებს პერიოდულ გადახდებს. შესაბამისად, გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობებში მხარეთა მიერ განხორციელებული ქმედებების ურთიერთმიმართების არაეკვივალენტობის რისკი აშკარად მეტად დგას, ვიდრე მოკლევადიან ვალდებულებით ურთიერთობებში.²

რა ბერკეტის საშუალებით შეუძლიათ კრედიტორს და მოვალეს ფულის მყიდველობითუნარიანობის შეცვლის შედეგად წარმოქმნილი ზიანის თავიდან აცილება? თუ მხარეები სახელშეკრულებო დათქმით გაითვალისწინებენ ფულის კურსის (მყიდველობითუნარიანობის) შესაძლო ცვლილებებს, ისინი შეძლებენ თავიდან აიცილონ ამ გარემოების შედეგად წარმოშობილი უსიამოვნება. შესაბამისად, ხელშეკრულებაში გაკეთებული სხვადასხვა სახის დათქმები ერთგვარი დაზღვევის საშუალებაა უარყოფითი შედეგების რისკისაგან, ხოლო ასეთი დათქმების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში თავისთავად იმოქმედებს იურიდიული ნომინალიზმის პრინციპი.³ ნომინალი არის ფულზე აღნიშნული ფულადი ერთეულის რაოდენობა,⁴ რომლის თანახმად ვალდებულება ნაკისრ თანხაში უნდა დაიფაროს. სწორედ აღნიშნული მოსაზრება დაედო საფუძვლად უცხოურ სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებულ გამოთქმებს: “ფრანკი ტოლია ფრანკისა”, “მარკა ტოლია მარკისა” და ა.შ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლით განსაზღვრულმა ნომინალიზმის პრინციპის დეფინიციამ გარკვეული გაუგებრობა წარმოშვა სამართალმცოდნეებს შორის, კერძოდ აღნიშნული გამოიხატებოდა მითითებული ნორმის პირველ წინადადებაში, “თუ

¹ლ. ჭანტურია, ბ. ზოიძე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები. თბილისი: გამომცემლობა “სამართალი”, 2001 [წიგნი მესამე], გვ. 349.

²პ. ლობჯანიძე. ფულის კურსი ფულად ვალდებულებებში. ადამიანი და კონსტიტუცია, 2000, 3, გვ. 68-75.

³ზ. ძლიერიშვილი. ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება. თბილისი: გამომცემლობა “მერიდიანი,” 2010, გვ. 325.

⁴ლ. ჭანტურია, ბ. ზოიძე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები. თბილისი: გამომცემლობა “სამართალი”, 2001 [წიგნი მესამე], გვ. 347.

გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული (კურსი)”. სიტყვა “კურსმა” წარმოშვა გარკვეული გაუგებრობა. ზოგიერთი მოსაზრებით, აღნიშნულ სიტყვაში მოიაზრებოდა ის სავალუტო პარიტეტი, რომელიც არსებობდა ეროვნულ და უცხოურ სავალუტო ერთეულებს შორის, განსაკუთრებით აღნიშნული მიმართება დაფიქსირებული იყო აშშ დოლართან დაკავშირებით.¹

ზემოაღნიშნული მდგომარეობა გარკვეულ პრობლემას ქმნიდა ვალდებულების შესრულების დროს. კერძოდ, თუ აღნიშნულ მომენტში, სავალუტო მიმართება კრედიტორის საზიანოდ იცვლებოდა, სავალუტო კურსზე მითითებით მას შეეძლო მოეთხოვა იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეული იყო ეროვნული ვალუტის უცხოურ სავალუტო ერთეულებთან მიმართებით. აღნიშნული წესი განსაკუთრებით მაშინ გამოიყენებოდა, როცა საქმე ეხებოდა უკანონოდ გადახდილი თანხების დაბრუნებას. შესაბამისად, სიტყვა “კურსის” უმართებულო გაგებამ გარკვეული პრობლემები წარმოშვა. აღნიშნული ტერმინი მართალია სხვადასხვა ქვეყნის ვალუტის ურთიერთთანაფარდობას გამოხატავს, მაგრამ ამავე დროს გამოიყენება კონკრეტული ქვეყნის ვალუტის მყიდველობითუნარიანობის განსასაზღვრავად. აქედან გამომდინარე, ფულის კურსზე საუბრისას მხედველობაში მიიღება არა ეროვნული ვალუტის მიმართება უცხო ქვეყნის ვალუტასთან, არამედ კონკრეტული ფულის ერთეულის, როგორც საგადაამხდელო საშუალების მყიდველობითუნარიანობა.

კონკრეტული ქვეყნის ფულის ერთეულის მყიდველობითუნარიანობა და ეროვნული ფულის ერთეულის კურსის მიმართება უცხოურ ვალუტასთან მსგავსი, მაგრამ არაიდენტური ცნებებია. ნებისმიერი ქვეყნის ვალუტამ შეიძლება განიცადოს გაუფასურება და შემცირდეს მისი ღირებულების მასშტაბი, მაგრამ შეიძლება საპირისპირო სიტუაციით დაფიქსირდეს აღნიშნული ქვეყნის ვალუტის კურსსა და უცხო ქვეყნის ვალუტის კურსის მიმართებაში. ასეთი შემთხვევა დამოკიდებულია როგორც კონკრეტულ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე, ასევე ქვეყნის გარეთ არსებულ მასშტაბურ პროცესებზე.

ზემოაღნიშნულის მაგალითად განიხილება საქართველოს მაგალითი 1998 წლამდე, როდესაც ეროვნულმა ბანკმა გაატარა მყარი სავალუტო კურსის პოლიტიკა, რათა ეროვნული ვალუტა დაეკავშირებინა აშშ დოლართან მყარი სავალუტო კურსით. მითითებულ პერიოდში აღნიშნული სავალუტო კურსი უმნიშვნელოდ შეიცვალა, მაშინ, როდესაც ლარის მყიდველობითუნარიანობაში სერიოზული ცვლილებები დაფიქსირდა. აქედან გამომდინარე, ტერმინი “ფულადი ერთეულის კურსი”, როგორც ფულადი ერთეულის მყიდველობითუნარიანობის განმსაზღვრელი, განსხვავდება ტერმინისგან “ფულადი ერთეულის კურსი”, როგორც კონკრეტული ქვეყნის ფულადი ერთეულის ურთიერთშეფარდება უცხო ქვეყნის ფულად ერთეულთან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლში კანონმდებელმა აქცენტი სწორედ კონკრეტული ფულადი ერთეულის მყიდველობითუნარიანობაზე გააკეთა.²

ამრიგად, ნომინალიზმის პრინციპი მიესადაგება მხოლოდ ეროვნული ვალუტის მყიდველობითუნარიანობის შეცვლას და დაუშვებელია ამ პრინციპის გამოყენების საკითხის დასმა მაშინ, როდესაც საუბარია ეროვნული ვალუტის უცხო ქვეყნის ვალუტის კურსთან ცვალებადობის შედეგად წარმოშობილ დენომინაციაზე.

¹ პ. ლობჯანიძე. ფულის კურსი ფულად ვალდებულებებში. ადამიანი და კონსტიტუცია. 2000, 3, გვ. 73-74.
² პ. ლობჯანიძე. ფულის კურსი ფულად ვალდებულებებში. ადამიანი და კონსტიტუცია. 2000, 3, გვ. 74.

როგორც აღვნიშნეთ, ნომინალიზმის პრინციპს აქვს უარყოფითი შედეგი, რომლის მატარებელი როგორც კრედიტორი, ასევე მოვალე შეიძლება გახდეს. ვინაიდან, აღნიშნული ზიანს აყენებს საერთაშორისო სამოქალაქო ბრუნვას, საერთაშორისო სამართლის ასოციაციამ შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელიც განსაზღვრავდა, რომ ნომინალიზმის პრინციპის გამოყენება დამოკიდებულია ფულის დევალვაციის სიდიდეზე და საერთაშორისო სავალუტო ფონდის დამოწმებაზე, თუმცა უცხოური სასამართლო პრაქტიკის იშვიათი გამონაკლისის გარდა, ნომინალიზმის პრინციპის უარყოფა მაშინაც არ ხდება, როცა ფულის კურსის გაუფასურებას აქვს ადგილი. მსგავს შემთხვევებში, არასამართლიანი გაცვლითი ურთიერთობიდან გამოსავალ საშუალებად სასამართლო მიმართავდა შეცვლილი გარემოებისა და ეკონომიკური შეუძლებლობის კატეგორიებს.¹

გერმანიის საიმპერიო უმაღლესმა სასამართლომ უარყო ნომინალიზმის პრინციპი გერმანულ მარკასთან დაკავშირებით 1923 წლის 28 ნოემბერს განხილულ სასამართლო საქმეში. სასამართლომ თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა, მიიჩნია რა უსამართლოდ ნომინალიზმის პრინციპის გამოყენება. ვალდებულების წარმოშობას ადგილი ჰქონდა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, შესაბამისად არ ჰქონდა ადგილი ჰიპერინფლაციის გამოვლინებას. ჰიპერინფლაციის წარმოშობის შემდეგ მოვალემ გადაწყვიტა ვალი დაებრუნებინა ქალაქის მარკებით, რომლებიც სრულიად გაუფასურებული იყო, კერძოდ 1000 მილიარდი მარკა გაუთანაბრდა 1 ოქროს მარკას. გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლეთა მიერ ნომინალიზმის პრინციპის გამოყენება ხელყოფდა სამართლიანობას, სწორედ ამიტომ, მოსამართლეებმა გამოსავალი გსკ-ის 242-ე პარაგრაფის გამოყენებაში ნახეს. მარკის დევალვაციამ წარმოშვა კოლიზია ნომინალიზმისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს შორის. საბოლოოდ, მოსამართლეებმა უპირატესობა მიანიჭეს კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენებას.

ზემოაღნიშნულმა გადაწყვეტილებამ შეარყია არსებული სამართლებრივი წესრიგი. კრიტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ სასამართლო გასცდა ყოველგვარ ჩარჩოებს და განახორციელა უმართებულო ჩარევა კანონმდებლობის გამოყენებისას. ერთ-ერთი კრიტიკოსი ჰედმანი მიიჩნევდა, რომ ასეთი ქმედება საშიშროებას ქმნიდა სახელმწიფოსა და სამართლისთვის.

ნაციონალისტურ-სოციალისტური პარტიის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გერმანული სასამართლო პრაქტიკისთვის კრედიტორების ინტერესების დასაცავად ერთ-ერთი ხელსაყრელი ინსტრუმენტი კეთილსინდისიერების პრინციპი გახდა, რომელიც ნაციისტური ტერორის ხასიათს ატარებდა.²

თუმცა ზემომითითებული და სხვა იშვიათი გამონაკლისების გარდა, უმრავლესი განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობით და სასამართლო პრაქტიკით ნომინალიზმის პრინციპის გამოყენების საკითხი ცალსახად იქნა გადაწყვეტილი. ამასთან, ზოგიერთი სახელმწიფოს კანონმდებლობამ მხარეებს საშუალება მისცა თავიდან აიცილონ ნომინალიზმის პრინციპის მეშვეობით დამდგარი შედეგები. მხარეებს აღნიშნულის საშუალება

¹ლ. ჭანტურია, ბ. ზოიძე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები. თბილისი: გამომცემლობა "სამართალი", 2001 [წიგნი მესამე], გვ. 349.

²ა. იოსელიანი. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმწიფოებო სამართალში (შედარებით სამართლებრივი გამოკვლევა). ქართული სამართლის მიმოხილვა. 2007, სპეციალური გამოცემა, 2007, გვ. 27.

სახელშეკრულებო დათქმების გამოყენებით ეძლევა. საფრანგეთში, გერმანიასა და შვეიცარიაში აღნიშნული იმით გამოიხატა, რომ ნომინალიზმის დადგენილი ნორმები სასამართლო პრაქტიკის მიერ გამოიყენება, როგორც დისპოზიციური ნორმები, ხოლო ინგლისსა და აშშ-ში ნომინალიზმის პრინციპი დათქმების არარსებობისას გამოიყენება.¹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი ითვალისწინებს ხელშეკრულების მისადაგებას შეცვლილი გარემოებებისადმი, კერძოდ ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, “თუ გარემოება, რომელიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებენ ამ ხელშეკრულებას ან დადებენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.”

იბადება კითხვა, რატომ არ შეიძლება მიხნეულ იქნეს ფულის მყიდველობითუნარიანობის შეცვლა ვალდებულების წარმოშობიდან მის შესრულებამდე, როგორც ხელშეკრულების მნიშვნელოვანი გარემოების ცვლილებად? უნდა აღინიშნოს, რომ ვალუტის კურსისა და ფულის ერთეულის ცვლილება ცალკეულ შემთხვევაში შესაძლოა ხელშეკრულების მნიშვნელოვან გარემოებათა ცვლილებად ჩაითვალოს. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე და 398-ე მუხლების ურთიერთმიმართებისას დაუშვებელია 389-ე მუხლისთვის უპირატესობის მინიჭება. თითოეული შემთხვევა კონკრეტულად უნდა იქნეს განხილული და გამოვლინდეს ფულის ერთეულის ან ფულის კურსის ცვლილება ახდენს თუ არა არსებით გავლენას ხელშეკრულების არსზე, კერძოდ აღნიშნული ცვლილება თუ იქნება განხილული ისეთ გარემოებად, რომლის გათვალისწინების შემთხვევაში მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით. ზემოაღნიშნული მუხლების მიმართებისას მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს, თუ რამდენად იყო მოვლენების გათვალისწინება გონივრულად შეუძლებელი მხარეებისთვის ხელშეკრულების დადებისას, ასევე მძიმე შედეგი უნდა დადგეს დაზარალებული მხარისთვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი უნდა ჩაითვალოს სპეციალურ ნორმად 398-ე მუხლთან მიმართებაში, რადგან იგი უშუალოდ აწესრიგებს, ფულის კურსისა და ვალუტის შეცვლის შემთხვევაში, სამართლებრივ შედეგს, თუმცა აღნიშნული მუხლების კონკურენციის შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლისთვის უდავო უპირატესობის მინიჭება დაუშვებელია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლიდან გამომდინარე, გარემოებების ცვლილება არსებითად უნდა ცვლიდეს სახელშეკრულებო ვალდებულებების თანასწორობას, რაც განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მხარეს, რის გამოც მისთვის ვალდებულების შესრულების ჯეროვანი მოთხოვნა არსებითად უნდა ხელყოფდეს მის ინტერესებს. შესაბამისად, თუ აღნიშნული შეეხება ფულის კურსის ან ვალუტის ცვლილებას, მაშინ უპირატესობა ენიჭება სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლს, შესაბამისი სამართლებრივი შედეგებით, რათა დაცულ იქნეს ორივე ნორმის მიზანი.²

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ

¹ზ. ძლიერიშვილი. ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება. თბილისი: გამომცემლობა “მერიდიანი,” 2010, გვ. 331-334.

²ს. ჩაჩავა. მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010, გვ. 69-73.

შეცვლილ გარემოებებს.“ იმ შემთხვევაში, თუ მისადაგება შეუძლებელია, მხარეს, რომლის ინტერესებიც შეილახა, შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან. სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგების დადგომისას კი ხელშეკრულებიდან გასვლა გათვალისწინებული არ არის.

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლზე აპელირებისას, გადამხდელები საგადასახადო და საბაჟო ორგანოებისთვის ზედმეტად გადახდილი თანხების დასაბრუნებლად იშველიებდნენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლს, რათა გათვალისწინებულიყო ქვეყანაში არსებული ინფლაცია და გადახდილი თანხის ანაზღაურება მომხდარიყო ლარისა და აშშ დოლარის კურსის ცვალებადობის გათვალისწინებით. 389-ე მუხლი გამოხატავს ნომინალიზმის პრინციპს, რომელიც გულისხმობს ვადაგადაუცილებელი ვალდებულების შესრულების საკითხს ფულის მყიდველობითუნარიანობის ცვლილებისას და არა ზედმეტად გადახდილი თანხების ანაზღაურების პრობლემის გადაწყვეტას, რაც მოწესრიგებულია ზიანის ანაზღაურებისა და უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმებით. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ სამართლებრივ ურთიერთობებზე სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლით აპელირება დაუშვებელია.¹

მოცემულ ნაშრომში განხილული თეორიული და პრაქტიკული საკითხებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, თუ რა განსაკუთრებული როლი ენიჭება ნომინალიზმის პრინციპს ფულადი ვალდებულებებიდან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის დროს, ასევე მისი მართებულად გამოყენების აუცილებლობას.

ფულის მყიდველობითუნარიანობის ცვალებადობა არ ცვლის ვალის თანხას, არ არის გადასახდელი თანხის გადაფასების საფუძველი. აღნიშნული ცვლილებების მიუხედავად, ფულის მყიდველობითუნარიანობა ნომინალის მიხედვით განისაზღვრება. ნომინალი არის ფულზე აღნიშნული ფულადი ერთეულის რაოდენობა, რომლის თანახმად ვალდებულება ნაკისრ თანხაში უნდა დაიფაროს.

არსებობს ბერკეტი ფულის მყიდველობითუნარიანობის შეცვლის შედეგად წარმოქმნილი ზიანის თავიდან ასაცილებლად, კერძოდ, თუ მხარეები სახელშეკრულებო დათქმით გაითვალისწინებენ ფულის კურსის (მყიდველობითუნარიანობის) შესაძლო ცვლილებებს, ისინი შეძლებენ თავიდან აიცილონ ამ გარემოების შედეგად წარმოშობილი უსიამოვნება. შესაბამისად, ხელშეკრულებაში გაკეთებული სხვადასხვა დათქმა უარყოფითი შედეგების რისკისაგან ერთგვარი დაზღვევის საშუალებაა, ხოლო ასეთი დათქმების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში თავისთავად იმოქმედებს იურიდიული ნომინალიზმის პრინციპი.

¹ პ. ლობჯანიძე. ფულის კურსი ფულად ვალდებულებებში. ადამიანი და კონსტიტუცია. 2000, 3, გვ. 75.

ნომინალიზმის პრინციპის სამართლებრივი ბუნება

თანამედროვე სამოქალაქო სამართალში ერთ-ერთი პრობლემური საკითხი ფულადი ვალდებულებების შესრულების “ნომინალიზმის” პრინციპია ანუ რა გავლენას ახდენს ფულადი ვალდებულების წარმოშობიდან მისი შესრულების მომენტამდე ფულის მყიდველობითუნარიანობის გაზრდა ან შემცირება გადასახდელი ფულადი თანხის ოდენობაზე. შესაბამისად, ნომინალიზმის პრინციპი გულისხმობს, რომ მოვალემ ფულადი ვალდებულება შესრულოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს, მიუხედავად ფულის კურსის მყიდველობითუნარიანობის ცვლილებისა.

ნომინალიზმის პრინციპი ასახულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლში. ფულის კურსის ცვალებადობა განაპირობებს ფულად ვალდებულებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობის მონაწილე მხარეების უკმაყოფილებას, ვინაიდან, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება დაზარალდეს როგორც კრედიტორი (თუ ფულადი ერთეულის მყიდველობითუნარიანობა შემცირდება), ასევე მოვალე (თუ ფულადი ერთეულის მყიდველობითუნარიანობა გაიზრდება).

ნომინალიზმის პრინციპის მოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება შესაძლებელია ხელშეკრულებაში გაკეთებული სხვადასხვა დათქმით.

პრაქტიკაში გვხვდება სასამართლო გადაწყვეტილება, სადაც ნომინალიზმის პრინციპის გამოყენება დაკავშირებულია ეროვნული ვალუტა “ლარის” კურსის ცვლილებასთან უცხოურ ვალუტა “აშშ დოლართან” მიმართებაში, რაც არასწორია, რადგან ნომინალიზმის პრინციპი მიესადაგება მხოლოდ ეროვნული ვალუტის მყიდველობითუნარიანობის შეცვლას და დაუშვებელია ამ პრინციპის გამოყენების საკითხის დასმა მაშინ, როდესაც საუბარია ეროვნული ვალუტის უცხო ქვეყნის ვალუტის კურსთან ცვალებადობის შედეგად წარმოშობილ ზიანის ანაზღაურებაზე.

პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, გამოიყენება თუ არა სსკ-ის 389-ე მუხლით გათვალისწინებული დებულებები სსკ-ის 398-ე მუხლთან მიმართებაში. სსკ-ის 389-ე მუხლის სსკ-ის 398-ე (ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი) მუხლთან დამოკიდებულება უნდა ჩაითვალოს გამონაკლის ნორმად, ვინაიდან იგი ფულის ერთეულის (კურსის) შეცვლის შემთხვევაში უშუალოდ აწესრიგებს განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს.

LEGAL NATURE OF THE PRINCIPLE OF NOMINALISM

In the modern civil law one of the most problematic issues is the principle of “nominalism” within the performance of monetary liabilities, i.e. the effect of the growth or decline in the purchasing power of money from the beginning of the monetary liability until its performance, on the amount of the due sum. Accordingly, the principle of nominalism implies, that the debtor must perform the monetary liability according to the rate of exchange, that corresponds to the time of commitment, despite the change in the purchasing power of money.

The principle of nominalism is reflected in Article 389 of the Civil Code of Georgia. Fluctuations in the parity of currency causes dissatisfaction of the parties involved in the legal relations related to financial obligations, because in some cases the damage can be caused as to a creditor (e.g., when the purchasing power of a monetary unit decreases) so to a debtor (e.g., when the purchasing power of a monetary unit increases).

To prevent adverse effects caused by the principle of nominalism one can apply some kinds of proviso in the contract.

In practice there are court decisions, in which the use of the principle of nominalism is associated with fluctuations of the national currency “lari” to the foreign currency “US dollar”, that is wrong, since the principle of nominalism applies only to a change in the purchasing power of the national currency and it is unacceptable to put the question on the use of this principle, when talking is about damage arising as a result of fluctuations in the national currency to the exchange rate of a foreign state.

The matter of practical importance is whether the provisions under Article 389 of the Civil Code of Georgia are applicable to Article 398 of the Civil Code of Georgia. Article 389 of the Civil Code of Georgia in relation to Article 398 of the Civil Code of Georgia (“Amendment of a Contract in Connection with Changed Circumstances”) should basically be considered, as an exclusive norm, because it directly regulates the legal consequences in case of change of the currency (rate).

ЛЕВАН ДУНДУА,

докторант права

ПРАВОВАЯ ПРИРОДА ПРИНЦИПА НОМИНАЛИЗМА

В современном гражданском праве одним из проблемных вопросов является принцип «номинализма» при выполнении денежных обязательств, т.е. то, какое влияние оказывает рост или уменьшение покупательной способности денег, с момента возникновения денежного обязательства до момента его выполнения, на размер денежной суммы, подлежащей оплате. Соответственно,

принцип номинализма подразумевает, что должник должен выполнить денежное обязательство по тому курсу, который соответствует времени возникновения обязательства, несмотря на изменение покупательной способности денег.

Принцип номинализма отражен в статье 389 Гражданского кодекса Грузии. Колебание денежного курса обуславливает недовольство сторон, участвующих в правовых отношениях, связанных с денежными обязательствами, поскольку в ряде случаев ущерб может быть причинен как кредитору (например, если покупательная способность денежной единицы снижается), так и должнику (например, если покупательная способность денежной единицы повышается).

Избежать отрицательных последствий, вызванных действием принципа номинализма, можно оговорками разного вида, сделанными в договоре.

На практике встречаются судебные решения, в которых использование принципа номинализма связано с колебанием курса национальной валюты «лари» по отношению к иностранной валюте «доллару США», что неправильно, так как принцип номинализма применяется только к изменению покупательной способности национальной валюты, и недопустимо ставить вопрос использования этого принципа тогда, когда разговор идет о возмещении ущерба, возникшего в результате колебания курса национальной валюты к курсу валюты иностранного государства.

Вопросом практического значения является то, будут ли применимы положения, предусмотренные статьёй 389 Гражданского кодекса Грузии, в отношении статьи 398 ГК Грузии. Статья 389 ГК Грузии по отношению к статье 398 ГК Грузии («Приведение договора в соответствие с изменившимися обстоятельствами»), в основном, должна считаться исключительной нормой, поскольку она непосредственно регулирует правовые последствия в случае изменения (курса) денежной единицы.

**აქციებში ინვესტირების სამართლებრივი
რეზულტირების ასპექტები**

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვაა. უცხოური ინვესტიციების თავისუფალი შემოდინება სწრაფ ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს. სააქციო საზოგადოებათა მეშვეობით წარმატებით ხორციელდება კაპიტალის კონცენტრაციის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია.¹ სააქციო საზოგადოება ქართულ სამართალში ერთადერთი კომერციული იურიდიული პირია, რომელსაც ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და ამ ქაღალდებით საჯარო ვაჭრობის უფლება აქვს. აქცია, როგორც ფასიანი ქაღალდი, განვითარებული და სტაბილური ბაზრის პირობებში კაპიტალის ბაზარზე საკმაოდ მაღალი ლიკვიდურობის ხარისხით გამოირჩევა. სს-ში აქციათა მეშვეობით ხდება საზოგადოების საწესდებო კაპიტალის მოზიდვა და შევსება. აქცია ნებისმიერი ინვესტორისათვის ფინანსური კაპიტალის ინვესტირების საუკეთესო საშუალებაა, შესაბამისად, აქციაში ინვესტირების თავისებურება და მასთან დაკავშირებული კონცეპტუალური საკითხების განხილვა მეტად მნიშვნელოვანია.

საერთაშორისო სამართალში ინვესტიციის ერთიანი სამართლებრივი დეფინიცია არ არსებობს და სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაც მის არსს განსხვავებულად განმარტავს. ფართო გაგებით, „ინვესტირება“ განმარტებულია, როგორც ფულადი სახსრების ან კაპიტალის დაბანდება მოგების მიღების მიზნით. ინვესტიცია, როგორც სამართლებრივი კატეგორიის განმარტება, უკავშირდება მის სხვადასხვა სახეს. პირობითად, ინვესტიციებს ყოფენ კერძო, სახელმწიფო, ადგილობრივ (შიგასახელმწიფოებრივი) და საერთაშორისო (პირდაპირ უცხოური და პორტფელური) ინვესტიციებად.²

ინვესტირების ყველაზე უფრო მარტივი ფორმაა შიგასახელმწიფოებრივი ან ადგილობრივი ინვესტირება. ადგილობრივი ინვესტირება გულისხმობს ერთი რომელიმე ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირის ინტელექტუალური რესურსების, ფულადი სახსრების ან სხვა ტიპის კაპიტალის დაბანდებას მისი წარმომშობი ან რეგისტრაციის მქონე ქვეყნის შიგნით მოგების მიღების მიზნით. სახელმწიფო ინვესტიციებში იგულისხმება ადმინისტრაციული ხელისუფლების ამა თუ იმ ორგანოს მიერ საწარმოში წილის, აქციების ან/და აქტივების შესყიდვა. ასეთი საქმიანობიდან მიღებული წმინდა ამონაგები თანხა ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში და სახელმწიფო ხელისუფლების მიზნებს ემსახურება. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში მოიაზრება უცხო ქვეყნის მოქალაქის, აგრეთვე უცხოური საწარმოს მიერ გარკვეული კაპიტალის აკუმულირება და დაბანდება საქართველოს სხვადასხვა კომპანიის აქტივებში. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სპეციფიკას ახასიათებს, როგორც ადგილობრივი საწარმოს მიერ გრძელვადიანი ინტერესების არსებობას ინვესტიციის მომწოდებელი უცხოური ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან. პორტფელური ინვესტიცია არის უცხო

¹ Гражданское право/под ред. Е. А. Суханова, Москва, 2004 г. Том 1. Стр. 291-292.

² ლ. კოკაია. ქ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2012 წ. №3, გვ. 134.

ქვეყნის საფონდო ბირჟაზე კაპიტალის განთავსება ფასიანი ქაღალდების, აქციების შესყიდვის გზით ან ეროვნულ საფონდო ბირჟაზე უცხო ქვეყნის კომპანიის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობით.¹ უცხოური ინვესტიციის დროს, როცა საქართველოში არსებულ საფონდო ბირჟაზე ხდება აქციათა შექმნა, ინვესტორის კაპიტალის უსაფრთხოებისათვის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს შეადგენს საქართველოში არსებული საფონდო ბირჟების, საბროკერო საქმიანობისა და ფასიანი ქაღალდების ბრუნვის სტაბილურობა და სხვა სახის სამართლებრივი გარანტიების არსებობა. ინვესტირების ობიექტის მიხედვით, პირობითად შესაძლებელია გამოვყოთ ინვესტირება უძრავ ქონებასა და იურიდიული პირის ფასიანი ქაღალდებში, კერძოდ სს-ის აქციებში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში განვითარდეს ფასიანი ქაღალდების ბაზარი და საფონდო ბირჟა, რათა ინტენსიურად და ეფექტურად მოხდეს საქართველოს იურიდიულ პირებში, კერძოდ სს-ის აქციებში უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების ჩადება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში საწარმოების წინსვლასა და გაძლიერებას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და დასაქმებულთა რიცხვის ზრდას.

მსხვილი კაპიტალდაბანდების ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფა ქვეყანაში საერთო სტაბილური და სანდო პოლიტიკური სამართლებრივი და ეკონომიკური სიტუაციით ხდება. კაპიტალდაბანდების ეფექტური მოზღვაგებისათვის მნიშვნელოვანია ხელსაყრელი და სტაბილური ეროვნული კანონმდებლობისა და მომხიბვლელი კლიმატის არსებობა, რათა სავარაუდო კაპიტალდაბანდების მომგებიანობა სარწმუნო გახდეს.

განვითარებული ქვეყანა, რომელიც დაინტერესებულია კაპიტალის მოზიდვით, ხშირად უცხოელ ინვესტორებს აძლევს საგადასახადო შეღავათებს, დამატებით საკრედიტო შესაძლებლობებს, საკონსულტაციო მომსახურებას და ა.შ. საქართველოს უმთავრეს საზრუნავს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინვესტორთა მოზიდვა და მათი ინტერესების დაცვა, ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობაში სამართლიანი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრება უნდა წარმოადგენდეს. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება უცხოური ინვესტიციების დაცვისათვის ისეთი სამართლებრივი გარემოს არსებობაა, რომელიც ინვესტიციების უსაფრთხოებას, სტაბილურობასა და მისი ზრდის წინაპირობას უზრუნველყოფს. ყოველივე ეს წარმოშობს შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღებისა და არსებულის დახვეწის აუცილებლობას.

ბირჟების საქმიანობაზე სახელმწიფოს მხრიდან ზედამხედველობის განხორციელებით ნებადართულია ფასიანი ქაღალდების დაშვებაზე კონტროლი, რომელიც ხორციელდება ბირჟებზე, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სახელმწიფოს მხრიდან ზედამხედველობის განხორციელებით.²

საქართველოში საფინანსო სექტორზე ზედამხედველობას საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს. რეგულირების უმთავრესი პრინციპია საჯაროობის უზრუნველყოფა

¹ ლ. კოკია. ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“. თბ, 2012 წ. №3, 134 გვ.

² არსტენ პეტერ კლაუსენი. საბირჟო და ფასიანი ქაღალდების სამართალი საქართველოში; საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში; გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბ, 2000 წლის 7-8 მარტი, გვ 140.

და ინვესტორთა დაცვა. სახელმწიფო არ ერევა კორპორაციის შიგასამეურნეო საკითხებში, თუმცა კონტროლს უწევს იმ წესების დაცვას, რაც კანონითაა დადგენილი. ასეთი კონტროლი ემსახურება სახელმწიფოში კანონიერი ბიზნესსაქმიანობის განხორციელებას, მომხმარებელთა ინტერესების დაცვას კორპორაციების საქმიანობაში ნეგატიური პროცესების განვითარებისგან.¹

საქართველოს ეროვნული ბანკის ამოცანაა საფინანსო სექტორის ფინანსური მდგომარეობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა, მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვა. ამ მიზნით ეროვნული ბანკი ვალდებულია ხელი შეუწყოს საფინანსო სისტემის სტაბილურ და ეფექტურ ფუნქციონირებას, სისტემური რისკის კონტროლს, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას, პოტენციური რისკების შემცირებას.² მნიშვნელოვანია იმ რამდენიმე საკანონმდებლო ნორმების განხილვა, რომლებიც განსაზღვრავს უცხოელ ინვესტორთა დაცვის საფუძვლებს საქართველოში და მიუთითებს უცხოური საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფოს მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმაზე. მათ შორის მნიშვნელოვანია საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, რომლის მე-3 მუხლის თანახმად, საინვესტიციო და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები არ შეიძლება იყოს იმ უფლებებსა და გარანტიებზე ნაკლები, რომლითაც სარგებლობს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირი, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.³ ამავე კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებულია ინვესტორთა ისეთი უფლებები, როგორცაა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ საბანკო დაწესებულებებში მიმდინარე და სხვა ანგარიშების გახსნა; საქართველოს ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ არსებული საბანკო და საფინანსო დაწესებულებებიდან ან ფიზიკური თუ იურიდიული პირებისაგან სესხის აღება; საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქონების, აქციების, ობლიგაციების და სხვა ფასიანი ქაღალდების შექმნა; ინვესტირების შედეგების ფლობის, გამოყენების, განკარგვის, სხვა იურიდიული და/ან ფიზიკური პირისათვის კანონით დადგენილი წესით გადაცემის უფლება; გადასახადებისა და სავალდებულო მოსაკრებლების გადახდის შემდეგ, ინვესტიციებიდან მიღებული მოგების (შემოსავლის) და სხვა ფულადი სახსრების საქართველოს საბანკო დაწესებულებაში საბაზრო კურსით კონვერსიისა და საზღვარგარეთ შეუზღუდავი რეპატრაციის უფლება; მის საკუთრებაში არსებული ქონების საზღვარგარეთ გატანის უფლება.⁴

საქართველოში უცხოური ინვესტიციების საკანონმდებლო დაცვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია 2006 წლის 30 ივნისის კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, რომლის მიზანი ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობაა ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით.⁵ აქვე უნდა აღინიშნოს საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს როლი უცხოელ ინვესტორთა მომსა-

¹მ. ჯიბუტი. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი. თბ., 2003წ. გვ. 35.

²საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“. თბ., 2009წ. 47-ე მუხ.

³საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“. თბ., 1996წ. მე-3 მუხ.

⁴საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“. თბ., 1996წ. მე-3 მუხ.

⁵საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“. თბ., 2006წ. I მუხ.

ხურებისა და მათი საქმიანობის წახალისების მიზნით როგორც საინვესტიციო საქმიანობის დაწყებამდე, ასევე საქმიანობის მიმდინარეობისას. ამ სფეროში სახელმწიფო მხარდაჭერა კიდევ უფრო მეტად ამყარებს უცხოური ინვესტიციების დაცულობის შესაძლებლობებს საქართველოში.

ამდენად, საქართველოში უცხოური საინვესტიციო საქმიანობის მარეგულირებელი შიგასამართლებრივი აქტები ქმნის სტაბილურ, მყარ და უსაფრთხო საინვესტიციო გარემოს და რეალურად იცავს ნებისმიერ უცხოელ ინვესტორს საქმიანობის თითოეულ ეტაპზე.

აშშ-ში ფასიანი ქაღალდების ბაზრის მიმართ ძლიერია სახელმწიფო ზედამხედველობა, მოქმედებს ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომიტეტი, ბანკებზე ზედამხედველობას სახელმწიფო სამსახური ახორციელებს. აშშ-ში ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის წინაპირობას რეგისტრაციის სპეციალური პროცედურის გავლა შეადგენს, რაც, თავის მხრივ, რეგისტრაციისათვის აუცილებელი მონაცემებისა და ემისიის პროსპექტის სისწორის შემოწმებას მოიცავს. ნაციონალურ საფონდო ბირჟებზე კი კორპორაციების აქციებით ვაჭრობა ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების კომისიის მიერ რეგულირდება.¹ ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების კომისია 1934 წელს შეიქმნა და მიზნად ისახავდა ბაზარზე სტაბილურობის და ინვესტორების ინტერესების დაცვას.² ზემოაღნიშნული კომისია აშშ-ში აკონტროლებს საფონდო ბირჟებს, ბროკერებს, კაპიტალდაბანდებათა მრჩეველებს, ფინანსურ დაწესებულებებს და საჯაროდ მოვაჭრე კომპანიებს.³

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია აქციის, როგორც ფასიანი ქაღალდის და ფინანსური უფლების როლი და მნიშვნელობა სააქციო საზოგადოების დაფინანსებასა და ინვესტიციის მოზიდვაში, რამდენადაც აქციათა რეალიზაციით ხორციელდება ინვესტორთა მოზიდვა, რის გამოც აქციას აქვს კაპიტალის მოზიდვის ფუნქცია, ასევე საჭიროა ინვესტორების მიმართ აქტიური პოლიტიკის განხორციელება. ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს მიმართულებად აქციებში ინვესტორების მოზიდვა უნდა იქცეს. საჭიროა უცხოელ ინვესტორებს დაუწესდეთ საგადასახადო შეღავათები, მიეცეთ დამატებითი საკრედიტო შესაძლებლობები და გაეწიოთ კვალიფიციური საკონსულტაციო მომსახურება. ასევე მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნეს აქციონერთა შესახებ ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისათვის. ინვესტორთა დაინტერესების მნიშვნელოვანი გზა საწარმოთა შესახებ ფინანსური და არასაფინანსო ინფორმაციის გამოქვეყნება და გამჭვირვალობაა, რაც ხელს შეუწყობს აქციების ლიკვიდურობის გაზრდას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვისას მნიშვნელოვანია ფასიანი ქაღალდების ბაზრის როლი. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი განვითარების საწყის სტადიაშია, დაბალია ფასიანი ქაღალდების ლიკვიდურობა და მათზე მოთხოვნა. ამდენად, აუცილებელია, რომ საქართველოში ჩამოყალიბდეს ცივილური საფონდო ბირჟა. ქვეყანაში ჯერ კიდევ უმნიშვნელოა სააქციო კაპიტალის როლი ეკონომიკაში, კაპიტალდაბანდებაში. ეს განპირობებულია საფონდო ბირჟის შიგა პრობლემით, დაბალი კორპორაციული კულტურით, არასაიმედო საინ-

¹ მ. ჯიბუტი. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი. თბ., 2003 წ., გვ. 35.

² Angela Schneemen. The Law of Corporations and other business organizations. Pg. 436.

³ Neal R. Bevans. Business organizations and corporate Law. pg. 251.

ვესტიციო კლიმატით და ა.შ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში განვითარდეს ფასიანი ქაღალდების ბაზარი და საფონდო ბირჟა, რათა ინტენსიურად და ეფექტურად მოხდეს იურიდიულ პირებში, კერძოდ სს-ის აქციებში უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების ჩადება, რაც ხელს შეუწყობს საწარმოების წინსვლას, გაძლიერებას და უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და დასაქმებულთა რიცხვის ზრდას. მსოფლიოს ფასიანი ქაღალდების ბაზართან ქართულ საწარმოთა ფასიანი ქაღალდების დაახლოების მიზნით გამართლებულია საქართველოს „მეწარმეთა შესახებ“ კანონში შესული ცვლილებები, რომლითაც სახელობითი ფასიანი ქაღალდების არსებობა აღიარებული იქნა და უარი ეთქვა საწარმდგენლო ტიპის აქციებს. სახელობითი აქციის ღირსება ის არის, რომ მათი გაცემის მეშვეობით შესაძლებელი ხდება სააქციო კაპიტალის მოძრაობის სისტემური კონტროლი და ცალკეული აქციონერის ხელში ფასიანი ქაღალდების კონცენტრაციაზე ზედამხედველობა, რაც მეტად მნიშვნელოვანი და საჭიროა ინვესტორისათვის. წამყვანი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, მათ შორის ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე მსოფლიო სახელობითი ფასიანი ქაღალდების (აქციების) კოტირება ხდება და სხვა ტიპის ფასიანი ქაღალდების განთავსება არ დაიშვება. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი კანონმდებლობის პროგრესულობის მიუხედავად, უზრუნველყოფილი არ არის საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობა; კორპორაციების და ფასიანი ქაღალდების საკანონმდებლო ბაზა ძირითადად შექმნილია, თუმცა აუცილებელია მათი რეგულირების სრულყოფა.

ასმათ ნეპარიძე,
სამართლის დოქტორანტი

აქციებში ინვესტირების სამართლებრივი რეგულირების ასპექტები

განხილულია სააქციო საზოგადოების აქციებში ინვესტირების ზოგიერთი კონცეპტუალური საკითხი და სამართლებრივი რეგულირების ასპექტები. წარმოჩინდა აქციაში, როგორც ფასიან ქაღალდში ინვესტიციის განხორციელების მნიშვნელობა და მისი როლი კორპორაციის დაფინანსებასა და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური დონის ამაღლებაში. ასევე, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებად ხაზი გაესვა ინვესტირებისათვის შეღავათიანი პირობების დადგენის საჭიროებასა და, სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის შემუშავებით, ინვესტიციების მხარდაჭერის მნიშვნელობას. საფონდო ბირჟა განხილულ იქნა, როგორც ინვესტიციების მოზიდვისა და რეალურად განხორციელების ძირითადი და პირდაპირი საშუალება.

ASMAT NEPARIDZE,
PHD student

ASPECTS OF THE LEGAL REGULATION OF INVESTMENT IN SHARES

There is discussed investing in stocks at a joint stock company , connected with it's some of the conceptual issues and important aspects of it's legal regulation. It was revealed the importance of investing in shares, as investments in securities. There was demonstrated its role in the corporation's funding and in accordance with the country's level of economic. Also there was underlined the country's economic policy direction, which is reflected in determination of favorable conditions for investors and also in developing of various state programs, It expresses the state support for investors. Also, the stock market has been identified, as the major means of attracting and actually implementing foreign investment.

АСМАТ НЕПАРИДЗЕ,
докторант права

ПРАВОВЫЕ АСПЕКТЫ РЕГУЛИРОВАНИЯ ИНВЕСТИЦИЙ В АКЦИЯХ

В статье рассмотрено инвестирование в акциях и его некоторые концептуальные вопросы. Также в статье описываются его правовое регулирование и другие значительные аспекты. Показано как важно инвестировать в коммерческие бумаги, и его роль в финансировании корпорации, в соответствии с улучшением экономической ситуации в стране. Также было подчеркнуто, что основным направлением страны в экономической политике должно стать создание благоприятных условий для инвесторов: государство должно поддерживать инвесторов с помощью разработки различных государственных программ. Также фондовый рынок, в качестве основного средства для привлечения и осуществления инвестиций, определен.

**ქართული საანდერძო ინსტიტუტის
მოკლე ისტორიული მიმოხილვა**

მემკვიდრეობა კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე მეტად მნიშვნელოვან და არსებით როლს ასრულებდა. სამართლებრივი დატვირთვის შექენამდე მემკვიდრეობის ცნება თავისი შინაარსით, ფილოსოფიური, რელიგიური, კულტურული თუ საზოგადოებრივი ასპექტებით გამოირჩეოდა.

სამართლის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს გარდაცვლილი პირის ქონების მემკვიდრეებზე გადასვლის წესსა და ფარგლებს სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ნაწილია, რომელსაც მემკვიდრეობითი სამართალი ეწოდება.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, მემკვიდრეობითი სამართალი შეიძლება მხოლოდ მაშინ შექმნილიყო, როცა კერძო საკუთრება გაჩნდა. VIII–IX საუკუნეების საქართველოში მემკვიდრეობითი სამართალი უკვე არსებობდა. მეცნიერთა უმრავლესობა არ უარყოფს, რომ მემკვიდრეობის დაუწერელი ადათ-წესები სავარაუდოდ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებობდა.

ქართული მემკვიდრეობითი სამართალი იცნობს კანონით მემკვიდრეობასა და ანდერძით მემკვიდრეობას. ჩვენი მიმოხილვის საგანი ანდერძით მემკვიდრეობაა.¹

ანდერძით მემკვიდრეობაზე ივ. ჯავახიშვილი წერს: „ვისაც საკუთარი მონაგები ჰქონდა და სურდა, რომ ეს მონაგები მემკვიდრეობის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით კი არ ყოფილიყო განაწილებული, არამედ განსაკუთრებული, მის მიერ აღნიშნული რიგითა და რაოდენობით ან თუ მას უნდოდა, რომ თავისი პირდაპირი მემკვიდრეები ან ყველანი, ან ზოგიერთნი მისი საკუთარი მონაგების მონაწილე არ გაეხადა, მაშინ მას ეს ნება წინდაწინვე უნდა გამოეცხადებინა. ჩვეულებრივ განსაცდელში მყოფსა ან მომაკვდავის სიტყვიერად თუ წერილობით გამოთქმულს, სიკვდილის შემდეგ ასასრულებლად განკუთვნილს, უკანასკნელი ნების გამოცხადებას ანდერძი ეწოდებოდა.“²

ქართული სამემკვიდრეო სამართლის ისტორიის საკითხებზე გარკვეულ ცნობებს გვაწვდის დავით აღმაშენებლისა და გრიგოლ ქართლის ერისთავთ-ერისთავის ანდერძები. სამემკვიდრეო სამართლის საკითხებს არეგულირებს ბაგრატ კურაპალატის, გიორგი ბრწყინვალის, ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნები, ხოლო XVIII საუკუნიდან – ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი დამის მიერ შედგენილი „კოდიკო“. საინტერესო ცნობებია მოცემული XIX საუკუნის დასაწყისში ჩვეულებით-სამართლებრივ ნორმათა შემკრებ-ჩამწერ საგანგებო კომიტეტის მიერ შედგენილ ძეგლში "საქართველოს ჩვეულებითი სჯული" (ქართული დედანი აღმოაჩინა და პირველად გამოაქვეყნა პაატა გუგუშვილმა „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1938, ნაკვ. 3, ტფ., 1939) და სხვა.

ანდერძით მემკვიდრეობის ყველაზე სრულყოფილი სურათი რომაულ სამართალში გვაქვს. ქართულ სამართალში სხვა მდგომარეობა იყო, რადგან ანდერძს არ ჰქონდა ისეთი უნივერსალური ძალა, როგორც ძველ რომში, სადაც ანდერძის თავისუფლების შეზღუდვა უდიდეს ბოროტებად ითვლებოდა. ძველი ქართული ანდერძები, რომლებიც ჩვენამდე არის მოღწეული, უფრო კომპლექსური ხასიათისაა, ვიდრე ცივილური, მათში წყდება მრავალი

¹ ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII. თბ., 1984 წ., გვ. 272.

² ბ. ზოიძე. ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი. თბ., 2000 წ. გვ. 320.

საკითხი – როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი (მაგ., დავით აღმაშენებლის 1123 წლის ანდერძი). ბ. ზოიძე “ძველ ქართულ მემკვიდრეობით სამართალში“ ამ საკითხის განხილვისას დასკვნის სახით წერს: “ფეოდალურ საქართველოში ანდერძი ხშირად ფართო მნიშვნელობით გამოიყენებოდა და მასში წყდებოდა სახელმწიფო-საოჯახო ცხოვრების მრავალი წვრილმანი თუ მსხვილმანი საკითხი; წმინდა ქონებრივი საკითხების ანდერძები უფრო გვიანფეოდალური ხანიდანაა შემორჩენილი: ანდერძისათვის დამახასიათებელია ის, რომ მასში დიდია თვით მოანდერძის ინტერესი, რაც მეტწილად დაკავშირებულია სულისადმი სამსახურთან.“¹

ქართული მემკვიდრეობითი სამართალი იცნობს ანდერძის ორ ფორმას – წერილობითს და ზეპირს. ცხადია, ისტორიულად ჯერ ანდერძის ზეპირი ფორმა აღმოცენდა.

რომაული სამართლით, ანდერძის ფორმის განვითარება გარკვეული თანამიმდევრობით ყალიბდებოდა. თავიდან იყო ანდერძი, რომელიც იღებოდა სახალხო კრების წინაშე და ანდერძი, რომელიც იღებოდა სალაშქროდ გამზადებული ჯარის წინაშე.² XII ტაბულის კანონებით ანდერძის არაპირდაპირი გზა იყო სყიდვის ფიქტიური ხელშეკრულება, რის მიხედვითაც რწმუნებული პირი მოანდერძიდან იღებდა ქონებას და კისრულობდა მისი შენახვის ვალდებულებას და მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ, მისი ნების მიხედვით, დანატოვარის განაწილებას. ანდერძის ამ ფორმას მანციპაციური ანდერძი ეწოდებოდა და სრულდებოდა ხუთი მოწმის თანდასწრებით, როგორც ამას XII ტაბულის კანონები ითვალისწინებდა. შემდეგ რომის სამართალში შემოდის ანდერძის ახალი ფორმა, რომელიც სრულდებოდა კანონით მემკვიდრეთა სასარგებლოდ შვიდი მოწმისა და ფორმალური მოთხოვნების გარეშე, ასევე ანდერძის წერილობითი ფორმა, რომელსაც მამკვიდრებელი წერდა მოწმეების გარეშე. ანდერძის საჯარო ფორმებიდან აღსანიშნავია სასამართლო ანდერძი, რომელიც სასამართლოში იღებოდა ან შესანახად სასამართლოს გადაეცემოდა.

ბიზანტიური სამართლის ძეგლი „ეკლოგა“ იცნობს წერილობით და ზეპირ ანდერძებს. წერილობითი ანდერძი დგებოდა შვიდი სანდო და ამისთვის მოწოდებული მოწმის თანდასწრებით, რომლებიც ხელს აწერდნენ და სვამდნენ ბეჭედს ანდერძზე. მოანდერძე ვალდებული იყო საკუთარი ხელმოწერით ან ჯვრით დაემოწმებინა მამკვიდრებლის ვინაობა. მას უფლება ჰქონდა ანდერძის შინაარსი დაეტოვებინა საიდუმლოდ. ზეპირი ანდერძის განხორციელებასაც შვიდი მოწმე სჭირდებოდა, თუ არ მოიძებნებოდა, მაშინ კანონი ხუთ მოწმეზეც კმაყოფილდებოდა. თუ ხუთი მოწმეც არ მოიძებნებოდა, მაშინ სამი მოწმეც საკმარისი იყო. თუ ანდერძი სამზე ნაკლები მოწმით დასტურდებოდა, ის ანდერძი ბათილად ჩაითვლებოდა.²

საჯარო და კერძო ანდერძის ფორმებს იცნობდა გერმანული სამართალი. საჯარო ანდერძი იღებოდა მოსამართლის, ორი ნოტარიუსისა და ორი მოწმის თანდასწრებით. იგი სრულდებოდა ზეპირად და წერილობითაც. ზეპირი ანდერძის შესრულების დროს მოანდერძე თავის ნებას გამოხატავდა ზეპირად, რის შესახებაც დგებოდა ოქმი. წერილობითი ანდერძის დროს მამკვიდრებელი თვითონ ადგენდა ანდერძს და გადასცემდა ოფიციალურ პირებს. აქაც შედგებოდა ოქმი, იკითხებოდა და ხელმოწერით დასტურდებოდა.

ფეოდალურ საქართველოში უფრო წერილობითი ანდერძის ფორმა იყო გავრცელებული, თუმცა ზეპირი ანდერძის ფორმებიც დასტურდება. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში შესული ბერძნულ-რომაული სამართალი იცნობდა ზეპირ ანდერძსაც. მაგალითად, ნამ-

¹ ბ. ზოიძე. ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი. თბ., 2000წ. გვ. 326.

² იქვე, გვ. 273.

დვილია ორსული ქალის ანდერძი, რომელიც მან აბანოში სიკვდილის წინ დაიბარა ცხრა-ათი მოწმის თანდასწრებით (მ.118). ამავე ძეგლით ვიგებთ, რომ ცხრა-ათი მოწმის თანდასწრებით დადებული დაბადებიდან ბრმა ადამიანის ზეპირი ანდერძიც ნამდვილად მიიხნეოდა (მ.115).¹

ანდერძი შეიძლება შესრულებულიყო თვით მოანდერძის და ასევე სხვა პირის მიერ, მაგალითად, სასულიერო პირის მიერ. ანდერძის შედგენას გარკვეული წესი ჰქონდა, რომლის შესახებ ყველამ არ იცოდა, ყველამ არ იცოდა წერა-კითხვაც, ამიტომ მოძღვარი სანდო ადამიანი იყო, რომელსაც ანდერძს აწერინებდნენ. ამიტომ იყო, რომ მოანდერძე ვალდებული იყო ანდერძზე ხელი მოეწერა ან ჯვარი დაესვა და ამით თავისი ნება დაედასტურებინა.

სამართლის ისტორიიდან კარგად ჩანს, რომ ანდერძის გაბატონებული ფორმა წერილობითი ანდერძია, რომელიც მეტი მტკიცებულება იყო დავის წარმოშობის დროს. მაგალითად, რუსეთში სამოქალაქო კანონთა წიგნი მხოლოდ წერილობით ანდერძს იცნობდა (კანონთა 1123 მუხლი): „სიტყვიერ ანდერძს ანუ ე.წ. ზეპირად დამახსოვრებულს არავითარი ძალა არ აქვს.“

წერილობით ანდერძები მოძღვართან ინახებოდა, ვიდრე საერო ხელისუფლება არ ჩაერია ამ საქმეში. ივ. ჯავახიშვილი წერს: “ზვეულებრივ დაწერილი ანდერძი მოანდერძისგან სანდო პირს, ხშირად სულიერ მოძღვარს ჰქონდა ხოლმე მიბარებული, რომელსაც მოანდერძის გარდაცვალების შემდგომ ანდერძი უნდა მიეტანა და მემკვიდრესათვის გაეცნო.”²

რუსეთში, ფსკოვის სამართლის სიგელით, სასულიერო ანდერძები ინახებოდა წმინდა სამების ლავრაში. XVIII საუკუნეში საამისოდ დაარსდა ე.წ. „შენახვის ხაზინა“.³ შეიძლება ითქვას, რომ იმდროინდელი ეკლესია დღევანდელი ნოტარიუსების ფუნქციებს ასრულებდა.

ანდერძის ნამდვილობასათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი მოწმის არსებობა იყო. მოწმის გარეშე ანდერძი ნამდვილად არ ითვლებოდა. ცნობები ანდერძის მოწმის შესახებ დაცულია ქართლის ცხოვრებაში, სადაც მირიან მეფის მოწმეები მისი ვაჟი ბაქარი და ცოლი ნანა ყოფილან.⁴ დავით აღმაშენებლის ანდერძის ერთადერთი მოწმე მისი სულიერი მამა არსენ ბერი იყო.

როგორც ირკვევა, ანდერძის სიმტკიცისთვის მოწმის დასწრება აუცილებელი პირობაა. მოწმეთა რიცხვი დაკონკრეტებული არ იყო, ზოგან ვხვდებით ერთს, ორს და უფრო მეტსაც. მოწმედ ყველა ადამიანი არ გამოდგებოდა. ვახტანგ მეფე თავის სამართალში საგანგებოდ უსვამს ხაზს მოწმის პიროვნებას, მისი სამართლის მე-13 მუხლში: “ასრე იციან, კაცმან თუ რასაც საქმეზე ასეთი მოწამე მოიყვანა, რომე იმ მოწამეთ დვთისა ეშინოდეთ, სჯული იცოდეს, ჭკუა ქონდეს, ან საღმთო კაცი იყოს ან სიმართლის ხმა ქონდეს დავარდნილი და კაცისაგან, სანდო იყოს, უნდა დაუჯერონ.” ასეთი მოწმე გათვალისწინებულია პროცესუალურ მოწმედ, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ანდერძისთვისაც ასეთი მოწმე უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. როგორც ირკვევა, ყველა მოწმეს არ დაუჯერებოდა, ბერძნული სამართლის ქართული ვერსია საგანგებოდ აღვინაოდა ანდერძის მოწმის ზნეობრივ სახეს: “მემრუშე კაცის ანდერძის მოწმობა არ დაიჯერება,

¹ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I. თბ. გვ. 160–161.

² ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII. თბ., 1984 წ., გვ. 277.

³ ბ. ზოიძე. ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი. თბ., 2000 წ. გვ. 331.

⁴ ს. ყაუხჩიშვილი. ქართლის ცხოვრება, ტ. I. თბ., 1955 წ. გვ. 129-130.

უკეთუ იმოწმოს და ბეჭედიც დასვას, არ ირწმუნება, ამისთვის რომე ქუეყანამ მისი მრუშობა იცის და მემრუშე მოწმედ არ დაიჯერება.“¹

ზოგჯერ ადამიანი სხვადასხვა მოტივით თუ მიზეზით ცვლიდა ან აუქმებდა ანდერძს, ამის უფლებას სამართალი აძლევდა და ამ უფლების შეზღუდვის რაიმე დოკუმენტი ქართულ სამართალში არ მოგვეპოვება. ანდერძის შედგენისას გადამწყვეტი და ყველაზე მნიშვნელოვანი მოანდერძის ნება გახლდათ. ანდერძის ინსტიტუტში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ანდერძის აღმსრულებელს. ვის უნდა აღესრულებინა ანდერძი? ივანე ჯავახიშვილი ამაზე წერს: „ანდერძის დამტოვებელი თავისი ანდერძის აღმსრულებლად ჩვეულებრივ განსაკუთრებულ პირს ასახელებდა ხოლმე“.² ასეთად მოანდერძეს შეეძლო დაესახელებინა მემკვიდრე ან სხვა პირი. აღმსრულებელს უნდა დაეცვა ყველა პირობა, როგორც ანდერძში იყო მოცემული და ყველაფერი ისე აღესრულებინა, როგორც მოანდერძე დაიბარებდა. გრიგოლ სურამელი ანდერძის აღმსრულებლისგან მოითხოვს ანდერძის ზუსტ შესრულებას და მისგან უმნიშვნელო გადახვევასაც კრძალავს.

ანდერძის აღმსრულებლის ინსტიტუტი უცხო იყო რომაული სამართლისთვის.³ რუსი მეცნიერ-იურისტი კ. პაბედანოსცევი თვლის, რომ რომის სამართალში დაიშვებოდა ანდერძის აღმსრულებელი, ოღონდ ძალიან შეზღუდული უფლებით, რადგან რომაული სამართლის მიხედვით, ანდერძის თავისუფლებიდან გამომდინარე, უცხო პირი არ დაიშვებოდა ანდერძის აღმსრულებლად.⁴

აღსანიშნავია, რომ ანდერძის თავისუფლებას ზღუდავდა და ზღუდავს სავალდებულო წილის არსებობა მემკვიდრეობით სამართალში, რაც განპირობებული იყო გარკვეულ პირთა ინტერესების დასაცავად. სავალდებულო წილის ოდენობა სხვადასხვა იყო. მაგალითად, რომაული სამართლით სავალდებულო წილის ოდენობა დამოკიდებული იყო კანონით მემკვიდრეთა რაოდენობაზე და თავიდან შეადგენდა 1/4-ს იმისას, რასაც კანონით მემკვიდრე მიიღებდა ანდერძის არარსებობისას. იუსტინიანეს დროს სავალდებულო წილი 1/3-ს, ზოგჯერ – 1/2-ს შეადგენდა. ფალკიდიონის კანონის მიხედვით, სავალდებულო წილი 1/4-ს შეადგენდა. ბიზანტიური სამართალ „ეკლოგიტ“ სავალდებულო წილის ოდენობა 1/3-ს შეადგენდა, კანონით მემკვიდრეობის დროს მიღებული წილისა.⁵

ქართულ სამართალში ასეთი ჩამოყალიბებული მითითებები სავალდებულო წილის შესახებ არ მოგვეპოვება. ბ. ზოიძე მიიჩნევს, რომ ჩვენში სავალდებულო წილი შესაძლებელია ბერძნულ-რომაულის ანალოგიურად გადაწყვეტილიყო, თუმცა რაიმეს დასაბუთებულად თქმა ძნელია, ვინაიდან დოკუმენტური მასალა არ მოგვეპოვება.

სამართლის წარმოშობისა და განვითარების ისტორიიდან ცნობილია, რომ კერძო საკუთრების უფლების აღმოცენებასთან ერთად გაჩნდა ისეთი სამართლებრივი ნორმების შემუშავების აუცილებლობა, რომლის საფუძველზეც მოწესრიგდა სამართლის სუბიექტთა უფლებრივი ურთიერთობები.

ქართული სამემკვიდრეო სამართლის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა ბერძნულ-რომაულმა სამართალმა, მაგრამ, რაც მთავარია, არ გამჭრალა ქართული სამართალი, პირიქით, სასიკეთო ცვლილებები განიცადა და უფრო დაიხვეწა.

¹ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I. გვ. 484-489.

² ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII. თბ., 1984 წ. გვ. 277.

³ Г.Ф. Шершеневич. Учебник русского гражданского права. М., 1995 г., стр. 725.

⁴ К.П. Победоносцев. Курс гражданского права. Часть вторая. М., 2002 г., стр. 62.

⁵ ბ. ზოიძე. დასახელებული ნაშრომი. თბ., 2000 წ., გვ. 302.

ნანა როსეფაშვილი,
სამართლის დოქტორანტი

**ქართული საანდერძო ინსტიტუტის
მოკლე ისტორიული მიმოხილვა**

მემკვიდრეობითი სამართლის წარმოშობა და განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული საკუთრებასთან. მას, როგორც საზოგადოების იურიდიულ ზედნაშენს, განსაზღვრავს მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი, რაც უდიდეს გავლენას ახდენს როგორც ქონების განაწილებაზე, ისე ცხოვრების პირობების განვითარებაზე. სტატიაში მოკლედაა მიმოხილული ქართული სამემკვიდრეო, კერძოდ საანდერძო სამართლის ისტორია.

NANA ROSEPASHVILI,
PHD student

**THE BRIEF HISTORICAL SURVAY
OF THE GEORGIAN WILL INSTITUTE**

The origin and development of the inheritance law is closely related to the property. As a legal superstructure of society , it is defined by the production rules of material life, which makes great influence on the distribution of the estate, as well as on the development of living conditions.

The article briefly describes Georgian inheritance law history, namely the will law history.

НАНА РОСЕПАШВИЛИ,
докторант права

**КРАТКИЙ ИСТОРИЧЕСКИЙ ОБЗОР
ГРУЗИНСКОГО ИНСТИТУТА ЗАВЕЩАНИЯ**

Наследственное право тесно связано с возникновением и развитием собственности. Оно, как правовая надстройка общества, определяется правилами производства материальной жизни, что значительно влияет на распределение имущества, а также условия развития жизни. В статье кратко рассматривается история грузинского наследственного права, а именно, завещательного права.

**უდავო წარმოების გადაზრდა
სასარჩელო წარმოებაში**

სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დარღვეული უფლებებისა და კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვა, როგორც წესი, ხორციელდება სასარჩელო წარმოების წესით, როდესაც დავა მიმდინარეობს უფლების შესახებ. თუმცა, არცთუ იშვიათიად წარმოიშობა დავის გარეშე უფლებებისა და კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის აუცილებლობა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება უდავო წარმოების წესები სამოქალაქო სამართალწარმოებაში.

ფიზიკური თუ იურიდიული პირები, იურიდიული ფაქტის დადგენის გზით, ახორციელებენ სუბიექტური უფლებებისა და ინტერესების დაცვას. ცხადია, იურიდიული ფაქტების დადგენა თვითმიზანი არ არის და მან საფუძველი უნდა დაუდოს სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა შეჯიბრებითობის პრინციპზეა აგებული. თუმცა, უდავო წარმოებისას სასამართლო სრულად ვერ იყენებს შეჯიბრებითობის პრინციპს. ამ დასკვნის საშუალებას გვაძლევს უდავო წესით განსახილველი საქმეები, რომელთა ძირითადი მიზანი იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენას ემსახურება ანუ ისეთი ფაქტების დადგენას, რომლის შედეგადაც წარმოიშობა, შეწყდება ან შეიცვლება სამართლებრივი ურთიერთობები. სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებით, უდავო წარმოებისას არ არსებობს დავა უფლებების შესახებ.

ეს გარემოება იმთავითვე არ გამორიცხავს უდავო წარმოების პროცესში დავის აღძვრის შესაძლებლობასაც. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, "თუ უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას აღიძვრება დავა ისეთი უფლებების შესახებ, რომლებიც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება, სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარმოადგინონ სარჩელი საერთო საფუძველებით".

ზემოთ მითითებული ნორმიდან გამომდინარე, უნდა არსებობდეს ოთხი აუცილებელი კომპონენტი:

1. განცხადება უდავო წარმოების წესით საქმის განხილვის შესახებ მიღებული უნდა იყოს წარმოებაში სასამართლოს მიერ;
2. სადავო უფლება სასამართლოს უწყებრივად უნდა ექვემდებარებოდეს;
3. განცხადების განხილვისას უნდა აღიძრას დავა;
4. დავის აღძვრის შემთხვევაში სასამართლო იღებს განჩინებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

სასამართლო წარმოებაში იღებს განცხადებას უდავო წარმოების წესით საქმის განხილვის შესახებ იმ შემთხვევაში, როცა პირს აქვს ესა თუ ის უფლება. უფლება სადავო არ არის, თუმცა, მისი გამოყენებისათვის საჭიროა ისეთი ფაქტების დადგენა, რომლებიც უფლების არსებობას დაადასტურებს.

გარდა ამ წინამძღვრისა, არსებობს კიდევ ერთი აუცილებელი წინაპირობა, კერძოდ, სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებს ადგენს მხოლოდ ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის

შეუძლებლობის შემთხვევაში. ამ პირობების არსებობისას სასამართლო წარმოებაში იღებს განცხადებას და იწყებს მთავარი სხდომისათვის მომზადებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი განამტკიცებს მხარეთა თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, წარადგინონ მტკიცებულებები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წაყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თავად განსაზღვრავენ, რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

სასამართლო, მხარეთა შეჯიბრების შემდეგ, შინაგანი რწმენით აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს.

განსხვავებული ვითარება გვაქვს უდავო წარმოებისას, როდესაც სასამართლო სრულად ვერ იყენებს შეჯიბრებითობის პრინციპს, რადგან სახეზეა არასასარჩელო, ცალმხრივი წარმოება. ერთმხარიანი (ცალმხრივი) წარმოებისას მხარე იძულებულია “შეეჯიბროს” მხოლოდ სასამართლოს. შეზღუდული ფორმით მოქმედებს დისპოზიციურობის პრინციპიც, კერძოდ, განმცხადებელი მოკლებულია შესაძლებლობას მორიგებით დაამთავროს საქმის წარმოება, არ არსებობს მოპასუხე, რომელიც ცნობს სარჩელს, განმცხადებელი ვერ გაზრდის მოთხოვნის ფარგლებს და ა.შ.

განმცხადებელი, ასევე სასამართლოც სრულად ვერ ახორციელებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს. იგი წარმოებაში მიღებულ განცხადებას არ უგზავნის მეორე მხარეს, არ იყენებს უზრუნველყოფის ღონისძიებებს, ვერ იმსჯელებს მესამე პირების ჩართვაზე და სხვა.

უდავო წარმოების წესისათვის დამახასიათებელია სპეციფიკური სუბიექტური შემადგენლობა. უდავო წარმოებაში არ არსებობენ მოსარჩელები, შესაბამისად მოპასუხეები ან მესამე პირები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, “უდავო წარმოების წესით საქმეთა განხილვისას სასამართლო იწვევს ამ საქმის განხილვით დაინტერესებულ პირებს”. საქმის განხილვით დაინტერესებულ პირებს შორის შესაძლოა მოვიპოვოთ პირი, რომელმაც განცხადებით მიმართა სასამართლოს და პირი, რომელიც დაინტერესებულია ამ განცხადების შედეგით.

ზოგადად, დაინტერესებული შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს საქმისადმი პირდაპირი მატერიალურ-სამართლებრივი დაინტერესება ან პირი, რომელსაც ეკისრება უფლების განხორციელების ვალდებულება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შემთხვევაში, მაგალითად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები ანუ პირები, რომელთაც კანონი ავალდებულებს მონაწილეობა მიიღონ ცალკეული კატეგორიის საქმეთა განხილვისას.

რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს პროცესის მონაწილე სუბიექტებს, მათ შორის დაინტერესებულ პირებს. კერძოდ, კოდექსის 34-ე მუხლის თანახმად, „საქმის განხილვაში მონაწილეობენ: მხარეები, მესამე პირები, პროკურორები, მესამე პირის უფლების დაცვის მქონე პირები, განმცხადებლები და სხვა დაინტერესებული პირები, განსაკუთრებული საქმის წარმოებისას“. ამავე კოდექსის 35-ე მუხლის თანახმად, დაინტერესებული პირები სარგებლობენ პროცესის მონაწილე პირთათვის მინიჭებული ყველა უფლებამოსილებით.

რუსეთის საპროცესო კანონმდებლობისაგან განსხვავებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დაინტერესებული პირის სტატუსს ცალკე არ განსაზღვრავს, შესაბამისად, ბუნდოვანია მისი საპროცესო უფლებამოსილებები.

ნიშნავს თუ არა დავის აღძვრა სარჩელის აღძვრას სასამართლოში სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით? სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარის მიხედვით, “თუ საქმის უდავო წარმოების დროს აღიძვრება დავა, სასამართლო უკვე ვეღარ განიხილავს ამ საქმეს უდავო წარმოების წესით. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს, რომ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ აღძვრან სარჩელი საერთო წესის დაცვით. სარჩელის აღძვრის შემთხვევაში სასამართლო ამოწმებს მისი მიღების ყველა პირობას.”¹

კომენტარი იმეორებს 311-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსს და დავის აღძვრას არ აიგივებს სარჩელის აღძვრასთან, რაც სავსებით მისაღებია, თუმცა არც ნორმიდან და არც კომენტარიდან არ ირკვევა, როგორ უნდა შეიტყოს სასამართლომ, რომ დავა აღიძვრა, საკმარისია მხოლოდ ზეპირი განცხადება თუ საჭიროა წერილობითი განცხადება. ვინ შეიძლება გააკეთოს ეს განცხადება, სხდომაზე მოწვეულმა დაინტერესებულმა პირმა, თუ ნებისმიერმა პირმა, რომელმაც შეიტყო განცხადების განხილვის შესახებ. თუ წერილობითი განცხადებაა აუცილებელი, მაშინ რა ფორმით და ვის მიერ უნდა იქნეს ის წარდგენილი სასამართლოში.

ცალკეული კატეგორიის საქმეებზე განსახილველი განცხადების შინაარსი და ხასიათი სასამართლოს საშუალებას აძლევს განსაზღვროს ვინ შეიძლება იყოს დაინტერესებული პირი. ამასთან, დაინტერესებული პირის სტატუსი, მისი საპროცესო უფლებამოსილება ბუნდოვანია უდავო წარმოების წესით საქმეთა განხილვისას.

განვიხილოთ უზენაესი სასამართლოს დიდ პალატის მიერ 2002 წლის 4 ნოემბერს მიღებული განჩინება:

„2001 წლის 27 მარტს ე.გ-მ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მიუთითა, რომ თბილისში 1989 წლიდან ფლობდა 870მ მიწის ნაკვეთს. მიწის ნაკვეთის დაკანონებაზე მას უარს ეუბნებოდნენ შესაბამისი სამსახურები. განმცხადებელმა მოითხოვა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა. სასამართლომ დააკმაყოფილა განცხადება და დაადგინა უძრავი ნივთის ფლობის ფაქტი. 2001 წლის ნოემბერს სასამართლოს განცხადებით მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა და მოითხოვა ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა იმ საფუძველით, რომ მიწის ნაკვეთი დადგენილი წესით 1967 წელს გამოეყო და დაუმაგრდა უნივერსიტეტს, რის საფუძველზეც გაიცა საკადასტრო რუკა. ამდენად, მიწის ნაკვეთი უნივერსიტეტს ეკუთვნის.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა განცხადება. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ დააკმაყოფილა საჩივარი. საბოლოოდ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2002 წლის 4 ნოემბრის განჩინებით დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის შესახებ გადაწყვეტილება და განაახლა საქმის წარმოება, სადაც განმარტა, რომ უნივერსიტეტი განმცხადებელთან ერთად სამეზობლო სამართალურთიერთობის სუბიექტია, ამიტომ დიდი პალატის აზრით, უნივერსიტეტი არის

¹ თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი. თბილისი, 2007, გვ. 538-539.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დაინტერესებული პირი, რომელსაც აქვს ღობე განმცხადებელთან, შესაბამისად აქვს შედავების პროცესუალური უფლება (რომლის საფუძველიანობაც შემდგომ უნდა გადაწყდეს). უნივერსიტეტი ასევე უნდა ჩაითვალოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის “ბ” ქვ/პუნქტით გათვალისწინებულ დაინტერესებულ პირად. ამასთან, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების უდავო წარმოების წესით დადგენასთან დაკავშირებით დიდმა პალატამ განმარტა შემდეგი:

“თუ შემოწმებისას აღმოჩნდება, რომ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენით განმცხადებლის მიზანი ვერ იქნება განხორციელებული, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის შესაბამისად სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო, თუ განმცხადებლის მიზნის მიუღწევლობა განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ გაირკვა, დატოვოს განუხილველად, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლისა”.¹

უნდა აღინიშნოს, რომ დიდი პალატის ეს მითითება არ გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებიდან, კერძოდ კოდექსის 187-ე მუხლი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების შინაარსს განსაზღვრავს, ამდენად ეს მუხლი ვერ გახდება განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის თანახმად (არც განჩინების გამოტანისას და არც ცვლილებების განხორციელების შემდგომ), განცხადებაში მითითებული მიზნის მიუღწევლობა უარის თქმის საფუძველად არ განიხილება. იგივე შეიძლება ითქვას ამავე კოდექსის 275-ე მუხლზე, რომელიც ადგენს სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების საფუძველს. უდავო წარმოების წესით აღძრულ განცხადებაში მიზნის მიღწევის მითითება ან მიუთითებლობა არ არის განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველი.

დიდმა პალატამ ასევე მიუთითა, რომ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის დროს, მიუხედავად უდავო წარმოებისა, სასამართლომ საკუთარი ინიციატივით უნდა გამოიკვლიოს და შეამოწმოს განმცხადებლის კეთილსინდისიერი მფლობელობის საკითხი და ვალდებულია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ გადაწყვეტილებაში მიუთითოს მფლობელობის სამართლებრივ საფუძველებზე.

საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ კანონის 44-ე მუხლის თანახმად, მისი ტერიტორიის ფარგლებში არსებული მიწის გამოყენება, დაცვა და კონტროლი თბილისის მერიის კომპეტენციაა, ამიტომ, დიდი პალატის აზრით, განცხადების განხილვისას სასამართლო ვალდებული იყო უდავო წარმოების შესახებ ეცნობებინა თბილისის მერიისათვის, რათა მას კომპეტენტური ორგანოების მეშვეობით შეძლებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული უფლების რეალიზაცია.

თუ შევაფასებთ დიდი პალატის ზემოთ აღნიშნულ მითითებას, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ უდავო წარმოების წესით განცხადების განხილვისას ვადგენთ არა ფაქტის არსებობა-არარსებობის საკითხს, არამედ ვწყვეტთ უფლებრივ საკითხს, რადგან კეთილსინდისიერი მფლობელობის სამართლებრივი საფუძველები განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლით, რომლის თანახმად კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელიც

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატის გადაწყვეტილებები. თბილისი, 2001-2002, გვ. 69-76.

ნივთს მართლზომიერად ფლობს ან, რომელიც უფლებამოსილ პირად შეიძლება იქნეს მიჩნეული საქმიან ურთიერთობებში საჭირო გულმოდგინე შემოწმების საფუძველზე.

დიდი პალატა განმარტავს, რომ „იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე სასამართლო ვალდებულია საქმის განხილვის შესახებ შეატყობინოს, სავარაუდოდ, დაინტერესებულ ყველა პირს და პროცესუალურად მისცეს მათ საშუალება, დროულად განაცხადონ თავიანთი დაინტერესებისა და საქმის სასარჩელო წესით განხილვის შესახებ. თუ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ დაინტერესებულ პირთათვის (რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ამ ფაქტის დადგენით მათი უფლება შეილახა) ცნობილი გახდა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, მათ უფლება აქვთ სააპელაციო წესით მოითხოვონ გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვა, ხოლო, თუ გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ უკვე კანონიერ ძალაშია შესული, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს მიმართონ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის “ბ” პუნქტის საფუძველზე და მოითხოვონ ამ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა“.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია პროცესში მონაწილე პირთა სტატუსი, კერძოდ კოდექსის მეორე თავი შეეხება მხარეებს. სასარჩელო წარმოებისას პროცესში მხარეებად მონაწილეობენ მოსარჩელე და მოპასუხე, მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნითა და მოთხოვნის გარეშე, წარმომადგენლობის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები – კანონიერი წარმომადგენლები, ადვოკატები, ორგანიზაციის თანამშრომლები და სხვა. გარდა მესამე პირისა, დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლების გარეშე, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირი ფაქტიურად სარგებლობს თანაბარი უფლებით პროცესში, ხოლო მესამე პირები სარგებლობენ მხარისათვის მინიჭებული ყველა უფლებით, გარდა იმ უფლებისა, რომ გაადიდონ ან შემცირონ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, შეცვალონ სარჩელის საფუძველი ან საგანი, ცნონ სარჩელი, უარი თქვან სარჩელზე ან მორიგდნენ, აღძრან შეგებებული სარჩელი, მოითხოვონ სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

სასამართლო სხდომაში, ცალკეული საპროცესო მოქმედებების შესრულებისას, მონაწილეობა შეიძლება მიიღონ მოწმეებმა, ექსპერტებმა და სპეციალისტებმა, რომელთა მიერ გაცემულ დასკვნასაც მტკიცებულების ძალა აქვს. მათი მოწვევის წესი და პირობები ასევე დადგენილია ცალკეული საპროცესო ნორმებით. ამდენად, მათი სტატუსი ცალსახად არის გარკვეული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დაინტერესებული პირის სტატუსი საპროცესო ნორმებით არ განისაზღვრება. ის არც მხარეა, არც მესამე პირი, მისი განმარტება არც მტკიცებულებათა რიგში მოიაზრება. თუ რა უფლება-მოვალეობები აქვს დაინტერესებულ პირს, საპროცესო ნორმებით არ არის დადგენილი.

სასამართლო პროცესზე იწვევს მოსარჩელე მხარეს, მოსარჩელე მხარის მიერ დასახელებულ მოპასუხეს, მესამე პირებს, თუ ასეთი პირები უკვე დაასახელეს მხარეებმა ან თავად მესამე პირმა მიმართა განცხადებით სასამართლოს; იწვევს სპეციალური ცოდნით აღჭურვილ ექსპერტებსა და სპეციალისტებს, თუ საჭირო გახდა მათი ცოდნა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი დაინტერესებულ პირებზე ამახვილებს ყურადღებას ანუ აერთიანებს განმცხადებელს და დავის აღმძვრელ

პირს. განმცხადებელი არის დაინტერესებული დაადგინოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, ხოლო პირი, რომელმაც შეიძლება აღძრას დავა უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას, ჩემი მოსაზრებით, არის არა დაინტერესებული პირი, არამედ სავარაუდო მოსარჩელე, რადგან დავის აღძვრა გულისხმობს სარჩელის სასამართლოში შეტანას.

რაც შეეხება დიდი პალატის მითითებებს, რომ სასამართლომ დაინტერესებულ პირებს პროცესუალურად უნდა მისცეს საშუალება, დროულად განაცხადოს თავისი დაინტერესებისა და საქმის სასარჩელო წესით განხილვის შესახებ. თავისი შინაარსით, ეს მითითება წააგავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 302-ე და 308-ე მუხლებით გათვალისწინებულ დავალიანების გადახდევინების წესებს, როდესაც სასამართლო აკმაყოფილებდა განცხადებას და გამოსცემდა გადახდის ბრძანებას, რომელსაც უგზავნიდა მოვალეს და ელოდებოდა პროტესტს (შესაგებელს), რათა შემდეგ განცხადება გადაეგზავნა სასარჩელო წარმოებაში. ზემოაღნიშნული ნორმები 2012 წლის ცვლილებებით ამოღებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსიდან.¹

უდავო წარმოების წესით განცხადების განხილვისას სასამართლოს ასეთი პროცესუალური დათქმა არ გააჩნია. მისთვის მთავარია გადაწყვიტოს განმცხადებლის ფაქტობრივი მდგომარეობის საკითხი და არა დაინტერესებული პირების პროცესუალური უფლებები.

სასარჩელო წარმოებაში უდავო წარმოების გადატანა თვითმიზანი არ უნდა იყოს. უდავო წარმოების წესით განსახილველი განცხადების განუხილველად დატოვებისას გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლი სრულად ჩამოთვლის სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძვლებს. სასამართლო მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით განუხილველად დატოვებს სარჩელს:

- თუ სარჩელი (განცხადება) შეიტანა ქმედობაუნუნარო პირმა, ხოლო სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიიჩნია დაუნიშნოს მას საპროცესო წარმომადგენელი;
- სარჩელი (განცხადება) დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს საქმის წარმოების უფლებამოსილება;
- სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე (განმცხადებელი) არ გამოცხადდა, ხოლო მოპასუხე თანახმაა სარჩელი (განცხადება) განუხილველად იქნეს დატოვებული;
- არც ერთი მხარე არ გამოცხადდა;
- იმავე ან სხვა სასამართლო წარმოებაში არის საქმე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით;
- დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გამოსხმობის შესახებ;
- სასამართლო უფლებამოსილია სარჩელი განუხილველად დატოვოს, თუ მოსარჩელემ სარჩელში არასწორად მიუთითა თავისი ან მოპასუხის მისამართი.

როგორც მუხლის შინაარსიდან იკვეთება, საუბარია არა მხოლოდ სარჩელის, არამედ განცხადების განუხილველად დატოვებაზე. სასამართლო განცხადებას განიხილავს უდავო წარმოების წესით, დავალიანების გადახდევინების შესახებ, ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე და აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმეთა განხილვისას. თუ გავითვალისწინებთ ამ მუხლის შინაარსს,

¹ საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი №6145 – ვებგვერდი, 17.05.2012 წ.

განცხადება უდავო წარმოების წესით საქმეთა განხილვისას განუხილველად შეიძლება დარჩეს მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში და განსაკუთრებით მაშინ, როცა იმავე ან სხვა სასამართლო წარმოებაში არის საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ზეპირი ან თუნდაც წერილობითი განცხადება იმის თაობაზე, რომ დაინტერესებული პირი აპირებს დავის დაწყებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით არასერიოზული იქნება. სასამართლომ განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ განჩინება უნდა დაასაბუთოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის ძალით. სასამართლოს მიერ განცხადების განუხილველად დატოვების განჩინების დასაბუთებაში იმის მითითება, რომ მხარემ თუნდაც წერილობით განაცხადა დავის დაწყების შესახებ, აკნინებს სასამართლოს როლს. ასეთი განცხადებით წარმატებით შეიძლება ყველა უდავო წესით აღძრული განცხადება იქნეს დატოვებული განუხილველად.

ზემოთ აღნიშნული საკითხის გარკვევა მნიშვნელოვანია სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას, რადგან მოსამართლის ნებისმიერი მოქმედება საპროცესო დოკუმენტის სახით ფორმდება და ნებისმიერი განცხადება, იქნება ეს სასარჩელო თუ უდავო, წარდგენილი უნდა იქნეს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

ამ მიმართებით განიხილება დიდი პალატის მითითება იმის შესახებ, რომ დაინტერესებულ პირებს უდავო წარმოების წესით მიღებული გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლებამოსილება აქვთ. ასეთი მითითება პირდაპირ ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლს, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვთ მხოლოდ მხარებსა და დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ნებადართვით პრინციპზეა აგებული, შესაბამისად დასაშვებია მხოლოდ ის, რაც საპროცესო ნორმებითაა დადგენილი.

იგივე სახის განმარტებებს შეიცავს უზენაესი სასამართლოს (3კ/271-02) 2002 წლის 20 თებერვლის განჩინება სს “სილკიმპექს-ჯორჯიასთვის” საკუთრების უფლებით ფლობის ფაქტის დადგენის შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უდავო წარმოების წესით მიღებულ განცხადებაზე სააპელაციო წესით გასაჩივრეს კ. ხ-ქმ და სხვებმა.

სააპელაციო სასამართლომ 2001 წლის 20 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი განუხილველი დატოვა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივრის შემომტან პირებს არ ჰქონდათ აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, ვინაიდან საქმეში მხარედ არ ყოფილან ჩაბმულნი. სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრდა. კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადაიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. უზენაესი სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა კერძო საჩივარი, გაუქმდა განუხილველად დატოვების შესახებ განჩინება და სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტის სტადიიდან ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს დაუბრუნდა.

უზენაესმა სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში „სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ერთადერთ მიზეზად დაასახელა ის, რომ სააპელაციო საჩივრის შემომტანი პირი არ იყო მოწვეული საქმის მონაწილე მხარედ. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ უდავო წარმოებისას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლზე სააპელაციო სასამართლოს მითითება არასწორია. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, კანონის მოთხოვნა, რომ გადაწყვეტილების სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრება შეუძლიათ

მხოლოდ მხარეებსა და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირებს, ვერ გავრცელდება იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ უდავო წარმოების წესით გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, რადგან ასეთი წარმოების დროს არ მონაწილეობენ მხარეები და მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და თანამონაწილეები, ამიტომ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ ამ ფაქტის დადგენით შეილახა მისი უფლება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ უდავო წარმოების დროს აღიძრა დავა, სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარმოადგინონ სარჩელი საერთო საფუძველზე. თუ დაინტერესებულმა პირმა იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ გაიგო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, მას უფლება აქვს გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება, სააპელაციო წესით მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვა, თუ ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის შესული კანონიერ ძალაში. კანონიერ ძალაში გადაწყვეტილების შესვლის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ მოითხოვონ გადაწყვეტილების ბათილობა, როგორც დაინტერესებულმა პირებმა. თუ გაშვებულია გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების შეტანის ვადა, დაინტერესებულ პირს ამავე საკითხთან დაკავშირებით შეუძლია მიმართოს სასამართლოს, საერთო სასარჩელო წარმოების წესით¹.

ამასთან, უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 423-ე მუხლების მიხედვით, სასამართლო გადაწყვეტილება იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ საფუძველად ვერ დაედება გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ან, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის განახლებას, რადგან ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია უდავო წარმოების წესით, სადაც არ არიან ურთიერთდაპირისპირებული მხარეები, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად, დამტკიცებას არ საჭიროებს ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.

ზემოთ აღნიშნული განმარტებები შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებებს, კერძოდ, თუ უზენაესი სასამართლო თვლის, რომ უდავო წარმოების წესით მიღებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ვერ გახდება სასარჩელო წარმოებისას პრეიუდიციული ძალის მქონე, მაშინ აზრს კარგავს მითითება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმათა დარღვევით სააპელაციო და საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება მიეცეთ პირებს, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ საქმის განხილვაში, არ გააჩნდათ მოთხოვნა მხარეთა მიმართ, შესაბამისად არ წარმოუდგენიათ მტკიცებულებები სასამართლოში. მათ არ შეიძლება პრეტენზია ჰქონდეთ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, იმის გარდა, რომ არ იყვნენ მოწვეული სხდომაზე დადგენილი წესით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უდავო წარმოების წესით გადაწყვეტილება მიიღება განმცხადებლის მოთხოვნაზე. დაინტერესებულმა პირმა, რომელიც არ მონაწილეობს პროცესში, მაგრამ ასაჩივრებს გადაწყვეტილებას, უნდა განაცხადოს საკუთარი უფლების დარღვევის შესახებ ანუ იდავოს, რომ მას ეს უფლება გააჩნია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლო. სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება, 3კ/271-02, 20 თებერვალი. თბილისი, 2002 წ.

თანახმად, პროცესუალურად შეუძლებელია ახალი დავის განხილვა სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოში. მართალია, დაინტერესებულმა პირმა უნდა დაასაბუთოს, რომ მას აქვს იურიდიული ინტერესი დავის საგანთან, მაგრამ, სანამ არსებითად განიხილება ეს ინტერესი, უნდა დადგინდეს აქვს თუ არა მას გასაჩივრების უფლებამოსილება.

ზემდგომი სასამართლო ინსტანცია გადაწყვეტილებას ამოწმებს სააპელაციო ან საკასაციო საჩივრის ფარგლებში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო ვერ შეედავება პირველი ინსტანციის სასამართლოს ფაქტობრივი გარემოებების და მისი სამართლებრივი შეფასების სისწორის შესახებ, რაზედაც მსჯელობა მას არ ჰქონია და ვერც ექნებოდა, რადგან უბრალოდ არ იცოდა ამ ფაქტების არსებობის შესახებ.

დავა უფლების შესახებ დაინტერესებულმა პირმა უნდა აღძრას სასამართლოში სარჩელის შეტანით. მან აღიარებითი სარჩელის მეშვეობით უნდა დაადგინოს უფლების არსებობის ფაქტი და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება უფლებამოსილი შეედავოს მეორე პირს.

პროცესუალური და მატერიალური ნორმების კონფლიქტისას მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება და არა ერთჯერადად კონკრეტული საქმიდან გამომდინარე პრობლემის გადაწყვეტა.

კონფლიქტის გამო უზენაესი სასამართლოს მიერ შემუშავებულ იქნა რეკომენდაცია სამოქალაქო კოდექსის 1274-ე მუხლის შესახებ, რომლის თანახმად სამოქალაქო საპროცესო სუბიექტად უნდა იქნეს მიჩნეული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, შვილად აყვანის ბათილად ცნობის საქმის განხილვისას.

აღნიშნული ნორმის მიხედვით, სასამართლოში შვილად აყვანის გაუქმების ან ბათილად ცნობის საქმის განხილვისას ყველა შემთხვევაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ ანუ სასამართლოში ეს ორგანო უნდა გამოვიდეს რაიმე სახის სუბიექტად. მატერიალურმა სამართალმა განსაზღვრა, რომ ყველა შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ ამ ტიპის საქმეებში აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა.

იქიდან გამომდინარე, რომ მოსარჩელე თავად განსაზღვრავს, თუ ვინ ჩააბას მხარედ პროცესში და მესამე პირებიც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე სწორედ მისი ინიციატივით არიან ჩართულნი საქმეში, პრობლემაც ნათელია – ამ შემთხვევაში მატერიალური ნორმა განსაზღვრავს ამგვარ პროცესში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სავალდებულო მონაწილეობას, ხოლო, თუ რა სუბიექტად უნდა იქნეს იგი ჩაბმული ამ საქმეში, არსადაა განსაზღვრული, ამას არც საპროცესო კოდექსი არეგულირებს. გამოითქვა მოსაზრება, ხომ არ უნდა მონაწილეობდნენ ეს ორგანოები აღნიშნულ პროცესში, როგორც სპეციალისტები. საბოლოოდ აზრი შეჯერდა იმაზე, რომ ასეთ საქმეებში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები უნდა გამოვიდნენ მესამე პირებად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. ამ ორგანოების კანონიერ ინტერესს აღნიშნულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები ნამდვილად ეხება. თუნდაც ის ფაქტი, რომ შვილად აყვანის საკითხში ეს ორგანოები ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს, გასცემს თანხმობას შვილად აყვანასთან დაკავშირებით, დასკვნებს და ა.შ.

შვილად აყვანის გაუქმების ან ბათილად ცნობის საკითხებში ეს ურთიერთობა უეჭველად შეეხება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოთა სამართლებრივ ინტერესს. პრობლემა არ იქმნება ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც შვილად აყვანის ბათილად ცნობას

თავად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ითხოვს და, მაშასადამე, გამოდის მოსარჩელედ ან მხარემ თავად მოითხოვა ასეთი ორგანოს ჩართვა პროცესში მოპასუხედ.

თუ დავა აქტს შეეხება, შესაძლებელია, სსსკ-ის 85-ე მუხლის შესაბამისად, დაისვას საკითხი სათანადო მოპასუხის შესახებ ან ამავე კოდექსის 84-ე მუხლით განისაზღვროს სათანადო მოსარჩელის საკითხი. ასე, რომ, სსსკ-ის 203-ე მუხლის საფუძველზე, მოსამზადებელ სხდომაზე შეიძლება ასეთი საკითხების გარკვევა, მაგრამ, თუ არ გვაქვს ამგვარი შემთხვევები და მაინც სავალდებულოა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩართვა საქმეში საპროცესო სუბიექტად, მაშინ რა ხერხს უნდა მიმართოს სასამართლომ?

სასარჩელო მოთხოვნამ თავად უნდა მიახვედროს სასამართლო, თუ რომელ სუბიექტად უნდა იქნეს მიჩნეული ამა თუ იმ საქმეში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ანუ სასარჩელო მოთხოვნამ თავად უნდა დაანახოს სასამართლოს, თუ ბათილობის რა საფუძველს ეხება დავა და ვისთან აქვს საქმე. როგორც ზემოთ აღინიშნა, შესაძლებელია ეს ორგანო წარმოადგეს მოპასუხის, მოსარჩელის, თანამონაწილის (თანამოსარჩელის ან თანამოპასუხის) რანგში და ა.შ.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ამ მხრივ ნამდვილად არის წინააღმდეგობა სამოქალაქო კოდექსსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსს შორის, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, მესამე პირად პროცესში ამა თუ იმ სუბიექტის ჩართვა არ ხდება სასამართლოს ინიციატივით, ეს თავად მხარის პრეროგატივაა. მაგრამ, რადგან ასეთ იმპერატიულ დანაწესს ადგენს სამოქალაქო მატერიალური კოდექსი, სასამართლო უნდა გამოვიდეს სწორედ მატერიალური სამართლიდან და ამის საფუძველზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ჩააბას საქმეში მესამე პირად, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. საბოლოოდ შეჯერდა აზრი, რომ ასეთ საქმეებში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო სასამართლოს მიერ ჩაერთვება მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, იქიდან გამომდინარე, თუ რა სახის სასარჩელო მოთხოვნაა დაყენებული სასამართლოში. ამ შემთხვევაში სსსკ-ის 89-ე მუხლის საფუძველზე გვყავს მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით (რასაც ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა), მაგრამ არ არსებობს მხარის ინიციატივა ამ პირის სასამართლოში მოწვევის შესახებ, ამიტომ ასეთი ინიციატივის განხორციელების უფლებამოსილება, მატერიალური სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე, სასამართლომ უნდა იტვირთოს. ამასთან, შეიძლება განიმარტოს სსსკ-ის 203-ე მუხლი, სადაც განსაზღვრულია, თუ რისი მოქმედების განხორციელება შეუძლია მოსამართლეს საქმის განხილვისათვის, მათ შორის პროცესში მესამე პირებისა და თანამონაწილეების საკითხი და, შესაბამისად, საქმეში მესამე პირად, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩაბმის მოტივით დაეყრდნოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნულ ნორმას.¹ რეკომენდაციის ეს ამონარიდი მართალია ეხება სასარჩელო წარმოებისას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სტატუსის განსაზღვრას, მაგრამ საშუალებას გვაძლევს ვაღიაროთ პროცესუალური და მატერიალური ნორმების კონფლიქტის არსებობა და ისიც, რომ რეკომენდაციები ვერ შეცვლის საპროცესო ნორმებს. ასეთი რეკომენდაციები საპროცესო ნორმებში საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველი შეიძლება გახდეს.

ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი უდავო წარმოებისას არ განსაზღვრავს სხდომაზე მოსაწვევ პირთა პროცესუალურ სტატუსს. ინფორმაციის მომწოდებელი პირები

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები
<http://www.supremecourt.ge/uniform-court-practice/recommendations-on-civil-cases/>

სავარაუდოდ მოწმეთა სახით უნდა იყვნენ მოწვეულნი პროცესზე. რაც შეეხება სავალდებულო წესით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მოწვევას პროცესზე, მათი სტატუსი გაურკვეველია, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ამომწურავად განსაზღვრავს სასამართლო საქმის განხილვაში მონაწილე პირთა ჩამონათვალს: ესენია მხარეები (მოსარჩელე და მოპასუხე), მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნითა და მის გარეშე, მხარეთა წარმომადგენლები, მოწმეები, ექსპერტები და სპეციალისტები.

თუ ვივარაუდებთ, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები სპეციალისტების სახით უნდა იყვნენ მოწვეულნი პროცესზე, მაშინ მათი შემდგომი უფლებებიც განისაზღვრება მათივე სტატუსიდან გამომდინარე, კერძოდ მათ არ ექნებათ ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, რადგან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შეუძლიათ გაასაჩივრონ მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით.

ზოგადად, საქმის განხილვისას პროცესის მონაწილეთა სტატუსის დადგენა განსაზღვრავს მათ უფლებას გაასაჩივრონ მიღებული გადაწყვეტილება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო იწვევს, უდავო წარმოების წესით, საქმის განხილვით დაინტერესებულ პირებს. სასამართლო უფლებამოსილია საქმის განხილვისას, განმცხადებლის ან თავის ინიციატივით, მოიწვიოს დაინტერესებული პირები.

ცალკეულ შემთხვევებში ასეთი პირების მოწვევის ვალდებულება განსაზღვრულია კოდექსით, კერძოდ პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადების განცხადების განხილვისათვის საქმის მომზადებისას სასამართლო გამოარკვევს, თუ რომელ პირებს შეუძლიათ მიაწოდონ ცნობები დაკარგულის შესახებ, აგრეთვე გამოკითხავს სათანადო ორგანოებს დაკარგული პირის შესახებ მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 319-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

მოქალაქის შეზღუდულ ქმედობაუნარიანად ან ქმედობაუნაროდ აღიარების შესახებ განცხადების განხილვისას სასამართლო სავალდებულო წესით იწვევს პროცესზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს (325-ე მუხლი). სხვა შემთხვევებში, გაურკვეველია სასამართლო მოიწვევს დაინტერესებულ პირს, მიუხედავად განმცხადებლის სურვილისა, თუ იგი დამოკიდებულია განმცხადებლის კეთილსინდისიერებაზე ან როგორ უნდა დაადგინოს სასამართლომ ვინ შეიძლება იყოს კონკრეტულ საქმეში დაინტერესებული პირი.

ცალკეული კატეგორიის საქმეთა განხილვისას ცალსახად გარკვეულია, თუ ვინ შეიძლება იყვნენ დაინტერესებული პირები. ამის გარკვევას ხელს უწყობს 313-ე მუხლის დათქმაც, რომლის თანახმად, სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებს ადგენს მხოლოდ ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში.

აღნიშნული დათქმა არის უდავო წესით განსახილველი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადების დასაშვებობის პირობა. გულისხმობს თუ არა ეს დათქმა, რომ დაინტერესებული პირები არიან ის ორგანოები, რომლებიც გასცემენ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დამადასტურებელ მტკიცებულებებს და არა სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირები, რომელთა უფლებებზეც შეიძლება მოახდინოს ზეგავლენა უდავო წარმოების წესით მიღებულმა გადაწყვეტილებამ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლით იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენისას აუცილებელ პირობად მიჩნეულია ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობა.

შესაბამისად, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთების მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობას.

როდესაც მუხლში მითითება ხდება მტკიცებულებებზე, მათ შორის სათანადო საბუთებზე, ივარაუდება, რომ ამ საბუთების გაცემის ან აღდგენის უფლება სათანადო კომპეტენტური ორგანოების უფლებაა. ეს ორგანოები საჯარო უფლებამოსილებების განმახორციელებელი ორგანოებია, რომლებიც გადაწყვეტილებას (როგორც დადებით, ისეთ უარყოფით შემთხვევაში) იღებენ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახით.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გასაჩივრებას ექვემდებარება ადმინისტრაციული სამართალწარმოებისათვის დადგენილი წესით. თუ პირი არ გამოიყენებს გასაჩივრების უფლებამოსილებას, ეს აქტი ძალაში შედის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად.

სწორედ აქ ხდება საჯარო და კერძო სამართლის ნორმების კონფლიქტი, რადგან, თუ პირი სამოქალაქო წესით მოისურვებს იურიდიული ფაქტის დადგენას, მან სასამართლოს უნდა წარუდგინოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მტკიცებულების სახით. ორგანო, რომელმაც გამოსცა აქტი მოქმედების განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ, დაინტერესებულ პირად იქნება მიწვეული პროცესზე და შეეცდება დაიცვას ეს აქტი. შესაბამისად, წარმოიშობა დავა უფლების შესახებ, რომელიც ადმინისტრაციული სასამართლოს ქვემდებარე გახდება.

მიმაჩნია, რომ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენაზე უარის თქმის საფუძველი ცალსახად უნდა იყოს განსაზღვრული კომპეტენტური ორგანოების დებულებებსა თუ ინსტრუქციებში. ასევე, ცალსახად უნდა განისაზღვროს რა იგულისხმა კანონმდებელმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლში იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის შეუძლებლობაში.

**უღავრო წარმოების გადაზრდა
სასარჩელო წარმოებაში**

სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოებაში მონაწილე სუბიექტები თავიანთ უფლებამოსილებებს ამ კოდექსით დადგენილი წესით ახორციელებენ. პროცესის მონაწილე პირთა სტატუსი, მათი მოწვევის წესი და შემთხვევები მკაცრად რეგლამენტირებული. ამჟამად მოქმედი სამოქალაქო საპროცესო ნორმებით დადგენილი არ არის დაინტერესებული პირის სტატუსი და მისი მოწვევის წესი საქმის განხილვისას, არადა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გააბათილოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება კი. ამდენად, სასურველია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 კარს დაემატოს დაინტერესებული პირი, როგორც პროცესის მონაწილე სუბიექტი და განისაზღვროს მისი საპროცესო უფლება-მოვალეობები. მიმაჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლში უნდა შევიდეს ცვლილება და სასამართლოს, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, უფლება მიეცეს თავად მოიწვიოს მესამე პირი, თუ გადაწყვეტილება მის უფლებებს ეხება.

ვფიქრობ, ადმინისტრაციული პროცესის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შემოტანა არ დაარღვევს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს. პირიქით, უმრავლეს შემთხვევაში, გამორიცხავს მესამე პირთა შესაძლო უფლებების დარღვევას და ნაკლები საფუძველი იქნება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, მუდმივად გახდება საჭირო განმარტების მიღება სხვადასხვა ინსტანციის, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.

MARINE CHKONIA,
PHD student

**STIMULATION OF DISPUTE WITHIN
UNCONTESTED PROCEEDINGS**

The subjects participating into the civil procedural legal proceedings implement their authorities according to the rule set by the code hereof. The status of the persons participating into the process, the rule of their summoning and the cases are strictly regulated. The currently acting civil procedural norms do not set the status of the interested person and the rule of their summoning while consideration of the case and on the other hand the interested person is entitled to cancel even if the decision is legally valid. Thus, it is desirable to add to the Chapter 2 of the Procedural Code of Georgia the interested person, as the subject participating into the process and to define the procedural rights and the liabilities of the latter. I think the amendments should be introduced into the Article 89 of the Procedural Code of Georgia, and taking into account the proofs enclosed to the case the court should be entitled to summon the third person, if the decision deals with the rights of the latter.

I believe, that introduction of the clause of the Part 2 of the Article 16 of the Administrative Process into the Civil Procedural Code of Georgia would not violate the competition principle of the parties. Just on the contrary, in many cases the probable violation of the rights of the third persons is excluded and the less

basis will be presented for recognition of the decision, as null and void. Otherwise, it will be permanently necessary to receive the explanations of various instances, among them, by the Constitutional court.

МАРИНЭ ЧКОНЯ,
докторант права

ПЕРЕХОД БЕССПОРНОГО ПРОИЗВОДСТВА В ЖАЛОБНОЕ ПРОИЗВОДСТВО

Субъекты, участвующие в Гражданско-процессуальном судопроизводстве, осуществляют свои полномочия в соответствии с настоящим Кодексом. Статус лиц, причастных к процессу, и правила их приглашения в случае созыва строго регламентированы. Теперь по действующим правилам гражданского судопроизводства не установлены статус заинтересованного лица и правила приглашения в ходе разбирательства дела, однако заинтересованное лицо также имеет право аннулировать юридическую силу решения. Таким образом, желательно добавить во второй раздел Гражданско-процессуального кодекса в качестве заинтересованного лица субъекта-участника процесса и определить его процессуальные права и обязанности .

Я считаю, что в статью 89 Гражданско-процессуального кодекса должны ввести изменения, и суду, принимая во внимание представленные к делу доказательства, дать право пригласить третье лицо, если решение касается его прав.

Я думаю, что прием нормы постановления административного процесса в соответствие со статьей 16 пункта 2 Гражданско-процессуального Кодекса не нарушает принципа конкурентоспособности. Напротив, в большинстве случаев, исключает возможность ущемления прав третьих лиц, будет меньше оснований для принятия аннулирования решений. В противном случае, постоянно будет необходимо получение объяснений от различных учреждений, в том числе в Конституционном суде.

**სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა
და მისი უმაღლესი ნაწილები**

თემის განხილვის ობიექტი სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა და მისი შემადგენელი ნაწილებია. „სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობიდან გამომდინარე, კანონი აწესებს მკაცრ მოთხოვნებს სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსთან მიმართებაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესით, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა (მე-2 მუხლი), პირის სასამართლოსათვის მიმართვის უფლებასთან ერთად მოიაზრება სასამართლოს ვალდებულება, დასაბუთებულად და, სასარჩელო მოთხოვნის შესაბამისად, დააკმაყოფილოს ან უარი უთხრას მის მოთხოვნას“.¹

სასამართლოს საქმიანობა ფასდება სწორედ სასამართლო გადაწყვეტილებით. ცხადია, რაც უფრო ნათლად და გასაგებადაა დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილება, მით უფრო მისაღებია იგი მხარეებისათვის, მათ შორის წაგებული მხარისთვისაც. იმისათვის, რომ გადაწყვეტილება უფრო ადვილად გასაგები იყოს ნებისმიერი კატეგორიის ადამიანისათვის, იგი უნდა შეიცავდეს იმის ახსნა-განმარტებას, თუ რატომ არის ეს გადაწყვეტილება მართებული ასე და არა ისე, როგორც ამას მოსარჩელე ან მოპასუხე მოითხოვს, რადგან გადაწყვეტილების გაცნობისას მხარეს უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ იგი საფუძვლიანია და სარწმუნო. სწორედ ამ შემთხვევაში მიიღწევა ის მიზანი, რაც იგულისხმება ზოგადად მართლმსაჯულების განხორციელებაში. ახლა განვიხილოთ, რა მოთხოვნებს ითვალისწინებს დღეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა გადაწყვეტილების შინაარსთან დაკავშირებით და რა მოთხოვნებს ითვალისწინებდა ადრე მოქმედი საპროცესო კოდექსი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რათა უფრო ნათელი გახდეს, ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებები თავისი მნიშვნელობით ნამდვილად ემსახურება თუ არა მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლი იმპერატიულად მიუთითებს გადაწყვეტილების სტრუქტურის შესახებ, როგორც უნდა იყოს გადაწყვეტილების შინაარსი და რა თანამიმდევრობით უნდა იყოს ჩამოყალიბებული. კერძოდ, აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილება შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან. კანონმდებელი აქვე მიუთითებს გადაწყვეტილების თითოეული ნაწილი რა კონკრეტული მონაცემებისაგან უნდა შედგებოდეს.

სასამართლო გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილის ჩამოყალიბება, მოქმედი კანონმდებლობის მიერ დადგენილი მოთხოვნების დაცვით, შეუძლებელია გასაგები და დამაჯერებელი იყოს მხარეებისათვის, რადგან, გაუგებარია თუ რატომ უნდა ხდებოდეს სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი გარემოებებისა და მტკიცებულებების მითითება გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში, თან ყოველგვარი მოტივების მითითების გარეშე. თუ აღწერილობით ნაწილში ხდება ამ ყოველივეს მითითება, მაშინ სად უნდა დაფიქსირდეს სსკ-ის 244-ე მუხლით გათვალისწინებული ის საკითხები, რომლებიც უნდა გადაჭრას მოსამართლემ გადაწყვეტილების გამოტანამდე, კერძოდ სასამართლოს მიერ

¹ სასამართლო განჩინება სამოქალაქო საქმეზე N ას-77-67-2011

მტკიცებულებების შეფასების მომენტი, რასაც იგი ახორციელებს შინაგანი რწმენის საფუძველზე, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოება მიაჩნია სასამართლოს დადგენილად და რატომ ან რის საფუძველზე არ მიაჩნია დადგენილად კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები, ვინაიდან გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მიეთითება მხოლოდ ის სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლითაც იხელმძღვანელა სასამართლომ. სამწუხაროდ, ამჟამად მოქმედი კანონი მოსამართლისაგან მოითხოვს მხოლოდ მის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების მითითებას და არა მოსამართლის მიერ მათზე გაკეთებული დასკვნებისა და მოსაზრებების ფორმულირებას. ზედმეტია გადაწყვეტილების დამაჯერებლობაზე საუბარი, მაშინ, როდესაც მასში ასახული არ არის, თუ როგორ მივიდა სასამართლო შესაბამის დასკვნამდე ან რატომ უარყო, ან გაიზიარა ესა თუ ის მტკიცებულება. სსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი განმარტავს, რომ სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს შინაგანი რწმენით, რომელიც ემყარება მის სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შემდეგაც გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენა/არდადგენის შესახებ. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ სასამართლოს მოსაზრება, რომელიც საფუძველად უძევს მოსამართლის შინაგან რწმენას, აუცილებლად უნდა აისახოს მიღებულ გადაწყვეტილებაში, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს არა მარტო მითითებას ამ მტკიცებულებებზე, არამედ ამ მტკიცებულებების განხილვას და შეფასებას. მოქმედი საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლი განმარტავს, რომ საკმარისია მხოლოდ ამ გარემოებებისა და მტკიცებულებების მითითება, ხოლო, სად უნდა აისახოს მოსამართლის მითითებები ბუნდოვანია. შესაძლებელია აღნიშნულის ჩამოყალიბების შესაძლებლობას კანონმდებელი მოიაზრებდეს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, რომლის იმპერატიული მოთხოვნის თანახმად, გადაწყვეტილების ამ ნაწილში მიეთითება ის სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლითაც იხელმძღვანელა სასამართლომ. თუ დაუშვებთ, რომ მოსამართლის შინაგანი რწმენა იგულისხმება მის სამართლებრივ შეფასებაში, მაშინ კიდევ უფრო გაუგებარია და კითხვის ნიშნებს სვამს ის საკითხი, რატომ უნდა მიეთითოს სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში, ხოლო მოსაზრება, რომლის საფუძველზეც მივიდა მოსამართლე ასეთ დასკვნამდე და დადგენილად მიიჩნია კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები – გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში. მიმაჩნია, რომ აუცილებელია სამოტივაციო ნაწილი შეიცავდეს მითითებას იმ დასკვნებსა და მოტივებზე, რამაც მიიყვანა სასამართლო ისეთ გადაწყვეტილებამდე, რაც საბოლოოდ ნათელს მოჰფენდა სასამართლოს მიერ შეფასებული მტკიცებულებების, მის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და შედეგად გაკეთებული სამართლებრივი დასკვნების ლოგიკურ წყობას. ვინაიდან მოტივაცია საჭიროა არა მხოლოდ სამართლებრივი შეფასების გაკეთებისთვის, არამედ ფაქტობრივი გარემოებების დასაბუთებისთვისაც. ამჟამად მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით გადაწყვეტილების ჩამოყალიბება სრულად გამორიცხავს ფაქტობრივი დასაბუთების გადმოცემას გადაწყვეტილებაში.

2007 წლის 28 დეკემბრამდე მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის რედაქცია ითვალისწინებდა გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ჩამოყალიბებას შემდეგნაირად: „გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას მოსარჩელის მოთხოვნასა და მოპასუხის შესაგებებლზე,

ხოლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას და კანონები, რომლითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.¹ მიმაჩნია, რომ აღნიშნული ფორმით სასამართლო გადაწყვეტილების ჩამოყალიბება უფრო სწორი და მართებული იყო, ვიდრე დღეს, ვინაიდან სასამართლო ძირითად აქცენტს აკეთებდა გადაწყვეტილების ფაქტობრივ და იურიდიულ დასაბუთებულობაზე. სამოტივაციო ნაწილი შეიცავდა როგორც მოსამართლის შემეცნებით მსჯელობას მტკიცებულებებთან დაკავშირებით, რომელთაც ის აფასებდა შინაგანი რწმენის საფუძველზე და გადმოსცემდა თუ რატომ მიაჩნია ეს მტკიცებულება დასაშვებად/სარწმუნოდ და სხვა მტკიცებულება დაუშვებლად და საბოლოოდ აკეთებდა ამ მტკიცებულებათა მოკლე ანალიზს, ასევე შეიცავდა მოსამართლის შეფასებით მსჯელობას ანუ აღნიშნული მტკიცებულებების საფუძველზე დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებების მითითებას და მათ შეფასებას კანონის საფუძველზე.² აღნიშნული ფორმით სასამართლო გადაწყვეტილების ფორმულირება, ვფიქრობ, ყველასათვის ნათელი და მარტივი გასაგებია. მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი მიზანი არის ის, რომ მხარეთა შორის წამოჭრილი დავა გადაწყდეს არა მარტო იურიდიულად, არამედ ფაქტობრივადაც. აღნიშნული კი მიიღწევა არა მარტო სწორი გადაწყვეტილების, არამედ დასაბუთებული მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანით. მხოლოდ დასაბუთებულ გადაწყვეტილებას შეუძლია დაარწმუნოს მხარეები გამოყენებული კანონის სამართლიანობაში და იმაში, რომ მოსამართლემ საქმის გარემოებები შეაფასა არა მარტო თავისი შეხედულებით, არამედ კანონის საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები იწყებენ ბრძოლას გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმებისათვის, რასაც შედეგად მიყვავართ იქამდე, რომ იზრდება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს დატვირთვა და განსახილველ საქმეთა რაოდენობა. სამოტივაციო ნაწილი იძლევა გადაწყვეტილების გადამოწმების შესაძლებლობას, რადგან, როდესაც გადაწყვეტილება დასაბუთებულია, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს შეუძლია გაიგოს, რა გზით მივიდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო შესაბამის გადაწყვეტილებამდე და დაუშვა თუ არა მან ისეთი სერიოზული შეცდომა, რასაც ზემდგომი ინსტანციის სასამართლო მნიშვნელოვან ხარვეზად მიიჩნევს. შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილებას მხარეები აღიარებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დარწმუნდებიან, რომ მოსამართლემ სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო და მას, არსებული სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება არ შეეძლო.³ მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანა ეს სასამართლოს მოვალეობაა. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის ერთ-ერთი მოთხოვნა სწორედ მოტივირებული სასამართლო გადაწყვეტილების მიღებაა. აღნიშნული კონვენციის მიმართ ასეთი განსაკუთრებული დამოკიდებულება იმით აიხსნება, რომ ეს ერთადერთი საერთაშორისო აქტია, რომელმაც განამტკიცა ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები და მათ შესრულებაზე საზედამხედველო მექანიზმი შექმნა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კი აღნიშნული კონვენცია “ევროპული საჯარო წესრიგის კონსტიტუციურ

¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. თბილისი, 1997 წელი, მუხლი 249.

² თ. ლილუაშვილი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბილისი, 2005 წელი, გვ. 368.

³ სანდრა ჰენშელი. სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა. თბილისი, 2009 წელი, გვ. 23-24.

აქტად“ აღიარა. საკასაციო პალატის განმარტების თანახმად, „გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები წარმოადგენს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ფუნდამენტს. მასში უნდა აისახოს სასამართლოს შემეცნებითი მსჯელობა ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ (ფაქტობრივი დასაბუთება) და შეფასებითი მსჯელობა ამ ფაქტების იურიდიული ძალისა და მნიშვნელობის შესახებ (სამართლებრივი დასაბუთება). კანონის იმპერატიული დათქმა გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობაზე განპირობებულია მართლმსაჯულების ერთ-ერთი ძირითადი მიზნით, დაარწმუნოს მხარეები დავის კანონიერად გადაწყვეტაში და ამაგდროულად გადაწყვეტილების დასაბუთებით რეალიზებულია საზოგადოების უფლება იცოდეს, თუ რა გადაწყვეტილებები გამოაქვთ მათი სახელით და რა არის მათი საფუძველი“.¹ შესაბამისად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ სსსკ-ის 249-ე მუხლის ძველი რედაქცია სამართლებრივად უფრო გამართული იყო გადაწყვეტილების სრულყოფილად ჩამოყალიბების თვალსაზრით, ვიდრე ის დღეს მოქმედი საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლით არის გათვალისწინებული, რადგან ეს უკანასკნელი რეალურად ვერ ასახავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სხვა ნორმებში მითითებულ სავალდებულო მოთხოვნებს, რაზეც უკვე გვქონდა საუბარი.

მსურს ხაზი გავუსმა იმ ფაქტს, რომ ჩემი აზრით კანონმდებლობა ვითარდება იმ გზით, რაც აუცილებელს ხდის წარმომადგენლის ყოლას საქმის წარმოებისას სასამართლოში, რისთვისაც საქართველო ჯერ მზად არ არის, თუნდაც მისი სოციალური თუ ეკონომიკური ფონიდან გამომდინარე. ამჟამად მოქმედი საპროცესო კოდექსის მოთხოვნების დაცვით გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლება ძნელად, მაგრამ მაინც გასაგები იყოს იურისტებისათვის, გაუგებარი იმ პირებისათვის, ვინც, მაგალითად, დავას აწარმოებს სასამართლოში დამოუკიდებლად, წარმომადგენლის გარეშე და გამოტანილი გადაწყვეტილებით მისთვის გაუგებარი ხდება სასამართლოს არგუმენტაცია, მოსაზრება, მოტივი იმის შესახებ, თუ როგორ მივიდა სასამართლო იმ დასკვნამდე, რითაც საბოლოოდ გასცა პასუხი გამოტანილი გადაწყვეტილებით. რა თქმა უნდა, ძნელია ისეთი გადაწყვეტილების გაგება, რომელიც არ გადმოსცემს სასამართლოს დასკვნებს კონკრეტულ მტკიცებულებებსა თუ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. მართალია, ერთი მხრივ, 2007 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება მიზნად ისახავდა მოსამართლისათვის საქმის შემსუბუქებას და გადაწყვეტილების წერის გამარტივებას, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ ფორმით სასამართლო გადაწყვეტილებას მიუყვართ მეორე დიდი პრობლემამდე, კერძოდ იქამდე, რომ ეს გავლენას ახდენს სასამართლოსადმი ნდობის ფაქტორზე და საბოლოოდ საზოგადოებაში იწვევს მართლმსაჯულებისადმი ნდობის დაკარგვას, მაშინ, როდესაც ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მიზანი საზოგადოების მართლმსაჯულებისადმი ნდობის გაზრდაა.

¹ www.supremecourt.ge/court-decisions/civil-cases/

ეკატერინე ობოლაძე,
სამართლის დოქტორანტი

სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა და მისი შემადგენელი ნაწილები

მოცემული თემა ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა და მისი შემადგენელი ნაწილები, სადაც განვიხილეთ, რა მოთხოვნებს ითვალისწინებს დღეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა და რა უნდა იყოს დაცული გადაწყვეტილების გამოტანისას, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესული ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებები ნამდვილად ემსახურება თუ არა მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებას.

EKATERINE OBOLADZE,
PHD student

THE STRUCTURE OF THE COURT JUDGMENT AND ITS COMPONENT PARTS

The article is about the urgent issue, such as the structure of the court judgment and its component parts. There are discussed the main requirements, which are foreseen by the law and which must be fulfilled, when rendering a judgment. Also, there is considered the latest legislative amendments of the civil procedural law of Georgia to make it clear whether it serves the effective implementation of the justice.

ЭКАТЕРИНЭ ОБОЛАДЗЕ,
докторант права

СТРУКТУРА РЕШЕНИЯ СУДА И ЕГО СОСТАВНОЙ ЧАСТИ

Статья посвящена важному вопросу, такому как структура решения суда и его составных частей, где мною обсуждены вопросы, связанные требованием, предусмотренным в Гражданско-процессуальном законодательстве Грузии и требованиями, которые должны быть выполнены в процессе принятия решения суда. Также обсуждены последние законодательные изменения в Гражданско-процессуальном кодексе о том: действительно ли служат они эффективному осуществлению правосудия.

**დაზღვევის ხელშეკრულების დადების
მომენტი საზღვარბარეთის ქვეყნების სამართლის მიხედვით**

სამოქალაქო-სამართლებრივ მეცნიერებაში ხელშეკრულების დადების მომენტის მიხედვით განასხვავებენ რეალურ და კონსენსუალურ ხელშეკრულებებს. საკითხი იმის შესახებ, დაზღვევის ხელშეკრულება რეალური თუ კონსენსუალური ხელშეკრულებაა, ერთი შეხედვით სადავო არ არის. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის პრაქტიკაში არსებობს მოსაზრება დაზღვევის ხელშეკრულების კონსენსუალური ბუნების შესახებ.

მეზობელი ქვეყნების მეცნიერები რეალური და კონსენსუალური ხელშეკრულების ცნების სხვადასხვა ფორმულირებას ახდენენ. დ. მეიერი მიუთითებს, რომ „სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება რეალურია მაშინ, როდესაც ხელშეკრულება წარმოიშობა ერთი პირის მიერ მეორისთვის იმ ნივთის უშუალოდ გადაცემის შედეგად, რომლის გადაცემაც ხელშეკრულების საგანს შეადგენს. კონსენსუალური კი არის მაშინ, როდესაც ხელშეკრულების მოქმედება დამოკიდებულია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებაზე.“¹

მ.ი. ბრაგინსკის მოსაზრებით, რეალურ და კონსენსუალურ ხელშეკრულებათა შორის განსხვავებას, მისი დადების მომენტის მიხედვით, საფუძვლად უძევს ის გარემოება, რას უკავშირდება გარიგებით მინიჭებული უფლება-მოვალეობების წარმოშობის ფაქტი, შეთანხმების დადებას მხარეთა შორის (კონსენსუალური ხელშეკრულება) თუ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე კონკრეტული ნივთის ან სხვა სახის ქონების გადაცემას (რეალური ხელშეკრულება).²

თავად დასახელების ეტიმოლოგია „რეალური ხელშეკრულება“ მომდინარეობს ლათინური სიტყვისგან „res“ ანუ „ნივთი“.³

რეალურ ხელშეკრულებად შეიძლება იქნეს მიჩნეული გარიგება, რომლის დადებაც დამოკიდებულია კონკრეტული ნივთის გადაცემაზე. ამასთან, სავალდებულო არ არის აღნიშნული ნივთის გადაცემა იყოს ხელშეკრულების საგანი, არამედ საკმარისია იყოს ხელშეკრულების საგნის ნაწილიც. სწორედ ასეთი განსაზღვრის შესაბამისად, დაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც დადებულად ითვლება, პირველი სადაზღვევო პრემიის შეტანის შემდეგ შეიძლება მიჩნეულ იქნეს რეალურ ხელშეკრულებად.

კანონმდებლის მიერ კონკრეტული გარიგების რეალურ ან კონსენსუალურ ხელშეკრულებად ფორმულირებისას მ. ბრაგინსკი აღნიშნავს: „გარიგების რეალურ ან კონსენსუალურ ხელშეკრულებად კონსტრუირება დამოკიდებულია იმ გარემოებაზე, თუ რა ინტერესი აქვს თითოეულ მხარეს გარიგების დადებისას და შესაბამისად რა არის გარიგების მიზანი, რომელიც საერთო ჯამში ყველა კონტრაქტის ინტერესის მატარებელია. თუ გარიგების მიზანია ნივთის, სამუშაოს ან მომსახურების მიღება და, შესაბამისად,

¹ Мейер Д. И. Русское гражданское право. Часть 2. М., 1997. С. 157.

² Брагинский М. И., Витрянский В. В. Договорное право. Книга первая: Общие положения. М.: «Статут», 2001. С. 394.

³ Категорию реального договора в прямом смысле: реальный, т.е. настоящий (см.: Новицкий И. Б., Лунц Л. А. Общее учение об обязательстве. М., 1950. С. 137).

ანაზღაურება, მითითებული ქმედება (ნივთის გადაცემა, სამუშაოს შესრულება, მომსახურების გაწევა და ანაზღაურების მიღება) ხელშეკრულების საგანი ხდება. ასეთ შემთხვევაში კანონმდებელი ხელშეკრულების ფორმულირებას ახდენს კონსენსუალურ ხელშეკრულებად. სხვა დანარჩენ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების საგანი ემსახურება გარკვეული ქმედების განხორციელებას ქონების მიმართ, კანონმდებელი ირჩევს რეალური ხელშეკრულების მოდელს.”¹

რუსი მეცნიერი ს. ტარადონოვი ხელშეკრულების დადების მომენტის მიხედვით გამოყოფს დაზღვევის ხელშეკრულების სამ მოდელს:

1. დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება იყოს რეალური, როდესაც მისი ძალაში შესვლა დამოკიდებულია სადაზღვევო პრემიის შეტანაზე;

2. დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება იყოს კონსენსუალური, როდესაც იგი დადებულიად ითვლება და როდესაც აქცეპტანტს მიუვა ოფერტი აქცეპტზე, რითაც ხელშეკრულების არსებით პირობებზე მოხდება მხარეთა შეთანხმება;

3. დაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც შეიძლება იყოს როგორც რეალური, ასევე კონსენსუალური, მაგრამ მისი მოქმედება დროსა და სივრცეში დაკავშირებულია გარკვეულ წინაპირობებთან.²

მესამე მოდელი გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება დადებულია, გარკვეულწილად მოქმედებს კიდევ, მაგრამ სადაზღვევო ინტერესის დაცვა იწყება გარკვეული გარემოების დადგომის შემდეგ. ეს გარემოება განსაზღვრულია ხელშეკრულებით. იგი შეიძლება უკავშირდებოდეს დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდას ან რომელიმე კალენდარულ თარიღს (მაგ., გარიგებაში შესაძლოა განისაზღვროს, რომ ხელშეკრულება მოქმედებს იწყებს მომავალი წლის 15 თებერვლიდან), ან რომელიმე ფაქტობრივი გარემოების დადგომას, ან დამზღვევის მიერ გარკვეული ქმედების განხორციელებას.

საინტერესოა დაზღვევის ხელშეკრულების დადების მომენტისადმი რუსეთის ფედერაციის სამართლებრივი მიდგომა.

1922 წლის რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი განსაზღვრავდა დამზღვევის ვალდებულებას დადგენილ დროსა და დადგენილ ადგილას სადაზღვევო პრემიის გადახდის შესახებ. სადაზღვევო პრემიის გადახდამდე დაზღვევის ხელშეკრულება არ ითვლებოდა ძალაში შესულად, თუ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ იყო გათვალისწინებული. ცნობილი რუსი მეცნიერი ო.იოფე მოცემული მუხლის კომენტარებისას აღნიშნავდა შემდეგს: „სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი წარმოადგენს დისპოზიციურ ნორმას... შესაბამისად უნდა ვაღიაროთ, რომ სადაზღვევო-სახელშეკრულებო ურთიერთობის დადებისას ადგილი აქვს რეალური ხელშეკრულების დადებას.”³

საკმაო თავისებურებით გამოირჩევა დაზღვევის ხელშეკრულების დადების სამართლებრივი პროცედურა რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით. რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 827-ე მუხლის თანახმად, დაზღვევის ხელშეკრულება შედის ძალაში და ხდება

¹ Брагинский М. И., Витрянский В. В. Договорное право. Книга первая: Общие положения. М.: «Статут», 2001. С. 392.

² С.В. Тарадонов. Страхование право, Москва: Юрист, 2007, с. 131.

³ О. С. Иоффе. Советское гражданское право, Л., 1961, с. 428.

შესასრულებლად სავალდებულო დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის შემდეგ, თუ ხელშეკრულებით ან სავალდებულო დაზღვევის შესახებ საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.¹ ხსენებული ნორმა დისპოზიციური ხასიათის განსაზღვრაა, რომლის მიხედვით გარიგება ზოგადად რეალური ხასიათისაა, მაგრამ გამო-ნაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნეს მხარეთა შეთანხმებით ან კანონით. უკანასკნელი ორი გარემოების არსებობის შედეგად დაზღვევის რეალური ხელშეკრულებაა, შეიძლება გადა-იქცეს კონსენსუალურ შეთანხმებად და ძალაში შევიდეს კონტრაქტებს შორის მიღწეული კონსენსუსის შედეგად.

ბევრი თანამედროვე რუსი მეცნიერის მოსაზრებით, რუსეთის სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული დაზღვევის ხელშეკრულება რეალურია, მაგრამ მისი თავისებურება მდგომარეობს შემდეგში: „ხელშეკრულება დადებულია, მაგრამ არ მოქმედებს.“²

აღნიშნულ მოსაზრებას არ ეთანხმება მეცნიერთა მეორე ჯგუფი. მათი მითითებით, მხარეთა შორის ხელშეკრულების დადება და ძალაში შესვლა უკავშირდება მხოლოდ ერთ გარემოებას - დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდას.

რუსეთში მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 957-ე მუხლის თანახმად, 1922 წლის კოდექსის ძირითადი დათქმა ამ ნაწილში უცვლელი დარჩა. ნორმა კვლავ დისპოზიციურია. ხელშეკრულება დადებულად ითვლება პირველი სადაზღვევო შენატანის ან მისი ნაწილის გადახდიდან, თუ ხელშეკრულებით, მხარეთა შეთანხმებით ან საკანონმდებლო აქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. შესაბამისად, ზოგადის წესის მიხედვით, დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება მივიჩნიოთ რეალურ ხელშეკრულებად.

თუმცა რუსულ იურიდიულ მეცნიერებაშიც არსებობს განსხვავებული მოსაზრება აღნიშნულის შესახებ. ფოგელსონი დაზღვევის ხელშეკრულების მომენტის განსაზღვრისას აღნიშნავს, რომ „დაზღვევის ხელშეკრულება მართალია გვევლინება კონსენსუალურ ხელ-შეკრულებად, მაგრამ, უმრავლეს შემთხვევაში, ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის აუცილებელია ყველა არსებით პირობაზე შეთანხმების გარდა დამზღვევის მიერ პრემიის ან პირველი სადაზღვევო შენატანის გადახდა.“³

საგულისხმოა, რომ რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 957-ე მუხლის სიტყვასიტყვით განმარტების შედეგად დაზღვევის ხელშეკრულების დადებისა და ძალაში შესვლის მომენტი არ ემთხვევა ერთმანეთს, ვინაიდან იმისთვის, რომ ხელშეკრულებას მიენიჭოს იურიდიული ძალა, გარიგებაზე მისი ხელმოწერა არ კმარა, დამატებით აუცილებელია სადაზღვევო პრემიის გადახდაც. თუმცა ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის პრემიის გადახდა იმპერატიული მოთხოვნა არ არის. კანონი მხარეებს უფლებას აძლევს სურ-ვილისამებრ შეცვალონ კანონმდებლის ეს დათქმა და ხელშეკრულების ძალაში შესვლა დაუკავშირონ გარიგების ხელმოწერას. თუ ხელშეკრულებაში მისი დადებისა და ძალაში შესვლის მომენტი არ არის დაფიქსირებული, დაზღვევის ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება პრემიის ან პირველი სადაზღვევო შენატანის შეტანის შემთხვევაში. როგორც ფოგელსონი აღნიშნავს, „სადაზღვევო შენატანის გადახდის გარეშე მხარეთა მიერ

¹ www.pravo.gov.ru

² Бельх В. С., Кривошеев И. В. Страхование право. М.: Издательство НОРМА, 2002. соч. С. 149.

³ Ю. Б. Фогельсон. Введение в страховое право. Москва: Юрист, 2001, с 159.

დადებული გარიგება არ წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე, მხარეთათვის სავალდებულოდ შესასრულებელ დოკუმენტს, იგი მხოლოდ მხარეთა განზრახვის დეკლარაციაა.”¹

რუსულ იურიდიულ მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დაზღვევის ხელშეკრულების რეალურ ან კონსენსუალურ ხელშეკრულებად განსაზღვრა დამატებით იძლევა საფუძველს კონკრეტული ხელშეკრულება მიჩნეულ იქნეს ცალმხრივ ან მრავალმხრივ ხელშეკრულებად. კერძოდ, მას შემდეგ რაც დამზღვევი გადაიხდის სადაზღვევო პრემიას, ხელშეკრულება იქნეს იურიდიულ ძალას, ხოლო დამზღვევეს სხვა ვალდებულება მზღვეველის მიმართ აღარ რჩება. ამდენად, ორმხრივი შეიძლება იყოს მხოლოდ კონსენსუალური ხელშეკრულება, – აღნიშნავს მ. ბრაგინსკი.² მისი ეს მოსაზრება, რა თქმა უნდა, ლოგიკურია, მაგრამ დაზღვევის რეალური ხელშეკრულება, რომელიც დაიდო სადაზღვევო პრემიის მხოლოდ ნაწილის შეტანის შედეგად, მიგვაჩნია, რომ ასევე ორმხრივი ხელშეკრულებაა. დამზღვევეს რჩება ვალდებულება მზღვეველის მიმართ დარჩენილი სადაზღვევო პრემიის შეტანისა, შესაბამისად მზღვეველს აქვს უფლება, მოსთხოვოს დამზღვევეს დათქმულ ვადაში სადაზღვევო პრემიის შეტანა.

გარიგების რეალურ და კონსენსუალურ ხელშეკრულებებად დაყოფა ცნობილია არა მხოლოდ რომანულ-გერმანული, არამედ ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებისათვის. დასავლურ იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით გარიგების რეალური და კონსენსუალური ხასიათის განსაზღვრას.

ბლეკის სამართლის ლექსიკონში (Black's Law Dictionary) კონსენსუალური ხელშეკრულება განსაზღვრულია შემდეგნაირად: „ეს არის ხელშეკრულება (კონტრაქტი), გაფორმებული გარიგების მონაწილე პირთა შორის ვალდებულების წარმოშობის მიზნით, რომელიც წარმოიშობა მხარეთა შორის მარტივი შეთანხმების (კონსენსუსი) შედეგად, რაიმე სახის ფორმალური ან სიმბოლური მოქმედების საჭიროების გარეშე.”³ საერთო სამართლის ქვეყნების ერთ-ერთი მეცნიერის მოსაზრებით კი, „ხელშეკრულების კონსენსუალური ბუნება გულისხმობს მხარეთა შორის ვალდებულების წარმოშობას მარტივი შეთანხმების (კონსენსუსის) საფუძველზე. კონსენსუსი ანუ მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმება, არის ხელშეკრულების დადების პროცედურის საბოლოო და დამასრულებელი ინგრედიენტი... და როგორც კი მხარეთა შორის მიიღწევა შეთანხმება, ხელშეკრულება დადებულიად ჩაითვლება.”⁴

რაც შეეხება რეალურ ხელშეკრულებას, იგი განისაზღვრება, ერთი მხრივ, როგორც „ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად, ფული ან სხვა ქონებრივი სიკეთე გადადის გარიგების ერთი მონაწილიდან მეორეზე”, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც „ხელშეკრულება, რომელიც დადებისათვის მოითხოვს უფრო მეტს, ვიდრე მხარეთა შორის მარტივი შეთანხმებაა, კერძოდ თანხის ან ნივთის გადაცემას.”⁵

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ 5 ძირითადი ჯგუფი დაზღვევის ხელშეკრულების დადების მომენტის განსაზღვრის მიხედვით:

¹ Ю. Б. Фогельсон, Введение в страховое право, Москва: Юрист, 2001, с 163.

² Брагинский М. И., Витрянский В. В. Договорное право. М.: «Статут», 2001. С. 392.

³ Black's Law Dictionary. / St. Paul, Minn: West Publishing Co., 1990. P. 319.

⁴ Henry S. Maine, Ancient law 322-23 (10th ed 1984).

⁵ Black's Law Dictionary. / St. Paul, Minn: West Publishing

1. პირველი ჯგუფი მოიცავს იმ ქვეყნებს, რომლის კანონმდებლობაც დაზღვევის ხელშეკრულებას ზოგადად განიხილავს, როგორც კონსენსუალურ ხელშეკრულებას. კერძოდ, ამგვარი ჯგუფის ქვეყნების სამართლებრივი მიდგომით, დაზღვევის ხელშეკრულება, თუ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წარმოიშობა მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმების დადებისთანავე. მაგ., ასეთი განსაზღვრაა წარმოდგენილი ფინეთის დაზღვევის ხელშეკრულების (1995 წლიდან) და ლატვიის დაზღვევის შესახებ კანონის მიხედვით. ლატვიის დაზღვევის შესახებ კანონის მე-4 პუნქტით, თუ მზღვეველი დაზღვევის შესახებ განაცხადის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში წერილობით არ აცნობებს განცხადების წარმდგენ პირს დაზღვევის პირობების (რაზედაც მზღვეველი თანახმაა დაიდოს ხელშეკრულება) და წინასადაზღვევო შემოწმების ჩატარების შესახებ, ითვლება, რომ მზღვეველი უარს ამბობს ხელშეკრულების დადებაზე. ამავდროულად მხარეებმა შესაძლოა დადონ ხელშეკრულება სადაზღვევო პრემიის ან მისი ნაწილის შეტანის გზით იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი უარს არ იტყვის აღნიშნულზე.¹

2. მეორე ჯგუფს შესაძლებელია მივაკუთვნოთ ისეთი სამართლებრივი მოწესრიგების მქონე ქვეყნები, სადაც მოქმედებს დაზღვევის, როგორც რეალური ხელშეკრულების არსებობის პრეზუმპცია. ასეთი მიდგომის შესაბამისად, კანონმდებელი განსაზღვრავს, რომ დაზღვევის ხელშეკრულება, ზოგადი წესის თანახმად, დადებულად ჩაითვლება პირველი სადაზღვევო შენატანის ან სადაზღვევო პრემიის გადახდის შემდეგ. ასეთი მოწესრიგება გამონაკლისის წესით უშვებს, მხარეთა შეთანხმების შესაბამისად, ხელშეკრულების დადების მომენტის განსაზღვრას კონსენსუსის საფუძველზე (მოწესრიგება ამჯერადაც დისპოციზიურია, გარიგება ზოგადი წესით წარმოადგენს რეალურს, თუ მხარეებმა არ განსაზღვრეს იგი კონსენსუალურად).

ასეთი მიდგომა აქვს საზღვარგარეთის ქვეყნების უმრავლესობას დსთ-ის ქვეყნების ჩათვლით. მაგ., ბელორუსი (დაზღვევის შესახებ 1993 წლის 03 ივნისის კანონი, მუხლი 18²), უკრაინა (დაზღვევის შესახებ 2001 წლის 4 ოქტომბრის კანონი, მუხლი 18³), მოლდოვა (2002 წლის 06 ივნისის სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1313⁴), ლიტვა (დაზღვევის შესახებ 1996 წლის 10 ივლისის კანონი, მუხლი 21⁵), რუსეთი (1992 წლის 22 დეკემბრის სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 957⁶) და ა.შ.

ამათგან, საკმაოდ ვრცელი და მრავლისმომცველი წესებია დადგენილი დაზღვევის ხელშეკრულების დადების მომენტის განსაზღვრისათვის ლიტვის კანონმდებლობით. დაზღვევის შესახებ ლიტვის 1996 წლის 10 ივლისის კანონის 21-ე მუხლი განსაზღვრავს რეალური ხელშეკრულებების საერთო წესს: დაზღვევის ხელშეკრულება შედის ძალაში დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის ან მისი ნაწილის გადახდის შემდეგ. თუმცა იქვეა დათქმა, რომ დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს იმ გარემოებას, რომ ის შევიდეს ძალაში გადახდამდე ან დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის ან მისი

¹ www.pravo.lv

² www.pravoby.info/tema/zakon

³ www.zakon.rada.gov.ua

⁴ www.lex.justice.md/ru

⁵ www.ins-union.ru/rus/legislation/litva

⁶ www.pravo.gov.ru

ნაწილის შეტანიდან, მხარეთა მიერ განსაზღვრული გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ.¹ პირველი შემთხვევა – დაზღვევის ხელშეკრულების ძალაში შესვლა სადაზღვევო პრემიის გადახდის წინ ნათელი და გარკვეულია. ასეთ შემთხვევაში გარიგება ჩაითვლება კონსენსუალურ ხელშეკრულებად. მეორე შემთხვევაში კი ადგილი არა აქვს რეალურ და კონსენსუალურ ხელშეკრულებას, გარიგებაზე მხარეებს ხელი მოწერილი აქვთ, სადაზღვევო პრემია გადახდილია, მაგრამ ხელშეკრულება მაინც არ მოქმედებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ კანონმდებელი დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას, კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს ანიჭებს სრულ თავისუფლებას და საკითხს აწესრიგებს დისპოზიციურად, ყოველგვარი იმპერატიული მიდგომის გარეშე.

საზღვაო დაზღვევის შესახებ გარიგებაც რეალური გარიგებაა, რაზედაც მიუთითებს საზღვაო დაზღვევის შესახებ ინგლისის 1909 წლის აქტის 58-ე პარაგრაფი. მითითებული პარაგრაფით, თუ მხარეთა შორის სხვა რამ არ არის დადგენილი, დამზღვევის ან მისი აგენტის ვალდებულება გადაიხადოს სადაზღვევო პრემია და მზღვეველის ან მისი აგენტის ვალდებულება გასცეს დამზღვევზე ან მის აგენტზე სადაზღვევო პოლისი თანადროულად შესასრულებელი ვალდებულებაა, და შესაბამისად, მზღვეველი არ არის ვალდებული გასცეს სადაზღვევო პოლისი (მოწმობა) მანამ, სანამ დამზღვევი არ გადაიხდის სადაზღვევო პრემიას.

3. მესამე ჯგუფს მიეკუთვნება ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობა დაზღვევის ხელშეკრულებას იმპერატიულად განსაზღვრავს, როგორც კონსენსუალურ გარიგებას და რაიმე გამონაკლისს არ უშვებს. მიდგომა ცალსახად იმპერატიულია და მიუხედავად მხარეთა შორის განსაზღვრული რაიმე სახის შეთანხმებისა, ხელშეკრულება დადებულად ითვლება მხარეთა შორის გარიგების ყველა არსებით პირობაზე შეთანხმების – კონსენსუსის მიღწევის შემდეგ.

საკითხის ამგვარი მოწესრიგებაა განსაზღვრული ჩინეთის კანონმდებლობით (დაზღვევის შესახებ 1995 წლის 30 ივნისის კანონი, მუხლი 12) და კვებეკის სამოქალაქო კოდექსის 2398-ე პარაგრაფის მიხედვით.

4. მეოთხე ჯგუფს მიეკუთვნება ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობა იმპერატიულად განსაზღვრავს დაზღვევის ხელშეკრულებას, როგორც რეალურ გარიგებას. კანონმდებელი არ ითვალისწინებს მხარეთა ნებას ხელშეკრულების დადების სხვა წესზე შეთანხმების შესახებ და გარიგების დასადებად აუცილებელ, სავალდებულო პირობად მიიჩნევს სადაზღვევო პრემიის ან მისი ნაწილის გადახდას. მაგ., ისრაელი (დაზღვევის შესახებ 1981 წლის 2 თებერვლის კანონი, მუხლი 14)

ასეთი ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება საქართველოც.

5. უკანასკნელ, მეხუთე ჯგუფს განეკუთვნება იმ ქვეყნების ჯგუფი, რომელთა კანონმდებლობაც ნეიტრალურია დაზღვევის ხელშეკრულების დადების მომენტის მიმართ. კანონმდებელი არც იმპერატიული სახით და არც დისპოზიციურად არ აკეთებს დათქმას გარიგების დადების მომენტისას რეალური და კონსენსუალური ხელშეკრულებების სასარგებლოდ. ასეთი მიდგომა ძალიან იშვიათია, მაგრამ ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნეს სლოვაკეთის სამოქალაქო კოდექსი. აღნიშნული კოდექსის 792-ე პარაგრაფი

¹ www.ins-union.ru/rus/legislation/litva

აღნიშნავს, რომ დაზღვევის ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება ოფერენტის მიერ აქცეპტანტისგან ოფერტზე თანხმობის მიღების შემთხვევაში.

აღნიშნული მუხლის მეორე პუნქტი კი მიუთითებს, რომ განმცხადებლის წინადადებაზე აქცეპტი შესაძლოა განხორციელდეს არა წერილობით, არამედ წინადადებაში განსაზღვრული სადაზღვევო პრემიის გადახდით ანუ რეალური მოქმედებით. ასეთ დროს ხელშეკრულება დადებულად ითვლება პრემიის გადახდის მომენტიდან. კანონმდებელი მხარეებს არ განუსაზღვრავს კონკრეტულ წესს, არამედ ხელშეკრულების დადების მომენტის განსაზღვრა მთლიანად მხარეებზეა დამოკიდებული.

ამდენად, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ზიანის დაზღვევის ხელშეკრულების დადების მომენტის განმსაზღვრელი რეგულაციების კვლევის შედეგად კიდევ ერთხელ გამოიკვეთა მისი როლი და მნიშვნელობა სადაზღვევო სამართლებრივი ურთიერთობის დაწყების, მისი განვითარების და შემდგომი შედეგების მიმართ. დაზღვევის ხელშეკრულების დადება და მისი ძალაში შესვლა შესაძლოა არ ემთხვეოდეს ერთმანეთს და აღნიშნულ განსაზღვრას აქვს კონსტიტუციური მნიშვნელობა კონკრეტული სადაზღვევო სამართალ-ურთიერთობის რეგულირებისას.

ნათია მარშანია,
სამართლის დოქტორანტი

დაზღვევის ხელშეკრულების დადების მომენტი საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის მიხედვით

სადაზღვევო სამართალურთიერთობის კვლევისას მნიშვნელოვანია ისეთი სამართლებრივი ეტაპის კვლევა, როგორცაა დაზღვევის ხელშეკრულების დადება და მისი იურიდიული ძალა.

რას უკავშირებს საზღვარგარეთის ქვეყნების სადაზღვევო კანონმდებლობა დაზღვევის ხელშეკრულების დადებას და მის ამოქმედებას. რომელი მომენტი ხდება ხელშეკრულების ძალაში შესვლის, მისით განსაზღვრული მოვალეობის და უფლების მხარეებისათვის მინიჭების საფუძველი? რეალურია თუ კონსენსუალური საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო რეგულაციებით განსაზღვრული დაზღვევის ხელშეკრულება, დისპოზიციურია თუ იმპერატიული აღნიშნული საკითხის მომწესრიგებელი ნორმები? აღნიშნული საკითხები მოცემული სტატიის კვლევის მიზანია.

NATIA MARSHANIA,
PHD student

INSTANT OF THE MAKING THE INSURANCE CONTRACT ACCORDING TO THE LAW OF FOREIGN COUNTRIES

For research legal Insurance it is important to study the phase, such as insurance contract and its legal effect. What connects the foreign insurance law the moment of signing the contract and its implementation, what happens at the point of entry into force of the contract, its obligations and rights of the parties to the award of the foundation? Is it real or consensual the contract of insurance in foreign countries civil regulations? Is it dispositive or imperative norms regulating this issue? These issues are the subject of the research article.

НАТИЯ МАРШАНИЯ,
докторант права

МОМЕНТ ЗАКЛЮЧЕНИЯ ДОГОВОРА СТРАХОВАНИЯ ПО ПРАВУ ИНОСТРАННЫХ ГОСУДАРСТВ

При исследовании страховых правоотношений прежде всего значительным является исследование такого правового этапа, как заключение договора страхования и его юридической силы.

С чем связывает страховое законодательство иностранных государств заключение договора страхования и его приведение в действие? Какой момент становится основанием для вступления договора в силу, для присвоения сторонам определенных договором прав и обязанностей? Является реальным или консенсуальным определенный гражданскими регуляциями иностранных государств договор страхования, являются диспозитивными или императивными упорядочивающие отмеченный вопрос нормы? Отмеченные вопросы являются предметом исследования данной статьи.

სისხლის სამართლის პროცესის სტადიების არსი სისხლის
სამართლის პროცესის ერთიან სისტემაში

სისხლის სამართლის პროცესში სისხლის სამართლის საქმე ერთი სტადიიდან მეორეში გადადის. ყველა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება და სასამართლო განხილვა, პროცესის მონაწილეთა მოქმედება მიმდინარეობს განსაზღვრული წესითა და თანამიმდევრობით.

ამასთან, სისხლის სამართლის პროცესის ყველა შემდეგი სტადია გარკვეულად ამოწმებს წინა სტადიების მოქმედების სიზუსტესა და ობიექტურობას. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის პროცესის სტადიები სისხლის სამართლის საქმეზე სამართლიანობისა და ობიექტურობის დადგენის გარკვეული გარანტიაც არის, რათა არ დაირღვეს და დაცულ იქნეს თითოეული მოქალაქის, პროცესის მონაწილეთა კანონით მინიჭებული უფლებები და თავისუფლებები.

სისხლის საპროცესო სამართლის დარგში მომუშავე მეცნიერთა და მკვლევართა აზრით, სისხლის სამართლის პროცესი იყოფა გარკვეულ ნაწილებად, რასაც სისხლის სამართლის პროცესის სტადიები ეწოდება¹.

სისხლის სამართლის პროცესი შედგება რამდენიმე სტადიისაგან. თითოეულ სტადიას აქვს მკაცრად განსაზღვრული საწყისი და დამამთავრებელი მომენტები.

მოქმედი სისხლის სამართლის პროცესის სტადიები მნიშვნელოვნად განსხვავდება ადრე არსებული სისხლის სამართლის პროცესის სტადიებისაგან, ამიტომ სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა სისხლის სამართლის პროცესის სტადიების ახლებურად განსაზღვრა.

ამის აუცილებლობაზე იურიდიულ ლიტერატურაში მიუთითებს მეცნიერთა დიდი ნაწილი, რადგან, მათი აზრით, ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა უარი თქვა ადრე მოქმედ მრავალ ისეთ მნიშვნელოვან სტადიაზე, როგორცაა სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, წინასწარი გამოძიება, სამართალში მიცემა და სხვა².

ამასთან მისასაღებელია, რომ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში სისხლის სამართლის პროცესის სტადიები ახლებურად, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით იქნა ჩამოყალიბებული, რომელმაც არსებითი სახის ცვლილებები განიცადა წინა საპროცესო კოდექსთან შედარებით³. ზოგიერთი სტადია საერთოდ გაქრა, ნაწილი შეიცვალა, ნაწილი კი უცვლელად დარჩა.

სისხლის სამართლის პროცესის სპეციალისტების, მეცნიერების მხრიდან, სისხლის სამართლის პროცესის სტადიებთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ერთიანი მიდგომა და კონკრეტული განსაზღვრა არ არსებობს, რადგან ისინი სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა სტადიას განიხილავენ. ზოგიერთის აზრით, ეს ჩამონათვალი უფრო ფართოა.

¹ ა. ფალიაშვილი. სისხლის სამართლის პროცესი. თბ., 1988 წელი, გვ. 21; სისხლის სამართლის პროცესი. ავტორთა კოლექტივი. თბ., 2002 წელი, გვ. 16; სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები). ავტორთა კოლექტივი. თბ., 2008 წელი, გვ. 64.

² საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი ნაწილი (მეორე გამოცემა). ავტორთა კოლექტივი. თბ., 2013 წელი, გვ.34.

³ იხ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 35.

ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან გამომდინარე, იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით, სისხლის სამართლის პროცესის ძირითად სტადიებად მიიჩნეოდა საქმის აღძვრა, წინასწარი გამოძიება, სამართალში მიცემა, საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, სააპელაციო და საკასაციო წესით განაჩენის და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, სასამართლოს განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, მასში განხორციელებული რადიკალური ცვლილებების გამო, უარი თქვა სისხლის სამართლის პროცესის მრავალ სტადიაზე.

აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, სისხლის სამართლის პროცესში საქმის მოძრაობა, წინსვლა შეიძლება პირობითად რამდენიმე საფეხურად ან სტადიად დაეყოთ, რადგან ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, დადგენილი საპროცესო ნორმებით, ყველა სისხლის სამართლის საქმე, მოძრაობის თანამიმდევრულად სხვადასხვა სტადიას გადის.

ჩვენი აზრით, დღეს სისხლის სამართლის პროცესისათვის დამახასიათებელია შემდეგი სტადიები: გამოძიება; წინასასამართლო სხდომა; პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა; განაჩენის დადგენა; საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში; საქმის განხილვა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში; სასამართლო განაჩენის გასაჩივრება; სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის, განჩინების და გადაწყვეტილების აღსრულება; განაჩენის გადასინჯვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო.

სისხლის სამართლის საპროცესო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით (რასაც ვეთანხმები), ზოგადად სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიისათვის დამახასიათებელი და სპეციფიკურია მიზნები, გადასაწყვეტი ამოცანები, პირობები, განსაზღვრული საპროცესო მოქმედებები, პროცესის მონაწილე სუბიექტთა წრე შესაბამისი საპროცესო უფლებით და მოვალეობით, პროცესის მწარმოებელ პირთა შესაბამისი საპროცესო მდგომარეობა, რომლებიც პასუხს აგებენ გამოძიებასა და საქმის სასამართლო განხილვაზე, პროცესის მონაწილეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე და სხვა¹.

სისხლის სამართლი პროცესის ზემოაღნიშნული სტადიების არსი შემდეგში მდგომარეობს:

ა) გამოძიება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, სისხლის სამართლის პროცესი იწყება გამოძიებით, რომლის დაწყების საფუძველი სსსკ-ის მე-100 მუხლის თანახმად არის დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღება. გამოძიების მიერ გამოძიების დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს.

გამოძიების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ყველა ფაქტობრივი გარემოება ობიექტურად, ყოველმხრივ და სრულყოფილად იქნეს გამოძიებული, ჩატარდეს ყველა აუცილებელი საგამოძიებო მოქმედება, რათა საქმეზე მოიპოვონ საჭირო მტკიცებულებები.

¹ Уголовно-процессуальное право Российской Федерации / Под. ред. И. Л. Петрухина. М., 2006, стр. 12. სისხლის სამართლის პროცესი. ავტორთა კოლექტივი. თბ., 2002 წელი, გვ 16; სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები). ავტორთა კოლექტივი. თბ., 2008 წელი, გვ. 64.

მოქმედი საპროცესო კოდექსის მიხედვით, ადრე მოქმედი საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი, რომლის მიმართაც წარმოებს გამოძიება, ბრალდებულად იწოდება.

როგორც წესი, დანაშაულის გამოძიებას აწარმოებს გამოძიებელი, რომლის საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორია. ის უფლებამოსილია, სრული მოცულობით ჩაატაროს გამოძიება. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გამოძიების ჩატარების უფლება ენიჭება ბრალდებულსაც, რომელიც მტკიცებულებებს მოიპოვებს დამოუკიდებლად ან დამცველის მეშვეობით.

მას შემდეგ, რაც გამოძიებელი ან პროკურორი მიიჩნევს, რომ, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე დაადგინა ყველა გარემოება, შეკრიბა საჭირო მტკიცებულებები, რაც საკმარისი იქნება სასამართლოში საკუთარი პოზიციის დასამტკიცებლად, გამოძიების პროცესი მთავრდება და იწყება ახალი საქმის წინასასამართლო განხილვის ეტაპი.

ბ) წინასასამართლო სხდომა

წინასასამართლო სხდომა სისხლის სამართლის პროცესის ცალკე სტადია სასამართლო წარმოების მეორე ეტაპია. იგი ადრე მოქმედ სამართალში მიცემის სტადიის რეორგანიზებული და ფორმაშეცვლილი სახეა¹.

წინასასამართლო სხდომა, ადრე არსებულ სამართალში მიცემის სტადიის მსგავსად, წინ უძღვის სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სტადიას.

თუ პროკურორი უარს არ იტყვის სისხლის სამართლებრივ დევნაზე და, ამასთან, გამოძიების ეტაპზე მხარეებს შორის არ დადებულა საპროცესო შეთანხმება, წინასასამართლო სხდომის ჩატარება ყოველთვის სავალდებულოა, ვიდრე სისხლის სამართლის საქმე სასამართლოს არსებითი განხილვისათვის გადაეცემა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისათვის გადასაცემად წინასასამართლო სხდომის მოსამართლე უნდა დარწმუნდეს, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ბრალდებულმა ჩაიდინა.

წინასასამართლო სხდომა საქმის არსებითი განხილვისათვის მომზადების ეტაპია, რომელიც ტარდება სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის შემდეგ. წინასასამართლო სხდომაზე წარმოებს ყველა აუცილებელი მოსამზადებელი მოქმედება არსებითად საქმის განხილვისათვის. ის მიზნად ისახავს საქმის არსებითი განხილვისათვის აუცილებელი საპროცესო პირობების შექმნას.

¹ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი. კერძო ნაწილი (მეორე გამოცემა). ავტორთა კოლექტივი. თბ., 2013 წელი, გვ. 220.

გ) პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა

პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა სისხლის სამართლის პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია.

მართალია, გამოძიების ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულებები იძლევა პირის ბრალეულობასთან დაკავშირებულ გარკვეული დასკვნის გაკეთების საშუალებას, მაგრამ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებზე დაფუძნებულ სისხლის სამართლის პროცესში პიროვნების დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მხოლოდ სასამართლომ უნდა მიიღოს.

სასამართლოში საქმის არსებით განხილვამდე წარმოებული პროცესი, პირველ რიგში, მიზნად ისახავს მხარეების მიერ სასამართლოსთვის საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი მტკიცებულებების წარმოდგენას. სისხლის სამართლის პროცესის აღნიშნულ ეტაპზე სრულყოფილად ხდება მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევა.

თუ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ ბრალდებულმა ბრალდებაში აღწერილი ქმედება ჩაიდინა, მაშინ მის მიმართ გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს გაუჩნდება გონივრული ეჭვი ბრალდებულის დამნაშავეობასთან დაკავშირებით, მან უნდა მიიღოს გამამართლებელი გადაწყვეტილება მაშინაც კი, როცა უფრო მეტი მის ბრალეულობაზე მეტყველებს, ვიდრე უდანაშაულობაზე¹.

დ) განაჩენის დადგენა

სისხლის სამართლის პროცესის შემდგომი მნიშვნელოვანი ეტაპია განაჩენის დადგენა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 277-ე მუხლის თანახმად, განაჩენი დგინდება სასამართლო სხდომის დარბაზში ან სათათბირო ოთახში.

განაჩენი შედგენილი უნდა იყოს გასაგები და ცხადი ფრაზებით. დაუშვებელია მასში უზუსტო ფორმულირების გამოყენება. განაჩენის გამოცხადების შემდეგ არ შეიძლება მასში რაიმე ცვლილებების შეტანა.

განაჩენის როგორც ფორმა, ასევე შინაარსი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 271-ე – 276-ე მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. განაჩენი არ შეიძლება შეიცავდეს წინააღმდეგობრივ დებულებებს და დასკვნები უნდა შეესაბამებოდეს მის შინაარსს.

განაჩენის გამოცხადება სასამართლო განხილვის დამამთავრებელი ნაწილია. მსჯავრდებულს და პროცესის სხვა სუბიექტებს საჯაროდ ეცნობებათ და განემარტებათ განაჩენის შინაარსი.

¹ <http://mimomxilveli.wordpress.com/> (სამართლის მიმომხილველი ბლოგი)

ე) საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში

სააპელაციო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის სტადია გულისხმობს სააპელაციო წესით გასაჩივრებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ან/და კანონიერების შემოწმებას. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა სააპელაციო წესით განიხილავს სისხლის სამართლის საქმეს და განაჩენი ხელახლა გამოაქვს.

სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია ახალი განაჩენით გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამოტანილი განაჩენი და მის ნაცვლად დაადგინოს გამამართლებელი განაჩენი, ასევე უფლება აქვს გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად დაადგინოს გამამტყუნებელი განაჩენი, შეუძლია უცვლელად დატოვოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენი ან მასში ცვლილება შეიტანოს.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ცვლის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს.

სისხლის სამართლის საქმის სააპელაციო წესით განხილვა განაჩენის გამოტანით მთავრდება.

ე) საქმის განხილვა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში

საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გამოტანილი განაჩენი, რომელიც კასატორის აზრით უკანონოა. მაგრამ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმოს საკასაციო საჩივრის დასაშვებობა, რაც განსაზღვრულია სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით. კერძოდ, საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ:

ა) საქმე მნიშვნელოვანია სასამართლოს განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;

ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

გ) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან საპროცესო დარღვევებით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

ჩამოთვლილ პირობათაგან, თუ რომელიმეს არ აკმაყოფილებს საჩივარი, იგი დაშვებული არ იქნება და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა საკასაციო საჩივარს არ განიხილავს.

საკასაციო წესით სისხლის სამართლის საქმის განხილვის შემდეგ საკასაციო ინსტანციის სასამართლოს გამოაქვს განაჩენი, რომელიც ცვლის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს, ის საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ზ) სასამართლო განაჩენის გასაჩივრება

სისხლის სამართლის პროცესის შემდგომი სტადია სასამართლოს განაჩენის გასაჩივრებაა, რომელიც მოიცავს აპელაციას და კასაციას.

განაჩენის გამოცხადების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე მხარეებს განუმარტავს განაჩენის გასაჩივრების წესს და ვადებს. განაჩენის ასლი მსჯავრდებულს ან გამართლებულს და ბრალმძებელს გადაეცემა განაჩენის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 5 დღისა, ხოლო რთულ, მრავალტომიან ან მრავალი პირის ბრალდების საქმე – არაუგვიანეს 14 დღისა. პროცესის სხვა მონაწილეებს განაჩენის ასლი მისი მოთხოვნით იმავე ვადაში გადაეცემა.

საქართველოს სსს კოდექსის 292-ე მუხლის თანახმად, იმის მიუხედავად, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოცხადებისთანავე შედის კანონიერ ძალაში და აღსასრულებლად მიექცევა, კანონი მაინც ანიჭებს მხარეებს უფლებას, განაჩენი გაასაჩივროს სააპელაციო წესით, თუ მას იგი უკანონოდ ან დაუსაბუთებლად მიაჩნია.

სააპელაციო ინსტანციაში ხდება მხოლოდ ახალი მტკიცებულებების გამოკვლევა. გარკვეული გამონაკლისის შემთხვევებში, შესაძლებელია წინა ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევაც.

სწრაფი და ეფექტური სისხლის სამართლის მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და მის ნაცვლად დაადგინოს ახალი. ამიტომ, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოდან სისხლის სამართლის საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში არ დაბრუნდება.

არა მარტო პირველი ინსტანციის სასამართლოს, არამედ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს. მისი გასაჩივრება ხდება საკასაციო წესით, თუ კასატორის აზრით იგი უკანონოა. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გამოტანილ განაჩენს საკასაციო წესით განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.

თ) სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის, განჩინების და გადაწყვეტილების აღსრულება

სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის, განჩინების და გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის საპროცესო სტადია გულისხმობს იმას, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადების შემდეგ, უნდა აღსრულდეს. ამდენად, საქმის არსებითი განხილვის შემდეგ იწყება სისხლის სამართლის პროცესის ახალი, სასამართლოს განაჩენის აღსრულების ეტაპი.

განაჩენის, განჩინების, დადგენილების აღსასრულებლად მიქცევა ევალება იმ სასამართლოს (მოსამართლეს), რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება. სწორედ, განაჩენის დამდგენი სასამართლო უზრუნველყოფს განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებული პროცედურების დაწყებას. აღნიშნული სასამართლო (მოსამართლე) განაჩენის, განჩინების, დადგენილების აღმასრულებელ ორგანოს, სასამართლო გადაწყვეტილების ასლებთან ერთად, უზრუნველყოფს განკარგულებას სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ.

ი) განაჩენის გადასინჯვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო

სისხლის სამართლის პროცესის სტადიებს შორის მნიშვნელოვანია განაჩენის გადასინჯვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო.

ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განმტკიცებული პრინციპით ცალსახაა, რომ რა დროსაც არ უნდა იყოს გამოტანილი უკანონო ან უსამართლო გადაწყვეტილება, ნებისმიერ დროს შესაძლებელია მისი გადასინჯვა. საპროცესო კოდექსში ეს ინსტიტუტი მოიხსენიება, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის სახელწოდებით. ე. ი. იმის მიუხედავად, რომ ამოიწურება სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების ყველა საშუალება და განაჩენი აღარ დაექვემდებარება გასაჩივრებას, კანონი მაინც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გადასინჯოს და შემოწმდეს სასამართლოს მცდარი განაჩენი, თუ საამისოდ გამოვლინდა ახალი გარემოებები. კონკრეტული საფუძვლები, რომელთა გამო შეიძლება გადასინჯოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი, ამომწურავად არის განსაზღვრული საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლში.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენის გადასინჯვის ვადა შეუზღუდავია. მის შესახებ შუამდგომლობა წერილობით შედის შესაბამის სააპელაციო სასამართლოში. ამგვარი შუამდგომლობის შეტანის უფლება აქვს პროკურორს და მსჯავრდებულს, თუ მსჯავრდებული გარდაიცვალა – მის კანონიერ მემკვიდრეს.

საქმის არსებითი განხილვა ტარდება სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეიტანება საკასაციო საჩივარი, რა დროსაც არ მოწმდება საჩივრის დასაშვებობა.

განაჩენის საპროცესო დოკუმენტის შედგენით სრულდება საჩივრის განხილვა.

გივი აბაშიძე,
სამართლის დოქტორი

სისხლის სამართლის პროცესის სტადიების არსი სისხლის სამართლის პროცესის ერთიან სისტემაში

საქართველოს ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა უარი თქვა ადრე მოქმედ სისხლის სამართლის პროცესის მრავალ სტადიაზე და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში სისხლის სამართლის პროცესის სტადიები ახლებურად ჩამოაყალიბა.

რა თქმა უნდა, სისხლის სამართლის პროცესის სტადიებთან მიმართებაში ერთიანი მიდგომა და კონკრეტული განსაზღვრა არ არსებობს, მაგრამ სტატიაში პირობითად დაუყავით და განვიხილეთ, ჩვენი აზრით, სისხლის სამართლის პროცესში საქმის მოძრაობისათვის დამახასიათებელი ძირითადი და მნიშვნელოვანი სტადიები.

GIVI ABASHIDZE,
doctor of law

STAGES OF CRIMINAL LAW PROCESS

The new procedural code of criminal law of Georgia has ignored many stages of criminal law process, which were in force earlier and in the criminal law procedural legislation the stages of criminal law process were formulated in a new way.

Certainly, there is no joint attitude and definition in connection to the stages of criminal law process, but we have conditionally divided and discussed the basic and significant stages characterized with the case movement in the criminal law process.

ГИВИ АБАШИДЗЕ,
доктор права

СТАДИИ УГОЛОВНОГО ПРОЦЕССА

Новый кодекс уголовного процесса Грузии отказался от множества стадий, предусмотренных ранее действующим кодексом уголовного процесса, и в уголовно-процессуальном законодательстве они были установлены по-новому.

Конечно, не существует единого подхода в отношении стадий уголовного процесса и нет их конкретного определения, но в статье условно разделили и рассмотрели, на наш взгляд, основные значительные и характерные стадии при движении дела в уголовном процессе.

ЛЕОНЕНКО ТАТЬЯНА ЕВГЕНЬЕВНА,

кандидат юридических наук, доцент,
заведующая кафедрой уголовного процесса
и криминалистики Института права имени
Владимира Сташиса Классического
приватного университета, г. Запорожье

ПОНЯТИЕ И СОДЕРЖАНИЕ МОТИВА РЕЛИГИОЗНОЙ НЕНАВИСТИ ИЛИ ВРАЖДЫ КАК ЛИЧНОСТНОЙ МОТИВАЦИИ ПРЕСТУПНЫХ ДЕЙСТВИЙ И ЕГО УГОЛОВНО-ПРАВОВОЕ ЗНАЧЕНИЕ

Понимание социальной природы преступного поведения и изучение характеристики личности преступника, совершившего преступление на религиозной почве, неразрывно связаны с выявлением и анализом мотивационной сферы общественно опасной деятельности лиц, посягающих на конституционное право свободы совести и свободы вероисповедания. Мотивация, будучи процессом превращения внешних стимулов во внутренние побуждения, является непосредственной личностной детерминантой преступного поведения. Поэтому вопросы криминальной мотивации, как внутреннего психологического стержня механизма преступного поведения, приобретают первостепенное значение в углублении научных исследований преступности на религиозной почве.

საგადასახადო დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულის დაკავების შემთხვევაში, გამომძიებელმა განსაკუთრებულად უნდა დაიცვას მისი უფლებები და იმის გამო, რომ თითოეული დანაშაული სპეციფიკურია, გამომძიებელი შეეცდება ბრალდებულისაგან მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია.

გადასახადისათვის თავის არიდების საქმეზე ბრალდებულის დაკითხვის ძირითად ამოცანაა ბრალდებულის დიაგნოსტიკა, დანაშაულის ჩადენაში მისი თანამონაწილეობის შემოწმება, თანამონაწილეობის დამტკიცებისას იმ მონაცემების მიღება, რომლებიც ამტკიცებს მის ჩვენებებს და განსაკუთრებით ცნობის მიღება მისგან მის მიერ გამოყენებული საგადასახადო დანაშაულის ჩადენის ხერხის, მექანიზმისა და ვითარების შესახებ. მის მიერ დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეობის არაღიარების შემთხვევაში განსაკუთრებით დახვეწილი და ტაქტიკურად შემოწმებული უნდა იყოს მითითებული გარემოება.

საგამომიებო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბრალდებულის დაკითხვისას ორი სიტუაცია წამოიჭრება: 1) ბრალდებული აღიარებს საგადასახადო სფეროში დანაშაულის ჩადენის ფაქტს; 2) ბრალდებული უარყოფს მოცემული დანაშაულის ჩადენის ფაქტს. თუმცა

შეიძლება გამოირიცხოს ჩვენების მიცემაზე ბრალდებულის უარის თქმის სიტუაციის წარმოქმნის შესაძლებლობა.¹

იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული აღიარებს თაღლითობის ჩადენის ფაქტს, საჭიროა გამოვლინდეს შემდეგი: სად, როდის და რა ვითარებაში მოხდა დანაშაული, როგორ მზადდებოდა და რა ზომები იქნა მიღებული მის დასაფარავად, იყვნენ თუ არა თანამონაწილეები, ვინ არიან და როგორია მათი როლი დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებაში; რამდენი ხანია ბრალდებული სჩადის ამგვარ დანაშაულს და რა დანაშაულებია მის მიერ ჩადენილი, როგორ და ვის მიერ იქნა დამზადებული გადასახადისთვის თავის არიდების დროს გამოყენებული ყალბი დოკუმენტები; ვისთან და რა გარემოებაში იქნა ისინი შექმნილი. საგამოძიებო მოქმედების კონკრეტული სიტუაციაში და გამოძიებისას ირკვევა სხვა საკითხებიც.

თუ საქმის შესახებ არსებული მონაცემები მოწმობს, რომ ბრალდებული არის ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი, მისი დაკითხვის დროს არკვევენ არა მხოლოდ მოცემული პირის როლს საგადასახადო დანაშაულის აქტის ჩადენაში, არამედ ყოველივეს, რაც მან იცის ამ ჯგუფის შესახებ (მონაწილეთა რაოდენობა, ჯგუფის შემადგენლობა, დანაშაულებრივი ინტერესების სფერო და ა.შ.), ამიტომ დაკითხვის დროს საჭიროა დადგინდეს შემდეგი გარემოებები: 1) რამდენი ადამიანი შედის მოცემულ ორგანიზებულ ჯგუფში და რაა მათ შესახებ ცნობილი დაკითხულისათვის (ვინ არიან ისინი, მათი საცხოვრებელი და ოფიციალური სამუშაო ადგილები და ა.შ.); რამდენი ხანია არსებობს ეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რა სახის დანაშაულებს სჩადის და კონკრეტულად რა დანაშაულებია ჩადენილი ამ ჯგუფის მიერ, როდის მოხდა და ვინ მონაწილეობდა მასში, არსებობს თუ არა კორუმპირებული კავშირები, ხელისუფლების რომელ ორგანოებში, ვისთან და რამდენი ხანია; 2) რამდენი პირი მონაწილეობდა მოცემული დანაშაულის ჩადენაში, რის გამოც მოხდა დაკითხულის დაკავება; რა პერიოდიდან იცნობენ ისინი ერთმანეთს, მათი სახელები, საცხოვრებელი, სამუშაო ადგილები და ა.შ.; ვინ არის მოცემული საგადასახადო ოპერაციის ორგანიზატორი და რამდენი ხანი მზადდებოდა; როგორ განაწილდა თითოეული თანამონაწილის როლი; რა ქმედებები იქნა მათ მიერ განხორციელებული მოცემული დანაშაულის მომზადების, ჩადენისა და დაფარვის პერიოდში; მათ მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად თუ მისგან გადახვევით განხორციელდა დანაშაული. დადებით შემთხვევაში, რა იყო ამის მიზეზი და რა ცვლილებები მოხდა დაგეგმილ ქმედებებში; რა სახის დოკუმენტები და ვის სახელზე ჰქონდა ისინი დაკითხულს და დანაშაულის სხვა მონაწილე პირებს, ვის მიერ და რა ვითარებაში მოხდა მათი დამზადება და ვისთან; ვის მიერ და სად მოხდა მათი შექმნა; დანაშაულის ჩადენის დროს ვისთვის, ვის მიერ და რა სახის დოკუმენტები იქნა წარდგენილი; რა ქონება იქნა დატაცებული დანაშაულის ჩადენის შედეგად, ვისთვის, როდის და რა ვითარებაში მოხდა მისი რეალიზება და სხვა.

ბრალდებულის მიერ საგადასახადო სფეროში დანაშაულის ჩადენის ფაქტის უარყოფის შემთხვევაში, ბრალდებულისთვის იმის განცხადების შემდეგ, თუ რაშია ის ბრალდებული, ხდება შემდეგი გარემოებების გამოკვლევა: დანაშაულის ჩადენის მომენტში სად მუშაობდა, სად იმყოფებოდა და რას აკეთებდა იმ ადგილზე, სადაც იგი იქნა დაკავებული;

¹ Криминалистика. Учебник для вузов под. ред. Р.С. Белкина, изд. «Норма», 2002, стр. 610-612.

რითი ხსნის ჩხრეკისას ყალბი დოკუმენტების არსებობას. საგადასახადო დანაშაულის ჩადენაში დაკითხვამდე, დაკითხვისთვის მზადებისას სამხილებად საჭიროა გამოიყოს ისეთი გარემოებები, რომლებიც შეიძლება ცნობილი იყოს მხოლოდ საგადასახადო დანაშაულის ჩამდენი პირისთვის. დაკითხვისას ირკვევა (საუბრის მეთოდებით, ტყუილი ჩვენების მიცემით, იმისათვის, რომ ყურადღება სხვა საკითხზე გადაიტანოს) რა იცის დასაკითხმა მოცემული გარემოებების შესახებ, აუცილებელია ამ ფაქტის დაფიქსირება დაკითხვის ოქმში, შემდეგ კი უნდა დადგინდეს, თუ საიდან იცის მან ამის შესახებ და მოხდეს მისი მხილება მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში. გარდა ამისა, სასურველია, რაც შეიძლება მოფიქრებულად და სისტემატურად იქნეს გამოყენებული საქმეში არსებული ნივთმტკიცებები. მაგალითად, მოხდეს ბრალდებულის ხელის თითების ანაბეჭდის გამოყენება, რომლებიც აღმოაჩინეს გამოყენებულ ყალბ დოკუმენტებზე (ამონაწერზე აქციონერთა რეესტრიდან, გადაცემის განკარგულებაზე, პასპორტზე და სხვა) და ამოიღეს დატაცებული ნივთების დათვალიერებისას. გამოყენებული უნდა იქნეს კვალის კრიმინალისტიკური და სხვა საექსპერტო კვლევის შესაძლებლობები; შემდგომ, ამავე მიზნით (ბრალდებულის მხილება) დაზარალებულსა და მოწმეებს წარედგინება ბრალდებული ამოსაცნობად, ასევე ტარდება სხვა აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებები.

იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულმა უარი თქვა ჩვენების მიცემაზე საქმესთან დაკავშირებული ფაქტების დასადგენად, გამომძიებელმა მაქსიმალურად ეფექტურად უნდა გამოიყენოს ინფორმაციის სხვა არსებული წყაროები, ამის პარალელურად მოხდეს განმარტებითი საუბარი ბრალდებულთან იმის შესახებ, რომ მისი დუმილი არ დაეხმარება მას თავიდან აიცილოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა (რამდენადაც გამოძიებას გააჩნია ინფორმაციის სხვა წყაროებიც, რომლებიც მოწმობს ბრალდებულის თანამონაწილეობაზე დანაშაულის ჩადენაში), რომ დუმილით კარგავს შესაძლებლობას გადმოსცეს მომხდარის საკუთარი ვერსია, წარმოადგინოს უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთები და ა.შ. მიზანშეწონილია გასაუბრება ბრალდებულის დამცველთან, იმის ახსნა, რომ გამოძიებას აქვს მისი დაცვის ქვეშ მყოფის მოცემულ დანაშაულში თანამონაწილეობის დამამტკიცებელი საბუთები და დუმილი უპერსპექტივოა, მიზანშეუწონელი და არანაირად არ აუმჯობესებს მის მდგომარეობას. ამან შეიძლება გამოიწვიოს ბრალდებულის პოზიციის შეცვლა და თანხმობა განაცხადოს ჩვენებების მიცემაზე. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საგადასახადო სფეროში დანაშაულს ხშირად სჩადიან პირები, რომლებსაც აქვთ ეკონომიკური, იურიდიული განათლება, სამეწარმეო საქმიანობის წარმართვის ან ფინანსურ ორგანოებში მუშაობის გამოცდილება, მათი დაკითხვისათვის მომზადებისას აზუსტებენ ცნობებს განათლების, პროფესიის, ამჟამინდელი და წინა სამუშაო ადგილის შესახებ. ყოველივე ეს, როგორც საგამოძიებო პრაქტიკა გვიჩვენებს და როგორც მართებულადაა აღნიშნული ლიტერატურაში,¹ ხშირად ხელს უწყობს მათი ჩვენების უტყუარობის სწორად შეფასებას: შეესაბამება თუ არა მოცემული ცნობები მათი განათლების დონესა და მუშაობის გამოცდილებას. ზოგჯერ მოცემული პირების ჩვენებები მათ მიერ სამეწარმეო, თითქოსდა კანონიერი და დასაბუთებული საქმიანობის განხორციელების მხრივ ჩადენილი ქმედების გარემოების შესახებ განიხილება განათლების დონისა და სამეწარმეო

¹შ. ფაფიაშვილი. კრიმინალისტიკა. დანაშაულის გახსნის ტაქტიკა. თბილისი: თსუ, 2001, გვ. 302-303.

საქმიანობის წარმართვის გამოცდილების ჭრილში – კეთილსინდისიერი მეწარმე (ასეთი განათლებითა და გამოცდილებით) არასოდეს წავა ასეთი მოქმედების ჩადენაზე.

როგორც საგადასახადო სფეროში ჩადენილი დანაშაულებრივი საქმეების შესწავლამ დაგვანახა, ბრალდებულები თავიანთ ჩვენებებში მიუთითებენ, რომ მათ არაფერი იცინათ მათი დანაშაულებრივი ქმედების შესახებ და ისინი უდანაშაულო არიან. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია გამოყენებულ იქნეს ის დოკუმენტები და საგნები, რომლებიც დაკავებისა და ჩხრეკის დროს იქნა აღმოჩენილი და ამოღებული. შემდგომში აუცილებელია გულდასმით შემოწმდეს ამოღებული დოკუმენტები, რადგან მათში არსებული მონაცემები შეიძლება წინააღმდეგობაში იყოს დაკავებულ პირთა ჩვენებებთან. გარდა ამისა, აუცილებელია დაკავებული პირების დაკითხვისას დადგინდეს: როდის, ვის მიერ, რა გარემოებაში და რა მიზნით გადაეცათ მათ დაკავებისას მათგან ამოღებული საგნები და დოკუმენტები; თუკი ამოღებულ დოკუმენტებზე მითითებულია უცნობი პირები, უნდა დადგინდეს, რაა ცნობილი მათთვის ამ პირებზე (ვინ არიან ისინი, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილები, სად იმყოფებიან ამჟამად, მათი გარეგნული ნიშნების აღწერა და ა.შ.); როგორ აღმოჩნდნენ ისინი იმ ადგილას, სადაც მოხდა მათი დაკავება; ვის შეუძლია გააადვილოს დაკავებულის მხილება; რამდენადაც წვრილმანების მოფიქრების დრო მას არ ჰქონდა, შესაძლოა მიუთითოს საქმისთვის მნიშვნელოვან გარემოებებზე, გაუძნელდეს პასუხები კონკრეტულ კითხვებზე (მაგალითად, რომლებზეც მან უკვე უპასუხა, იმის გამო, რომ ზუსტად არ ახსოვს, როგორ უპასუხა).

მოცემული კატეგორიის საქმეების გამოძიებისა და გახსნისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ტექნიკურად სწორად და დროულად ისეთი სახის ექსპერტიზების ჩატარებას, როგორიცაა: ტექნიკური ექსპერტიზა, საბუღალტრო ექსპერტიზა, ეკონომიკური ექსპერტიზა, დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური ექსპერტიზა, ხელნაწერების ექსპერტიზა, ტრასოლოგიური ხასიათის ექსპერტიზა და სხვა.¹

¹ შ. ფაფიაშვილი. კრიმინალისტიკა (განსაკუთრებული ნაწილი). სახელმძღვანელო. თბილისი: მერიდიანი, 2013, გვ. 362-363.

ირაკლი იმერლიშვილი, იოსებ ხუციშვილი,
სამართლის დოქტორანტი

**საგადასახადო დანაშაულზე პირისთვის ბრალდების წაყენება
და ბრალდებულის სახით დაკითხვა**

როგორც ყველა დანაშაული, ასევე საგადასახადო სფეროში ჩადენილი დანაშაულიც, საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, ხასიათდება გარკვეული თავისებურებით. სწორედ ამ კატეგორიის დანაშაულების გამოძიებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირისთვის ბრალდების წაყენებასა და ბრალდებულის სახით დაკითხვას. იქიდან გამომდინარე, რომ საგადასახადო სფეროში დანაშაულს სწადიან პირები, რომლებსაც აქვთ ეკონომიკური ან იურიდიული განათლება, სამეწარმეო საქმიანობის წარმართვის და ფინანსურ ორგანოებში მუშაობის გამოცდილება, მათთვის ბრალდების წაყენებისა და ბრალდებულად დაკითხვის ტაქტიკის თავისებურებებია განსილული მოცემულ სტატიაში, რასაც უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება დანაშაულის გახსნის, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის, კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებისათვის.

IRAKLI IMERLISHVILI, JOSEPH KHUTSISHVILI,
PHD Student

**LODGING OF CHARGES TO THE PERSON FOR TAX CRIME
AND ITS EXAMINATION AS A DEFENDANT**

As any other crime, the crime, committed in tax sphere is distinguished by certain features during implementation of investigatory actions. Namely during investigation of this category of crimes particular importance is attached to lodging of charges (indictment) to a person and its examination as a defendant. Based on the fact, that crimes in tax sphere are committed by persons having economic of legal education, experience of pursuit of entrepreneurial activity and work in financial authorities, in this article are considered the features of lodging of charge to them and tactics of their examination as defendants, that is of fundamental role for detection of crime, establishment of objective truth on the case and rendering of legal and equitable decision.

ИРАКЛИЙ ИМЕРЛИШВИЛИ, ИОСИФ ХУЦИШВИЛИ,
докторант права

**ПРЕДЪЯВЛЕНИЕ ЛИЦУ ОБВИНЕНИЯ В НАЛОГОВОМ ПРЕСТУПЛЕНИИ
И ДОПРОС В КАЧЕСТВЕ ОБВИНЯЕМОГО**

Как и любое другое преступление, так и преступление, совершенное в налоговой сфере, характеризуется определенными особенностями при проведении следственных действий. Именно при расследовании данной категории преступлений большое значение придается предъявлению обвинения лицу и его допросу в качестве обвиняемого. Исходя из того, что в налоговой сфере преступления совершаются лицами, имеющими экономическое или юридическое образование, опыт ведения предпринимательской деятельности и работы в финансовых органах, в данной статье рассмотрены особенности предъявления им обвинения и тактики допроса в качестве обвиняемого, что имеет важнейшую роль для раскрытия преступления, установления объективной истины по делу и вынесения законного и справедливого решения.

პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება

სისხლის სამართლებრივი დევნა სისხლის საპროცესოსამართლებრივ სტადიებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. მასზე ბევრადაა დამოკიდებული საზოგადოების დაცულობა იმ დანაშაულებრივი ქმედებისგან, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითაა გათვალისწინებული. სისხლისსამართლებრივი დევნა, თავის მხრივ, მართლმსაჯულების განხორციელების წინა ეტაპია, ამიტომ განიხილება ის პროკურატურის პრიორიტეტულ ფუნქციად. სისხლისსამართლებრივი დევნა საბოლოო ჯამში განსაზღვრავს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის შესაძლებლობასა და, შესაბამისად, მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხს.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას საფუძვლად უძევს დანაშაულებრივი ფაქტი, რომელსაც თან ახლავს სხვა პირის ინტერესების ხელყოფა. შესაბამისად, სისხლის სამართლებრივი დევნა მოიცავს დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირის პასუხისმგებლობას სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე. ინტერესთა ოპტიმალური და მიზანშეწონილი დაკმაყოფილება სწორედ ნებისმიერი სახელმწიფოებრივი ქმედების საფუძველია. სისხლისსამართლებრივი დევნის უმთავრესი პრინციპიც საბოლოოდ ინტერესთა გონივრულ დაკმაყოფილებაშია. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სისხლისსამართლებრივი დევნის საკანონმდებლო რეგლამენტირების განალიზება – რამდენად უზრუნველყოფს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებები ინტერესთა დაბალანსებას. 2009 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ სრულიად შეიცვალა და ახლებურად ჩამოყალიბდა სისხლისსამართლებრივი დევნის პრინციპები, გაუქმდა დევნის სხვადასხვა სახე და განისაზღვრა საჯარო დევნა პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებით, რომლის სახელმძღვანელო პრინციპებიც ცალკე ნორმატიული აქტით დარეგულირდა.

2010 წლის პირველ ოქტომბერს ძალაში შესულმა ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა ბევრი ახალი ნოვაცია შემოიტანა.¹ დისკრეციის პრინციპის რეგლამენტირება მნიშვნელოვანი სიახლეა საქართველოს შიგნსახელმწიფოებრივი სამართლის ჭრილში.

დისკრეციის პრინციპს საერთო სამართლის და კონტინენტური ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა დიდი ხანია იცნობს. არსებობს ორი ძირითადი კონცეფცია, რომელიც ეხება პროკურორის დამოუკიდებლობას ბრალდების მოცულობასა და ბედზე. პირველი დამახასიათებელია კონტინენტური ევროპის ქვეყნებისთვის, სადაც პროკურორი დანაშაულის ნიშნების აღმოჩენისას ვალდებულია აღძრას სისხლის სამართლის საქმე, ჩაატაროს გამოძიება, განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა და მხარი დაუჭიროს ბრალდებას სასამართლოში. მეორე კი საერთო სამართლის ოჯახში შემავალი ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებისთვისაა დამახასიათებელი. აქ პროკურორი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელია და თავად განსაზღვრავს, საკუთარი შეხედულების საფუძველზე, დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, თუ უარი თქვას მის განხორციელებაზე. სისხლისსამართლებრივი დევნის

¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2014 წლის მდგომარეობით).

(ბრალდების) მოცულობას განსაზღვრავს პროკურორი და მასზე სასამართლო კონტროლი არ ხორციელდება.¹

ამ ორ პრინციპს შორის მკაფიო კონტრასტის მიუხედავად, პრაქტიკაში მათ შორის განსხვავება თანდათან იშლება. კერძოდ, ბრიტანეთში, სადაც დისკრეცია ფაქტიურად ტოტალურ ხასიათს ატარებს, დანაშაულთა უმეტესობაზე იწყება სისხლის სამართლის დევნა, ხოლო იქ, სადაც კანონიერების პრინციპს აღიარებენ, სულ უფრო ნაკლები სისხლის სამართლის საქმე შედის სასამართლოში. ექსპერტების გათვლით, დღეს ევროპის ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით, გამოსაძიებელი საქმეების სიმრავლის, ადამიანური თუ მატერიალური რესურსების დაზოგვის, პროცესის მონაწილეთა ემოციური მდგომარეობის შემსუბუქებისა და, ამავე დროს, სასჯელის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ყველა დანაშაულის ფაქტზე დევნის დაწყება კატეგორიულად სავალდებულო აღარ არის, უპირატესობა ენიჭება განრიდების სხვადასხვა ფორმას, იზრდება პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების არეალი, რაც მეტ-ნაკლები მასშტაბით კანონმდებლობებშიც აისახება. ეს უფლებამოსილებები შედარებით ფართოა ნიდერლანდებსა და საფრანგეთში, ხოლო ნაკლებია გერმანიასა და იტალიაში.²

დისკრეციული უფლებამოსილების გამართლება ზოგადად ეფუძნება იმას, რომ გარკვეული საკითხების წინასწარი განჭვრეტა კანონის მიღებისას ხშირად შეუძლებელია. ასევე შეუძლებელია, სამართლის ზოგადი ნორმების მიღებით, წინასწარ ყველაფერი სრულყოფილად და სწორად იქნეს გაგებული, ამის გამო კანონმდებელი ანიჭებს უფლებამოსილ პირს დისკრეციას – მისივე საზღვრების დადგენით მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილება საქმის ცალკეული გარემოებების გათვალისწინებით.³

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, “სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებათაა”. ამავე კოდექსის 167-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიანთ).⁴

თუ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებათაა და ამასთან დევნა შეიძლება დაიწყოს პირის დაკავებისთანავე, მაგალითად, დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირმა დანაშაულის ჩადენისას პირს წაასწრო და დააკავა, რაც სამართლებრივად ნიშნავს დევნის დაწყებას დაკავების მომენტიდან, მაშინ აღნიშნული, ერთი მხრივ, ეწინააღმდეგება სისხლისსამართლებრივი დევნის ინსტიტუტის კონცეპტუალურ საფუძველს (სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებათაა), თუმცა, მეორე მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არის მხოლოდ პროკურორის ფუნქცია, ვინაიდან შესაბამის პირს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეუძლია დააკავოს დამნაშავე, მაგრამ დაკავებული პირისადმი ბრალდების წარდგენის საკითხს ან/და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 176-ე მუხლით დადგენილი წესით დაკავებულის გათავისუფლების

¹ გ. აბაშიძე. პროკურორი გამოძიების სტადიაზე. თბილისი: უნივერსალი, (2012). გვ. 83-84.

² 24 საათი (2013 წლის 5 ივნისი). From <http://24saati.ge/index.php/category/news/2011-09-10/19787>.

³ Reinhold Zepelius: “juristische methodenlehre” 10 Auflage Munchen 2006, 78

⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2014 წლის მდგომარეობით).

საკითხს დაკავების მომენტიდან 48 საათში წყვეტს პროკურორი. ამდენად, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება პროკურორზეა დამოკიდებული.

მეცნიერებაში არსებობს მოსაზრება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყება ყოველთვის წინ უსწრებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, რასაც ვერ დავეთანხმებით, რადგან შესაძლებელია დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირმა დანაშაულის ჩადენისას წაასწროს დამნაშავეს და დააკავოს ამ მომენტში, ხოლო შემდგომ უზრუნველყოს მისი უახლოეს სამართალდამცავ ორგანოში გადაყვანა და შესაბამისი საპროცესო დოკუმენტის შედგენა. ამდენად, დგინდება, რომ დაკავების მომენტიდან სახეზე გვაქვს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, ხოლო გამოძიების დაწყება დაკავების შემდგომ ხდება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა ანუ პროკურორის მიერ დევნის განხორციელება არ არის სავალდებულო ხასიათის და ეს სახელმწიფოს უფლებად რჩება, აღნიშნულს სამართლებრივად არანაირი კავშირი არა აქვს დაზარალებულის შეხედულებაზე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს პროკურორის უარი დევნის დაწყებაზე გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან.

საინტერესო მიდგომას აყალიბებს ძველი სსსკ კერძო ბრალდების საქმესთან დაკავშირებით, სადაც დაზარალებული კერძო ბრალმძებლად გვევლინებოდა. დევნა დაზარალებულის საჩივრით იწყებოდა და მისივე ნების საფუძველზე ხდებოდა დევნის შეწყვეტაც. რადგან ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სამოქმედო პრინციპებში მოიაზრებს პირთა კანონიერი ინტერესების დაცვას, ის თავისთავად შეიცავს დაზარალებულის მაღალი ხარისხით პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას.¹

2010 წლის პირველ ოქტომბრამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა განსაზღვრული იყო რამდენიმე სახით: საჯარო, კერძო-საჯარო, სუბსიდიური და კერძო სისხლისსამართლებრივი. ახალი საპროცესო კოდექსის თანახმად კი სისხლისსამართლებრივი დევნა იყო მხოლოდ საჯარო, რაც რეგულირებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.²

აღნიშნული ბრძანებით პროკურორი სისხლის სამართლის პოლიტიკის შესაბამისად ახორციელებს სახელმწიფოებრივ ფუნქციას, ეს არის მაღალი ხარისხის სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება, რაც მოიცავს: დამნაშავეთა წარდგენას მართლმსაჯულების წინაშე, დანაშაულის შემცირებასა და საზოგადოებაში დანაშაულის მიმართ შიშის აღმოფხვრას, დანაშაულთან დაკავშირებული სოციალური დანაკარგებისა და ეკონომიკური ხარჯების შემცირებას, საზოგადოებაში კანონის უზენაესობის რწმენის განმტკიცებას.

ამ ბრძანებით განმარტებულია, როდის და რა გარემოების არსებობისას უნდა მიიღოს პროკურორმა გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შესახებ.

სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება დაიწყოს, თუ: ა) სახეზეა დანაშაულებრივი ქმედება; ბ) შეკრებილია მტკიცებულებები, რაც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია კონკრეტული პირის მიერ.

¹ გ. თუმანიშვილი. დაზარალებული თანამედრივე სისხლის საპროცესო სამართლაში. მართლმსაჯულების მაცნე, 2009 წ., №2.

² იუსტიციის მინისტრის 2010 წ. 8 ოქტომბრის ბრძანება “სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“.

პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში დადგენილი პრინციპების გათვალისწინებით, საკუთარი შეხედულებისამებრ, უნდა გადაწყვიტოს, რამდენად არის მიზანშეწონილი დევნის დაწყება კონკრეტულ შემთხვევაში.

პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი ორი ტესტით: მტკიცებულებითი და საჯარო ინტერესის ტესტით, რომლებიც ერთობლიობაში ქმნის ე.წ. სრულ ტესტს. მხოლოდ სრული ტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში პროკურორმა უნდა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა. ამასთან, ორივე ტესტი შეფასებითია, რაც პროკურორის მხრიდან განსაკუთრებულად ფრთხილ მიდგომას საჭიროებს.

გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ მიღებული უნდა იქნეს მხოლოდ სრული ტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში. კერძოდ, როცა:

ა) საქმეში არსებული მტკიცებულებები ქმნის საკმარის საფუძველს სასამართლოში მსჯავრდების რეალური პერსპექტივისათვის – მტკიცებულებითი ტესტი;

ბ) სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება საჯარო ინტერესით არის ნაკარნახევი – საჯარო ინტერესის ტესტი.

მტკიცებულებითი ტესტი შემდეგ ელემენტებს მოიაზრებს:

პროკურორმა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ არ არსებობს კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდი ან, თუ ნაკლებად მოსალოდნელია პირის ბრალეულობის დადასტურება სასამართლოს მიერ. გასათვალისწინებელია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას არ არის აუცილებელი პროკურორს ყველა ის მტკიცებულება ჰქონდეს ხელთ, რომელთა გამოყენებასაც სასამართლო განხილვაზე გეგმავს. საკმარისია, პროკურორი დარწმუნებული იყოს, რომ სასამართლო განხილვის სტადიაზე მას ხელთ ექნება კანონიერი გზით მოპოვებული მტკიცებულებები, რაც საკმარისი იქნება პირის ბრალეულობის დასაბუთებლად. პირის მსჯავრდებას პროკურორი ასაბუთებს მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე. ამ ეტაპზე პროკურორმა ასევე უნდა გაითვალისწინოს დაცვის მხარის არგუმენტები და ის, თუ რა ეფექტი შეიძლება მოახდინოს მან ბრალდების დასაბუთებაზე.

საჯარო ინტერესის ტესტი მოიაზრებს შემდეგ ელემენტებს: მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, მაშინაც კი, როდესაც მტკიცებულებითი ტესტი დაკმაყოფილებულია, პროკურორმა არ უნდა დაიწყოს დევნა, თუ დევნის დაწყება საჯარო ინტერესს ეწინააღმდეგება.

პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების არსებითი ნაწილია იმის გარკვევა, თუ რამდენად ემსახურება დევნის დაწყება არსებით საჯარო ინტერესს. პროკურორმა უნდა გააანალიზოს, არის თუ არა საჯარო ინტერესში დევნის დაწყება და დევნა არ უნდა დაიწყოს მაშინ, როცა დევნის საწინააღმდეგო საჯარო ინტერესი აშკარად გადაწონის პირის დასჯის ინტერესს. საჯარო ინტერესის განსაზღვრა უნდა მოხდეს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ქვემოთ მოყვანილია არასრული ჩამონათვალი იმ გარემოებებისა, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს პროკურორმა გადაწყვეტილების მიღებისას. აღნიშნული ჩამონათვალი არ იძლევა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების ზუსტ ფორმულას, თუმცა მათი გათვალისწინება არსებითია სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დევნის დაწყების გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს სხვადასხვა ინდივიდუალური ფაქტორის შეფასებასა და დასკვნებს.

საჯარო ინტერესის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია მრავალი სხვადასხვა გარემოება, მათ შორის:

ა) სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები – სახელმწიფოს რესურსი არ არის საკმარისი ყველა დანაშაულის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად. სწორედ შეზღუდული რესურსების ეფექტურად გამოყენების მიზნით განისაზღვრება სისხლის სამართლის პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც გამოძიებისა და დევნის ორგანოთა მხრიდან მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებასა და რეაგირებას. შესაბამისად, საჯარო ინტერესის განსაზღვრისას პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს, რამდენად პრიორიტეტულია სახელმწიფოსათვის კონკრეტული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნა.

ბ) დანაშაულის ბუნება და სიმძიმე – სახელმწიფო რესურსი ნაკლებად იხარჯება მცირე მნიშვნელობის დანაშაულთა სისხლისსამართლებრივ დევნაზე. აქედან გამომდინარე, პროკურორმა უნდა გააანალიზოს დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი. დაადგინოს, რამდენად შეესაბამება საჯარო ინტერესს დევნის დაწყება კონკრეტულ დანაშაულზე. დანაშაულის გავლენა საზოგადოებაზე სხვადასხვა კრიტერიუმის საფუძველზე უნდა შეფასდეს. პროკურორმა მხედველობაში უნდა მიიღოს საზოგადოებისადმი მიყენებული ეკონომიკური ზიანი, მოქალაქისადმი ან საჯარო ქონებისადმი მიყენებული ზიანი, წესრიგის დარღვევის ხარისხი და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები.

დაზარალებულზე ზეგავლენის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ეკონომიკური, ფიზიკური და ფსიქიკური ფაქტორები. აუცილებელია დაზარალებულის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის და სხვა მახასიათებლების მხედველობაში მიღება. გასათვალისწინებელია აგრეთვე ზიანის ანაზღაურების ფაქტორი.

გ) სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა – სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია დანაშაულის პრევენცია. პროკურორმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს ფაქტორი გადაწყვეტილების მიღებისას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მსუბუქ დანაშაულთან გვაქვს საქმე. მნიშვნელოვანია, რომ პროკურორმა გაითვალისწინოს, თუ რამდენად მიღწევადია სასჯელის მიზნები სისხლისსამართლებრივი დევნის გარეშე.

დ) პირის ბრალეულობის ხარისხი – მაშინაც კი, როდესაც პროკურორს საკმარისი მტკიცებულებები აქვს პირის ბრალეულობის დასამტკიცებლად, აუცილებელია, რომ მან შეაფასოს ბრალის ხარისხი დანაშაულის სხვა მონაწილეების ბრალთან მიმართებით. შესაძლებელია, დანაშაულის თანამონაწილის ბრალის ხარისხისა და მოტივის გათვალისწინებით, პროკურორმა მართებულად ჩათვალოს სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის თქმა.

ე) პირის კრიმინალური წარსული – დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს პირის დანაშაულებრივი წარსული. თუ პირი ნასამართლეოა ან არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ მან წარსულში ჩაიდინა დანაშაული, უნდა დაადგინოს – რა დანაშაულები აქვს პირს ჩადენილი და როდის, აგრეთვე რა კავშირი აქვს აღნიშნულ დანაშაულებს კონკრეტულ საქმესთან.

ვ) გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი – ბრალდებულის სუბიექტური დამოკიდებულება, კერძოდ მისი თანამშრომლობის სურვილი გამოძიებასთან, კიდევ ერთი საყურადღებო გარემოებაა. ასევე, გასათვალისწინებელია, უთანამშრომლია თუ არა ამ პირს სამართალდამცავ ორგანოებთან. თავისთავად პირის სურვილი, ითანამშრომლოს სამართალდამცავ ორგანოებთან, არ არის გადამწყვეტი.

ზ) პიროვნული მახასიათებლები – მნიშვნელოვანია დევნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. პირის ასაკის ან მისი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, პროკურორმა შეიძლება მიიჩნიოს, რომ დევნის დაწყება არ არის მიზანშეწონი-

ლი. მაგალითად, როდესაც არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული და, არასრულწლოვანის ჭკმში ინტერესებიდან გამომდინარე, არ არის მიზანშეწონილი დევნის განხორციელება.

თ) მოსალოდნელი სასჯელი მსჯავრდების შემთხვევაში ან სხვა შედეგი – საჯარო ინტერესის შეფასებისას პროკურორმა უნდა გათვალისწინოს სისხლისსამართლებრივი დევნის შესაძლო შედეგები და საგარეულო სასჯელის ღონისძიება. ასევე უნდა განსაზღვროს, რამდენად შეესაბამება დევნის განხორციელებისთვის საჭირო დრო და რესურსი პირის პასუხისგებაში მიცემის ინტერესს. თუ პირი უკვე მსჯავრდებულია და იხდის სასჯელს, პროკურორმა უნდა დაადგინოს, რამდენად მიზანშეწონილია ახალი დანაშაულისთვის მისი პასუხისგებაში ხელახლა მიცემა.

ზემოაღნიშნული გარემოებანი არ არის ამომწურავი. არსებობს განმსაზღვრელი ფაქტორები, რომელთა განხილვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჯარო ინტერესის შეფასებისას, თუმცა არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომელთაც არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა და გავლენა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებაზე. ეს არის გამოძიებაზე დახარჯული დრო და რესურსი. გამოძიების პროცესში დახარჯული ყველაზე დიდი რესურსიც კი არ შეიძლება გახდეს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი, თუ სახეზეა დანაშაული, რომლის სისხლისსამართლებრივი დევნა საჯარო ინტერესის გათვალისწინებით არ არის გამართლებული.

აღნიშნული ბრძანების თანახმად, გარემოებები, რომლებიც მიუთითებს სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანშეწონილობაზე:

1. ჩადენილი დანაშაული გავრცელებულია კონკრეტულ რეგიონში და სისტემატურ ხასიათის ატარებს;

2. სახეზეა განსაკუთრებით საშიში დანაშაული;

3. სისხლისსამართლებრივ დევნას პოზიტიური გავლენა ექნება მართლმსაჯულების სისტემისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებაზე;

4. დანაშაული ჩადენილ იქნა საზოგადოების სამსახურში მყოფი პირის მიმართ;

5. დანაშაული ჩადენილია ჯგუფურად;

6. დანაშაულის ჩადენა დაკავშირებულია სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობასთან;

7. დანაშაული ჩადენილია დისკრიმინაციული მოტივით;

8. დანაშაული ჩადენილია სხვა უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის მიზნით;

9. დანაშაული ჩადენილია მოწყვლადი პირის მიმართ.

გარემოებები, რომლებიც მიუთითებს სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანშეწონილობაზე:

– სასჯელის მიზნები შესაძლოა მიღწეულ იქნეს სისხლისსამართლებრივი დევნის გარეშე;

– მიყენებული ზიანი უმნიშვნელოა;

– პირმა აუნაზღაურა დაზარალებულს დანაკარგი ან მიყენებული ზიანი;

– დანაშაულის ჩადენასა და სასამართლო განხილვას შორის არსებობს დროის ხანგრძლივი მონაკვეთი (გარდა ზოგიერთი შემთხვევისა, თუ მაგ., დანაშაული მძიმეა);

– პირის როლი უმნიშვნელოა დანაშაულის ჩადენაში.

მიგვაჩნია, რომ ჩამოთვლილი პრინციპები და ფაქტორები არ არის ამომწურავი გადაწყვეტილების მისაღებად იმის შესახებ, თუ რამდენად შედის დევნის განხორციელება

საჯარო ინტერესში. ამისათვის საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის დამახასიათებელი თავისებურებები.

დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც აღვნიშნეთ, დიდი ხანია მოქმედებს სხვა სახელმწიფოთა პრაქტიკაში, თუმცა ქართული მოდელი მათგან საკმაოდ განსხვავდება. შესაბამისად, საინტერესოა საზღვარგარეთის პრაქტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით.

ინგლისის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა განსაკუთრებით სერიოზული მნიშვნელობის საქმეებზე (მაგ., ოფიციალური საიდუმლოების დარღვევა) დევნის აღძვრის წინაპირობად ითხოვს გვირგვინის ერთ-ერთი სამართლებრივი მოხელის თანხმობას. ამავე დროს ინგლისის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სისხლის სამართლის საქმეებზე დევნის შეწყვეტის სამ შესაძლებლობას იცნობს: 1. როდესაც იურიდიულად დევნა შეუძლებელია; 2. როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნა ფაქტობრივად შეუძლებელია; 3. როდესაც პოლიციამ გახსნა დანაშაული, მაგრამ არამიზანშეწონილად თვლის პირის პასუხისგებაში მიცემას. ამავე დროს დევნის შეწყვეტა-წარმოების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ბრალმდებელმა მხედველობაში უნდა მიიღოს საჯარო ინტერესი. დადგენილი წესის თანახმად, ინგლისში დანაშაულებრივი ქმედება ავტომატურად არ იწვევს სისხლისსამართლებრივ დევნას და გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება საჯარო მორალი და წესრიგი, ასევე ნებისმიერი სხვა მოსაზრება, რაც დაკავშირებული იქნება სახელმწიფო პოლიტიკასთან.¹

დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს რესპუბლიკის პროკურორის უფლებამოსილებას დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულის ჩამდენის მიმართ. დისკრეციული უფლებამოსილება შეზღუდულია და არ გამოიყენება მძიმე დანაშაულის შემთხვევაში. ასევე, იმ პირის მიმართ, რომლის მიმართაც ადრე გამოყენებული იყო დისკრეციული უფლებამოსილება. ფრანგული კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს დაზარალებულის უფლებას – სასამართლოში გაასაჩივროს პროკურორის გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.²

გერმანიის კანონმდებლობა ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ დევნაზე პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებას. თუმცა, ზოგიერთი კატეგორიის დანაშაულთა დევნის დროს (სადაც დევნამ შეიძლება სახელმწიფოს ინტერესები დააზიანოს) ბრალმდებელს აქვს შეზღუდული დისკრეციის უფლებამოსილება. ამ შემთხვევაში ბრალმდებელს, ზოგჯერ, კომპეტენტური სასამართლოს თანხმობით შეუძლია უარი თქვას დევნაზე. ამავე დროს, კოდექსი ითვალისწინებს ზოგიერთი წვრილმანი დანაშაულის საქმეებზე კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას. ე.წ. “კერძო ბრალდების” საქმეებზე დევნის წარმოება შეუძლია დაზარალებულს, რა დროსაც ის სარგებლობს საჯარო ბრალმდელის ყველა უფლებამოსილებით.

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ავალდებულებს პროკურორს დისკრეციული გადაწყვეტილების მიღებისას პასუხი გასცეს წერილობით პირს, რომლის განცხადებითაც დაიწყო დევნა. ამავე დროს, განმცხადებელი უფლებამოსილია, პროკურორის უარი გაასაჩივროს სასამართლოში.³

¹ კრისტინე ვან დენ ვინგაერტი. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები. თბ., 2002 წ., გვ. 118.

² იხ. შენიშენა №8.

³ გ. მეფარიშვილი, ი. ჩხეიძე. დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით. თსუ-ის შრომები, 2010 წ., №3.

ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსითაც დევნას პროკურორი აწარმოებს. ეს ფუნქცია მას კონსტიტუციით აქვს მინიჭებული, მაგრამ უფრო დეტალურად რეგულირდება კანონით "პროკურატურის შესახებ". მნიშვნელოვანი თავისებურება არის ის, რომ ესპანეთის კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივი დევნა საზოგადოების ნებისმიერმა წევრმა შეიძლება წამოიწიოს. ეს მარტო პროკურატურის ფუნქცია არ არის. შესაბამისად, ესპანეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს დაზარალებულის ინტერესების მაღალ დონეზე დაცვას.¹

პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება ახალია. ამ ქვეყნებიდან სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც პროკურატურის ფუნქცია, ერთ-ერთმა პირველმა ლიტვის რესპუბლიკამ დააწესა, 1990 წლის კანონით "ლიტვის რესპუბლიკის პროკურატურის შესახებ", რომლის მიხედვითაც, პროკურატურის მოვალეობებში შედის დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.²

შედარებითი ანალიზის საფუძველი საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნის ქართული ვერსია განსხვავებულია. არც ერთი სახელმწიფო, სადაც ეს პრინციპი მოქმედებს არ იცნობს მის "აბსოლუტურ" ხასიათს. ზოგიერთი ქვეყანა მას მხოლოდ გარკვეული კატეგორიის დანაშაულებისას იყენებს. ამავე დროს, მხედველობაში აქვს დაზარალებულის სტატუსი და შეიცავს მისი ინტერესების ბალანსის საკმაოდ მაღალ კრიტერიუმებს.

ვინაიდან დანაშაულისგან აბსოლუტური დაცვა შეუძლებელია, სახელმწიფო მოქალაქეს ვერ მისცემს იმის გარანტიას, რომ იგი დანაშაულის მსხვერპლი არასდროს გახდება. ამიტომ, თუ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფომ ვერ შეძლო კრიმინალური ქმედებისაგან მოქალაქის დაცვა, მან უნდა იზრუნოს, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს იმ ზიანის შესაძლებლობა, რაც დანაშაულის მსხვერპლს სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებული სამართლებრივი ღონისძიების შედეგად შეიძლება მიაღწეს.

აღსანიშნავია, რომ ავტორთა ერთი ნაწილი დისკრეციული პრინციპის ქართული ვერსიის განმარტებისას მიუთითებს, რომ "სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტისას პროკურორი უნდა სარგებლობდეს არა დისკრეციული უფლებამოსილებით, არამედ კანონით".³

მიგვაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული პიროვნების ძირითადი უფლებების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია კონკრეტული დასკვნების გაკეთება, დანაშაულის მსხვერპლის სისხლის სამართლის ინტერესების საჯაროსამართლებრივი დევნის დროს გათვალისწინებისათვის, რადგან დაზარალებულის მხრიდან დისკრეციის პრინციპი გულისხმობს სამართლიანობის ერთგვარ მინდობას სისხლისსამართლებრივი დევნის განმხორციელებელი ორგანოსადმი. დაზარალებულს უნდა ჰქონდეს მათი ქმედების შეფასების რაც შეიძლება ეფექტური შესაძლებლობა, ხოლო, თუ სასამართლო კონტროლის დაწესება სისტემურ პრობლემას ქმნის, პროკურატურის სისტემური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფასთან ერთად უნდა გაუმჯობესდეს დაზარალებულის საპროცესო მდგომარეობა.

¹ კრისტინე ვან დენ ვინგაერტი. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები. თბ., 2002 წ. გვ. 131.

² Законы о прокуратуре в странах СНГ и Балтии. М., 1995 с. 22.

³ მ. ლომსაძე. სისხლის სამართლის პროცესი. თბილისი, 2010 წ., გვ. 45.

პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება

სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციული ხასიათი არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის ახალი სახე, პირიქით წარმატებით მოქმედებს სხვადასხვა განვითარებულ ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ ამ ინსტიტუტის ქართულ ნოვაციურ რეგულირებას სხვადასხვა პრობლემური მხარე აქვს, განსაკუთრებით დაზარალებულის საპროცესო სტატუსთან მიმართებაში. დისკრეციული დევნის პრინციპით, დაზარალებული „საჯარო ინტერესის“ მსხვერპლი ხდება და პრიორიტეტულად უთმობს გზას წინასწარ განსაზღვრულ პრინციპებზე დაფუძნებულ სუბიექტურ დამოკიდებულებებს, მაშინ, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნა, პირველ რიგში, გულისხმობს დამნაშავეის მორალურ და სამართლებრივ კონფისკაციას დაზარალებულის სასარგებლოდ.

გარდა დაზარალებულის საპროცესო სტატუსთან შეუთავსებლობისა, დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნა პირდაპირ უკავშირდება სასჯელის გარდაუვალობის პრინციპს და, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება მას. ხშირ შემთხვევაში, სასჯელის გარდაუვალობის პრინციპის უგულებელყოფა სისხლის სამართლის ნორმათა საკანონმდებლო ინფლაციას იწვევს.

აღსანიშნავია, რომ დისკრეციული პრინციპის გამოყენება დღითიდღე უფრო აქტუალური ხდება, მის საფუძველზე კოდექსში შემოვიდა დევნის ალტერნატიული მექანიზმები, რომლებიც იმთავითვე დისკრეციის პრინციპზე დაყრდნობით მოქმედებს. აუცილებელია განისაზღვროს, რამდენად გამართლებულია დისკრეციული დევნის ქართული ვერსია და მის საფუძველზე დაზარალებულის სტატუსის ერთგვარი დისკრედიტირება, რამდენად უზრუნველყოფს ის ინტერესთა ბალანსსა და სისხლისსამართლებრივი დევნის იდეის გატარებას.

JOSEPH KHUTSISHVILI,
PHD student

DISCRETIONARY AUTHORITIES OF THE PROSECUTOR

Discretionary nature of criminal prosecution, in its turn, is not a new kind of criminal prosecution; on the contrary, it successfully acts in different advanced countries. Though, it should be noted, that innovative regulation of this institution in Georgia has various problem points, especially in regard to procedural status of injured person (complainant). According to the principle of discretionary prosecution, an injured person becomes the victim of “public interest” and with the highest priority gets out of the way of subjective dependencies, which are based on preliminary determined principles, while criminal prosecution first of all implies moral and judicial confiscation of criminal in favor of injured person.

Apart from inconsistency of injured person to procedural status, discretionary criminal prosecution is in direct relation with the principle of imminence of punishment and, in its turn, contradicts to it. Neglect of principle of imminence of punishment frequently causes legislative inflation of criminal norms.

It should be noted, that application of discretionary principle becomes more and more topical every day and on its basis alternative mechanisms of prosecution, which initially act on the basis of discretion principle, have been included in the Code. Proceeding from the topicality of issue, main goal of the work is determination of how sensible and justified is the Georgian version of discretionary prosecution and the defined discredit of complainant's status on its basis, how it guarantees the balance of interests and carrying out of idea of criminal prosecution.

ИОСИФ ХУЦИШВИЛИ,

докторант права

ДИСКРЕЦИОННЫЕ ПОЛНОМОЧИЯ ПРОКУРОРА

Дискреционный характер уголовного преследования, в свою очередь, не является новым видом уголовного преследования, наоборот, он с успехом действует в различных развитых странах. Впрочем, необходимо отметить, что новационное регулирование этого института в Грузии имеет разные проблемные стороны, особенно в отношении процессуального статуса потерпевшего. Согласно принципу дискреционного преследования потерпевший становится жертвой «общественного интереса» и приоритетно уступает дорогу субъективным зависимостям, основанным на предварительно определенных принципах, в то время как уголовное преследование в первую очередь подразумевает моральную и правовую конфискацию преступника в пользу потерпевшего.

Помимо несоответствия потерпевшего процессуальному статусу, дискреционное уголовное преследование прямо связано с принципом неизбежности наказания и, в свою очередь, противоречит ему. Пренебрежение принципом неизбежности наказания в частых случаях вызывает законодательную инфляцию уголовных норм.

Необходимо отметить, что использование дискреционного принципа с каждым днем становится все более актуальным, на его основе в кодекс были введены альтернативные механизмы преследования, которые изначально действуют на основе принципа дискреции. Исходя из актуальности вопроса, основной целью работы является определение того, насколько разумна и оправдана грузинская версия дискреционного преследования и определенная дискредитация статуса потерпевшего на его основе, насколько она обеспечивает баланс интересов и проведение в жизнь идеи уголовного преследования.

**პროკურორის შესავალი სიტყვა,
მისი სტრუქტურა და მნიშვნელობა**

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს, რომ საქმის არსებითი განხილვის დროს, სანამ დაიწყება სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევა, ბრალდების და დაცვის მხარე წარადგენენ შესავალ სიტყვებს. სხდომის თავმჯდომარე პირველად ბრალდების მხარეს უფლებას აძლევს წარადგინოს შესავალი სიტყვა. შემდეგ ადვოკატსა და ბრალდებულს ეძლევათ აღნიშნული უფლება. სხდომის თავმჯდომარე მხარეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას შესავალი სიტყვის წარსადგენად.

ბრალდების მხარის შესავალი სიტყვა მეტად მნიშვნელოვანია საქმის სასამართლოში წარდგენისას და პროკურორს დიდი ყურადღება მართებს მისი სწორად შედგენისათვის. დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გარკვეული კატეგორიის საქმეებზე ითვალისწინებს ნაფიცი მსაჯულთა მონაწილეობას სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვისას. ამ დროს მოსამართლე მხოლოდ არბიტრის ფუნქციას ასრულებს და საქმეზე გადაწყვეტილებას ნაფიცი მსაჯულები იღებენ.

როცა საქმეს ნაფიცი მსაჯულები იხილავენ, პროკურორს კიდევ უფრო მეტი მუშაობა მოუწევს შესავალი სიტყვის სრულყოფისათვის, რადგან ნაფიცი მსაჯულები სხვადასხვა პროფესიის (აუცილებლად არაიურისტი) ადამიანები არიან და მათთვის შესაძლოა გაუგებარი იყოს პროკურორის მიერ დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული მსჯელობა და საქმეში არსებული სხვა საკითხები. აქედან გამომდინარე, ბრალდების მხარემ შესავალი სიტყვა, თუ საქმეს ნაფიცი მსაჯულები იხილავენ, გარდა იმისა, რომ იურიდიულად უნდა გამართოს, ასევე ყველასათვის გასაგები ენით უნდა ჩამოაყალიბოს. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ თუნდაც პროცესში არ მონაწილეობდნენ ნაფიცი მსაჯულები, იქიდან გამომდინარე, რომ, როგორც წესი, პროცესი საჯაროა, მას ესწრებიან როგორც ბრალდებულის, ისე დაზარალებული მხარის წარმომადგენლები. ეს ადამიანებიც სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენის და პროფესიის არიან. მათი ნდობის მოპოვება ასევე მნიშვნელოვანია ბრალდების მხარისათვის, რადგან თითოეული საქმე პროკურატურის სისტემაზე, მის სიძლიერეზე, სამართლიანობასა და დამოუკიდებლობაზე ქმნის საზოგადოებრივ აზრს.

კვლევებმა ცხადყო, რომ მსაჯულები გადაწყვეტილებას, მხარი დაუჭირონ გამამტყუნებელ თუ გამამართლებელ ვერდიქტს, იღებენ შესავალი სიტყვების მოსმენის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ შესავალი სიტყვების მოსმენის შემდეგ ადამიანი მისი ბუნებიდან გამომდინარე წყვეტს მიემხროს რომელიმე მხარეს ან მათ მიმართ დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება ჩამოაყალიბოს.¹ ეს ფაქტი მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შემთხვევაშიც იმგვარადვე მოქმედებს. შესავალი სიტყვების წარმოდგენისას ნაფიცი მსაჯულების თავდაპირველი დამოკიდებულება პროკურორის მიმართ საქმის განხილვის

¹ჯარედ კიმბოლი. სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერის დამხმარე სახელმძღვანელო. 2010, გვ. 15.

დასრულებამდე შენარჩუნდება. იმ შემთხვევაში, თუ პროკურორი მოუმზადებელი იქნება, ხოლო სიტყვა არაორგანიზებული და არათანამიმდევრული, მსაჯულები ასეთივე წარმოდგენით მოეკიდებიან საქმის განხილვას. ასევე, თუ მოსამართლე ერთპიროვნულად იხილავს საქმეს, თავიდანვე იმგვარადვე განეწყობა დადებითად ან უარყოფითად პროკურორის მიმართ. შესაბამისად, თუ სახელმწიფო ბრალმდებელი წარმოთქვამს ძლიერ და დამაჯერებელ შესავალ სიტყვას, სავარაუდოდ ისინი (როგორც მსაჯულები, ისე მოსამართლე) მეტ ყურადღებას გამოიჩენენ ბრალდების მხარის მოთხოვნის მიმართ და მეტად მოექცევიან პროკურორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გავლენის ქვეშ.¹

პროკურორის ტრიბუნა სასამართლოში საქმის განხილვისას, დამნაშავეის დასჯის კანონიერი მოთხოვნა ნიშნავს სახელმწიფო ნების გამოხატულებას. დამაჯერებელი, სამართლიანი, ღრმად გაანალიზებული საბრალდებო თეზისების წარმოჩენით სახელმწიფო ბრალმდებლის სიტყვა ეხმარება სასამართლოს კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის გამოტანაში, რითაც ხელს უწყობს მართლმსაჯულების განხორციელებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბრალდებო სიტყვა დღეს, როცა მოქმედებს მხარეთა შეჯიბრებითობის სისტემა და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებას მოსამართლე მხოლოდ მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებებს საფუძველზე იღებს. სრულიად ვიზიარებთ საბრალდებო სიტყვის მნიშვნელობის შესახებ პ. კობალაძის აზრს.

„საბრალდებო სიტყვის აუცილებელი ატრიბუტი – საქმის ღრმა იურიდიული და ფსიქოლოგიური ანალიზი, დარწმუნება, დასაბუთებულობა, უნაკლო ლოგიკური მსჯელობა და ზნეობრივ-ეთიკური ნორმების დაცვა ქმნის განსასჯელის მორალური გასამართლების ატმოსფეროს, ხელს უწყობს დანაშაულის პროფილაქტიკას და, შესაბამისად, უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს.“

არც დღეს მოქმედი და არც ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს პროკურორის საბრალდებო სიტყვის სტრუქტურას. ვთვლით, რომ საქმის წარმატებით დაწყების და დასრულების, ასევე შესავალი სიტყვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, უნდა იყოს განსაზღვრული სტრუქტურა და პროკურორი ვალდებულია დაიცვას იგი, თუნდაც მცირე, მაგრამ სტრუქტურული საბრალდებო სიტყვა წარადგინოს თითოეულ სისხლის სამართლის საქმეზე.

მ. სტროგოვიჩი თვლიდა, რომ საბრალდებო სიტყვა უნდა მოიცავდეს სამ ძირითად ელემენტს: 1. საქმის საზოგადოებრივ-პოლიტიკური დახასიათება; 2. სასამართლო გამოძიებისას დადგენილი ფაქტიური მონაცემების ანალიზი, შემოწმებული მტკიცებულებების განხილვა; 3. დანაშაულის კვალიფიკაცია და სასჯელის ზომის მითითება.

ჩვენი შეხედულებით, შესავალი სიტყვის სტრუქტურა უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: 1. შესავალი; 2. საქმის შინაარსი; 3. მტკიცებულებების შეფასება; 4. დანაშაულის კვალიფიკაცია; 5. ბრალდებულის პიროვნების დახასიათება; 6. დანაშაულის ჩადენის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების ანალიზი; 7. ვერდიქტის მოთხოვნა.

საბრალდებო სიტყვის შესავალში ბრალდების მხარე იძლევა კონკრეტული დანაშაულის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეფასებას, ყურადღებას ამახვილებს მის სოციალურ საშიშროებაზე, დანაშაულის მნიშვნელობაზე მოცემულ პირობებში და ა.შ. დღევანდელი

¹ჯარედ კიმბოლი. სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერის დამხმარე სახელმძღვანელო. 2010, გვ. 16.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთ პრინციპად ითვალისწინებს სხდომის საჯაროობას. კერძოდ, სსსკ-ის მე-10 მუხლის შესაბამისად, სასამართლო სხდომა, როგორც წესი, ტარდება საჯაროდ და ზეპირად. სხდომის დახურვა დასაშვებია მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. შესაბამისად, სასამართლო პროცესს ესწრებიან ბრალდებულის და დაზარალებულის ახლობლები. ამ ადამიანებს შესაძლოა არ ჰქონდეთ არავითარი ცოდნა იურიდიულ საკითხებში და მათთვის გაუგებარი იყოს, რას ლაპარაკობს პროკურორი და რატომ სდებს ბრალს დამნაშავეს, რა დანაშაულის ჩადენაში აქვს ბრალი წაყენებული. ე.ი. პროკურორის მუშაობა უნდა იყოს გამჭვირვალე, რათა თითოეულმა პროცესზე დამსწრე პირმა გაიგოს და გაიაზროს რა დანაშაულის საქმე იხილება, ვინ არის ბრალდებული, მისი პიროვნება და ა.შ. ყველა იმ გარემოების შესახებ, რაც თითოეულ მათგანს აინტერესებს.

თუ პროკურორი ვერ წარადგენს ისეთ საბრალდებო სიტყვას, რომელიც როგორც მოსამართლისთვის, ისე საზოგადოებისთვის იქნება გასაგები, ეს უარყოფითად იმოქმედებს არა მხოლოდ პროკურატურის იმიჯზე, ასევე სამართალდამცავი სისტემის მიმართ ნდობის შენარჩუნებაზე. ამ მხრივაც, მნიშვნელობა აქვს საბრალდებო სიტყვის სტრუქტურას, რათა გამოუცდელმა პროკურორმაც კი შეძლოს წარადგინოს ისეთი შესავალი სიტყვა რომელიც ერთნაირად გასაგები და მისაღები იქნება როგორც საზოგადოებისათვის, ისე მოსამართლისათვის.

აუცილებელია, რომ პროკურორი იყოს კორექტული, მაქსიმალურად აკონტროლოს ჟესტები, საუბარი, საუბრის დროს სლენგების და ჟესტების გამოყენება, ასევე საუბრის კილო, მანერა და ა.შ მის მიმართ ნდობა უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ საზოგადოებას და სასამართლოს, არამედ ბრალდებულსაც. ეს უკანასკნელი უნდა დარწმუნდეს, რომ პროკურორის მიერ წარდგენილი ბრალდება შეესაბამება მის მიერ ჩადენილ ქმედებას და სასჯელი, რომელსაც მოითხოვს სახელმწიფო ბრალმდებელი, არის ის სასჯელი, რომელიც ჩადენილი ქმედების პროპორციულია.

პროკურორმა შესავალ სიტყვაში ბრალდებულის მიერ ჩადენილ დანაშაულს უნდა მისცეს სწორი სამართლებრივი და მორალური შეფასება.

საქმის შინაარსის გადმოცემისას პროკურორმა უნდა ისაუბროს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რაც მოხდა კონკრეტულ საქმეში. მან უნდა აღწეროს ის ქმედებები, რომლებმაც დამნაშავე მიიყვანა დანაშაულის ჩადენამდე, გამოძიების ვერსია უნდა გააცნოს სასამართლოს და საზოგადოებას. პროკურორმა უნდა აღადგინოს მომხდარი დანაშაულის სურათი რაც შეიძლება ზუსტად, რასაც შემდგომ, საქმის განხილვისას წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების დროს დაადასტურებს.

მ. სტროგოვიჩი თვლიდა, რომ საბრალდებო სიტყვაში არსებობს მტკიცების პროცესის 3 ძირითადი ეტაპი: 1. თეზისი, რაც უნდა დამტკიცდეს; 2. არგუმენტების და მოსაზრებების მოყვანა; 3. იმის დემონსტრაცია, თუ რატომ ასაბუთებს არგუმენტი თეზისს.

შესავალ სიტყვაში პროკურორმა უნდა ისაუბროს იმ მტკიცებულებების შესახებ, რომლებიც ამყარებს ბრალდებას და იმ მტკიცებულებებზეც, რომლებიც ბრალდებულის უდანაშაულობაზე შეიძლება მიუთითებდეს. ვინაიდან ამ მტკიცებულებებისთვის გვერდის ავლა არა მხოლოდ ასუსტებს საბრალდებო სიტყვის დამაჯერებლობას, არამედ ეწინააღმდეგება ბრალდების მიზანს – საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

თუ საქმე ნაფიცო მსაჯულების მონაწილეობით განიხილება, პროკურორი ვალდებულია, ჩამოთვალოს მის მტკიცებულებებთან დაკავშირებული სისუსტეები, რათა მნიშვნელოვნად განაიარაღოს დაცვის მხარე და შეამციროს გამოვლენილი სისუსტეების გავლენა. მაგალითად, ის, რომ პროკურორს არ გააჩნია დნმ-ის დამადასტურებელი მტკიცებულება ან რომელიმე მოწმე-გამომძიებელმა ვერ დაიცვა საპროცესო მოთხოვნა მტკიცებულებასთან მიმართებით. საკუთარი სისუსტეების დაუფარავად წარმოჩენა ემსახურება პროკურორის სანდოობის და დამაჯერებლობის გაზრდის მიზანსაც როგორც ნაფიცო მსაჯულთა წინაშე, ასევე მოსამართლის თვალში.¹

საბრალდებო სიტყვის აუცილებელი შემადგენელი ელემენტი უნდა იყოს ქმედების კვალიფიკაციის განსაზღვრა. პროკურორმა თეორიულად უნდა დაასაბუთოს, რატომ დაკვალიფიცირდა ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედება კონკრეტული წარდგენილი მუხლით. ვიცით, რომ თუ არ არსებობს შესაბამისი მუხლი, არ არსებობს დანაშაულიც. იგი პროკურორმა უნდა მიუთითოს კონკრეტულ მუხლზე, გაუკეთოს ანალიზი და დაამტკიცოს, რომ ბრალდებულს ბრალი სწორად აქვს წაყენებული.

თუ პროკურორს ექნება ვალდებულება, რომ კვალიფიკაციის სისწორე დაამტკიცოს შესავალ სიტყვაშივე, მაშინ ის იძულებული იქნება გადახედოს შესაბამის ლიტერატურას და თუ მანამდე, ერთი დეტალის მიმართ უყურადღებობის გამო, არასწორად დააკვალიფიცირა პირის ქმედება, საწყის ეტაპზევე მოახდინოს ბრალდების შეცვლა. პროკურორს საკმაოდ დატვირთული რეჟიმი აქვს და იგი საპროცესო ზედამხედველობას უწევს არაერთ საქმეს. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია კვალიფიკაციაში შეცდომის დაშვება, რომელიც უკეთესია გამოსწორდეს სასამართლოში საქმის არსებითად განხილვამდე.

გარკვეული ყურადღება უნდა დაეთმოს ბრალდებულის პიროვნულ დახასიათებას. პროკურორმა უნდა დააფიქსიროს ბრალდებულის როლი ჩადენილ დანაშაულში. უცილებლად უნდა შეეხოს შემამსუბუქებელ ანდა დამამძიმებელ გარემოებებს, თუ ასეთი არსებობს და მოახდინოს მათი რეალური შეფასება.

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს, რომ ჯერ უნდა იქნეს განხილული მხარეთა შუამდგომლობები და შემდეგ მხარეები წარადგენენ შესავალ სიტყვებს. აქედან გამომდინარე, თუ დაცვის მხარე დააყენებს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ, პროკურორი შესავალ სიტყვამდე წარადგენს თავის პოზიციას აღნიშნულზე.

აღსანიშნავია, რომ პროკურორი მომზადებული უნდა იყოს, რათა შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების კანონიერება და სამართლიანობა დაამტკიცოს არსებითი განხილვის პროცესზეც. რადგან ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიება ეფარდება გამოძიების პროცესში, ე. ი. არსებით სხდომაზე, როცა სასამართლოში წარდგენილი იქნება ყველა მტკიცებულება, მათი ნაწილი ცნობილი არ იქნებოდა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების დროს მოსამართლისათვის.

პროკურორი შესავალი სიტყვის მომზადებისას უნდა იცნობდეს ყველა არსებულ მტკიცებულებას სრული მოცულობით. მხარეები მტკიცებულებებს ცვლიან წინასასამართლო სხდომის გამართვამდე 5 დღით ადრე, ხოლო არსებითი სხდომა, სადაც პროკურორი

¹ჯ. კიმბოლი. სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერის დამხმარე სახელმძღვანელო. 2010, გვ. 19-20.

ამბობს შესავალ სიტყვას, ტარდება წინასასამართლო სხდომის დასრულებიდან არაუგვიანეს 14 დღისა. აქედან გამომდინარე, პროკურორს დაახლოებით სამი კვირა აქვს იმისათვის, რომ გაეცნოს დაცვის მხარის მტკიცებულებებსაც, შეისწავლოს და ყველა მტკიცებულების გააზრების საფუძველზე შეადგინოს შესავალი სიტყვა.

პროკურორის თითოეული წინადადება უნდა ემყარებოდეს შესაბამის მტკიცებულებებს. არ იქნება მისასაღმებელი, თუ დაცვის მხარეს შესაძლებლობა მიეცემა, რომ პროკურორს მიუთითოს მისი ნათქვამის სუბიექტურ აღქმაზე.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბრალმდებელი უნდა იყოს სათანადოდ მომზადებული ორატორი. მისი ხმის ტემბრი, ტონი და აქცენტი საუბრისას ჩამოყალიბებული უნდა იყოს. მისი გამოსვლა არა მხოლოდ შესავალი სიტყვის დროს, არამედ პროცესზე მთლიანად უნდა იყოს ადვილად გასაგები ყველასთვის. მნიშვნელოვანია, რომ პროკურორი მთლიანად არ კითხულობს შესავალ სიტყვას, რადგან შეძლოს თვალის კონტაქტის შენარჩუნება მოსამართლესთან (აღნიშნული ნაფიც მსაჯულებთან კიდევ უფრო მნიშვნელოვანია), ასევე არ ტოვებს დაზეპირებულის შთაბეჭდილებას, აკეთებს ინტერვალს შემდგომ თემაზე გადასვლისას, რათა მსმენელს მისცეს შესაძლებლობა, გააზროს მისი ნათქვამი.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის ყურადღება მალე იფანტება, დაახლოებით 30 წუთში ამიტომ პროკურორმა უნდა არეგულიროს მოსამართლის ჩართულობა მის შესავალ სიტყვაში და ამისათვის სხვადასხვა საშუალება გამოიყენოს. თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა იმის საშუალებას, რომ პროკურორის შესავალი სიტყვა გახდეს საინტერესო და ვიზუალურად აღქმადივი კი. ამის შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, არ არსებობდა წლების წინ. თუმცა იმ ფაქტმა, რომ დღეს ვიზუალური ეფექტების გამოყენებაც არის შესაძლებელი, არ უნდა დასწიოს შინაარსის ხარისხი.

ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით საქმის განხილვისას, ყურადღების ფაქტორი, შეიძლება ითქვას, უფრო რთულად დასარეგულირებელია. სხვადასხვა ადამიანს განსხვავებული ყურადღების კონცენტრაციის ინტერვალი აქვს. კვლევათა უმრავლესობამ ცხადყო, რომ საშუალო განვითარების ნაფიცი მსაჯული ყურადღებას ინარჩუნებს 20–30 წუთის განმავლობაში, რის შემდეგაც ყურადღება საგრძნობლად ეფანტება. ამიტომ, პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს ეს ფაქტორი და შეეცადოს, შესავალი სიტყვა ნახევარ საათში ჩაატოს და თუ ვერ შეძლებს, ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები მაინც მიმოიხილოს ამ დროის განმავლობაში. დიდი ყურადღება ექცევა იმას, თუ როგორ დაასრულებს პროკურორი შესავალ სიტყვას. ბოლოს ნათქვამი ფრაზა როგორც მოსამართლეს, ისე ნაფიც მსაჯულებს უფრო უკეთ ამახსოვრდებათ, ვიდრე შუალედში, თუნდაც რამდენჯერმე გამეორებული, ამიტომ შესავალი სიტყვის დასასრული შეძლებისდაგვარად ეფექტური უნდა იყოს.¹

მიგვაჩნია, რომ პროკურორმა ყველა კატეგორიის დანაშაულის საქმეზე შესავალი სიტყვა წერილობით უნდა წარადგინოს სასამართლოს წინაშე. ასევე, თუ საქმე განიხილება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, შესავალი სიტყვის ტექსტი გადასცეს თითოეულ ნაფიც მსაჯულს.

¹ჯ. კიმბოლი. სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერის დამხმარე სახელმძღვანელო. 2010, გვ. 17-18.

ამასთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობაა და ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ექსპრომტად ნათქვამი სიტყვა უკეთესია და, რაც მთავარია, პროკურორის ძვირფასი დრო არ უნდა დაიხარჯოს შესავალი სიტყვის აუცილებლად წერილობითი ფორმით მომზადებისათვის. თუ გავითვალისწინებთ იმ სიკეთეებს, რასაც კარგად მომზადებული შესავალი სიტყვა მოუტანს სახელმწიფო ბრალმძებელს, მაშინ გარკვეული დროის ხარჯვა ნამდვილად ღირს. დაწერილი სიტყვა გაზღვევს შეცდომებისგან, ისეთი ფაქტების წინასწარ თქმის საფრთხისგან, რომლებიც საწყის ეტაპზე არ არის საჭირო ცნობილი გახდეს მეორე მხარისათვის, ასევე სხვა ისეთი გათვალისწინებელი სიტუაციებისგან, რაც შესაძლოა ცხოვრებაში არსებობდეს. არ არის აუცილებელი სიტყვა დაიწეროს ერთბაშად, პროკურორმა შეიძლება თავისი დროის გარკვეული, თუნდაც მცირე ნაწილი დაუთმოს მის მომზადებას.

შესავალი სიტყვის ბოლოს სახელმწიფო ბრალმძებელმა უნდა ჩამოაყალიბოს მოთხოვნა, რომელსაც წარუდგენს მოსამართლეს ან ნაფიც მსაჯულებს. ამ უკანასკნელთ ეოველთვის სურთ გაიგონ, რა სურს პროკურორს მათგან. მნიშვნელოვანია, რომ ნაფიც მსაჯულებს პროკურორი სთხოვს პირი ცნონ დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. მსაჯულები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროკურორი მტკიცებულებების საფუძველზე სთხოვს მათ პირის დამნაშავედ ცნობას და არა პირადი აზრის გათვალისწინებით. მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად საქმის განხილვისას ასევე მნიშვნელოვანია აღნიშნულ საკითხზე ბრალდების მხარის გათვალისწინება.

**პროკურორის შესავალი სიტყვა,
მისი სტრუქტურა და მნიშვნელობა**

შესავალი სიტყვა სასამართლო განხილვის განუყოფელი ნაწილია. ის პროკურორის პირველი რეალური შესაძლებლობაა გამოვიდეს სასამართლოსა და ნაფიც მსაჯულთა წინაშე. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია ბრალდების მხარის მიერ ყველა კატეგორიის საქმეში იყოს წარმოდგენილი შესავალი სიტყვა.

რა თქმა უნდა, სავალდებულო ვერ იქნება, რომ ერთი და იგივე ელემენტები იყოს გათვალისწინებული ყოველი სისხლის სამართლის საქმეზე, რადგან თითოეული საქმე განსხვავებულია და საჭიროებს იმ ელემენტების წარმოჩენას, რაც ამ საქმეში მნიშვნელოვანი და არსებითია. თუმცა, არსებობს გარემოებები, რომელთა შესახებ საუბარი საჭიროა თითოეულ სისხლის სამართლის საქმეზე.

შესავალ სიტყვას პროკურორი ჩვენ მიერ შეთავაზებული თუ სტრუქტურის შესაბამისად ჩამოაყალიბებს (1. შესავალი; 2. საქმის შინაარსი; 3. მტკიცებულებების შეფასება; 4. დანაშაულის კვალიფიკაცია; 5. ბრალდებულის პიროვნების დახასიათება; 6. დანაშაულის ჩადენის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების ანალიზი; 7. ვერდიქტის მოთხოვნა), იგი ნებისმიერ საქმეზე შესძლებს საქმის გარემოებების ასახვას და წარმოჩენას.

პროკურორი უნდა შეეცადოს პირველივე არსებით სხდომაზე შექმნას განწყობა საქმესთან დაკავშირებით, ხოლო, თუ საქმეს ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ, უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს არა მხოლოდ შესავალი სიტყვის სამართლებრივად გამართულობას, არამედ სიმარტივესაც.

JOSEPH KHUTSISHVILI,
PHD student

**INTRODUCTORY WORD OF PROSECUTOR,
ITS STRUCTURE AND SIGNIFICANCE**

Introductory word is an integral part of judicial examination. It is the first real opportunity for prosecutor to speak with the court and in front of the jury. Proceeding from its significance, the prosecutor's side is obliged to include introductory word in all categories of cases.

Of course, one and the same elements can't be compulsorily foreseen in every criminal case, since every single case is different and requires manifestation of the elements, which are important and essential. However, there are circumstances, talking of which is necessary in every criminal case.

If prosecutor will formulate the structure of introductory word according to abovementioned system, offered by us (1. Introduction; 2. Content of trial; 3. assessment of evidences; 4. classification of crime; 5. characteristic of personality of accused; 6. analysis of reasons and contributory conditions of commission of crime; 7. demand of verdict), then he/she will be able to reflect and manifest circumstances of the case.

Prosecutor must try to set the mood in relation to the case from the very first substantial court session, while in event of examination of the case by the jury, he/she should pay more attention not only on legal orderliness, but also on simplicity of introductory word.

ИОСИФ ХУЦИШВИЛИ,
докторант права

ВСТУПИТЕЛЬНОЕ СЛОВО ПРОКУРОРА, ЕГО СТРУКТУРА И ЗНАЧЕНИЕ

Вступительное слово является неотъемлемой частью судебного разбирательства. Оно представляет собой первую реальную возможность для прокурора поговорить с судом и выступить перед судом присяжных. Исходя из его значимости, необходимо, чтобы вступительное слово было представлено стороной обвинения в судебных делах всех категорий.

Безусловно, нельзя сделать обязательным то, чтобы одни и те же элементы были бы предусмотрены в каждом уголовном деле, поскольку каждое судебное дело отлично само по себе и требует проявления тех элементов, которые будут важными и существенными для данного дела. Впрочем, существуют обстоятельства, разговор о которых необходим в каждом уголовном деле.

Если прокурор сформирует структуру вступительного слова согласно предложенной нами вышеуказанной структуре (1. вступление; 2. содержание дела; 3. оценка доказательств; 4. квалификация преступления; 5. характеристика личности обвиняемого; 6. анализ причин и условий, способствующих совершению преступления; 7. требование вынесения вердикта), он сможет по любому делу отобразить и представить обстоятельства дела.

Прокурор должен постараться на первом же определяющем заседании создать соответствующий настрой в связи с делом, а если дело разбирается судом присяжных, еще большее внимание надо уделить не только правовой стройности вступительного слова, но и его простоте.

კრიმინოლოგია და აზარტული თამაშები

ძველი რომაელები ამბობდნენ, რომ „სამართალმა პატივი უნდა სცეს სამართლიანობას“. უსამართლო კანონი მხოლოდ ზიანის მომტანია სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის. აზარტული თამაშების დაკანონება უკანონობის დაკანონებად მიგვაჩნია. კრიმინოლოგია შეისწავლის უარყოფით სოციალურ-სამართლებრივ მოვლენებს, რომლებიც მაღალი საზოგადოებრივი საშიშროებით გამოირჩევა. **აზარტული თამაშები თავისი მნიშვნელობით და შინაარსით ნარკომანიას, მემთვრალეობასა და თვითმკვლელობას უთანაბრდება.** ამასთან, აღნიშნული მოვლენები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ხშირად ერთი მოვლენა მეორის გამომწვევი მიზეზი ხდება. კაცობრიობის ისტორიაში აზარტული თამაშები ყოველთვის აღიქმებოდა, როგორც უარყოფითი სოციალური მოვლენა. სახელმწიფოსა და საზოგადოების პირდაპირი მოვალეობა მისი პრევენციაა, რათა ავიცილოთ მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის მასობრივი ჩართვა ამ პროცესში. **მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება დადგენილია ავადმყოფურ პათოლოგიად და განისაზღვრება,** როგორც „დარღვევა, გამოხატული ხშირ და რეგულარულად განმეორებად აზარტულ თამაშში, რომელიც დომინირებს პაციენტის ცხოვრების წესზე და მიჰყავს სოციალური, პროფესიული და მატერიალური ფასეულობებისა და მოვალეობების დაკარგვამდე“¹. აზარტული თამაშებისაგან მიღებული უარყოფითი შედეგები პირდაპირ აისახება მოსახლეობის მატერიალურ კეთილდღეობასა და კრიმინოგენურ ვითარებაზე. ამიტომ არის ეს თემა აქტუალური კრიმინოლოგიის მთელი ისტორიის მანძილზე. კრიმინოლოგთა მოსაზრებით, ყველა ქალაქის მოსახლეობის 5–7 % ითვლება პათოლოგიურ მოთამაშედ². საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის მონაცემებით, საქართველოში 4 მილიონ ადამიანზე მეტია აღწერილი³. ამის საფუძველზე, სავარაუდოა, რომ აზარტული თამაშებისადმი მიდრეკილებით მხოლოდ თბილისში დაავადებული იყოს ათიათასობით ადამიანი, რაც უდავოდ დიდი პრობლემაა საქართველოსთვის. ზუსტი სტატისტიკური მონაცემებისათვის სასურველი იქნებოდა კრიმინოლოგიური კვლევების ჩატარება. განსაკუთრებით საშიშია ის მდგომარეობა, რომ აზარტულ თამაშებზე ინტერნეტის საშუალებით ხელი მიუწვდებათ არასრულწლოვნებსაც. კრიმინოლოგიაში დადასტურებულია აზარტული თამაშების (იქნება ეს კანონიერი თუ უკანონო) კავშირი დანაშაულობასთან.

ქართული კრიმინოლოგიის ისტორიაში მნიშვნელოვანი ძეგლია მცირე სჯულის კანონი (მაგ., ბრალი და მისი ფორმები – განზრახვა და გაუფრთხილებლობა, შემამსუბუქებელი გარემოება, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკთან დაკავშირებული თავისებურება და ა.შ.), რომელიც მე-11 საუკუნეში ძველი ბერძნულიდან თარგმნა, ახსნა-განმარტებები და მოსაზრებები დაურთო დიდმა ქართველმა მეცნიერმა და საეკლესიო მოღვაწემ, წმიდა ექვთიმე მთაწმინდელმა. საქართველოს საამაყოდ უნდა ითქვას, რომ ბრალის ცნება და მისი ფორმები ქართველი მეცნიერის მიერ არის შემოტანილი, ახსნილი და განმარტებული (ბერძნულ დედანს იგი არ მოეპოვება), რაც იმ პერიოდის ევროპული და

¹ <http://ru.pokerstrategy.com/strategy/psychology/695/1/>

² <http://www.nnre.ru>

³ http://www.geostat.ge/?action=page&p_id=472&lang=geo

მოლიანად მსოფლიოს კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართლის ისტორიისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო. ამ უნიკალურ ძეგლში ვხვდებით აზარტული თამაშების შესახებ ცნობებს ქართულ ენაზე, კერძოდ ძეგლის პირველ თავში, რომელსაც 692 წლის „ტრულის კანონები“ ეწოდება და V და VI მსოფლიო საეკლესიო კრებებზე მიღებულ დადგენილებებს შეიცავს, 24-ე, 51-ე, 62-ე და 65-ე კანონების მიხედვით, იკრძალება, მაგალითად, „ცხენზე ჯირითი“ და სხვა „მაცდუნებელი თამაშები“, რომელთა დარღვევისათვის გათვალისწინებული იყო შუა საუკუნეების საქართველოსთვის დამახასიათებელი უმკაცრესი სხვადასხვა სასჯელი – ეკლესიიდან განკვეთა და უზიარებლობა.

აზარტული თამაშები უარყოფით და საშიშ სოციალურ მოვლენად იყო მიჩნეული სპარტაში (ძვ.წ. IX საუკუნე). იგი ასევე მიუღებელი იყო ძველი რომაელებისთვის, აზარტული თამაშით წაგებულნი მატერიალური სიკეთე მოსარჩელის მოთხოვნით უბრუნდებოდა უკან. შუა საუკუნეებში, კერძოდ მე-14 საუკუნეში ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში აიკრძალა სამორინეების არსებობა (სამორინეები პირველად გაკეთდა იტალიაში მე-12 საუკუნეში)¹. გვიანი შუა საუკუნეების ევროპაში კიდევ უფრო მკაცრდება ბრძოლა აზარტული თამაშების წინააღმდეგ. მე-19 საუკუნიდან გერმანიის კანონმდებლობით, 1868 წლის 1 ივლისის კანონით „სამორინეების დახურვის შესახებ“ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მოედნებსა და გზებზე აზარტული თამაში ისჯებოდა ჯარიმით 1500 მარკის ოდენობით ან 6 თვემდე პატიმრობით (21-ე საუკუნის საქართველოში ეს მოვლენა არათუ აკრძალული, წახალისებულიც კია, სხვა შეფასებას ამას ვერ მოგუძებნით, ვინაიდან ასეთი თამაშები კანონით ნებადართულია, საზოგადოება შეგუებულია როგორც სოფლებში, ისე ქალაქებში - სკვერებში, გზებზე, უბნებში არსებულ „ბორჯებზე“ ამგვარ სანახაობებს). უფრო მკაცრი სასჯელი იყო დაწესებული ბანკირებისათვის და უცხოელი მოქალაქეებისათვის – თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე ვადით, 300-დან 6000 მარკამდე ჯარიმა, ასევე უცხოელი მოქალაქეებისათვის, ზემოაღნიშნულ სასჯელთან ერთად დაწესებული იყო იმპერიის საზღვრებს გარეთ გაძევება. მოგზაური ვაჭრები, რომლებიც მიმართავდნენ საქონლის გასაღების მიზნით ლატარიის გათამაშებას, გერმანიის 1883 წლის სავაჭრო წესდების 148-ე მუხლის საფუძველზე ეკისრებოდათ ფულადი ჯარიმა 150 მარკამდე ან 4 კვირამდე პატიმრობა². იმპერიის სასამართლოს 1882 წლის 29 აპრილის დადგენილებით, ამ პერიოდში გავრცელებული თამაში „ცხენზე ჯირითი“ მიჩნეულ იქნა აზარტულ თამაშად და მასში ჩადებული თანხა დაექვემდებარა კონფისკაციას (საქართველოში იგი გაცილებით უფრო ადრე, მე-11 საუკუნიდან „მცირე სჯულის კანონით“ წარმოადგენდა საზოგადოებრივად საშიშ ქმედებას, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ).

ინგლისში აზარტული თამაშები მკაცრად იყო აკრძალული და მოგებულს არ ჰქონდა უფლება სარჩელი შეეტანა წაგებულის წინააღმდეგ. მე-19 საუკუნეში ყველა ევროპულ სახელმწიფოში, მონაკოს სათავადოს გარდა, სამორინეები აკრძალული იყო³.

აზარტული თამაშების ცნება

აზარტი (ფრანგულად – Hazard, არაბულად Az – zahr) ნიშნავს თავდავიწყებით გატაცებას რაიმეთი (მაგ., ფულზე თამაში, ნადირობა და სხვა); ასევე, „შემთხვევას“, „რისკს“, „კამათელს“⁴, ხოლო თამაში – ადამიანის საქმიანობის არაპროდუქტიულ სახეობას,

¹ Энциклопедический Словарь Ф.А.Брокгауза и И.А.Ефрона. С.-Петербург, 1890-1907. с.203-204.

² იქვე

³ Энциклопедический Словарь Ф.А.Брокгауза и И.А.Ефрона. С.-Петербург, 1890-1907. с.203-204

⁴ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=2258>

რომლის მოტივაცია მდგომარეობს არა მის შედეგში, არამედ პროცესში. კაცობრიობის ისტორიაში იგი გადაჯაჭვული იყო მაგიასა და საკულტო ქცევებთან¹.

კრიმინოლოგიის მოსახლდერე მეცნიერებებში – სოციოლოგიაში, სამართალსა და ფსიქოლოგიაში არსებული ლიტერატურის ანალიზის და შედარების საფუძველზე, აზარტული თამაშის კრიმინოლოგიური ცნება ჩამოყალიბდება, „როგორც განსაკუთრებით საშიში უარყოფითი სოციალური მოვლენა, რომელიც იწვევს სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მძიმე სამართლებრივ და ეკონომიკურ შედეგებს, ხასიათდება მაღალი საზოგადოებრივი საშიშროებით, ეწინააღმდეგება კომერციას, ხოლო შედეგი დამოკიდებულია შემთხვევაზე და არა პიროვნების მოხერხებულობაზე ან ხელოვნებაზე.“ ასეთ თამაშებს განეკუთვნება: ბანქო, კამათელი (გარდა ნარდისა), სათამაშო ბორბალი (რულეტი), შტოსი, ფარო, ლანდსკენსტი, ბაზეტი, რულეტი. მართებული იქნება, რომ ამ კონტექსტში განვიხილოთ ტოტალიზატორი, გარდა წამახალისებელი ლატარისა. ცალკე გამოყოფას იმსახურებს და დიდ პრობლემას ქმნის ინტერნეტით აზარტული თამაშები, რომელზედაც, რაც მეტად სავალალოა, ხელი არასრულწლოვნებსაც მიუწვდებათ.

საქართველოს კანონმდებლობა აზარტულ თამაშს განმარტავს, როგორც „თამაშს, რომლის შედეგია ფულის, საკუთრების, საკუთრების უფლების წაგება ან მოგება, რაც მთლიანად ან ნაწილობრივ დამოკიდებულია შემთხვევითობაზე“². თვით ამ საკანონმდებლო განმარტებას, ისევე, როგორც მთლიანად კანონს „აზარტული თამაშების შესახებ“ არავითარი კავშირი არ აქვს სამართლიანობასა და ზნეობასთან, ხოლო სამართალთან მისი კავშირი განიხილება, როგორც უკანონობის დაკანონება. **კანონს, უპირველეს ყოვლისა, მორალთან უნდა ჰქონდეს თანაფარდობა;** წინააღმდეგ შემთხვევაში, მართლმსაჯულება ვერ იქნება სამართლიანი და შეიქმნება ისეთი ვითარება, რაზედაც კრიმინოლოგიის უდიდესი მეცნიერი ჩეზარე ლომბროზო მე-19 საუკუნის ბოლოს „ანარქისტებში“ წერდა: **„მართლმსაჯულება სჯის მხოლოდ 20% ნამდვილ დამნაშავეებს, სასჯელს ექვემდებარებიან მხოლოდ სულელები, ვინც შედარებით ჭკვიანია – თავისუფლებაზე რჩება“.**

არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად, ბიუჯეტის შევსების კარგი საშუალებაა, სათამაშო ე.წ. „აზარტული ბიზნესი“. სახელმწიფო ბიუჯეტი უპირველესად მოსახლეობის კეთილდღეობას უნდა მოხმარდეს; გამოსაკვლევეია საზოგადოების გარკვეული ნაწილის მატერიალური სიდუხჭირის, დაავადების და მორალური დეგრადაციის (რასაც აზარტული თამაშები იწვევს) ხარჯზე შესული საბიუჯეტო თანხები როგორღა უნდა მოხმარდეს მისავე კეთილდღეობას? ეს თითქმის იგივეა, რომ დავაკანონოთ ნარკოტიკების რეალიზაცია და მოხმარება, წავახალისოთ მემთვრალეობა, მამათმავლობა, პროსტიტუცია და სხვა განსაკუთრებით საშიში საზოგადოებრივად საშიში ქმედება. საქმე ის არის, რომ **სამკურნალო მიზნით** ალკოჰოლი და ნარკოტიკი სასარგებლოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის, რასაც მედიცინა აქტიურად იყენებს. ხოლო – აზარტული თამაშები, თავისი არსით, უარყოფითი მოვლენაა საზოგადოებისათვის.

¹ <http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98>

² საქართველოს კანონი „მაგნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“. 2001 წლის 28 სექტემბრის რედაქცია. მუხლი 3.

აზარტული თამაშების გამომწვევი მიზეზები

საქართველოში აზარტული თამაშებისადმი მიდრეკილებას 5 ძირითადი მიზეზი იწვევს. ამათგან პირველი და უმთავრესი **სოციალურ-ეკონომიკური მიზეზებია**. კერძოდ, მძიმე მატერიალური მდგომარეობა, უმუშევრობა და სიღარიბე, ადამიანი ფინანსური პრობლემის მოგვარების გზად ხედავს აზარტულ თამაშს, განსაკუთრებით ტოტალიზატორს და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით თამაშს იწყებს. ფსიქიკური მდგომარეობა გასაგებია – მცირე თანხის წაგებით არაფერს კარგავს, მოგებით კი შეუძლია მნიშვნელოვნად გაიუმჯობესოს მატერიალური მდგომარეობა. სისტემატური თამაშისას პიროვნების ფსიქიკა ცვლილებებს განიცდის და რამდენიმე თვეში ფსიქიკურად დამოკიდებული ხდება აზარტულ თამაშზე, რისგანაც დამოუკიდებლად თავის დაღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია, მისი განკურნება მხოლოდ კვალიფიციური ექიმების დახმარებითაა შესაძლებელი. ფსიქოლოგიური მიზეზებიდან აღსანიშნავია ისეთი ფსიქიკური აშლილობა, როგორცაა დეპრესია და მელანქოლია, მარტოობის შეგრძნება. ასეთ ადამიანებს სისხლში მნიშვნელოვნად აქვთ დაქვეითებული ენდორფინები (ენდორფინი მიეკუთვნება ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას, რომელიც თავის ტვინში გამომუშავდება, ახდენს მტკივნეული შეგრძნების ბლოკირებას და ადამიანის ემოციური მდგომარეობის განსაზღვრას)¹. აზარტული თამაშის პროცესში შექმნილი ეიფორიით და გამომუშავებული ადრენალინით, ადამიანი ხანმოკლე დროით გამოდის მძიმე დეპრესიული მდგომარეობიდან, შემდგომში ეს იწვევს მის ფსიქიკურ დამოკიდებულებას აზარტული თამაშებისადმი. **პოლიტიკური მიზეზებიდან** აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სახელმწიფომ არ უნდა განიხილოს აზარტული თამაშების ბიზნესი, როგორც ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი წყარო. თუ ამოვალთ იმ უმთავრესი და უმაღლესი კანონიდან, რომელსაც **ხალხის კეთლდღეობა ჰქვია**, სახელმწიფო ვალდებულიც კია, აკრძალოს აღნიშნული უზნეო და უსამართლო საქმიანობის სახეობა. სამართლიანი იქნება აღვნიშნოთ, რომ აზარტული თამაშების განვითარებას **საკანონმდებლო ფაქტორები** იწვევს. საქართველოში აზარტული თამაშები ნებადართულია კანონით „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშების მოწყობის შესახებ“, რაც ნიშნავს, რომ საქართველოში დაკანონებულია უკანონობა. კაცობრიობის ისტორიაში ვერ ნახავთ ადამიანს, რომელსაც ენახოს რაიმე სარგებელი აზარტული თამაშისგან. არაოფიციალური ანუ ე.წ. საინფორმაციო საშუალებათა სტატისტიკა (რომელიც მიღებულია კრიმინოლოგიაში საზოგადოებრივად საშიში მოვლენის შესწავლის მიზნით) მოწმობს რამდენი პიროვნება და ოჯახია სრულ დეგრადაციამდე მისული სამორინეებისა და ტოტალიზატორების მოხმარებით. მოსაზრება იმის შესახებ, რომ აზარტული თამაშები აკრძალვის შემთხვევაში გადაინაცვლებს იატაკქვეშეთში და მძიმე შედეგებს გამოიწვევს, რეალობასთან ახლოს ვერ მივიჩნევთ. იმისათვის არსებობს სამართალდამცავი ორგანოები, რომ პრევენცია მოახდინოს მსგავსი ხასიათის ქმედებებზე. აზარტული ბიზნესის აკრძალვით სახელმწიფო და საზოგადოება გაცილებით მეტ სარგებელს მიიღებს, ვიდრე მისი ნების დართვით.

ვეროპული პრაქტიკის თვალსაზრისით, აზარტული თამაშები კანონით აკრძალულია ნორვეგიაში, ვატიკანში, ანდორის სამთავროსა და სან-მარინოში. აზარტული თამაშების პროპაგანდა და რეკლამა მკაცრად იკრძალება შვედეთში, პოლონეთსა და ლატვიაში. ინტერნეტით აზარტული თამაშები აკრძალულია ესტონეთში, ლიტვასა და საბერძნეთში. მართალია, არის ვეროპული ქვეყნები, სადაც აზარტული თამაშები ნებადართულია (მაგ.,

¹ <http://www.thefreedictionary.com/Endorfin>

საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი), თუმცა, ვფიქრობ, ქართული რეალობის გათვალისწინებით, უნდა ავიღოთ მაგალითი იმ ქვეყნებიდან, სადაც მსგავსი მოვლენა აკრძალულია. მით უმეტეს, რომ ნორვეგიის სამეფო დანაშაულობის პრევენციის მხრივ ერთ-ერთი ყველაზე მაღალგანვითარებული ქვეყანაა მთელ მსოფლიოში. **ზნეობის დისფუნქცია** ასევე ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, რაც იწვევს აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას. **რაც უფრო ახლოს იქნება ერთმანეთთან სამართალი და ზნეობა, მით უფრო მიუახლოვდებით სახელმწიფოს საქმიანობის უმთავრეს მიზანს – სამართლიანობის დამკვიდრებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.** როდესაც აზარტულ თამაშს სახელმწიფო აკანონებს, ამით ის ირიბად ახალისებს საზოგადოებრივად საშიშ ქმედებას. მოსახლეობის უსაფრთხოებისათვის არ აქვს შინაარსობრივად არსებითი მნიშვნელობა, სად ითამაშებს ადამიანი: სამორინეში, ტოტალიზატორსა თუ გზებსა და ჩიხებში. რაც შეეხება არასრულწლოვნებს, მართალია, მათ ეკრძალებათ სამორინესა და ტოტალიზატორში თამაში, თუმცა ერთია ასაკი, რომელსაც კანონმდებლობა მიიჩნევს სრულწლოვანებად და მეორეა ახალგაზრდობის ასაკი. პიროვნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ამ ორ მოვლენას შორის არსებობს დიდი კავშირი. კანონი კრძალავს 18 წლამდე აზარტულ თამაშებში მონაწილეობის მიღებას, მაგრამ კრიმინოლოგიაში მიღებული ახალგაზრდობის ასაკი 7 – 30 წელი ის დროა, რაც ზნეობრივი აღზრდის ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდად ითვლება. ძველი ბერძენი ფილოსოფოსები (მაგ., პლატონი, არისტოტელე...) ახალგაზრდობის აღზრდას მიიჩნევდნენ სახელმწიფოს განმტკიცების უმნიშვნელოვანეს საშუალებად და მიიჩნევდნენ პოლიტიკურ კატეგორიად. დაკანონებული აზარტული თამაშებით, რაც პირდაპირ მოქმედებს მოზარდი ახალგაზრდობის ზნეობრივ დეგრადაციაზე, გამოდის, რომ სახელმწიფო ხელს უწყობს მისსავე დასუსტებას. თუ სახელმწიფო ძირითადად ორიენტირებული იქნება მატერიალურ და ხალხის ზნეობრივ ღირებულებებზე, ზრუნვას არ მიექცევა მთავარი ყურადღება, მოზარდი ახალგაზრდობის ზნეობრივი განვითარება შეფერხდება, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის გზაზე დიდ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული.

აზარტული თამაშების პრევენცია

აზარტული თამაშების პრევენცია, უპირველეს ყოვლისა, უნდა წარიმართოს **სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი ღონისძიებებით.** ფაქტია, რომ საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება პირდაპირ აისახება აზარტული თამაშებზე და გამოიწვევს მათ თავიდან აცილებას. რაც არ უნდა პარადოქსი იყოს, მძიმე მატერიალური მდგომარეობა განაპირობებს აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, მაგრამ, ვინაიდან მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მომავლის პერსპექტივაა, მოცემულ ვითარებაში ყველაზე ეფექტური იქნებოდა სამართლებრივ ღონისძიებათა განხორციელება, კერძოდ ყველა აზარტული თამაშის აკრძალვა ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის წესით, ყველაზე მკაცრი სახდელის – ადმინისტრაციული პატიმრობის გათვალისწინება სამართალდარღვევისათვის, ხოლო დანაშაული უნდა მიეკუთვნოს ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიას. კონკრეტული მუხლის ფორმულირება, პოლიტიკური ნების საფუძველზე, სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს. **საგანმანათლებლო-სამართლებრივ** ღონისძიებათაგან აღსანიშნავია აზარტული თამაშების საწინააღმდეგო პროპაგანდა ლექციების სახით მე-9 – მე-11 კლასის მოსწავლეებში, ხოლო მასმედიის საშუალებით აზარტის საწინააღმდეგო გადაცემების ორგანიზება და გაშუქება. აღნიშნული ღონისძიებების კრიმინოლოგთა მონაწილეობით დაგეგმვა და განხორციელება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს დანაშაულობის პრევენციის საქმეში.

მიხეილ გაბუნია,
სამართლის დოქტორი

შამილ ძამუკაშვილი
სამართლის დოქტორანტი

კრიმინოლოგია და აზარტული თამაშები

აზარტული თამაშები უარყოფითი სოციალური მოვლენაა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული დანაშაულობასთან. ამიტომ, მიზანშეწონილია გავადრმოთ ამ მოვლენის კრიმინოლოგიური შესწავლა და კვლევა. აზარტული თამაშში უნდა მივიჩნიოთ განსაკუთრებით საშიშ უარყოფით სოციალურ მოვლენად, რომელიც სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მძიმე სამართლებრივ და ეკონომიკურ შედეგებს იწვევს და ხასიათდება მაღალი საზოგადოებრივი საშიშროებით. აზარტული თამაშები, როგორც ეს მის ცნებაშია განმარტებული, სრულიად ეწინააღმდეგება კომერციას, ხოლო შედეგი დამოკიდებულია შემთხვევაზე და არა პიროვნების მოხერხებულობაზე ან ხელოვნებაზე. აღნიშნული ცნება კი თავის თავში უკვე მოიცავს უსამართლობისა და უზნეობის ნიშნებს. აუცილებელია ამ ქმედების სოციალური კონტროლი სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან, რათა, ერთი მხრივ, მოვახდინოთ დანაშაულთა პრევენცია, ხოლო, მეორე მხრივ, თავიდან ავიცილოთ ახალგაზრდობის მასობრივი ჩართვა ამ პროცესში, რისი ნიშნებიც სახელმწიფოში შეიმჩნევა. აზარტული თამაშების, ისევე, როგორც სხვა მაღალი საზოგადოებრივი საშიშროების მქონე სოციალურ მოვლენათა (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, თვითმკვლელობა) პრევენცია დიდ წვლილს შეიტანს საქართველოში დანაშაულობის სოციალური კონტროლის საქმეში.

MIKHEIL GABUNIA,
Doctor of law

SHAMIL DZAMUKASHVILI
PHD Student

CRIMINOLOGY AND GAMBLING GAMES

Gambling game is a negative social phenomenon, which is closely connected to crime. Therefore, we consider it expedient to deepen criminological study and research of this phenomenon. Gambling game should be considered to be a particularly dangerous negative social phenomenon, which leads to severe legal and economic consequences for the state and society and is of high social danger. Gambling game, by its definition, completely contradicts commerce, while the outcome depends on the occasion, not personal capability or creativity. The mentioned definition already incorporates signs of injustice and immorality. Social control of such action by the state and society is mandatory, in order to, on the one hand, to prevent crime, while on the other hand, to prevent teen-age youth from large-scale involvement in this process, the signs of which can be observed in the state. Prevention of gambling game, similar to other socially highly dangerous phenomena (alcoholism, drug addiction, suicide), shall significantly contribute to the matter of social control of crime in Georgia.

МИХЕИЛ ГАБУНИА,

доктор права

ШАМИЛ ДЗАМУКАШВИЛИ

докторант права

КРИМИНОЛОГИЯ И АЗАРТНЫЕ ИГРЫ

Азартные игры – негативное социальное явление, которое тесно связано с преступностью. Следовательно, мы считаем целесообразным углубить криминологическое учение и исследование этого явления. Азартные игры надо считать особо опасным негативным социальным явлением, которое влечёт за собой серьёзные правовые и экономические последствия и характеризуется высокой социальной опасностью. Азартные игры, как дано в определении, полностью противоречат коммерции, а результат зависит от случая, а не от личных способностей или креативности. Данное определение уже включает в себя несправедливость и безнравственность. Обязательно, чтобы осуществлялся социальный контроль этого действия со стороны государства и общества, с целью, с одной стороны - превенции преступности, а с другой стороны, чтобы не допустить вовлечение молодёжи подросткового возраста в этот процесс, признаки чего наблюдаются в государстве. Превенция азартных игр так же, как и других социально опасных социальных явлений (алкоголизм, наркомания, самоубийства), внесёт огромный вклад в дело социального контроля преступности в Грузии.

**საქართველოს არასრულწლოვანთა
მართლმსაჯულება**

თანამედროვე პერიოდში გახშირდა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები. შეიძლება ითქვას, რომ დანაშაული გაახალგაზრდავდა და ზემოაღნიშნულის მიზეზი თუ ფაქტორი დღევანდელ რეალობაში უამრავია. XXI საუკუნე ტექნიკური რევოლუციის აკვანია. ტექნიკურ პროგრესს ბევრ დადებითთან ერთად უარყოფითი მხარეებიც აქვს. სწორედ მისი მეშვეობით ხდება უფრო მარტივი, ძალადობისა და ყოველივე უარყოფითის დანერგვა დღევანდელ საზოგადოებაში. ამას თან ერთვის მძიმე სოციალური ფონი. სწორედ ამ სოციუმში ყალიბდება და იძერწება მოზარდი. რასაც ხედავს, ის ხდება შემდეგ მისი მასაზრდოებელი წყარო. ალკოჰოლი, ნარკოტიკი, დამის ბარები და უამრავი საცდური, რაც მოზარდების არასწორ ცხოვრებას უწყობს ხელს. ისინი წააგებენ და ედებათ ვალი, სწორედ ეს არის დანაშაულის აღმოცენების ერთ-ერთი რისკ-ფაქტორი. ამაზე კი საზოგადოებამ და სახელმწიფომ უნდა იზრუნოს. მოზარდი ყველგან და ყოველთვის უნდა ყალიბდებოდეს მისი ასაკისთვის შესაფერ გარემოში. კაცობრიობა დასაბამიდან ცდილობს შექმნას ყველა დროის თაობის ბავშვებზე გათვლილი იდეალური მოდელი, ზოგჯერ მკაცრი, ზოგჯერ ჰუმანური, მაგრამ უნივერსალურ მეთოდს ვერავენ მიაგნო. მოზარდის კრიმინალისკენ მიდრეკილება საყოველთაო სენი და პრობლემაა მთელ მსოფლიოში, მით უფრო რეფორმებისა და დემოკრატიის გზაზე მყოფ საქართველოში. თუმცა, ამ კუთხით აუცილებელია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ წინა წლებთან შედარებით ბევრი რამ კეთდება არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პრევენციისთვის.

არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური და მაქსიმალური ასაკობრივი ზღვარი 2007 წლიდან აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში. მიმდინარე ეტაპზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის ალტერნატიული მექანიზმების დამკვიდრებასა და პრაქტიკაში გამოყენებას. მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განრიდებამ და/ან მედიაციის ინსტიტუტების არსებობამ გააქტიურა სასამართლოს უფლებამოსილების გაფართოების საკითხი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ლიბერალიზაციის კუთხით.

დღეს საქართველოს სისხლის სამართლის მე-80 მუხლი ადგენს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ან მისგან გათავისუფლებისას არასრულწლოვანად ითვლება ის, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა თოთხმეტი, მაგრამ არ შესრულებია თვრამეტი წელი. ბოლო ცვლილება 2010 წლის 23 თებერვალს შევიდა.

თუმცა, მანამდე გამოცხადებული „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის პირობებში 2007 წლის 23 მაისს მოხდა არასრულწლოვანების ასაკის შემცირება 14-დან 12 წლამდე ზოგიერთ დანაშაულთან მიმართებაში (განზრახი მკვლელობა (სსკ-ის 108-ე მუხლი), განზრახი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში (სსკ-ის 109-ე მუხლი), ჯანმრთელობის

განზრახი მძიმე დაზიანება (სსკ-ის 117-ე მუხლი), გაუპატიურება (სსკ-ის 137-ე მუხლი), ძარცვა (სსკ-ის 178-ე მუხლი, გარდა პირველი ნაწილის), ყაჩაღობა (სსკ-ის 179-ე მუხლი), ცივი იარაღის ტარება (სსკ-ის 238-ე მუხლი). ამ ცვლილებას მოჰყვა მწვავე რეაქცია გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის და არასამთავრობო უფლებადამცველი ორგანიზაციების მხრიდან. სანაცვლოდ, საქართველოს ხელისუფლებამ ვალდებულება იკისრა შეექმნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სათანადო სისტემა იმ არასრულწლოვნებისათვის, რომლებიც 12–13 წლის ასაკობრივ ჯგუფს განეკუთვნებიან და კანონთან კონფლიქტში არიან. აღნიშნული ცვლილებები ეწინააღმდეგებოდა გაეროს რეკომენდაციებს, ბავშვთა უფლებების კონვენციას და მინიმალურ წესებს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ “პეკინური წესები” პირდაპირ არ მიუთითებს პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს, პეკინური წესების 4.1 მუხლიდან გამომდინარე, “ასაკის ქვედა ზღვარი არ უნდა დადგინდეს ძალიან ადრეულ ასაკში, ემოციური, გონებრივი და ინტელექტუალური მოწიფულობის ფაქტის გათვალისწინებით”. ეს პრინციპები აშკარად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის ზედა ზღვარის მომხრეა და მათთან შეუსაბამო იქნება სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულისათვის სხვადასხვა ასაკობრივი პასუხისმგებლობის დაწესება¹. არც ბავშვის უფლებათა კონვენციაშია ასახული კონკრეტული ასაკი, თუმცა კონვენციის (მიღებულ იქნა და გაიხსნა ხელმოწერის, რატიფიცირებისა და მიერთებისთვის გაეროს გენერალური ასამბლეის 1989 წლის 20 ნოემბრის 44/25 რეზოლუციის საფუძველზე. ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს; საქართველო შეუერთდა 1994წ.) 40.3 მუხლის მიხედვით მონაწილე სახელმწიფოების ამოცანაა დაამკვიდროს ისეთი მინიმალური ასაკი, რომლის მიღწევამდე, როგორც ითვლება, ბავშვებს არა აქვთ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის უნარი. ბავშვის უფლებათა კომიტეტმა შენიშვნა №10 (2007წ.) მკაფიოდ დააფიქსირა, სადაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის 12 წელზე ქვემოთ დაწევა, საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, მიუღებელია. ამასთან, კომიტეტი მიუთითებდა, რომ სახელმწიფოებმა არ უნდა დასწიონ პასუხისმგებლობის ასაკი 12 წლამდე. ღეკომენდებულია მინიმალური ასაკი იყოს 14 ან 16 წლამდე, რაც არ ზღუდავს სახელმწიფოს ასაკის 18 წლამდე მომატებაში². ეს რჩევა გაითვალისწინა ბრაზილიამ, რომელმაც პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკად დაადგინა 18 წელი; პოლონეთი – 17; ბელგია – 16; შვედეთი – 15; უკრაინა – 14; საფრანგეთი – 13; ირლანდია – 12.

2009 წლის 23 თებერვალს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე და, შესაბამისად, მე-80 მუხლებში შევიდა ცვლილებები. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი განისაზღვრა 14 წლით (სსკ-ის 33-ე მუხლი). სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ან მისგან გათავისუფლებისას არასრულწლოვნად ითვლება ის, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა თოთხმეტი წელი, მაგრამ არ შესრულებია თვრამეტი წელი (მე-80 მუხლი). ამ ნაბიჯით დადასტურდა, რომ პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის 12 წლამდე დაწევა არაეფექტურია. გარდა ამისა, 12 წლით მინიმალური ასაკის განსაზღვრა ნამდვილად არ აახლოებს ქართულ კანონმდებლობას

¹ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=11934&lang=geo>

² http://www.penalreform.org/wp-content/uploads/2013/05/Justice-for-Children-Briefing-4_MACR_Russian.pdf

ევროპულ სტანდარტებთან, რომლის დაკმაყოფილებასაც ევროინტეგრაციის პროცესში ცდილობს ჩვენი ქვეყანა.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი არ არის დარეგისტრირებული დაბადებისას ან ვერ დგინდება მისი ზუსტი ასაკი და შეუძლებელია დადგენა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს მიაღწია თუ არა, ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციით, მას არ უნდა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ასეთ შემთხვევაში ეჭვი უნდა გადაწყდეს ბავშვის ინტერესების სასარგებლოდ. ამასთან, მტკიცების ტვირთი, რომ ბავშვი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკზე უფროსია, სახელმწიფო ბრალდებას ეკისრება¹.

რაც შეეხება არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზედა ასაკობრივ ზღვარს, აქ გაცილებით უფრო სტაბილური მდგომარეობაა. საქართველოში არასრულწლოვანად ითვლება ადამიანი, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი და, შესაბამისად, სისხლის სამართალში არასრულწლოვანთა ზედა ასაკობრივი ზღვარი 18 წელია. შედარებისთვის გერმანიის არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის კოდექსში (Jugendgerichtsgesetz) ზედა ასაკობრივი ზღვარი არასრულწლოვნებისთვის 18 წელია, მაგრამ არის კიდევ ერთი ასაკობრივი ჯგუფი, რომელშიც შედიან 21 წლამდე პირები (.eng. young adult); მათზეც ვრცელდება არასრულწლოვანთა კოდექსის ნორმები. საერთაშორისო სტანდარტით, სახელმწიფოს მიერ ზედა ასაკობრივ ზღვრად 18 წლამდე ასაკის დადგენა ეწინააღმდეგება ბავშვის უფლებათა კონვენციის დებულებას, რომელიც ნათლად მოითხოვს, რომ სპეციალური მოპყრობით უნდა ისარგებლოს 18 წლამდე ასაკის ყველა ბავშვმა².

საქართველოს სისხლის სამართლით გათვალისწინებული ალტერნატიული პასუხისმგებლობის მექანიზმები

სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 კარი მთლიანად დაეთმო არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. განვიხილოთ სისხლის სამართლის კოდექსში 1999 წლიდან არსებული და დღემდე მოქმედი ალტერნატიული პასუხისმგებლობის მექანიზმები არასრულწლოვანთა მიმართ. კოდექსის მე-17 თავში გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის და სასჯელის მოხსნის მექანიზმები. სსკ-ის 91-ე მუხლი მოიცავს აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებების სახეებს. ესენია: გაფრთხილება, სახედამხედველოდ გადაცემა, ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება, ქცევის შეზღუდვა, სპეციალურ აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება³. საინტერესოა, რომ ამ ინსტიტუტის გამოყენების პრეროგატივა სასამართლოს იმ შემთხვევაში აქვს, თუ არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული. აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებების მთავარი

¹ ქეროლინ ჰამილტონი. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები. გაეროს ბავშვთა ფონდი. თბილისი, 2011 წლის მაისი, გვ. 27.

² ქეროლინ ჰამილტონი. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები. გაეროს ბავშვთა ფონდი. თბილისი, 2011 წლის მაისი, გვ. 25.

³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თბილისი, 1999 წ. 91-ე მუხლი.

უპირატესობა ის არის, რომ არ იწვევს ნასამართლობას. ნასამართლობა კი სირთულეებს შეუქმნის არასრულწლოვნებს ცხოვრების მანძილზე, თუმცა ეს უკვე სოციოლოგიური გამოკვლევის საგანია. სამწუხაროდ, არ არსებობს სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები აღმზრდელობითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ. ამ კუთხით სასამართლო პრაქტიკა არ არის შესწავლილი. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ამოქმედების დღიდან (2000 წლიდან) ეს ლიბერალური ინსტრუმენტი პრაქტიკაში არ გამოიყენებოდა. ასევე, არ არსებობს მონაცემები სასამართლოს მიერ სსკ-ის 97-ე მუხლის გამოყენების შესახებ, რომელიც არასრულწლოვანს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან სსკ-ის 91-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში.¹

ზემოხსენებულ მუხლებს არ შეეხო 2009 წელს განხორციელებული ცვლილებები 891-ე მუხლისგან განსხვავებით, რომელიც კანონმდებლის მიერ 2009 წელს იქნა ამოღებული. აღნიშნული მუხლი სასამართლოს კიდევ ერთ შესაძლებლობას აძლევდა მეორე შანსი მიეცა არასრულწლოვანისთვის, მის მიერ ნაკლებად მძიმე დანაშაულის პირველად ჩადენის შემთხვევაში დაზარალებულთან შერიგების პირობით.

ამ ბერკეტის გამოყენება შესაძლებელი იყო სისხლისსამართლებრივი დევნის ნების მიერ ეტაპზე. ანალოგიური უფლებამოსილება მინიჭებული ჰქონდა პროკურორსაც 1998 წლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. პროკურორს შეეძლო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის, დაზარალებულთან შერიგების ან საჩივრის არარსებობის გამო.² სისხლის სამართლის კოდექსის მე-13 თავში (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება) გაწერილი საფუძვლები ვრცელდება არასრულწლოვნებზეც:

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ქმედითი მონაწილების გამო (მუხ. 68);
2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ვითარების შეცვლის გამო (მუხ.70);
3. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის გამო (მუხ.70, „პრიმა 1“);
4. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო (ხანდაზმულობის შემცირებული ვადები) (მუხ.71 და 99);
5. სასამართლობის გაქარწყლება (შემცირებული ვადები).³

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2009 წელს, კარდინალური ცვლილებების განხორციელებამდე, საქართველოს სისხლის სამართლისთვის უცხო არ იყო ლიბერალური მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებდა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების პასუხისმგებლობის ალტერნატიულ ღონისძიებებს. სამწუხაროდ გაანალიზებული არ არის ამ ნორმების პრაქტიკული გამოყენება. 2010 წლის 24 სექტემბერს სსკ-ის 89-ე „პრიმა 1“ მუხლის ამოღება დაემთხვა ქართულ სამართლებრივ სივრცეში ახალი ინსტიტუტის განრი-

¹ ნინო გვენეტაძე, მარინა კვაჭაძე, ელიკო წიკლაური-ლაშიხი, მიხეილ გაბუნია. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება: განრიდება და მედიაცია. თბილისი, 2012, გვ. 76.

² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 1998 წ. 28-ე მუხლი.

³ ნინო გვენეტაძე, მარინა კვაჭაძე, ელიკო წიკლაური-ლაშიხი, მიხეილ გაბუნია. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება: განრიდება და მედიაცია. თბილისი, 2012, გვ. 79.

დებასა და მედიაციის შემოღებას სისხლის საპროცესო კანონმდებლობაში (24.09.2010; №3619). განრიდება და მედიაცია ამოქმედდა ე.წ. პილოტურ რეჟიმში. ამ ინსტიტუტის შემოღება აბსოლუტურად ინოვაციური იყო იმ კუთხით, რომ მან საქართველოში შემოიღო დისკრეციულობის პრინციპი, რაც შესაძლებელს ხდის ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნის მიმართ, საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილებით არ დაიწყოს ან შეწყვიტოს დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა.

სასამართლოს როლი, კრიტიკა

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის და გაეროს მინიმალური სტანდარტებისა და ნორმების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, პოლიციას და მოსამართლეებს უფლებამოსილება არ გააჩნიათ ბავშვებს თავიდან ააცილონ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მოთხოვნები და გამოიყენონ საზოგადოებრივ დახმარებაზე დაფუძნებული პროგრამები, რომლებიც აღკვეთენ დანაშაულებრივ ქმედებას, იმუშაონ ბავშვებსა და მათ ოჯახებთან. ამგვარი სქემების შექმნა იმ არასრულწლოვნისთვის, ვინც პირველად ჩაიდინა დანაშაული და ვინც განმეორებით მოხვდა მართლმსაჯულების წინაშე, არ მოუწევს გასამართლების ყველა უსიამოვნო პროცედურის გავლა. ეს ბავშვებს საშუალებას მისცემს დარჩნენ ოჯახებში, არ მოსწყდნენ განათლების პროცესს და მიიღონ საჭირო მხარდაჭერა.¹

სსსკ-ის 32-ე მუხლის თანახმად, პროკურორი არის სისხლისსამართლებრივი დევნის ერთადერთი ორგანო და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი. ის წყვეტს დაექვემდებაროს თუ არა არასრულწლოვანი მედიაციას, კონკრეტული სს საქმის მიხედვით. უკანასკნელი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება სისხლის სამართლის საქმე საჯარო ინტერესს, რაც, თავის მხრივ, პროკურორის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს რამდენიმე ფაქტორი: სახელმწიფოს მიერ ქვეყანაში წარმართული სამართლებრივი პოლიტიკა, დანაშაულის სიმძიმე და ბუნება, პირის ბრალეულობის ხარისხი, კრიმინალური წარსული, პიროვნული დახასიათება, გამოძიებასთან თანამშრომლობა. ცხადია, რომ პროკურორის უფლებამოსილება საგრძნობად გაიზარდა, რასაც ვერ ვიტყვით სასამართლო ხელისუფლებაზე. სასამართლოს არა აქვს განრიდების დისკრეცია, არ აქვს უფლება შეწყვიტოს საქმის წარმოება მედიაციის სასარგებლოდ. ოპონენტების უპირველესი არგუმენტი სწორედ განრიდება და მედიაციის ინსტიტუტის ამ თვისებაზეა აგებული. ფაქტიურად, პროკურატურა, რომლის ზეგავლენა საქართველოში ისედაც დიდი იყო, დისკრეციული უფლებამოსილების შექმნით ერთადერთი ორგანო გახდა, რომლის ხელში აღმოჩნდა მექანიზმის გამოყენების საშუალება. ამგვარ ცვლილებას შეეძლო ხელისუფლების განშტოებაში სერიოზული დისბალანსი გამოეწვია. სასამართლო როლის შესუსტება და, შესაბამისად, ბრალდების ორგანოს უფლებამოსილების გაზრდა საფრთხეს უქმნის ბევრ პრინციპს, მათ შორის ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. კრიტიკული აზრის მიხედვით, კანონმდებელმა არ გადაანაწილა ალტერნატიული

¹ ქეროლინ ჰამილტონი. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ანალიზი საქართველოში. გაეროს ბავშვთა ფონდი, UNIC. თბილისი, 2007, გვ. 5.

მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობა სასამართლოზე. სასამართლოს როლის შეზღუდვა ასევე ნათელია სასჯელის აღსრულების ეტაპზე. სასჯელის აღსრულების პროცესში სასამართლოს როლი მინიმუმამდეა დაყვანილი. აღდგენითი მექანიზმის გამოყენების პროცესს და ზედამხედველობას ახორციელებს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების სამინისტრო.

ფაქტობრივად, უგულებელყოფილ იქნა ევროსაბჭოს მიერ დადგენილი სტანდარტი: სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელმა ორგანომ (პროკურორი) და მართლმსაჯულების განმახორციელებელმა სასამართლო ორგანოებმა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლონ არასრულწლოვანი, პროცესუალური და მატერიალური ნორმების გამოყენების გზით.¹ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარ ტომას ჰამარბერგის ანგარიში ეხება მედიაციისა და განრიდების ინსტიტუტს. მიუთითებს, რომ ინსტიტუტს უნდა მიეცეს საკმარისი ავტონომია მართლმსაჯულების სისტემაში. გარდა ამისა, სისხლის სამართლის მედიაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე.²

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტის შექმნით გააგრძელა რეფორმები და მიზნად დაისახა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპეციალური საკანონმდებლო ბაზის შექმნა. კოდექსის პროექტში გაერთიანდა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მართლმსაჯულების ნორმები, რომლებიც სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კოდექსებში, ასევე პატიმრობის შესახებ კანონში და სხვა მრავალ სპეციალურ საკანონმდებლო აქტებში იყო გაბნეული.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროექტი იუსტიციის სამინისტრომ ევროკავშირისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით მოამზადა.³

¹ ნინო გვენეტაძე, მარინა კვაჭაძე, ელიკო წიკლაური-ლამიხი, მიხეილ გაბუნია. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება: განრიდება და მედიაცია. თბილისი 2012, გვ. 87.

² ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარ ტომას ჰამარბერგის ანგარიში. მართლმსაჯულების განხორციელება და ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოს სამართლებრივ სისტემაში. სტრასბურგი, 30 ივნისი, 2011 წ. 46 გვ.

³ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი - საქართველოში პირველად. 25.11.2014. გ. მთივლი-შილი. კახეთის საინფორმაციო ცენტრი.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

საქართველოს საგარეო პოლიტიკური გეზი ევროკავშირთან ინტეგრაციაა. ქვეყანა ცდილობს დააკმაყოფილოს გარკვეული სტანდარტები და მოაწესრიგოს არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სფერო. ევროკავშირის სამართლებრივ სტანდარტებთან მიხედვით ხორციელდება ორივე მხარის თანამშრომლობით, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით. საქართველოს სამართლებრივი სივრცის რეფორმირების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაა.

მკაცრი სასჯელის პოლიტიკამ ვერ შეცვალა დანაშაულებრივი მენტალიტეტი არასრულწლოვანი დამნაშავეების რიგებში. ნათელი გახდა, რომ თავისუფლების შეზღუდვა და პენიტენციურ დაწესებულებებში ახალგაზრდა მსჯავრდებულების მოთავსება არ იყო მიმართული სისხლის სამართლის მიზნების მისაღწევად, კერძოდ პრობლემად დარჩა არასრულწლოვნების რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია.

საქართველოში არსებული სისხლის სამართლის კანონმდებლობა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურება ფრიად საყურადღებოა გარდამავალი ეტაპის მართლმსაჯულების კუთხით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა ეფექტური და ბავშვის ინტერესებზე ორიენტირებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც მოითხოვს რეფორმების განხორციელებას შემდეგი მიმართულებით:

- არასრულწლოვანთა დანაშაულის ეფექტური პრევენცია;
- კანონმდებლობის ბაზის დახვეწა;
- პასუხისმგებლობისა და საპატიმრო სასჯელის ალტერნატივების შემუშავება და დანერგვა;
- კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია;
- არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლება და მუდმივი გადამზადება;
- კვლევისა და ანალიზის შესაძლებლობების გაძლიერება, სტატისტიკის დახვეწა.

ამ მიმართულებით დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები, არასრულწლოვანთა ლიბერალური მართლმსაჯულების სისტემის შესაქმნელად, სიმბოლურად დაემთხვევა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მიერ გამოცხადებულ ბავშვთა უფლების დაცვის წელს.

JUVENILE JUSTICE IN GEORGIA

European integration is the main foreign political orientation of Georgia. The country is trying to meet a number of standards, including the important ones – the regulation of the issues of juvenile criminal responsibility. The approach to EU legal standards is performed by the collaboration of both parties, with the support of international organizations. For Georgia, one of the main directions of the reform of justice spatial is the judgment of the juvenile.

The harsh punishment policy couldn't replace the ranks of the criminal mentality within juvenile culprits. It became clear, that the freedom restriction and placement of young convicts in a prison wasn't intended to achieve the purposes of criminal law, in particular it remained a problem the rehabilitation and re-socialization of juveniles.

The present criminal law of Georgia and the peculiarity of juvenile justice are highly notable in terms of transitional justice.

The priority developed by the Ministry of Justice of Georgia is effective; The child-oriented juvenile justice system scheme requires the implementation of reforms in the following direction:

- Effective prevention of juvenile delinquency;
- Improvement of legislation data;
- Development and implementation of the alternatives of prosecution and a prison penalty;
- Rehabilitation of juveniles in conflict with the law and integration into the society;
- Qualification and continuous training of professionals dealing with juvenile offenders;
- Strengthening the capacity of research and analysis and improvement of statistical techniques.

The planned and implemented liberal juvenile justice system in this direction symbolically coincides with the children's rights year protection, which was announced by the Georgian parliament's human rights committee.

ПРАВОВАЯ ОТВЕТСТВЕННОСТЬ НЕСОВЕРШЕННОЛЕТНИХ В ГРУЗИИ

Политическим направлением внешней политики Грузии является интеграция с Евросоюзом. Страна старается удовлетворить целый ряд стандартов и в том числе самый важный – упорядочить сферу уголовной ответственности несовершеннолетних.

Приближение к правовым стандартам Евросоюза осуществляется сотрудничеством обеих сторон и поддержкой международных организаций. Основным направлением реформ в правовой сфере является правосудие несовершеннолетних.

Политика сурового наказания не смогла поменять преступный менталитет несовершеннолетних преступников. Стало очевидным, что ограничение свободы и помещение в пенитенциарные учреждения молодых заключенных не было направлено на достижение целей уголовного права, в частности, реабилитацию и ресоциализацию несовершеннолетних, так и осталось проблемой.

Уголовное законодательство Грузии и особенности правосудия несовершеннолетних примечательны для переходного периода в отношении правосудия.

Приоритетом Министерства юстиции Грузии является эффективное ориентирование на интересы детей схемы системы правосудия несовершеннолетних, которая требует осуществления реформ в следующих направлениях:

- предупреждение преступности среди несовершеннолетних;
- улучшение законодательной базы;
- ответственность, разработка и внедрение альтернатив тюремному заключению;
- реабилитация несовершеннолетних, находящихся в конфликте с законом, и интеграция в общество;
- постоянное обучение специалистов и переквалификация по делам несовершеннолетних;
- укрепление научно-исследовательского анализа, и возможности улучшения статистики.

Запланированные и осуществленные мероприятия для создания либерального правосудия по делам несовершеннолетних символически совпадают с годом защиты прав детей, объявленным Комитетом защиты прав человека парламента Грузии.

**ჰომოფობია და საქართველო – ევროპული ინტეგრაციით
ბანაირობებულ პროცესში თუ დიდი ხნის პრობლემა**

აღნიშნულ პრობლემას არაერთხელ შევეხე დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში. პრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანელი და ჩეხი ლექტორები გვიკითხავდნენ ლექციებს უმცირესობათა უფლებებზე, გვაცნობდნენ ამ სფეროში მიღებულ საერთაშორისო ნორმატიულ აქტებს, რეზოლუციებს. მნიშვნელოვანი დრო და ყურადღება ეთმობოდა სექსუალურ უმცირესობათა უფლებებზე საუბარს. როდესაც ერთ-ერთმა ლექტორმა გაიგო, რომ საქართველოდან ვიყავი და ამასთან მართლმადიდებელი, მკითხა: „თქვენ იცით, რომ უნივერსიტეტში მალე ჩატარდება სტუდენტთა გამოკითხვა სასწავლებელში დანერგილი სიახლეების, ასევე საუკეთესო ლექტორების გამოსავლენად?“ დავუდასტურე, რომ ამის შესახებ ვიცოდი. მან გააგრძელა შეკითხვა: „ვიცი, რომ მონაწილეობას მიიღებთ ამ გამოკითხვაში და წინასწარ მინდა თქვენი აზრის გაგება, თუ წინააღმდეგი არ ხართ“... ბრძანეთ - მეტი, ვუპასუხე. „მისცემდით თუ არა მაღალ შეფასებას ლექტორს, რომელსაც კარგად იცნობთ, პატივს სცემთ, როგორც მაღალი ღირებულებების მქონე, სამართლიან ადამიანს და როგორც პროფესიონალს, მოგწონთ, როგორ გადმოსცემს სათქმელს და როგორ ეპყრობა სტუდენტებს?“ სანამ დაუფიქრებლად ვუპასუხებდი, რომ ჩემგან ასეთი ლექტორი უდავოდ დაიმსახურებდა მაღალ შეფასებას, შეკითხვის ავტორმა გააგრძელა: „მაგრამ, იცით, რომ ის განსხვავებული სექსუალური ორიენტაციისაა და დიად იცავს სექსუალური უმცირესობების უფლებებს ევროპაში?“ დავიბენი, პასუხი ვერ გავეცი? ლექტორმა კი დასძინა: „თქვენ, როგორც ქართველი ახალგაზრდა და მართლმადიდებელი, თავს იკავებთ პასუხისგან, მე კი აქ იმისთვის ვარ, დაგარწმუნოთ, რომ არც ერთი ადამიანის ღირსებას და ავტორიტეტს არ უნდა აკნინებდეს მისი სექსუალური ორიენტაცია. რომელიმე უმცირესობისადმი ადამიანის მიკუთვნება არ უნდა ცვლიდეს ან ზღუდავდეს მის უფლებებს...“ ეს იყო პროფესორი პაველ შტურმა, საერთაშორისო სამართლის კათედრის ხელმძღვანელი, უამრავი წიგნის ავტორი და ერთ-ერთი საუკეთესო ლექტორი. ჩვენთან ბევრი უცხოელი სტუდენტი სწავლობდა, ვისთვისაც ეროვნული ტრადიციები, რელიგია ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. ჩვენი ადამიანური ღირებულებებისა და პრინციპების გადაფასება არასოდეს ყოფილა ბატონ შტურმას მიზანი. ის გვასწავლიდა, რომ, თუ გვინდა წარმატებული ვიყოთ ჩვენს პროფესიაში, მაშინ უნდა ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ კანონებით და ხშირად მოგვიწევს ისეთი ადამიანის დაცვა, რომელსაც ჩვენი პრინციპებისა და ფასეულობების არაფერი გაეგება.

გამოკითხვა ჩატარდა, მეც მივიღე მონაწილეობა და, ფაკულტეტის სტუდენტების უმრავლესობის მსგავსად, საუკეთესო ლექტორად დავასახელე გამოკითხვაში შემოთავაზებულ კანდიდატურათაგან ერთ-ერთი. ის მიეკუთვნება სექსუალურ უმცირესობებს და დღესაც ევროპარლამენტში LGBT პირების აქტიურ მხარდაჭერას ახორციელებს. ამ ინფორმაციას გამოკითხვის პერიოდში არ ვფლობდი. ძნელი სათქმელია, როგორ მოვიქცეოდი იმ შემთხვევაში, ყოველივე წინასწარ რომ მცოდნოდა. ევროპის შუაგულში რამდენიმე წელი ვსწავლობდი და ცოდნა გავიდრმავე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში.

ვერ ვიტყვი, რომ სტუდენტობის წლებმა ჩემი პრინციპების გადაფასებაზე სერიოზული გავლენა მოახდინა, მაგრამ ნებისმიერი უმცირესობის წარმომადგენლებისა და მათი უფლებებისადმი ჩემი, როგორც იურისტის დამოკიდებულება ნამდვილად შეიცვალა. დღეს, როგორც საერთაშორისო სამართლის ლექტორს, ხშირად მიწევს საუბარი უმცირესობებზე – ჩემი მიზანი განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების ადვოკატობა არ არის, მაგრამ გადავწყვიტე შემოთავაზებულ პატარა კვლევაში თქვენი ყურადღება სწორედ აღნიშნულ პირთა უფლებებზე გავამახვილო. ჩემი გადაწყვეტილება განპირობებულია ორი მიზეზით. პირველი ის გახლავთ, რომ ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მოეთხოვება ჰომოფობიის წინააღმდეგ მკაცრი ღონისძიებების გატარება. მეორე მიზეზი კი ის, რომ სტუდენტები, რომლებიც, როგორც თავად აღნიშნავენ, LGBT პირების მოთხოვნებს არ იზიარებენ და სექსუალური უმცირესობების ქუჩაში გამოსვლას, ჰომოსექსუალიზმის¹ ნებისმიერი სახით პროპაგანდას ეწინააღმდეგებიან, არ ფლობენ სრულ ინფორმაციას იმ „პრობლემაზე“, რომელსაც ებრძვიან. ხშირად, ადგილი აქვს ტერმინოლოგიის არევის. როდესაც ვსაუბრობთ ჰომოსექსუალებზე, უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანები არ გამოჩენილან 1 ან 2 საუკუნის წინ, გლობალიზაციისა და ქვეყნებს შორის კულტურების გაცვლის გამო. კაცობრიობის ისტორიას ახსოვს კულტურები, სადაც ამგვარი ქცევა სირცხვილი არ იყო და არც ცოდვად ითვლებოდა. მაგალითად, ძველი საბერძნეთი, სპარტა, სადაც მამაკაცებს შორის კავშირი ოფიციალურად იყო გაფორმებული და ძველი რომი, სადაც ზოგიერთი იმპერატორი ერთსქესიან ქორწინებაში იმყოფებოდა.

მე-19 საუკუნეში, ფსიქოლოგიისა და სექსოლოგიის ჩამოყალიბებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარებასთან ერთად, იწყება ჰომოსექსუალობის, როგორც ფენომენის შესწავლა. ამ პერიოდში მეცნიერება ჰომოსექსუალიზმთან დაკავშირებული საკითხების შესწავლასა და კვლევას პათოლოგიისა და დაავადების განხილვის გზით ახდენს. სხვადასხვა მეცნიერი აყალიბებს თეორიას სექსუალური უმცირესობების

¹ ჩემთვის, როგორც სტატიის ავტორისთვის, არ არის უცხო LGBT პირთა პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ტერმინი “ჰომოსექსუალიზმი” დისკრიმინაციულია და ნეგატიურ კონოტაციას ატარებს. სექსუალური უმცირესობები და მათი უფლებების დამცველი ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ, როგორც ტერმინი “ჰეტეროსექსუალიზმი”, “ჰომოსექსუალიზმი” ლინგვისტურად გაუმართავია. ის მრავალი ათეული წელია არ გამოიყენება სამეცნიერო ლიტერატურაში. ამიტომ, როდესაც განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ან იდენტობის ადამიანებზე ვსაუბრობთ, მისაღებია ტერმინი “ჰომოსექსუალობის” გამოყენება. თუმცა, ხშირად, იურიდიულ ლიტერატურაში, ლექსიკონებში გამოყენებულია ტერმინი „ჰომოსექსუალიზმი“ Гомосексуализм /И. Кондаков. Психологический словарь, 2000 г. ჰომოსექსუალიზმი /გენდერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი = Краткий словарь гендерных терминов /მერკვილაძე ია; [რედ.: ნაირა პოპიაშვილი; თარგმანი ჰამლეტ ზუკაკიშვილისა], თბ., კავკას. სახლი, 2003 - 112გვ. [ფ.ა.]. Гомосексуализм /Большой юридический словарь /Сухарев, А. Я. 3-е издание, дополненное и переработанное, 2009 г. 864 с. (Библиотека словарей «Инфра-М»). ხშირად, ჰომოსექსუალიზმი და ჰომოსექსუალობა ერთი და იგივე მნიშვნელობით გამოიყენება: Гомосексуальность (гомосексуализм) /Справочник по болезням/ Москва, 2012. ამიტომ, სტატიაში გამოყენებული ტერმინი „ჰომოსექსუალიზმი“ არ უნდა იყოს გაიგივებული LGBT პირთა დისკრიმინაციასთან. უნდა ვადიაროთ, რომ ორივე ტერმინი მეცნიერთა (განსაკუთრებით, ლინგვისტების) სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებს, რათა თავიდან ავიცილოთ მსგავსი გაუგებრობა. იგივე შეიძლება ითქვას ტერმინებზე: „ჰომოსექსუალი“ და „ჰომოსექსუალისტი“ (იხ. ასათიანი მარიკა.) კულტურის სოციოლოგია. სალექციო კურსი სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის [მთ. რედ. მარინე ჩიტაშვილი; ენობრ. რედ. ლია კაჭარავა], თბ.: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006 წ.

შესახებ.¹ პირველად, ტერმინები „ჰომოსექსუალი“, „ჰომოსექსუალისტი“ გერმანულ ენაზე გამოიყენა უნგრული წარმოშობის ავსტრიელმა მწერალმა კარლ მარია კერტბენიმ სექს-რეფორმატორ კარლ ჰაინრიხ ულრიხსთეის მიწერილ 1868 წლის 6 მაისით დათარიღებულ პირად წერილში. საჯაროდ კი პირველად 1869 წელს გამოაქვეყნა თავის პეტიციაში, სადაც გერმანიაში “არაბუნებრივი მრუშობის” აკრძალვას აპროტესტებდა. მოგვიანებით, საუკუნის მიწურულს აიტაცეს ექიმებმა სიტყვა ჰეტეროსექსუალი, ქალსა და კაცს შორის ინტიმური ურთიერთობის აღსანიშნავად. თუმცა, გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: ამ სიტყვაში ნაგულისხმები სექსუალური კავშირი ცალსახად არ გამოხატავდა რეპროდუქციას; **ჰეტეროსექსუალი მეოცე საუკუნემდე ქალსა და მამაკაცს შორის უწესო, უზნეო კავშირის დასახასიათებლად გამოიყენებოდა.** ჰეტეროსექსუალსა და ჰომოსექსუალზე აშშ-ში პირველად 1892 წლის მაისში გამოცემულ ერთ-ერთ სამეცნიერო ჟურნალში დაიბეჭდა. ამ და მოგვიანებით გამოცემულ სამედიცინო პუბლიკაციებში, ლექსიკონებში ჰომოსექსუალად მიიჩნეოდა ადამიანი, რომელიც “მიდრეკილია ორივე სქესისადმი” და “კმაყოფილებას აღწევს უკუღმართი მეთოდებით”. ჰეტეროსექსუალობა კი განისაზღვრება, როგორც “არანორმალური ან გარყვნილი ვნება საწინააღმდეგო სქესისადმი.”² 22 წლის შემდეგ გამოცემული Merriam-Webster³-ის ლექსიკონიც იგივე განმარტებას გვაძლევს: ჰეტეროსექსუალი სამედიცინო ტერმინია, რომლითაც აღინიშნება „პათოლოგიური სექსუალური ვნება განსხვავებული სქესისადმი”. თანდათან, მკვლევართა დამოკიდებულება ტერმინისადმი იცვლება და ფსიქოლოგები, ექიმები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ჰეტეროსექსუალობა მხოლოდ ქალსა და მამაკაცს შორის ეროტიკული კავშირის “ნორმალურად” მიჩნეული, რეპროდუქციული ფორმაა. ამ შემთხვევაში, სექსუალური ქცევისა და სურვილის გამოხატვა მხოლოდ საპირისპირო სქესთან მიმართებაშია გამართლებული.⁴ ასევე, საჭირო გახდა ახალი ტერმინების შემოღება და დამკვიდრება, მათი ზუსტი დეფინიციების მიწოდება დაინტერესებული პირებისათვის. ამრიგად, ჰომოსექსუალიზმი გაიგივდა რომანტიკულ ან სექსუალურ მიზიდულობასა და კონკრეტულ ინტიმურ ქცევასთან მხოლოდ ერთი სქესის წარმომადგენლებს შორის. ჰომოსექსუალი შეიძლება იყოს როგორც ქალი, ისე მამაკაცი.⁵

¹ ბიოლოგიური თეორიები სექსუალური უმცირესობების ჩამოყალიბების შესახებ: უპირველესად ყურადღება მახვილდება გენეტიკურ და ჰორმონულ ფაქტორებზე. ჰომოსექსუალობის განმაპირობებელ ფაქტორად წარმოდგენილია პრენტალურ (მუცლადყოფნის) პერიოდში ჰორმონების გავლენა თავის ტვინზე, რაც განსაზღვრავს ინდივიდის ამა თუ იმ სექსუალური ქცევისადმი მიდრეკილებას. ფსიქოლოგიური თეორიები - ყურადღება მახვილდება გარემოზე, რომელშიც ინდივიდი ცხოვრობს, მის ფსიქიკაზე, სხვა ადამიანის მხრიდან იძულებისა და ზემოქმედების ნებისმიერ ფორმებზე. სოციალური თეორიები - ყურადღება მახვილდება ოჯახურ გარემოზე, ბავშვზე განხორციელებულ სექსუალურ და სხვა სახის ძალადობაზე.

² 1901 წელს გამოცემული ფილადელფიის სამედიცინო ლექსიკონი.

³ Merriam-Webster, Inc., which was originally the G & C Merriam Company^[1] of Springfield, Massachusetts, is an American company that publishes reference books, especially dictionaries, that are descendants of Noah Webster's An American Dictionary of the English Language.

⁴ ჯონათან ნედ კეტზი (Jonathan Ned Katz), წიგნიდან - Sexualities: identities, behaviors, and society. New York: Oxford University Press (რედ. Kimmel, Michael S., and Rebecca F. Plante).

⁵ ტერმინი „გეი“ უმთავრესად გამოიყენება მამაკაც ჰომოსექსუალებთან მიმართებაში. „ლესბოსელი“ გენდერულად სპეციფიკური ტერმინია, რომელიც მხოლოდ ჰომოსექსუალ ქალებს უწოდებენ. ენის სტილის მრავალი თანამედროვე სახელმძღვანელო „ჰომოსექსუალის“, როგორც არსებითი სახელის, გამოყენების წინააღმდეგია, რომლის მაგივრად უპირატესობას „გეისა“ და „ლესბოსელს“ ანიჭებს. ზოგიერთი მეცნიერი ამ სიტყვის თანამედროვე ლექსიკაში გამოყენებიდან ამოღებას არჩევს, ვინაიდან მან დროთა განმავლობაში უარყოფითი მნიშვნელობა შეიძინა. დღეს ის უფრო სექსუალურ ქცევაზე მიუთითებს და არა რომანტიკულ გრძნობებზე.

ბისექსუალი ეწოდა ადამიანს, რომელიც ორივე სქესისადმი მიდრეკილი.¹ გაჩნდა სხვა ტერმინებიც: ტრანსგენდერი – კრებისით ტერმინია, მასში შეიძლება გავერთიანოთ: ტრანს-სექსუალები,² ტრანსვესტიტები,³ ტრავესტები,⁴ შიმეილი,⁵ ბიგენდერი⁶ და ყველა ის ადამიანი, ადამიანი, რომლის გენდერული თვითიდენტიფიკაცია განსხვავდება მისი ბიოლოგიური სქესისგან ან არ ეწერება სქესისა და გენდერის ტრადიციული გაგების ფარგლებში. ადამიანები, რომელთა გენდერულ-სექსუალური თვითგამოხატვა, საზოგადოების წევრთა უდიდესი ნაწილის აზრით, სცდება ნორმალურ ფარგლებს. გენდერულ თვითიდენტიფიკაციასთან დაკავშირებით აუცილებელია ითქვას, რომ ამიერიდან გერმანიაში დაბადებული ბავშვი შეიძლება იყოს მდებარეობით, მამრობითი ან გაურკვეველი სქესის. ამგვარად, მშობლებს აღარ შეეძლებათ "თავს მოახვიონ" ახალშობილებს კონკრეტული სქესი და მას, ვისაც გარდამავალი სქესობრივი ნიშნები (ინტერსექსუალი) გამოუვლინდება, მოგვიანებით თავად აირჩევს სასურველ სქესს, – ნათქვამია ბუნდესრატის მიერ მიღებულ ახალ კანონში, რომელიც ძალაში 2013 წლის ნოემბერში შევიდა. ამ საკითხში გერმანია პირველობით ვერ დაიკვეხნის. ავსტრალია გახდა პირველი ქვეყანა, სადაც საუკუნეების განმავლობაში დაკანონებული "სქესობრივი დახარისხება" ეჭვქვეშ დააყენეს. შედეგად, წარმოიშვა ტერმინი

¹ ბისექსუალობა ადამიანის სექსუალური ორიენტაციაა, რომელიც მიუთითებს ესთეტიკურ, რომანტიკულ და სექსუალურ ლტოლვაზე ნებისმიერი სქესის ადამიანის მიმართ. ზოგიერთი მეცნიერისათვის (ასევე, მწერლისთვის) ისინი პარალელურია ჰომოსექსუალობისა და ჰეტეროსექსუალობის, ზოგიერთისთვის კი ამ ორის ნაზავია. მიუხედავად იმისა, რომ ბისექსუალობას სხვადასხვა ფორმაში, ადამიანთა ისტორიის განმავლობაში, ხშირად ჰქონია ადგილი, სერიოზული შესწავლის საგანი მხოლოდ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში გახდა, თუმცა მის ხასიათსა და ბუნებაზე ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებები და შეხედულებები არსებობს.

² მაგ., ტრანსქალი არის ტრანსსექსუალი, რომელიც ბიოლოგიურად არის მამაკაცი ანუ აქვს მამაკაცის სასქესო ორგანოები, თუმცა, მისი გენდერული იდენტობა შეესაბამება ქალს. ტრანსსექსუალი ქალი ხშირად იყენებს ცვლილების იმ მეთოდებს, რომლითაც საშუალება ეძლევა დაემსგავსონ ქალს, მაგ., ჰორმონო - ჩანაცვლებითი თერაპია. ასეთ ქალები იღებენ ესტროგენებს და მათი სხეული განიცდის ფიზიკურ ცვლილებას, იცვლება ცხიმის გადანაწილება სხეულში, ცხიმოვანი ქსოვილი უფრო მეტად ვითარდება ბარძაყებისა და ღუნდულოების მიდამოებში, იზრდება მკერდი. ტრანსსექსუალები იცვამენ ქალებისთვის, იკეთებენ მაკიაჟს და ა.შ. ზოგჯერ სქესის შეცვლის ოპერაციასაც მიმართავენ.

³ ტრანსვესტიტები და კროსდრესერები - იცვამენ და იქცევიან საპირისპირო სქესის შესაბამისად. ტრანსვესტიტს უწოდებენ მამაკაცს, რომელიც იცვამს ქალის სამოსს. ამ ტერმინს არ იყენებენ ქალის მიმართ, რადგან მამაკაცის სამოსის ტარება ქალისათვის დიდი ხანია არ აღიქმება განსაკუთრებულ მოვლენად. განასხვავებენ ტრანსვესტიტ-ფეტიშისტებს – ადამიანებს, რომლებიც საპირისპირო სქესის ტანსაცმელს იცვამენ სექსუალური აგზნების მიზნით და ამას კავშირი არ აქვს გენდერულ იდენტობასთან. ორმაგი როლის მქონე ტრანსვესტიტები არის ადამიანი, რომელიც არა მხოლოდ იცვამს ტანსაცმელს, არამედ ფსიქოლოგიურადაც ითავსებს საპირისპირო სქესის როლს. მათი გენდერული იდენტობა შეიძლება შეიცვალოს ცხოვრების სტილის ცვლილებასთან ერთად, მოხდეს მონაცვლეობა ქალიდან მამაკაცში ან პირიქით. მაგრამ ისინი არ მიმართავენ სამედიცინო ჩარევას. მათთვის საკმარისია, თუ გარემომცველები მას აღიქვამენ მისი გენდერული იდენტობის შესაბამისად.

⁴ ტრავესტები (drag queen, drag king) – ადამიანები, რომლებიც ასრულებენ საპირისპირო სქესის როლს განსაზღვრული სცენური სახის შესაქმნელად. ჰიპერტროფირებულად (გადაჭარბებულად) გამოხატავენ საპირისპირო სქესს შესაბამისი მაკიაჟისა და ჩაცმულობის მეშვეობით. ასეთი სახე, როგორც წესი, არ განეკუთვნება გენდერულ იდენტობას.

⁵ შიმეილი (shemale) – ბიოლოგიურად მამაკაცი, რომელიც ჰორმონული თერაპიისა და ფემინიზაციის გზით აღწევს ქალურ გარეგნობას, თუმცა არ იკეთებს ოპერაციას და ინარჩუნებს მამაკაცის სასქესო ორგანოს.

⁶ ბიგენდერი – ადამიანი, რომელიც ორივე სქესის ნიშნებს ითავსებს (არაფიზიოლოგიურს) და თვით-იდენტიფიკაციას ახდენს როგორც ქალთან, ასევე მამაკაცთან (ერთდროულად ან მონაცვლეობით). არ უნდა აგვერიოს ინტერსექსუალში (ინტერსექსუალობა, რომლის დროს სასქესო მახასიათებლები: ქრომოსომები, გონადები, გენიტალები, სასქესო ნიშნები არ იძლევა საშუალებას ზუსტად განისაზღვროს, რომელ სქესს ეკუთვნის ადამიანი. ეს შეიძლება მოხდეს ჰერმაფროდიტიზმის შემთხვევაში და ჰერმაფროდიტში (ზოგადად ჰერმაფროდიტიზმი არის მდგომარეობა, როდესაც ორგანიზმს აქვს როგორც ქალის, ასევე მამაკაცის სასქესო ორგანოები).

"ინტერსექსუალი" – ადამიანი, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორივე სქესისთვის დამახასიათებელი სქესობრივი ნიშან-თვისებები აქვს ქრომოსომების ჩათვლით და მისი, ფიზიოლოგიური მდგომარეობის მიხედვით, რომელიმე სქესისათვის მიკუთვნება შეუძლებელია.¹ ავსტრალიის მაგალითმა, როგორც ჩანს, შევადგინა პოვა გამოსმაურება და მათ სპეციალურად საშუალო სქესის ადამიანის აღმნიშვნელი არტიკლი/ნაცვალსახელიც მოიგონეს - „ჰენ“. ახალ იდეას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. ეს სიახლე განსაკუთრებით მიუღებელი დიდი ბრიტანეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის აღმოჩნდა. მათ მხარი არ დაუჭირეს ევროპარლამენტში შესულ კანონპროექტს ევროკავშირის მასშტაბით საშუალო სქესის დაკანონების შესახებ.

რა კავშირშია ზემოთ მოყვანილი თითოეული ტერმინი ჰომოფობიასთან? ევროპარლამენტის 2006 წლის 18 იანვარს მიღებულ რეზოლუციაში ტერმინი “ჰომოფობია” ასეა განმარტებული: **"ირაციონალური შიში და სიძულვილი ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ, რომელიც ეფუძნება წინასწარ განწყობას და მსგავსია რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და სექსიზმისა"**.² ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღედ 17 მაისის გამოცხადება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გადაწყვეტილებას უკავშირდება, რომელმაც 1990 წლის 17 მაისს ჰომოსექსუალობა ფსიქიკურ დაავადებათა სიიდან ამოიღო.³ ეს თარიღი ყოველწლიურად აღინიშნება. შეგახსენებთ, რომ ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნა გასულ წელს არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობამ“ დაგეგმა. თუმცა, როგორ განვითარდა მოვლენები ყველას კარგად გვახსოვს. სახალხო დამცველის უჩანანუაშვილის სპეციალურ განცხადებაში ვკითხულობთ: „პარალელური აქციის მონაწილეთა მიზანი არა მშვიდობიანი პროტესტი, არამედ LGBT პირთა მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება იყო. რიგ შემთხვევებში, ადგილი ჰქონდა ექსტრემიზმისა და სიძულვილის გამოვლინებას.“ საზოგადოების ერთი ნაწილი მიიჩნევდა და დღესაც მიიჩნევს, რომ 2013 წლის 17 მაისი საქართველოში ჰომოფობიის გამოვლინების დღეს უფრო ჰგავდა. ადგილი ჰქონდა არაადამიანურ, არაჰუმანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობას სექსუალური უმცირესობებისა და მათი უფლებების დამცველთა მიმართ; რაც შეეხება საზოგადოების მეორე ნაწილს, მათი აზრით, პარალელური აქციის მონაწილეთა უმრავლესობის საპროტესტო გამოსვლებს განაპირობებდა უშუალოდ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა და სექსუალური უმცირესობათა ინტერესების ღიად წარმოჩენა. ზოგს აღიზიანებს ის ფაქტი, რომ LGBT პირები აქციის ჩასატარებლად საზოგადოებრივი თავშეყრის კონკრეტულ ადგილებს ირჩევენ. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ ჰომოფობიურ

¹ ინტერსექსუალობის შეცვლა ხდება დაბადებისთანავე. მშობლები ასეთ დროს მიიჩნევენ, რომ ქირურგიული ოპერაციით უნდა გადაწყდეს ბავშვის სქესი, ვინაიდან მომავალში ეს უფრო ადვილს გახდის მის სოციალურ ინტეგრაციას.

² სქესობრივი ნიშნით ადამიანთა დისკრიმინაციის იდეოლოგია და პრაქტიკა. ტერმინი გაჩნდა აშშ-ში 1960-იან წლებში. იგი მოიცავს იმ სოციალურ სტერეოტიპს, რწმენასა და წარმოდგენას, რომელიც ერთი სქესის მეორეზე დომინირებას აწესებს და გენდერული უთანასწორობის საფუძველს ქმნის.

³ 1990 წელს „მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ“ ცვლილება შეიტანა დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციაში (მე-10 შესწორება) და ამოიღო ჰომოსექსუალობა დაავადებათა სიიდან, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ეს სექსუალური გამოხატვის მისაღები ფორმაა. უფრო ადრე (1973 წელს) ჰომოსექსუალობა დიაგნოსტიკური კატეგორიებიდან ამოღებულ იქნა ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის მიერ.

განწყობას საზოგადოებაში სასულიერო პირთა გამონათქვამები, ქმედებები ამბავრებს.¹ შეგახსენებთ, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ, 2013 წლის 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით, რეზოლუციაში Tackling discrimination on the grounds of sexual orientation and gender identity /1948, 2013/ მოუწოდა ქართულ მხარეს დროულად გამოიძიოს პომოფობიასთან ბრძოლის დღისადმი მიძღვნილი აქციის მონაწილეებზე კონტრდემონსტრანტების ძალადობრივი თავდასხმის ფაქტები და პასუხისგებაში მიეცეს ყველა ის პირი, ვინც აქვზებდა ამ ძალადობრივ ქმედებებს. საყურადღებოა, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზემოხსენებულ რეზოლუციაში, საქართველოსთან ერთად, საუბარია ისეთ ქვეყნებზე, სადაც LGBT პირთა უფლებების დაცვის კუთხით საკმაოდ საგანგაშო მდგომარეობაა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ჩამონათვალში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რუსეთს, სადაც ფედერაციის საბჭომ „არატრადიციული ურთიერთობების პროპაგანდის“ ამკრძალავი კანონი მიიღო. ასევე, რეზოლუციაში ნახსენებია უკრაინა, მოლდოვა, ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა. როდესაც ამ პრობლემასთან დაკავშირებულ სტატიებს, გამოკითხვებს, სხვადასხვა უწყების ოფიციალურ ვებ-გვერდზე გავრცელებულ ინფორმაციებს ვეცნობით, იკვეთება სრულიად განსხვავებული აზრიც, არსებობს საზოგადოების ნაწილი, რომელიც გმობს სიძულვილის, ძალადობის ნებისმიერ გამოვლინებას, მაგრამ აღიარებს, რომ პრობლემის გადასაჭრელად კარგი იქნებოდა ზოგიერთი ევროპული ქვეყნის გამოცდილების გაზიარება. საუბარია ქვეყნებზე, სადაც საზოგადოება LGBT პირების მიმართ მაღალი ტოლერანტობით არ გამოირჩევა, მაგრამ არც მათი აქტივობითა და იდეებით არის შეწუხებული. ბევრ ევროპულ ქალაქში სექსუალური უმცირესობები ყურადღებას არ იქცევენ მასშტაბური გამოსვლებით, აქციებით, არ ცდილობენ საკუთარი უფლებების საზოგადოდ წარმოჩენას და ამიტომ არ იწვევენ საზოგადოების გაღიზიანებას. მათი უფლებების დაცვა საკანონმდებლო დონეზეა უზრუნველყოფილი. ამასთან, საკუთარი ინტერესებისა და სურვილების დასაკმაყოფილებლად გამოსცემენ ჟურნალ-გაზეთებს (მათი რეალიზაცია მხოლოდ სრულწლოვან პირზეა დასაშვები), ქმნიან სატელევიზიო არხებს (რომელთა ეთერში ჩართვა, მხოლოდ დაინტერესებული სრულწლოვანი პირის, მომხმარებლის თანხმობითაა შესაძლებელი), არასამთავრობო ორგანიზაციებს, ზუსტად იციან, რომელ სახელმწიფო უწყებას მიმართონ კონკრეტული მიზნების განსახორციელებლად და ვის წინაშე წარმოაჩინონ საკუთარი ინტერესები ისე, რომ არ გამოიწვიონ საზოგადოების ნაწილის აღშფოთება. უფრო მეტიც, ზოგჯერ, სექსუალური უმცირესობები თვითიზოლაციასაც მიმართავენ და საცხოვრებლად ირჩევენ ისეთ დასახლებულ ადგილებს, სადაც უმრავლესობაში აღმოჩნდებიან. ამით მათთვის სასურველ კომფორტს იქმნიან და იოლად პოულობენ საკუთარ ადგილს საზოგადოებაში. ევროპაში არის ერთი ტურისტული ქალაქი მოკლინეხო,² რომელსაც პრეტენზია აქვს მსოფლიოში პირველი ქალაქის სახელი დაიმკვიდროს, სადაც მხოლოდ გეები და ლესბოსელები იქნებიან დასახლებული. ქალაქის მკვიდრი მოსახლეობა და მერი მხარს

¹ 2013 წლის 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით, მწერალი ლაშა ბუღაძე აცხადებს: „სასულიერო პირები არიან ადამიანები, რომლებიც სიყვარულს ქადაგებენ, თუმცა, რაც დღეს ვიხილეთ წარმოუდგენელია და ძალიან შორს დგას მართლმადიდებლობისგან. რწმენასაც ცოდნა სჭირდება. მსგავსი სასულიერო პირები ადამიანების ზომბირებას ახდენენ. დღეს, მღვდლები აშკარად ძალადობისკენ მოუწოდებდნენ საზოგადოებას.“

² მოკლინეხო ესპანეთში, ანდალუსიის პროვინციაში, ქალაქ მალაგადან 20 კმ-ში მდებარეობს. ქალაქში სულ 1300-მდე ადამიანი ცხოვრობს.

უჭერენ ამ იდეას. საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ეკლესიამ განსხვავებული მნიშვნელობა მიანიჭა ჰომოფობიისა და ჰომოსექსუალიზმის თემას, ზოგიერთი კონფესია უფრო ლიბერალური და გახსნილია, ზოგიერთი კი მკაცრი და წინააღმდეგობებით სავსე. ცხადია, ჰომოსექსუალიზმის შესახებ თავისი პოზიცია ქრისტიანულ ეკლესიასაც გააჩნია და ის მკვეთრად უარყოფითია. მამაკაცთა შორის სქესობრივი ურთიერთობის უპირობო დაგმობა რომის იმპერიის არსებობის ბოლო პერიოდში გამოიკვეთა და იგი ბიბლიას ემყარებოდა. ლევიტელთა წიგნის რამდენიმე ციტატა გახდა ჰომოსექსუალი მამაკაცის დაგმობის სიმბოლო: „არ დაწვე მამაკაცთან დედაკაცური წესით, ეს სისაძაგლეა“ (ლევ. 18:22), „ვინც მამაკაცთან დაწვება ისე, როგორც ქალთან წვებიან, სიბილწეს ჩაიდენენ ორივენი. უნდა მოკვდნენ. მათზეა მათი სისხლი“ (ლევ. 20:13). ხშირად, სწორედ ეს ციტატებია მოყვანილი ჰომოსექსუალთა დევნის გასამართლებლად. ამას ემატება სოლომოს განადგურების ისტორია დაბადების წიგნში (დაბ. 19), რამდენიმე ციტატა მოციქულ პავლეს რომაელთა მიმართ ეპისტოლედან¹ და უფრო მოგვიანებით, წმინდა იოანე ოქროპირის, ნეტარი აგუსტინესა და წმინდა თომას აქვინელის კომენტარები და განმარტებები.² ეკლესია მამათმავლების მიმართ ყველაზე მკაცრ ეპიტიმას აწესებდა. კერძოდ, წმიდა ბასილი დიდის, ამფილოქე იკონიელისადმი მიწერილი მესამე კანონიკური ეპისტოლეს 62-ე წესის მიხედვით, მამათმავლები წმიდა ზიარებიდან 15 წლით განიკვეთებოდნენ. ეს ეპიტიმია უფრო მკაცრია, ვიდრე მრუშობის ეპიტიმია, რომელიც 7,5 წლით განკვეთას ითვალისწინებს. სოლომია ორმაგი ცოდვაა, რომელიც მიმართულია როგორც მეორე პიროვნების, ისე თვით ბუნების წინააღმდეგ. წმიდა იოანე ოქროპირი პავლე მოციქულის ზემოაღნიშნული ეპისტოლეების შესაბამისი ადგილების კომენტარებისას ძალზე კატეგორიულია და სოლომურ ცოდვას ღვთის წინაშე ჩადენილ უმძიმეს ცოდვად მიიჩნევს. ჰომოსექსუალიზმზე საუბრისას იოანე ოქროპირი მკვეთრ ზღვარს ავლებს ქრისტიანობის სექსუალურ ეთიკასა და სოლომიისადმი წარმართობის ლიბერალურ პოზიციას შორის, რომლის მიხედვითაც მამათმავლობა ჩვეულებრივი, კანონიერი და, მეტიც, მხოლოდ თავისუფალ მოქალაქეთათვის განკუთვნილი პრივილეგირებული ქმედება იყო. აი, რას წერს იგი ამასთან დაკავშირებით: „სოლომია უფრო საშინელია, ვიდრე მრუშობა, რომელიც მართალია უკანონოა, მაგრამ ბუნებრივია, მამათმავლობა უსჯულოებაცაა და, ამავე დროს, ბუნების წინააღმდეგ მიმართული ცოდვაც. რომ არ ყოფილიყო გეენა,³ მაშინ მამათმავლობა იქნებოდა ყველაზე დიდი სასჯელი“. თეოლოგები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული პრობლემა, თავისი არსით, უპირველეს ყოვლისა, რელიგიური პრობლემაა და მხოლოდ ამის შემდეგ იძენს სოციალურ, სამედიცინო და ა.შ.

¹ „...ამიტომაც მისცა ისინი ღმერთმა საგინებელ ვნებებს, ვინაიდან ქალებმა მათი ბუნების წესი არა-ბუნებით შეცვალეს; ასევე კაცებმაც დაუტყვევეს ქალებთან ბუნებრივი ცხოვრების წესი და გულისთქმით გახურებულნი აღერივნენ ერთმანეთს, მამრი მამრთან იქმოდა სარცხვინელს და თვითონვე იღებნენ თავიანთი ცთომის საკადრის სასჯელს“ (რომ. 1:26-27).

² უფრო ღრმა ანალიზისთვის იხ. J. Boswell, *Christianity, Social Tolerance, and Homosexuality*, Chicago University Press. გვ.145. ასევე, Daniel Borillo & Dominique Colas, *L'homosexualité de Platon à Foucault*. Anthologie critique, Paris, Plon, გვ. 132.

³ იერუსალიმის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე პინომის ველი. ძველად აქ მდებარეობდა მოლოხის კულტის ღვთაება, რომელსაც ჩვილებს სწირავდნენ მსხვერპლად. ამ მიზეზით ოსიამ (წმ. აღმსარებელი) ის შეაბღალინა – მასზე ძვლები მიმოაბნია. შემდეგ ეს ველი იერუსალიმის ნაგავსაყრელად იქცა და აქ მუდამ ენთო ცეცხლი, რომელიც ღვთის სამსჯავროს სიმბოლოდ და ჯოჯოხეთის – ტანჯვის, ცეცხლისა და სიკვდილის ადგილის განსახიერებად იქცა. სიტყვა გეენა იმ სამუდამო განადგურების სიმბოლოდ გამოიყენება, რომელიც ღვთის მიერ გამოტნილ განაჩენს მოჰყვება (გეენა ბერძ. geena ებრ-დან gehlunom – ველი გ(ჰ)ინომისა, იერუსალიმის მახლობლად, რომელიც აავსეს ყოველგვარი სიბინძურით) ჯოჯოხეთი, ქვესკნელი. რელიგიურ სიტყვათა ლექსიკონი. ნ. აჭარაძე. გვ. 45/.

მნიშვნელობას. სასულიერო პირთა ღრმა რწმენით, ამ უმძიმესი ცოდვისაგან გაათავისუფლების ერთადერთი საშუალება კვლავ ღმერთთან დაბრუნებაა, რაც სინანულით მიიღწევა. თუ ადამიანი დაგმობს ცოდვილ ცხოვრებას და სინანულით შესთხოვს უფალს ცოდვების მიტევებას, შენდობას მიიღებს, რადგან არ არსებობს ცოდვა, რომელიც ღვთის სიყვარულსა და მოწყალებას აღემატება.¹

სექსუალურ უმცირესობებზე საუბარს დღეს უკვე ქართველი პოლიტიკოსებიც არ გაურბიან. მათზე ღიად მსჯელობა ერთ-ერთმა პირველმა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა დაიწყო და უმცირესობებზე საჯაროდ საუბრისას განაცხადა, რომ ისინი ისეთივე უფლებებით უნდა სარგებლობდნენ, როგორც აქვთ საქართველოს სხვა მოქალაქეებს. პარტია “ქრისტიან-დემოკრატების” ერთ-ერთი ლიდერი ზაზა გაბუნია, ივანიშვილის ამ განცხადებაში ვერანაირ კონკრეტულებას ვერ ხედავს და მიიჩნევს, რომ “ეს არის აქსიომა, და ამ საკითხთან დაკავშირებით სხვანაირი მიდგომა არც ერთ ჯანსაღ პოლიტიკურ ჯგუფს არ უნდა ჰქონდეს. ასეთი პასუხი უნდა გასცეს ყველამ, ვინც საზოგადოებრივად აზროვნებს და სწორად ჭერეტს.” აქვე, გაბუნია დასძენს: “თუ მათი მხრიდან იქნება მცდელობა, ვინმეს თავს მოახვიონ საკუთარი შეხედულებები, მაგალითად, ავიღოთ გახმაურებული და ყბადაღებული თემა, გეი პარადი, ამასთან დაკავშირებით, ჩემი პასუხი უარყოფითია. არ მივესალმები ასეთ პროვოკაციულ, გამომწვევ აქციებს.“ “ქართული დასის” ერთ-ერთი ლიდერ ჯონდი ბაღათურიას აზრით: „21-ე საუკუნეში მოქალაქეები არ უნდა დაფიქსირდნენ რაიმე ნიშნის მიხედვით, კანონის წინაშე უმცირესობაც და უმრავლესობაც თანაბარი უნდა იყოს.“ “საქართველოს რესპუბლიკური პარტიის” ერთ-ერთი ლიდერი დავით ზურაბიშვილი ფიქრობს, რომ სექსუალური უმცირესობების საკითხი ადამიანთა უფლებების დაცვის კონტექსტში უნდა განვიხილოთ, თუმცა, ამავდროულად, მიიჩნევს, რომ “სექსუალური უმცირესობებს კანონმდებლობის მიხედვით პრობლემები ნაკლებად აქვთ.” მას მიზანშეწონილად არ მიაჩნია LGBT პირებთან დაკავშირებით რაიმე სპეციფიკური კანონის შემოღება. თუმცა, თუ იქნება დისკრიმინაციული შემთხვევები, მაგალითად, „თუ სექსუალური ორიენტაციის გამო, ვიღაც გაათავისუფლეს ან არ მიიღეს სამსახურში, ეს, რა თქმა უნდა, დისკრიმინაციაა და ამ შემთხვევაში უნდა ჩაერიონ ადამიანის უფლებათა დამცველები და სახელმწიფო უწყებები“, - აცხადებს ზურაბიშვილი. ბატონი გიორგი მარგველაშვილი, ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატის რანგში, აცხადებდა: “დემოკრატიული სახელმწიფოს მიზანია ნებისმიერი ადამიანის უფლების დაცვა. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას უმცირესობათა უფლებებს. თანამედროვე დემოკრატია ნიშნავს უმრავლესობის მმართველობას და, ამავე დროს, უმცირესობის უფლებათა დაცვას. დიდი ყურადღება და ძალისხმევაა საჭირო, რომ უმრავლესობის მიერ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებები არ ზღუდავდეს უმცირესობის უფლებებს. სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ამა თუ იმ ნიშნით ადამიანთა დევნა, შევიწროება და დისკრიმინაცია. ამასთანავე, უნდა ქმნიდეს და იცავდეს ადამიანთა სრულფასოვანი, შემოქ-

¹ რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესია ჰომოსექსუალიზმის წინაშე /რელიგია, მორალი და პოლიტიკა/. სინზიანა ანდრუა კარსტონჩეა, ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი. მოხსენება წარმოდგენილი იყო კონფერენციაზე „ევროპული საჯარო სივრცე და რელიგია“, 16-17/02/2006, მონსი, ბელგია. გამოქვეყნდა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის გამოცემაში „დრო მშვიდობისა“, გვ. 34.

მედებითი თვითრეალიზაციის პირობებს.”¹ მკითხველისათვის ასევე საინტერესო იქნება მოვიყვანოთ ამონარიდი საქართველოს პატრიარქის მიმართვიდან, რომელიც სექსუალური უმცირესობების შეკრებებსა და მასშტაბურ მსვლელობებს ეხება:² “საერთაშორისო კონვენციები ცალსახად იძლევა იმის უფლებას, რომ, საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, უწესრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილების, სხვათა უფლებებისა და ღირსების დაცვის მიზნით, შეიძლება შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება...” საპატრიარქო მიიხნევს, რომ არ შეიძლება ღირსებისა და პატივის ხელშეუხებლობაზე მადლა დადგეს გამოხატვის თავისუფლება. იღია მეორე ასევე აცხადებს, რომ ეკლესია “ჰომოსექსუალიზმს ანომალიად და დაავადებად მიიხნევს”, ხოლო ასეთი მიდრეკილების მქონე ადამიანებს “მეტად მძიმე ცოდვაში მყოფ პიროვნებებად” განიხილავს, რომლებსაც “დახმარება და გამოსწორებისათვის სულიერი დახმარება სჭირდებათ და არა წახალისება და, მით უმეტეს, მათი მდგომარეობის მოსახლეობისათვის თავს მოხვევა”, “ეს იგივეა, რომ მოგწონდეს ნარკომანის ქმედება და თანაც ნარკომანიის საყოველთაო აფიშირებას ახდენდე”, – აცხადებს პატრიარქი. სექსუალურ უმცირესობათა სამართლებრივ მდგომარეობას საქართველოში სტატიის სხვა ნაწილში შევეხებით.

ვუქრობთ, მკითხველისთვის ასევე საინტერესო იქნება, თვალი გადავაავლოთ ამ კუთხით რუსეთში არსებულ ვითარებას. ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ 2013 წელს მიიღო კანონი, რომელიც კრძალავს არატრადიციული სექსუალური ურთიერთობების, არასრულწლოვნებში ჰომოსექსუალიზმის მხარდაჭერისა და პროპაგანდის ყოველგვარ გამოვლინებას, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციები და ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები კონკრეტული განცხადებებითა და პროტესტის სხვადასხვა ფორმით ეხმაურებიან. მაგალითად, გაერო მოუწოდებს რუსეთს გადახედოს აღნიშნულ კანონს, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები აღშფოთებას გამოხატავენ იმის გამო, რომ რუსეთში იღვენიებიან არა მარტო ჰომოსექსუალები, არამედ მათი უფლებების დამცველები. რუსულენოვან გაზეთებში, ვებ-გვერდებზე დაცულია უამრავი ინფორმაცია ასეთი ფაქტების შესახებ. სკოლებიდან და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან რიცხავენ განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე პედაგოგებს, ასევე მათ, რომლებიც ტოლერანტული დამოკიდებულებით გამოირჩევიან ჰომოსექსუალების მიმართ. ამერიკელმა LGBT აქტივისტებმა სიძულვილი გამოხატეს „კოკა-კოლას“ ხელმძღვანელობის მისამართით, მიზეზი კი ის იყო, რომ „კოკა-კოლა“ გახლდათ სოჭის ოლიმპიადის ერთ-ერთი მთავარი სპონსორი. ოლიმპიადის დროს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის განკარგულებით, აიკრძალა ნებისმიერი საპროტესტო გამოსვლა, აქცია, მსვლელობა და ა.შ. მათ შორის LGBT პირების მხარდასაჭერად. რუსეთის ბევრ ქალაქში გაჩნდა წარწერები: „არა შემწყნარებლობას გეების მიმართ!“ ცნობილმა მსახიობმა ვენთვორთ მილერმა, რუსეთში უმწვავესი ჰომოფობიური გამოვლინების გამო, უარი განაცხადა პეტერბურგში გამართული კინოს საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობაზე. მსგავსი ნაბიჯი გადადგა ცნობილმა გერმანელმა დრამატურგმა მარიუს ფონ მაიენბურგმა და რუსეთში დაგეგმილ კონკრეტულ ღონისძიებაზე არ ჩამოვიდა. კიდევ ერთი კანონი, რომელიც LGBT პირების გაღიზიანებას იწვევს – კრძალავს რუსი ბავშვების გაშვილებას ერთსქესიან (მათ შორის, რეგისტრირებულ) წყვილებზე. რუსეთის საზოგადოების უდიდესი ნაწილი შოკირებული იყო იმ ვიდეოკადრების

¹ ნიდერლანდების სამეფოს ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის (NIMD). პროექტი “შეკითხვები საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებს”.

² <http://www.civil.ge/>.

ხილვით, სადაც ასახულია, თუ როგორ სცემს და აწამებს ტრანსგენდერ ქალბატონს (რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში, შუაგულ პარკში) 5 მამაკაცი. ამასთან, ერთ-ერთი მათგანი ამ საშინელ სინამდვილეს თავად იღებს ვიდეოკამერით. სოჭის ოლიმპიადის დაწყებამდე საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში განიხილებოდა ცნობილი რუსი სპორტსმენი ქალის – ელენა ისინბაევისასათვის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების საპატიო ელჩის ტიტულის ჩამორთმევის საკითხი (მოგვიანებით, მოიხსნა დღის წესრიგიდან). შეგახსენებთ, რომ ისინბაევამ მოსკოვში, სოჭის ოლიმპიადამდე, მსუბუქ ათლეტიზმში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე განაცხადა, რომ რუსეთში გეების დემონსტრაციის დაშვება ხალხში სერიოზულ შიშს წარმოშობს და ბევრს დააფიქრებს ქვეყნის მომავალზე. ამასთან, სპორტსმენი მიესალმა 2013 წელს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდაზე ზემოხსენებული კანონის მიღებას და საკუთარი პოზიცია საკმაოდ უცნაური განცხადებით გაამყარა: „რუსეთის მოქალაქეები თვლიან, რომ ისინი ნორმალური, სტანდარტული ადამიანები არიან...“ ამ ფრაზამ ბევრი ადამიანის დაბნეულობა გამოიწვია, მოგვიანებით, ისინბაევა აკეთებს განმარტებას და ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ მან ინტერვიუ მისცა ინგლისურ ენაზე (რომელიც არ არის მისი მშობლიური ენა) და რომ მისი ზოგიერთი შეხედულება ჟურნალისტებმა სწორად ვერ გაიგეს. აქვე დასძენს, რომ ეწინააღმდეგება უშუალოდ პროპაგანდას, მაგრამ სექსუალური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციის ნებისმიერი სახით გამოვლენის წინააღმდეგია. ოლიმპიადის დროს რუსეთის ხელისუფლება არაერთხელ შეეცადა სექსუალურ უმცირესობებთან მიმართებაში გატარებულ მკაცრ პოლიტიკასთან, ასევე მიღებულ კანონმდებლობასთან დაკავშირებული სკანდალის გადაფარვას; მაგალითად, ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე არაერთხელ გაჟღერდა ფსევდოლეგსბოსური დუეტ Taty-ს სიმღერა „Нас не догонят“. ჰოლანდიელმა მოციგურავემ ირენ ვუსტმა (Ireen Wust), რომელიც სოჭში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, მილოცვა მიიღო უშუალოდ ვლადიმერ პუტინისგან. „მან მომილოცა და მკითხა, რუსეთში ხომ ყველაფერი კარგადააო. როდესაც მან წასვლა დააპირა, მე მას გადაეხვიე“, – აღნიშნავდა ირენი. ლესბოსელი სპორტსმენის მიმართ გაკეთებული პუტინის ეს უესტი დასავლური პრესის ფართო განხილვის საგნად იქცა. GLAAD¹-ის პრეზიდენტ სარა კეიტ ელისის ვარაუდით: „უესტი პუტინს სპეციალურად გადაეხვია, რათა ეს უკანასკნელი დაერწმუნებინა, რომ ჰომოსექსუალი ადამიანები მონსტრები არ არიან და სხვებისგან არაფრით განსხვავდებიან.“ მაშინ ბევრი აღიარებდა, რომ სინამდვილეში რუსეთში ისევე ღიად მიმდინარეობდა LGBT ადამიანების წინააღმდეგ ბრძოლა და რომ ადგილი ჰქონდა ოლიმპიადასთან დაკავშირებით გადადგმულ რამდენიმე სავალდებულო ნაბიჯს. ოლიმპიადის გახსნის დღეს პოლიციამ რუსეთის სხვადასხვა ქალაქში დააკავა გეი აქტივისტები, რომლებიც პროტესტის გამოსახატავად გამოვიდნენ ქუჩაში, მათ შორის წითელ მოედანზეც.²

აღნიშვნის ღირსია 2014 წლის ნოემბერში რუსეთში მომხდარი კიდევ ერთი ფაქტი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანაში ერთსქესიანთა ქორწინება აკრძალულია, სანკტ-

¹ დიფამაციის საწინააღმდეგო გეებისა და ლესბოსელების აღიანსი – ამერიკური ორგანიზაცია (დიფამაცია - ლათინურად „Diffamo“ - „სახელს ვუტეხს“ და ნიშნავს ვისიმე სახელის გასატეხი ცნობების (ნამდვილისა თუ მოგონილის) გამოქვეყნებას. დიფამაციის არსებობისათვის აუცილებელია მითითება პირის წარსულ ან მიმდინარე საქმიანობის კონკრეტულ დასაძრახ ფაქტებზე. დიფამაციის დროს გავრცელებული ცნობები უნდა იწვევდეს ვინმეს სახელის გატეხას.

² ჰომოსექსუალიზმი რევოლუციამდელ რუსეთში არ იდევნებოდა, მხოლოდ მოძალადე ჰომოსექსუალებს „გზავნიდნენ“ ციმბირში. ნებაყოფლობითი ჰომოსექსუალური კავშირების არსებობას არავინ უარყოფდა. რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკები ჰომოსექსუალიზმს მიაწერდნენ „ბურჟუაზიულ გახრწნილებას“, თვით ჰომოსექსუალებს კი სულიერად ავადმყოფებს უწოდებდნენ. 1934 წელს სტალინმა მიიღო ჰომოსექსუალიზმის ამკრძალავი კანონი. ამ პერიოდში მამათმავლობა და შპიონაჟი თითქმის გაიგივებულია და ჰომოსექსუალი მტრად აღიქმებოდა.

პეტებურგის შესაბამისმა სამსახურმა ორი ქალბატონის ქორწინება (ცერემონიაზე ორივე საქორწილო კაბაში გამოცხადდა) იურიდიულად გააფორმა. საქმე ის არის, რომ ამ წყვილიდან ერთ-ერთი გახლდათ ტრანსგენდერი, რომელიც ადრე მამაკაცი იყო, მაგრამ, როგორც თავად აღნიშნავდა, მოუცლელობის გამო, სამართლებრივად მისი სტატუსი ჯერ კიდევ არ იყო შეცვლილი. საზოგადოების მხრიდან გამოხატული დიდი პროტესტის მიუხედავად ქორწინება ძალაში დარჩა.¹

განვიხილოთ უკრაინაში სექსუალურ უმცირესობათა სამართლებრივი მდგომარეობის საკითხიც. უკრაინის რადაში, ჯერ კიდევ პრეზიდენტ იანუკოვიჩის მმართველობის პერიოდში, კანონმდებელთა ერთი ნაწილმა იმსჯელა ახალი ნორმატიული აქტის მიღებაზე, რომელიც ქვეყანაში სექსუალური უმცირესობების უფლებების ეფექტურ დაცვას უზრუნველყოფდა. მმართველი პარტიის წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი ნაწილი კანონის მიღებას კატეგორიულად შეეწინააღმდეგა და განმარტა, რომ უკრაინის კონსტიტუციაში ისედაც არის მუხლი, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციის ნებისმიერ გამოვლინებას და ამიტომ ცალკე აღებულ კანონში სექსუალური უმცირესობების უფლებების წამოწევა არ უნდა ენიჭებოდეს ამხელა მნიშვნელობა. დეპუტატთა პოზიცია გაამყარა საკითხისადმი სასულიერო პირთა დამოკიდებულებამ, მათ არაერთხელ მიმართეს საკანონმდებლო ორგანოს თხოვნით, აღნიშნული კანონპროექტის განხილვა საერთოდ არ დამდგარიყო დღის წესრიგში. ევროკავშირში ფიქრობენ, რომ უკრაინას მაინც მოუწევს ამ კანონის მიღება, ვინაიდან ევროკავშირის მითითებების არშესრულება, ევროპელი პარლამენტარების აზრით, ნეგატიურ გავლენას იქონიებს უკრაინის ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესზე. თუმცა უდავოა, რომ უკრაინაში, ხელისუფლების სათავეში აშკარად პროევროპული ძალების მოსვლის შემდეგ, საუბრები ამ მიმართულებით გაგრძელდება და უკრაინული რადა, ევროპული ინტეგრაციის ერთგულების გამოსახატავად, კონკრეტულ გადაწყვეტილებებს არაერთხელ მიიღებს. აუცილებელია აღინიშნოს, რომ **საერთაშორისო სამართალში კონკრეტულად LGBT პირთა უფლებებზე უნივერსალური და სავალდებულო ხასიათის სამართლებრივი დოკუმენტი ჯერ კიდევ არ არსებობს.** 2006 წელს ინდონეზიის ქალაქ ჯაკარტაში მიღებულ იქნა **“საერთაშორისო სამართლის ჯაკარტას პრინციპები სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ თვითგამოხატვასთან მიმართებაში”**, რომელიც 2007 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სესიაზე დაამტკიცეს. ეს მართლაც ისტორიული მნიშვნელობის LGBT პირთა უფლებების გლობალური, საბაზისო დოკუმენტი მხოლოდ პრინციპებს აერთიანებს და იურიდიული ძალა არ გააჩნია, თუმცა ჯაკარტას პრინციპები² თავისუფლად შეიძლება მოისაზრებოდეს, როგორც სექსუალური უმცირესობების უფლებათა შესახებ სავალდებულო ძალის მქონე კონვენციის ჩანასახი. დოკუმენტი 29 პრინციპს მოიცავს, რომლებიც ადამიანის უფლებათა სამართალში სექსუალური უმცირესობების უფლებებს განსაზღვრავს. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, პრინციპების მიზანი LGBT პირთა მიმართ სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართლებრივი

¹ <http://crimlife.ru/raznoe/> - В России впервые вступили в брак две девушки

² “ჯაკარტას პრინციპები” ორიენტირებულია შემდეგ მიმართულებებზე: 1) გაუპატიურება და გენდერულ განსხვავებაზე დაფუძნებული სხვა ძალადობები, 2) საგანგებო სამართლებრივი ღონისძიებების აღსრულება, 3) წამება, სასტიკი და სხვა არაჰუმანური მოპყრობა, 4) სამედიცინო შეურაცხყოფა, 5) რეპრესიები სიტყვის, აზრის გამოხატვისა და შეკრების მიმართ, 6) შრომითი, ჯანდაცვითი, საგანმანათლებლო, საყოფაცხოვრებო, იმიგრაციის სფეროებში არსებული დისკრიმინაცია და სამართლიანობის მიღწევა.

ვალდებულების დადგენა და ზუსტი ფორმულირებაა. პრინციპები ადამიანის უფლებების მრავალ ასპექტს ეხება, როგორცაა ჰომოსექსუალური ურთიერთობების დეკრიმინალიზაცია, სამართლიანი სასამართლოს უფლება, წამების აკრძალვა, სიტყვისა და შეკრების თავისუფლება, დისკრიმინაციის აკრძალვა სამუშაო ადგილზე, ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში, განათლების მიღებასა თუ იმიგრაციის დროს. 2008 წლის 18 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მე-60 საიუბილეო სხდომაზე (ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მიღებიდან 60 წელი გავიდა) საფრანგეთმა, ევროკავშირის სახელით, მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანას¹ მიმართა განცხადებით, რომლითაც, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო, ადამიანთა დევნა დაგმო და ერთი სქესის სრულწლოვან ადამიანებს შორის ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირის დეკრიმინალიზაცია მოითხოვა. განცხადების ტექსტი ოფიციალურად გამოქვეყნდა. საქართველო იმ 66 ქვეყანას შორის იყო, რომელმაც ხელი მოაწერა აღნიშნულ მიმართვას. ამ ქვეყნების რიცხვს, ობამას ადმინისტრაციის ხელისუფლებაში მოსვლით, შეერთებული შტატებიც შეემატა (ჯორჯ ბუშ უმცროსმა, რომელიც ცნობილია საკუთარი ჰომოფობიური პოლიტიკით, არ გაიზიარა ევროკავშირის პოზიცია). სხდომაზე ვატიკანი და ისლამური ქვეყნები პარალელურად ლობირებდნენ საპირისპირო დეკლარაციას, რომელსაც ხელი 60-მა სახელმწიფომ მოაწერა. LGBT პირთა უფლებების დაცვაში მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული ევროპის რეგიონალურ სივრცეშიც. ევროკავშირის პარლამენტმა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ სექსუალური უმცირესობების უფლებების მხარდამჭერი რამდენიმე რეზოლუცია და რეკომენდაცია მიიღო. ევროპის საბჭომ ჰომოსექსუალობის დეკრიმინალიზაცია ორგანიზაციაში სახელმწიფოს გაწვევრიანების აუცილებელ მოთხოვნად დააწესა. 2009 წლის 17 მაისს, ჩეხეთის ინიციატივით, ევროკავშირში ხელმოწერილი დოკუმენტი სექსუალური უმცირესობების – ჰომოსექსუალების, ლესბოსელებისა და ბისექსუალების აგრესიისგან დაცვას ითვალისწინებს. მიღებული დეკლარაციის მიხედვით, ევროკავშირი გმობს ნებისმიერი ძალადობის, ჰომოფობიის ფაქტს, რომელიც არ შეესაბამება ადამიანურ ღირსებებს; პიროვნებას საშუალება უნდა ჰქონდეს ყოველგვარი დევნის, შეურაცხყოფისა და დამცირების გარეშე იცხოვროს სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად; ევროკავშირი საკუთარ თავზე იღებს სექსუალური უმცირესობების დაცვას, კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში. მიღებულ დეკლარაციას საქართველოსთან ერთად უკრაინა და სომხეთიც შეუერთდა, რითაც ვალდებულება აიღეს, ჰომოფობიის გამოვლინების შემთხვევაში, ადეკვატური რეაგირება მოახდინონ. საქართველოს მიერ ამ დოკუმენტზე ხელმოწერის ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი ქვეყანა აგრძელებს ევროპული დემოკრატიული ფასეულობებისადმი ერთგულების დეკლარირებას. აღსანიშნავია ასევე სტრასბურგში მდებარე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რომელიც ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოსთვის, მათ შორის საქართველოსთვის, განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა სტანდარტებს. სტრასბურგის სასამართლომ ერთ-ერთ განხილულ საქმეში აღიარა LGBT პირთა ფუნდამენტური უფლებები, მათ შორის ჰომოსექსუალობის დეკრიმინალიზაციის აუცილებლობა, LGBT პირთა კოლექტიური შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების უზრუნველყოფა, სისხლის სამართლის პროცესში LGBT პირთა მიმართ თანასწორი სტანდარტების დადგენა,

¹ იგულისხმება ქვეყნები, სადაც ერთი სქესის ადამიანებს შორის ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი იმ დროს ჯერ კიდევ კრიმინალიზებული იყო.

სახელისუფლო დაწესებულებების მიერ საჯარო ფუნქციების შესრულებისას სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვა, სახელმწიფოს მხრიდან სქესის შეცვლის პროცედურის იურიდიული აღიარების ვალდებულება.¹ მიუხედავად მიღწევებისა, სექსუალური უმცირესობების უფლებები საერთაშორისო სამართალში ჯერ მხოლოდ განვითარების პროცესშია. ერთსქესიან წყვილთა სამოქალაქო პარტნიორობის, ქორწინებისა თუ ბავშვის აყვანის უფლების საერთაშორისო სამართლის მიერ უნივერსალური აღიარება ამჟამად მომავლის საქმეა.² თუმცა, დღეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი უზრუნველყოფს, რომ სახელმწიფოთა მიერ გარანტირებული იყოს LGBT პირთა, როგორც მინიმუმ ის ფუნდამენტური უფლებები, რომლებიც აუცილებელია მათი მეტნაკლები თვითრეალიზებისთვის ცხოვრებაში. რაც მთავარია, აქტივისტებისა და უფლებადამცველების მრავალწლიანი ბრძოლის შედეგად, სამეცნიერო წრეებში უკვე არავინ დავობს, არის თუ არა LGBT პირთა უფლებები საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებების ნაწილი. როცა ვსაუბრობთ სექსუალურ უმცირესობებთან მიმართებაში ევროპულ და საერთაშორისო სამართლებრივ მიდგომებზე, აუცილებელია დავაფიქსიროთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ცალკეულ დებულებათა დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად: „ადამიანს უფლება ენიჭება თავად აირჩიოს პირადი ცხოვრების სტილი. არავის აქვს უფლება პატივისცემით არ მოეკიდოს მის პირად არჩევანს და ზეგავლენა მოახდინოს მის გადაწყვეტილებაზე.“ აღნიშნული დებულება არ გამორიცხავს, რომ შესაძლებელია ადამიანის პირადი ცხოვრების სტილი მისი განსხვავებული სექსუალური ორიენტაციით განისაზღვროს, რასაც სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები ცხადყოფს. ამასთან, კონვენციის მე-12 დამატებით ოქმზე³ თანდართული კომენტარების თანახმად, სექსუალური ორიენტაცია დისკრიმინაციის აკრძალვის სხვა საფუძვლებს შორის მოიხსენიება. რაც შეეხება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას,⁴ ამ დოკუმენტის თანახმად, არავინაა უფლებამოსილი შეზღუდოს სხვა ადამიანის პირადი თავისუფლება და აიძულოს იგი შეესაბამებოდეს საზოგადოებაში გავრცელებულ ნორმებსა და სტანდარტებს.

¹ დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს კანონმდებლობა არ ეხება ტრანსგენდერი ადამიანების სქესის შეცვლისა და აღიარების პროცედურას. ერთადერთი შემთხვევა არის საქართველოს კანონი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ. აღნიშნული კანონის 78-ე მუხლის “ჴ” ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების შეტანის საფუძველია სქესის შეცვლა, კერძოდ, თუ სქესის შეცვლასთან დაკავშირებით პირს სურს სახელის ან/და გვარის შეცვლა. საქართველოში სქესის შეცვლა მხოლოდ ქირურგიული ჩარევის გზით არის შესაძლებელი, ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში, მაგ., დიდ ბრიტანეთში, პორტუგალიასა და უნგრეთში სქესის შესაცვლელად სამედიცინო ჩარევა და სტერილიზაციის მოთხოვნა აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენს.

² ქვეყნები, სადაც ერთსქესიანთა ქორწინების რეგისტრაციის საკითხი სამართლებრივად არის დარეგულირებული და დაშვებული: 1) პოლანდია - 1 აპრილი 2001 წ.; 2) ბელგია - 1 ივნისი 2003 წ.; 3) ესპანეთი - 3 ივლისი, 2005 წ.; 4) კანადა - 20 ივლისი, 2005 წ.; 5) სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა - 1 დეკემბერი, 2006 წ.; 6) ნორვეგია - 1 იანვარი, 2009 წ.; 7) შვედეთი - 1 მაისი, 2009 წ.; 8) პორტუგალია - 5 ივნისი, 2010 წ.; 9) ისლანდია - 27 ივნისი, 2010 წ.; 10) არგენტინა - 22 ივლისი, 2010 წ.; 11) დანია - 15 ივნისი, 2012 წ.; 12) ბრაზილია - 16 მაისი 2013 წ.; 13) საფრანგეთი - 18 მაისი, 2013 წ.; 14) ურუგვაი - 1 აგვისტო, 2013 წ.; 15) ახალი ზელანდია - 19 აგვისტო, 2013 წ. ასევე, შეერთებული შტატებისა და მექსიკის ზოგიერთ შტატში.

³ მიიღეს 2000 წელს. ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული. სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, II ნაწილი, გვ. 48.

⁴ მიიღეს 1948 წელს. ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული. სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, I ნაწილი, გვ. 7.

ვიდრე შევეხებოდე საქართველოში სექსუალურ უმცირესობათა უფლებების სამართლებრივი რეგულირების საკითხს, მოვიყვან რამდენიმე ისტორიულ ფაქტს საქართველოს ისტორიიდან: X–XI საუკუნეებში ჩვენს ქვეყანაში ეს თემა უკვე აქტუალურია. ამ დროს საეკლესიო სამართალი “მამათმავლობაში” შემჩნეული პირებისათვის რამდენიმე წლით ზიარების მიღების უფლების აკრძალვას მოითხოვს. სხვადასხვა წყარო მამათმავალს “სოდომის ცოდვის მატარებლად” მოიხსენიებს. **1103 წელს დავით აღმაშენებლის მიერ ჩატარებულ “რუის-ურბნისის” საეკლესიო კრებას შემოაქვს მრავალი ახალი „წესი“, მათ შორის XVIII მუხლი, რომელიც მოითხოვს ჰომოსექსუალების მკაცრად დასჯას.** მოცემულ პერიოდში მამათმავლობის გავრცელებას გარეშე მტრებს მიაწერენ და „ამ ცოდვაში მხილებულ პირებს“ სიკვდილით სჯიან. მართალია, სასჯელის ამ უმკაცრეს ზომას, სხვა სხეულებრივ სასჯელებთან ერთად, თამარ მეფე აუქმებს, მაგრამ მოგვიანებით, სიკვდილით დასჯა მამათმავლობისათვის ისევ გამოიყენება. ამ მხრივ, საყურადღებოა მოვიყვანოთ მეფე ერეკლეს „სიტყვა“, რომელიც კათალიკოს ანტონ პირველის ეპისტოლეს ერთვის:¹ ”ჩვენ ირაკლი მეფემან, მპყრობელმან ქართლისა და კახეთისამან, ნება-ყოფლობითა სრულ ერთიანად ჩვენის ქვეყნების თავადთა, აზნაურთა, დიდ-ვაჭართა და გლეხთა: ღვთის მოწყალებით ამას ზედა ღიად გულდაჯერებულ ვართ, რომ ჩვენს ქვეყანაში არც ყოფილა და არც არის ამისთანა აენი და ღვთის განმარისხებელნი საქმენი, მაგრამ ჩვენ ხალხს ვაფრთხილებთ: თუ ვინმე ამისთანა საქმის მქნელი გამოჩნდეს - ან მომწამვლელნი, ან კაცთა შემკრელნი, ან სიყვარულის და სიძულვილის წამლის მიმცემნი, ან ღვთის ღიად განმარისხებლისა და მიუტევებელისა ფინთისა და მყრალისა და ცეცხლით საუკუნოდ მწველისა მამათმავლობის მქმნელნი, მამალნი ანუ დედალნი, ესენი უნდა ძალიანი და საანდაზო ჯაჯაებით² დაიხოცნენ. ეს განჩინება ყოველმა ეპისკოპოსმა თავის სამწყსოს საყდრებში თავის ხალხს წაუკითხონ და გააფრთხილონ.“³ რაც შეეხება თანამედროვე ეპოქას, **ჰომოსექსუალიზმის დეკრიმინალიზაცია ჩვენმა ქვეყანამ 2000 წლის 1 ივნისს მოახდინა,** ეს ცვლილება ევროპის საბჭოს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გატარდა. ამ მიმართულებით კონკრეტულ ჩასწორებას უზენაეს კანონთან მიმართებაში ადგილი არ ჰქონია. იურისტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის არც ერთი დებულება არ ვრცელდება სექსუალურ უმცირესობებსა და მათ უფლებებზე. ზოგიერთი იურისტი კი საპირისპიროს ამტკიცებს. ცნობილია, რომ კონსტიტუციის მე-14 მუხლში (აღნიშნული მუხლის დებულება კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის გარანტიას იძლევა) კანონმდებელი მიგვითითებს ყველა ადამიანზე, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა. უშუალოდ სექსუალური უმცირესობები ამ მუხლში არ არის ნახსენები, მაგრამ, ვინაიდან ტექსტში გამოყენებულია ზოგადი ცნება “ადამიანი”, უნდა ვიგულისხმოდ, რომ ეს მუხლი ვრცელდება განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მატარებელ ადამიანებზეც, ამასთან დებულებაში მოყვანილი ადამიანის „სხვა შეხედულებებში“ დასაშვებია მოიაზრებოდეს ადამიანის ფსიქიკური დამოკიდებულება, შეხედულება საკუთარ ან სხვათა განსხვავებულ სექსუ-

¹ იგულისხმება ეპისტოლეს მე - 15 მუხლი.

² ჯაჯა - დამნაშავე (ს) კაცის ტანჯვა. ქართული ლექსიკონი, სულხან საბა ორბელიანი, გვ. 454.

³ ეპისტოლე გამოცემა 1767 წელს, მოიცავს 15 მუხლს, წყარო: კორნელი კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I. თავი კანონიკა, გვ. 522.

აღურ ორიენტაციაზეც. ამ შემთხვევაში ადამიანის უფლება ირღვევა არა მისი სექსუალური ორიენტაციის (არ აქვს მნიშვნელობა აქტიურ სქესობრივ ცხოვრებას ეწევა თუ არა), არამედ ცხოვრების ასეთ სტილზე მისი კონკრეტული შეხედულების გამო. არ არის გასაკვირი, რომ მრავალი ევროპული ქვეყნის კონსტიტუციაში ან კონსტიტუციურ კანონში არის ასეთი ჩანაწერი - „კანონის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია, არ შეიძლება ადამიანის დისკრიმინაცია რაიმე ნიშნით, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების საფუძველზე, ნებისმიერი უმცირესობისადმი მისი კუთვნილების გამო.“ ამავე დროს, ეროვნულ კანონმდებლობაში არ არის რთული მოვიძიოთ ნორმატიული აქტი, სადაც კანონმდებელი ადამიანის უფლების დარღვევას, პოლიტიკური თუ ნებისმიერი სხვა შეხედულების გამო, არ აიგივებს ადამიანის უფლების დარღვევასთან შეუწყნარებლობის ისეთი მოტივით, როგორც სექსუალური ორიენტაციაა. სწორედ ასეთი ფორმულირებაა შემდეგ სამართლებრივ აქტებში: საქართველოს შრომის კოდექსი (კარი I. ზოგადი დებულებანი; თავი I. შესავალი დებულებანი, მუხლი 2.3; 2006 წ. 25 მაისი),¹ საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (თავი II, მოქალაქეთა უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, მუხლი 6; 1997 წ. 10 დეკემბერი),² საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ (თავი I, ზოგადი დებულებანი, მუხლი 6; 2000 წ. 5 მაისი).³ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გატარებული ცვლილებების თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გაჩნდა ტერმინები: სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა. ამ შემთხვევაშიც გამიჯნულია პოლიტიკური ან სხვა შეხედულების შეუწყნარებლობის მოტივი სექსუალური ორიენტაციის შეუწყნარებლობის მოტივისაგან, რაც ნიშნავს, რომ ერთ შემთხვევაში პირი ადამიანის წინააღმდეგ სჩადის კონკრეტულ დანაშაულს და მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დანაშაულის ობიექტის შეხედულების (მათ შორის საკუთარ ან სხვა ადამიანთა სექსუალურ ორიენტაციაზე გარკვეული შეხედულების) შეუწყნარებლობის გამო მიძიდება. მეორე შემთხვევაში, პირის კანონსწინააღმდეგო ქმედებისათვის იურიდიული პასუხისმგებლობა დანაშაულის ობიექტის სექსუალური ორიენტაციის შეუწყნარებლობის მოტივით არის დამძიმებული. „დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა

¹ „შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების გამო.“

² „არ დაიშვება პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო.“

³ „პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, გენეტიკური მემკვიდრეობის, რწმუნისა და აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო აკრძალულია.“

შესაბამისი დანაშაულისათვის. (27.03.2012. 5925 5925).¹ ცვლილების გატარების მიზეზი რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპის კომისიის (ECRI)² რეკომენდაციაა, რომელიც ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ შეუწყნარებლობის ისეთი მოტივი, როგორც სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობაა, მიიღონ მხედველობაში, როგორც დამამძიმებელი გარემოება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის განსაზღვრის პროცესში. მაშასადამე, საქართველოს შიგა ნორმატიული ბაზა, კონკრეტული კანონებით და მუხლებით ეხმაურება LGBT პირთა ინტერესებს და საერთაშორისო საზოგადოების წინაშე იღებს გარკვეულ ვალდებულებას სექსუალური უმცირესობების მიმართ სიძულვილის ნებისმიერი სახით გამოვლინების აღმოსაფხვრელად, მაგრამ, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ თითოეული ეს ნორმატიული აქტი არ ავრცელებს და აღრმავებს კონსტიტუციურ მოთხოვნებს და ვალდებულებებს განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე პირთა უფლებების დაცვაზე, ვინაიდან ქვეყნის უზენაეს კანონში მათზე საუბარი საერთოდ არ არის. არსებობს კიდევ ერთი, განსხვავებული მოსაზრება – კონსტიტუციის ზემოსწინებულ მე-14 მუხლში მოყვანილი წინადადება „კანონის წინაშე ყველა თანასწორია, განურჩევლად სქესისა...“ უნდა ვრცელდებოდეს სექსუალურ უმცირესობებზეც, ვინაიდან გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 1994 წლის ისტორიული გადაწყვეტილებით, ყოველი ანტიდისკრიმინაციული ნორმის განსაზღვრისას “სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ” საერთაშორისო პაქტში აღნიშნული “სქესი” უნდა გულისხმობდეს “სექსუალურ ორიენტაციასაც.”³ ამ მიმართულებით ევროკავშირი უფრო შორს წავიდა და 2000 წელს მიღებულ ადამიანის უფლებათა ევროპულ ქარტიამ⁴

გააკეთა შემდეგი ჩანაწერი: „დისკრიმინაცია აკრძალულია განურჩევლად სქესისა, რასისა, კანის ფერისა, ეთნიკური და სოციალური წარმომავლობისა, გენეტიკური ნიშნებისა, რელიგიური მრწამსისა და აღმსარებლობისა, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებისა, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილებისა, დაბადებისა, შეზღუდული შესაძლებლობებისა, ასაკისა და სექსუალური ორიენტაციისა.“⁵ როგორც ვხედავთ, ევროკავშირისათვის „სქესში“ სექსუალური ორიენტაციის მოაზრება არ არის მისაღები. ევროკავშირის ინსტიტუტები სექსუალური უმცირესობების დაცვას სულ უფრო მეტ დროს უთმობს და აღიარებს უფლებებს სხვადასხვა გადაწყვეტილებით. განვიხილოთ, რა რეკომენდაციებს აძლევს არასამთავრობო ორგანიზაციები სახელმწიფო ორგანოებს საქართველოში ჰომოფობიის დასაძლევად: 1) საქართველოს ხელისუფლებამ კონკრეტული ნაბიჯებით უნდა დაამტკიცოს იმ პრინციპების ერთგულება, რომლის დეკლარირებასაც საერთაშორისო ასპარეზზე ახდენს; 2) განათლების სამინისტრომ უნდა მოახდინოს შესაბამისი რესურსების გამოყოფა LGBT პირთა საკითხებზე მიმდინარე კვლევებისა და საგანმა-

¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თავი XI - სასჯელის დანიშვნა, მუხლი 53 (1). სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები.

² ევროპის საბჭოს ორგანოა და მის შემადგენლობაში შედიან დამოუკიდებელი ექსპერტები. მისი მიზანია ბრძოლა რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპულ დონეზე. ევროპის საბჭოს სამართალი. ფლორანს ბენუა-რომერი და ფაინრის კლეგესი, გვ. 103.

³ (იხ. "Tunen versus avstralia", 1994 წ.) საქართველოს პარლამენტმა საერთაშორისო პაქტის რატიფიცირება 1994 წლის 25 იანვარს მოახდინა.

⁴ ძალაშია 2009 წლიდან და 2007 წლის ლისაბონის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და ლისაბონის 2007 წლის ხელშეკრულება. საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი. სამეცნიერო შრომთა კრებული II ISSN 1987 – 6866, გ.ოჩიგავა, გვ. 181 – 191.

⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული ქარტია, თავი III, მუხლი 21/I. www.europa.eu.

ნათლებლო მუშაობის დასაფინანსებლად; 3) უნდა მოხდეს მედიცინის მუშაკთა და LGBT პირების ინფორმირება იმასთან დაკავშირებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქეების: ლევან ასათიანის, ირაკლი ვაჭარაძის, ლევან ბერიანიძის, ბექა ბუჩაშვილისა და გონა გაბობის კონსტიტუციური სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბერის ბრძანება №241/ნ სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენების განსაზღვრის შესახებ, რომლის თანახმად, ჰომოსექსუალებს სისხლის დონორობა ეკრძალებოდათ;¹ 4) სხვადასხვა სახელმწიფო უწყებამ, სახალხო დამცველის აპარატთან ერთად, უნდა შეიმუშაოს საკანონმდებლო ბაზა ტრანსგენდერი ადამიანების ტრანზიციისა და მათ მიერ პირადობის დამადასტურებელი საბუთების შეცვლისათვის; 5) საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა აღიკვეთოს და აღარ განმეორდეს LGBT პირთა ღირსების შელახვა;² 6) საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა გამოჰყოს შესაბამისი დრო და ფულადი სახსრები LGBT პირთა საკითხებზე ტელეპროდუქციის შექმნა-შეძენისა და ეთერში გაშვებისათვის, კანონმდებლობის შესაბამისად; 7) საქართველოს შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ უნდა უზრუნველყოს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების ინფორმირება LGBT პირთა უფლებების დაცვის შიგა და საერთაშორისო მექანიზმებზე. ძნელი სათქმელია, რამდენად გაიზიარებს საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციებს ჩვენი ქვეყანა მომავალში, სექსუალურ უმცირესობათა სხვა რა უფლებებს აღიარებს ან რა დამატებით მექანიზმებს შექმნის LGBT პირთა უფლებების დასაცავად და საზოგადოებაში ჰომოფობიური განწყობის დასაძლევად. თუმცა, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ისეთი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, ეს ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი იქნება. მოცემულ სტატიაში არ გვისაუბრია ჰომოფობიური გამოვლინებების კონკრეტულ მიზეზებზე, რაც შეიძლება განათლებაში, რელიგიურ მრწამსსა თუ ჩვენს წეს-ჩვეულებებში ვეძებოთ, მაგრამ ერთი უდავოა, საქართველომ ჰომოფობიის დასაძლევად არაერთი ნაბიჯი გადადგა და თუ, ერთი მხრივ, ევროპული ინტეგრაციის კვალდაკვალ, მეგობარი სახელმწიფოების მხრიდან მოწონება დაიმსახურა, მეორე მხრივ, საზოგადოების უდიდესი ნაწილის გულისწყრომა გამოიწვია. ევროკავშირში საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერისა და რატიფიცირების პარალელურად, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ”. ჩვენმა ქვეყანამ კიდევ ერთხელ დაადასტურა სექსუალურ უმცირესობათა დაცვის ვალდებულებისადმი ერთგულება და აღიარა, რომ სახელმწიფო მიზნად ისახავს დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრას და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პირებისათვის კანონმდებლობით დაცული უფლებების სარგებლობის თანასწორ უზრუნველყოფას სხვადასხვა ნიშნის (მათ შორის სექსუალური ორიენტაციის) მიუხედავად.

¹ სასამართლომ დაადგინა, რომ, მხოლოდ სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე, სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის უფლების შეზღუდვა არაპროპორციულია და არ არის ლეგიტიმური მიზნის – სისხლისა და მისი კომპონენტების რეციპიენტების უსაფრთხოების შესაბამისი.

² მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის სექსუალური ორიენტაციის შეურაცხყოფისაკენ.”

ბოჩა ოჩიგავა,
სამართლის დოქტორი

**ჰომოფობია და საქართველო – ევროპული ინტეგრაციით
ბანკირობეზული პროცესი, თუ დიდი ხნის პრობლემა**

განხილულია ისეთი აქტუალური თემა, როგორცაა სექსუალური უმცირესობები და მათი უფლებები. ავტორი მიმოიხილავს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ნორმატიულ აქტებს ამ სფეროში. საუბრობს ჰომოფობიის წინააღმდეგ საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებებზე, საკანონმდებლო ცვლილებებზე, ინიციატივებზე. განმარტავს სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებულ კონკრეტულ ტერმინებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საუბრობს სახელმწიფოს დამოკიდებულების შესახებ საზოგადოების განწყობაზე.

GOCHA OCHIGAVA,
doctor of law

**HOMOPHOBIA AND GEORGIA - DUE TO THE PROCESS OF EUROPEAN
INTEGRATION OR A LONG-STANDING PROBLEM**

There is considered the topical issues, such as sexual minorities and their rights. There is examined both the national and international regulations in this field. There are given talks about the obligations, legislative changes, initiatives, that are taken by Georgian state against homophobia. There are explained the specific terms relating to sexual minorities. There is given talks about the public mood, that is caused by the attitude of government towards discussed issue.

ГОЧА ОЧИГАВА,
доктор права

**ГОМОФОБИЯ И ГРУЗИЯ – ВОЗДЕЙСТВИЕ ПРОЦЕССА
ЕВРОПЕЙСКОЙ ИНТЕГРАЦИИ ИЛИ ДАВНЕЙШАЯ ПРОБЛЕМА**

Автор затрагивает особо актуальную тему современного мира - сексуальные меньшинства и их права. В статье упоминаются как внутригосударственные, так и международные правовые акты данной проблематики. Кроме того, значительное внимание уделяется новым инициативам в законодательстве Грузии: всем обязательствам, которые поставлены перед Грузией в борьбе против гомофобии. Также говорится о негативном воздействии позиции государства на грузинское общество в целом.

საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორც სამართალშემოქმედების სუბიექტები

საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორც სამართალშემოქმედების სუბიექტები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო სამართლის განვითარებაში. მსოფლიოში დაახლოებით სამასი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელთა საქმიანობის სფერო ძალიან ფართოა და მოიცავს სახელმწიფოთა შიგა კანონმდებლობით განსაზღვრულ საკითხებს.

აღნიშნულ სტატიაში საერთაშორისო ორგანიზაციათა სამართალშემოქმედების პროცესი განხილული იქნება ოთხ ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციის მაგალითებზე: 1) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO); 2) გაერო (UN); 3) ევროპის საბჭო (Council of Europe) და 4) ევროკავშირი (EU). აღნიშნული სტატია მიზნად ისახავს განსაზღვროს საერთაშორისო ორგანიზაციათა ეფექტურობა და რამდენად დემოკრატიული და გამჭვირვალეა მათი სამართალშემოქმედებითი პროცესი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო სამართალში ბევრი მოსაზრებაა. ზოგი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა განავითარეს და ეფექტური გახადეს სამართალშემოქმედება და ხელი შეუწყვეს სახელმწიფოთა თანამშრომლობას დემოკრატიის პრინციპებზე დაყრდნობით; არის საპირისპირო მოსაზრებაც, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები სამართალშემოქმედებით უფლებამოსილებას ახორციელებენ პოლიტიკურად ძლიერი სახელმწიფოების გავლენით, ვინაიდან საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნის უპირველესი წყარო სახელმწიფოა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ცალსახა და ზუსტი პასუხი არ არსებობს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მოსაზრებას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალშემოქმედებითი უფლებამოსილება გაიზარდა. სამართალშემოქმედებითობა ნიშნავს შესაძლებლობას, საერთაშორისო ორგანიზაციამ დადოს საერთაშორისო შეთანხმებები და დამოუკიდებლად განახორციელოს საკუთარი საქმიანობა¹.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულოა წევრი სახელმწიფოებისათვის მას შემდეგ, რაც მოხდება მიღებული ხელშეკრულების შიგა კანონმდებლობაში იმპლემენტაცია². უკვე დიდი ხანია სახელმწიფოები არ არის ერთადერთი და მთავარი რგოლი საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკის განსაზღვრაში. ამ პროცესში ჩართულია როგორც საერთაშორისო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვადასხვა ორგანიზებული ჯგუფები და ა.შ. სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო ორგანიზაციათა გადაწყვეტილებების შესრულება განპირობებულია მსოფლიო სახელმწიფოთა გლობალიზაციის პროცესში ჩართულობით. წევრი სახელმწიფოები საერთაშორისო ორგანიზაციებს ანიჭებენ უფლებამოსილებას, მიიღონ

¹ J.W. Schneider S.J, Treaty making power of international organizations (Paris 1963, 73 Rue Du Cardinal Lemoine, №12) 11.

² Jan Wouters, Philip De Man, International Organizations as Lawmakers (Working paper №21, March 2009) 5.

³ Jose E. Alvarez, International Organizations as Law-makers (The American Journal of International Law, Vol. 100, No. 3, July 2006) 733, <http://jstor.org> < accessed May 10 2014.

მონაწილეობა სამართალშემოქმედებით პროცესში, რომელიც ძირითადად სამი სახით განისაზღვრება: 1) საერთაშორისო ორგანიზაციათა წევრი სახელმწიფოები საერთაშორისო ორგანიზაციებს ანიჭებენ სამართალშემოქმედებით უფლებამოსილებას მათ მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად; 2) საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ საკუთარ უფლებამოსილებას სახელმწიფოთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად; 3) საერთაშორისო ორგანიზაციათა უფლებამოსილება შეზღუდულია შიგა საქმიანობის ფარგლებში¹. საერთაშორისო ორგანიზაციები არის ასოციაციები, დაფუძნებული მთავრობების ან მათი წარმომადგენლების მიერ, რომელთაც აქვს მუდმივი შტატი და შტაბ-ბინა, რომლის მეშვეობით ახორციელებენ გადაწყვეტილებების აღსრულებასა და სხვა ადმინისტრაციულ საქმეთა ორგანიზებას.

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მრავალმა სახელმწიფომ გეზი აიღო დემოკრატიული ფასეულობებისაკენ და, შესაბამისად, მათი ძირითადი მოტივაცია საერთაშორისო ორგანიზაციათა სამართალშემოქმედებით პროცესში ჩართულობა გახდა². სახელმწიფოსათვის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მოტივაციად გაწვევრიანდეს საერთაშორისო ორგანიზაციაში, შეიძლება ჩაითვალოს, ორგანიზაციების მიერ იმ საკითხებთან დაკავშირებით განხორციელებული საქმიანობა, რომლის გამოცდილებაც მას არ გააჩნია. მაგალითად, ექსპერტიზა, ინფორმაცია გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, დრო და ა.შ.³

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სამართალშემოქმედების პროცესში მონაწილეობა შეიძლება განხორციელდეს პირდაპირი და არაპირდაპირი გზით. არაპირდაპირი გზით საერთაშორისო ორგანიზაციები მუდმივმოქმედი ფორუმია, რომელიც შედგება ტექნიკური და იურიდიული ექსპერტებისაგან, რომელთა დასკვნები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხელშეკრულებათა საბოლოო ტექსტის განსაზღვრაში⁴. ამის საპირისპიროდ საერთაშორისო ორგანიზაციები უშუალო როლს ასრულებენ სამართალშემოქმედებით პროცესში და თავად ხდებიან ხელშეკრულების წევრი.

საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორც სამართლის სუბიექტების საკითხი იმოქმედონ დამოუკიდებლად საერთაშორისო ასპარეზზე მეტად მნიშვნელოვანი ასპექტია საერთაშორისო სამართალში. მარტივად რომ ვთქვათ, სამართალსუბიექტურობა საერთაშორისო ორგანიზაციებს ანიჭებს უფლებამოსილებას დამოუკიდებლად იმოქმედოს საერთაშორისო ასპარეზზე, საკუთარი ორგანოებისა და ინსტიტუტების მეშვეობით. საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალსუბიექტურობის უმთავრესი წყაროა საერთაშორისო ხელშეკრულებები და წევრი სახელმწიფოები⁵.

საერთაშორისო ორგანიზაციათა სამართალშემოქმედებითი პროცესის ყველაზე დიდ პრობლემად მის დემოკრატიულობას და დამოუკიდებლობის არქონას მიიჩნევენ. საერთაშორისო ორგანიზაციები უფლებამოსილებას ახორციელებენ იმ ორგანოებით, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, ხალხის მიერაა არჩეული. არსებობს მოსაზრება, რომ საერთაშო-

¹ Jan Wouters, Philip De Man, International Organizations as Law-makers (Working paper №21, March 2009) 6.

² Edward D. Mansfield and Jon Prevehouse, Democratization and the Varieties of International organizations (The Journal of Conflict resolution, Vol. 52, No. 2, International organizations count, April 2008) 271, <http://jstor.org> <accessed 10 May 2014.

³ Jan Wouters, Philip De Man, International Organizations as Law-makers (Working paper №21, March 2009) 22.

⁴ Edited by Duncan B. Hollis, the Oxford guide to treaties (United Kingdom, Oxford University Press, 2012) 73.

⁵ Philippe Gautier, The reparation for injuries case revisited : the personality of the European Union, 333.

რისო ორგანიზაციების დემოკრატიულობისა და გამჭვირვალობის კოეფიციენტი შესაძლოა გაიზარდოს უფრო მეტი არასამთავრობო და დამოუკიდებელი ორგანიზაციების ჩართულობით, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო ორგანიზაციათა სამართალშემოქმედებით პროცესში.

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი საერთაშორისო კონვენცია და ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ინდივიდის უფლებას, საჩივრით მიმართოს საერთაშორისო ორგანიზაციას. საერთაშორისო ორგანიზაციაში დემოკრატიულობისა და გამჭვირვალობის ხარისხს მისი ხელმისაწვდომობა (Accessibility) განსაზღვრავს. ამის ნათელი მაგალითია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ECtHR), რომელიც ვალდებულებას იღებს განიხილოს და უფლებამოსილებას ანიჭებს ინდივიდულ პირებს და სახელმწიფოს სასამართლო წესით დაიცვან საკუთარი უფლება¹.

თანამედროვე რეალობაში თითქმის წარმოუდგენელია სახელმწიფოთა შორის მრავალმხრივი ხელშეკრულებების გაფორმება საერთაშორისო ორგანიზაციათა ჩართულობის გარეშე. მაგალითად, ევროკავშირში გადაწყვეტილების მიღების დროს, ყველა სახელმწიფომ უნდა მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო ხელშეკრულების სამართალშემოქმედებაში, ვინაიდან, რაც უფრო მეტი სახელმწიფო მონაწილეობს, მით უფრო მარტივია ხელშეკრულების იმპლემენტაცია და მისი შესაბამისობაში მოყვანა. საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა ამარტივებს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას².

მიუხედავად გაეროცდებულები შეხედულებისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები მოკლებულია დემოკრატიულ და გამჭვირვალე სამართალშემოქმედების პროცესს, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა სტიმული მისცეს სახელმწიფოებს გახდეს საერთაშორისო ორგანიზაციათა წევრი. გაეროს შექმნამ გამოიწვია სახელმწიფოთა შორის მრავალმხრივი ხელშეკრულების დიდი რაოდენობით ზრდა, რომელიც ეხება როგორც ტრადიციულ, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე მნიშვნელოვან საკითხებს და რომლებმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს საერთაშორისო სამართლის განვითარებაში. ეს უმნიშვნელოვანესი საკითხებია: საზღვაო სამართალი, ომის სამართალი, ინტელექტუალური საკუთრება, საერთაშორისო სისხლის სამართალი და ა.შ.³

საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა გაერო და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, გადაიქცნენ სამართალშემოქმედების მძლავრ მექანიზმად და შეიქმნა უზარმაზარი სახელშეკრულებო ბაზა.

თუ გადავხედავთ ისტორიას, მე-19 საუკუნეში მრავალმხრივი ხელშეკრულებების გაფორმება დამოკიდებული იყო ინდივიდუალურ სახელმწიფოებზე და რთულად ხდებოდა სხვა სახელმწიფოს დაყოლიება მონაწილეობა მიეღოთ აღნიშნულ პროცესში. ძირითადად ინიციატორი სახელმწიფოები განსაზღვრავდნენ მონაწილე სახელმწიფოთა სიას. დღეს საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით პატარა და ნაკლებად პოლიტიკურად გავლე-

¹ Jan Wouters, Philip De Man, International Organizations as Law-makers (Working paper №21, March 2009) 19.

² Jose E. Alvarez, International Organizations as Law-makers (The American Journal of International Law, Vol. 100, No. 3, July 2006) 736, <http://jstor.org> < accessed 11 May 2014.

³ Jose E. Alvarez, New Treaty Makers (25 B.C. Int'l Comp. L. Rev. 2002) 216, <http://heinonline.org> <accessed 12 May 2014.

ნიან სახელმწიფოებსაც შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ როგორც გადაწყვეტილების მიღების, ასევე სამართალშემოქმედებით პროცესში¹.

სახელმწიფოები ქმნიან საერთაშორისო ორგანიზაციებს, რათა წარმოადგინონ მათი ინდივიდუალური და კოლექტიური ინტერესები. ამის საუკეთესო მაგალითია ევროკავშირი, ვინაიდან ამ ტრანსნაციონალურ ორგანიზაციას მინიჭებული აქვს უზარმაზარი უფლებამოსილება, რომელიც შესასრულებლად სავალდებულოა წევრი სახელმწიფოებისათვის². აშკარაა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და ხელშეკრულებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხვადასხვა აქტუალური სფეროს განვითარებაში. სტატისტიკის მიხედვით, იმ სახელმწიფოებში, სადაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიცირება მოახდინეს, ბევრად უფრო დაცულია ადამიანის უფლებები, ვიდრე იმ სახელმწიფოებში, რომლებიც აღნიშნულ კონვენციის წევრები არ არიან³. საერთაშორისო ორგანიზაციათა მიერ მიღებული ხელშეკრულებების რატიფიცირება სახელმწიფოს აიძულებს შეასრულოს და დაიცვას იგი, ვინაიდან სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ირიბად აიძულებს სახელმწიფოებს ასე იმოქმედონ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული ხელშეკრულებების რატიფიცირებით პრობლემის გადაჭრა არ ამოიწურება. ლოგიკურია, რომ ყველა სამართლებრივი დოკუმენტი, თუ არ ხდება მისი შესრულება და დაცვა, ფარატირა ქაღალდია და მეტი არაფერი. მაგალითად, ადამიანის უფლებათა სფეროში თუ არ მოხდება სახელმწიფოთა მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებების ეფექტური კონტროლი და აღსრულება, რთული იქნება დანაშაულის დონის შემცირება. საერთაშორისო პრესტიჟი აიძულებს სახელმწიფოს შეცვალოს შიგა კანონმდებლობა, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გატარებული ეფექტური კონტროლის შედეგად მიიღწევა⁴.

ინსტიტუციური ფარდა (Institutional Veil) – ტერმინი, რომელსაც ხშირად იყენებენ საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ, განსაზღვრავს, რამდენად გამჭვირვალედ და დემოკრატიულად ხორციელდება მათთვის მინიჭებული უფლებამოსილება. წევრი სახელმწიფოები ხშირად იყენებენ საერთაშორისო ორგანიზაციებს ფარდად, რადგან რეალურად საერთაშორისო ორგანიზაციებს თავად არ შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილებები და განახორციელონ სამართალშემოქმედება, ვინაიდან მათი სუვერენიტეტი სახელმწიფოთა ხელშია. მაგალითად, გაეროს უშიშროების საბჭოს მხოლოდ ხუთ მუდმივ წევრს აქვს ვეტოს უფლება. შესაბამისად, გაეროში პოლიტიკურად ძლიერი სახელმწიფოები პრივილეგიებით სარგებლობენ და ზეგავლენას ახდენენ ორგანიზაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

უმეტეს შემთხვევაში, საერთაშორისო ორგანიზაციები გადაწყვეტილებების მიღებისას მიმართავენ სამ ძირითად ფორმას: 1) კონსენსუსი (Consensus); 2) ხმის მიცემა (Voting) და 3) სრული უმრავლესობა (Unanimity). ძირითადად საერთაშორისო ორგანიზაციები გადაწ-

¹ Jose E. Alvarez, *International Organizations as Law-makers* (The American Journal of International Law, Vol. 100, No. 3, July 2006) 736, <http://jstor.org> < accessed 12 May 2014.

² Guzman, Andrew T, *Doctor Frankenstein's International organization* (Berkley program in Law and Economics, Working paper series, UC Berkley, 03-09-2012) 8

³ Oona A. Hathaway, *Do human rights treaties make a difference?* (Faculty Scholarship series, paper 839, 2002) 1976.

⁴ Oona A. Hathaway, *Do human rights treaties make a difference?* (Faculty Scholarship series, paper 839, 2002) 2020.

ყვეტილებებს კონსენსუსის მეშვეობით აღწევენ, ვინაიდან აღნიშნულ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება დებატებისა და განხილვის გზით ხდება. ასევე, გაეროს უშიშროების საბჭო და გენერალური ასამბლეა გადაწყვეტილებებს კონსენსუსის გზით აღწევენ. ამის საპირისპიროდ ევროკავშირი გადაწყვეტილებებს ძირითად საკითხებზე სრული უმრავლესობით იღებს¹. მიუხედავად იმისა, რომ ევროსაბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება მხოლოდ სახელმწიფოთა შორის კეთილსინდისიერი თანამშრომლობის პრინციპზეა დამოკიდებული, წევრ სახელმწიფოებს ხშირად შიგა კანონმდებლობაში შეაქვთ ცვლილებები ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რთულია განსაზღვრო საერთაშორისო ორგანიზაციების დემოკრატიულობისა და გამჭვირვალობის ხარისხი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მე-19 საუკუნესთან შედარებით, საერთაშორისო ორგანიზაციები უფრო დემოკრატიულად და გამჭვირვალედ მოქმედებენ. ეს ფაქტი შეიძლება იმით აიხსნას, რომ არასამთავრობო სექტორი უფრო მეტად ერთვება საერთაშორისო ასპარეზზე და სამართალ-შემოქმედებით პროცესზე ხელმისაწვდომობა ღია ხდება. ზემოხსენებული საერთაშორისო ორგანიზაციები შეიძლება ჩაითვალოს დემოკრატიულ ორგანიზაციებად.

ის ფაქტი, რომ ევროპარლამენტი აირჩევა ევროპის მოქალაქეების მიერ, რომელიც დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფასეულობაა, ნამდვილად მიანიშნებს მის დემოკრატიულ და დამოუკიდებელ ბუნებაზე. თუმცა, ეჭვგარეშეა, რომ პოლიტიკური ფაქტორი დიდ ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიღებაზე.

¹ Edited by Jan Klabbers and Asa Wallendahl, Research handbook on the law of international organizations (Edward Elgar Publishing, UK) 195

მერაბ რაჟავა,
სამართლის დოქტორი, პროფესორი

საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორც სამართალშემოქმედების სუბიექტები

განხილულია საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორც სამართალშემოქმედების სუბიექტები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო სამართლის განვითარებაში.

როგორც ცნობილია, მსოფლიოში დაახლოებით სამასი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელთა საქმიანობის სფერო ფართოა და მოიცავს სახელმწიფოთა შიგა კანონმდებლობით განსაზღვრულ საკითხებს. ამიტომ, ავტორი საგანგებო ყურადღებას უთმობს ოთხ ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციას: 1) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO), 2) გაერო (UN); 3) ევროპის საბჭო (Council of Europe) და 4) ევროკავშირი (EU).

ავტორი განიხილავს აღნიშნული ორგანიზაციების სტატუსს და მათ მონაწილეობას სამართალშემოქმედების პროცესში.

MERAB RAPAVA,
Doctor of Juridical Sciences

INTERNATIONAL ORGANIZATIONS AND THEIR LEGAL PERSONALITY

There is discussed the International Organizations and their legal personality, which plays a big role for development of International Public Law.

There are approximately three hundred International Organizations in the world. Their field of activities are very broad and it also includes the domestic laws of the states. For the above-mentioned the author pays great attention to the four most important International Organizations: 1) The world trade organization (WTO), 2) United Nations (UN), 3) Council of Europe and 4) European Union (EU).

There are discussed the status and the problems of participation in law making process of these International Organizations.

МЕРАБ РАПАВА,
доктор юридических наук

МЕЖДУНАРОДНЫЕ ОРГАНИЗАЦИИ КАК СУБЪЕКТЫ ПРАВОПРИМЕНЕНИЯ

Рассмотрены международные организации в качестве субъектов правоприменения, принимающих активное участие в развитии международного права.

В мире насчитываются около трехсот международных организаций, деятельность которых очень широка и включает в себя внутреннее законодательство этих вопросов. Поэтому особое внимание уделяется четырем наиболее важным международным организациям: 1) Всемирная торговая организация (WTO), 2) Организация Объединенных Наций (ООН), 3) Совет Европы (Council of Europe) и 4) Европейский союз (ЕС).

Рассмотрены проблемы статуса и участия в законодательных процедурах.

თვითგამორკვევის უფლება და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა

სახელმწიფოს მიერ ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და თვითგამორკვევის უფლება მეტად კომპლექსური და სადავო საკითხია საერთაშორისო საჯარო სამართალში¹. თვითგამორკვევის უფლება ნიშნავს კონკრეტულ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის უფლებას, თავად განსაზღვროს მისი ტერიტორიის, პოლიტიკური და სამართლებრივი სტატუსი, რომელიც შეიძლება გამოიხატოს სხვა სახელმწიფოსთან შერწყმის ან ახალი სახელმწიფოს შექმნის ფორმით². თვითგამორკვევის პრინციპი, როგორც სახელმწიფოთა შორის თანამეგობრობის გადრმავეების მექანიზმი, წინააღმდეგობაში მოდის ტერიტორიულ მთლიანობის დაცვასა და სახელმწიფო სუვერენიტეტთან.

ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის მიხედვით, დამოუკიდებელი სახელმწიფოები დაცული უნდა იყოს სხვა სახელმწიფოების უხეში ჩარევისა და აგრესიისაგან, ხოლო თვითგამორკვევის უფლება გამოხატავს ხალხის ნებას განსაზღვროს საკუთარი სუვერენიტეტი და პოლიტიკური სტატუსი დამოუკიდებლად, სხვა სახელმწიფოების ჩარევის გარეშე. აქედან გამომდინარე, ტერიტორიული მთლიანობის დაცვის პრინციპი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაა, ხოლო თვითგამორკვევის უფლება ურთიერთობა დამოუკიდებელ სახელმწიფოებსა და ხალხს შორის³. ტერიტორიული მთლიანობის დაცვის პრინციპი ემსახურება იდეას მსოფლიოში დაამყაროს მშვიდობა და სტაბილურობა. მარტივად რომ ვთქვათ, პოლიტიკური და სამართლებრივი თვალთახედვით, ერთი სახელმწიფოს საზღვრები არ უნდა იქნეს შეცვლილი მეორე სახელმწიფოს მიერ. ამასთან, ტერიტორიული მთლიანობის დაცვის პრინციპი, თავისი არსით, გამორიცხავს ხალხის თვითგამორკვევის უფლების გამოყენებას და, შესაბამისად, ახალი სახელმწიფოს შექმნის იდეას.

თვითგამორკვევის კონცეფციის განვითარებას მე-19 საუკუნეში ხელი შეუწყო ევროპული სახელმწიფოების მიერ ეროვნული იდენტობის გამძაფრებულმა შეგრძნებამ. ტერმინი თვითგამორკვევა (Self-determination), რა სახითაც დღეს არის განსაზღვრული საერთაშორისო სამართლის მიერ, სათავეს იღებს I მსოფლიო ომის შემდგომ, როდესაც ამ ტერმინის გამორჩეული ადვოკატი გახლდათ, ამერიკის პრეზიდენტი უილსონ ვუდრო. მას დიდი სურვილი ჰქონდა განესაზღვრა პირველი მსოფლიო ომის შემდგომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რუკა, ხალხის თვითგამორკვევის უფლებაზე დაყრდნობით, თუმცა მისი სახელმწიფო მდივანი რობერტ ლენსინგი თავიდანვე ხედავდა ამ ტერმინთან დაკავშირებულ სახიფათო შედეგებს და განაცხადა, რომ ეს ტერმინი წარმოშობდა იმედებს, რომლებიც ვერასდროს გამართლდებოდა და შეიწირავდა ათასობით ადამიანის სიცოცხლეს. აშკარაა, რომ რობერტ ლენსინგის სიტყვები ერთი საუკუნის შემდეგაც ინარჩუნებს

¹ Vita Gudeleviciute, Vytautas Magnus University School of Law, Does the principal of self-determination prevail over the principal of territorial integrity? (International Journal of Baltic Law, Volume 2, No. 2 (April 2005) ISSN 1648-9349, Available in the Central and Eastern European Online Library <<http://www.ceeol.com>>), 48

² პიტერ მაღანჯუკი. აკეპარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (მეშვიდე შესწორებული გამოცემა, გამომცემლობა “დიოგენე”, 2005).

³ Edita Gzoyan, Lilit Bandurian, Territorial Integrity and self-determination: Contradiction of equality? (21st Century, N 2, 2011) 90

აქტუალურობას, ვინაიდან ათასობით უკრაინელმა, რომლებიც თავის ეთნიკურობას უკავშირებს რუს ხალხს, ამ პრინციპის გამოყენებით გამოხატეს სურვილი და ხმა მისცეს ყირიმის ტერიტორიის ანექსიას და მისი რუსეთის ტერიტორიაში გაერთიანებას¹.

ადამიანის პოლიტიკური და სამართლებრივი უფლება იყოს თავისუფალი და თავად განსაზღვროს საკუთარი ბედი დასაბამს უხსოვარი დროიდან იღებს, თუმცა ამ კონცეფციის თვითგამორკვევის პრინციპად ჩამოყალიბება ბევრად უფრო გვიანდელია. თვითგამორკვევა გერმანული წარმოშობის სიტყვაა (selbstbestimmungsrecht), რომელსაც ხშირად იყენებდნენ გერმანელი რადიკალი ფილოსოფოსები მე-19 საუკუნის შუა ნახევარში. ისტორიულად თვითგამორკვევის კონცეფციის პირველი ჩანასახი გაჩნდა მე-17 საუკუნეში ვესტფალიის ხელშეკრულებით (ზავით), რომლითაც დასრულდა 30-წლიანი რელიგიური ომი კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის. ამ ხელშეკრულებამ (ზავმა) დაადასტურა, რომ ტერიტორიაზე მოქმედებს ის რელიგია, რომლის მიმდევარიც ამ ტერიტორიაზე მყოფი ლიდერია. ამ ხელშეკრულების (ზავის) მთავარი მიზანი იყო, აეკრძალათ მეფისთვის (პრინციპისთვის) სხვა ტერიტორიებზე შეჭრა და მათი რელიგიის შეცვლა, რაც, თანამედროვე გაგებით, ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დაცვას ნიშნავს². ამ კონცეფციის შემდგომი და უმნიშვნელოვანესი გამოხატულება ამერიკის რევოლუციაა, როდესაც ამერიკელმა კოლონისტებმა ჯონ ლოკისა და სხვა ფილოსოფოსების იდეათა გავლენით და საფრანგეთის დახმარებით გადაწყვიტეს გამოყოფოდნენ ინგლისს და ჩამოეყალიბებინათ დამოუკიდებელი სახელმწიფო დევიზით “სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა”. ეს ხალხის თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია.

ხალხის თვითგამორკვევის უფლება, თავისი არსით, შეიძლება იყოს საშინაო (რომელიც ხშირად უკავშირდება ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიულ ფასეულობებს) და საგარეო, რომელიც შეიძლება გამოხატულ იქნეს გამოყოფისა და დეკლარაციის სახით. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საერთაშორისო დოკუმენტები (ხელშეკრულებები, აქტები ა.შ.) არ განსაზღვრავს, თუ კონკრეტულად რომელ ხალხს ან ჯგუფს (უმცირესობას, ადგილობრივ მოსახლეობას, მთლიან მოსახლეობას, ეთნიკურ ჯგუფებს) აქვს უფლება იყოს ამ უფლების ბენეფიციარი³. თვითგამორკვევის უფლების უპირველესი ბენეფიციარი სახელმწიფოა. სახელმწიფოს მიერ თვითგამორკვევის უფლების გამოყენება ნიშნავს, რომ ყველა სახელმწიფოს, როგორც ორგანიზებულ პოლიტიკურ საზოგადოებას, რომელიც ფლობს და აკონტროლებს ტერიტორიას, უფლება აქვს განახორციელოს მმართველობა ამ ტერიტორიაზე არსებული სამთავრობო ინსტიტუტების მეშვეობით, სხვა სახელმწიფოთა ჩარევის გარეშე. აღნიშნული დეფინიცია ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა დაცული უნდა იყოს სხვა სახელმწიფოთა ჩარევისაგან. აღნიშნული პრინციპიდან გადახვევა შეიძლება მოხდეს, როდესაც სახელმწიფო უხეშად არღვევს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. სახელმწიფოს თვითგამორკვევის უფლება გამომდინარეობს მოქალაქეთა თვითგამორკვევის უფლებიდან. თვითგამორკვევის უფლება პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოებრიობასთან და ვინაიდან

¹ Maja Spanu, What is Self-determination? Using History to understand international relations, E-International relations (April 14 2014) <http://www.e-ir.info/2014/04/17/what-is-self-determination-using-history-to-understand-international-relations/> accessed June 8 2014.

² Confluence Investment management, The Paradox of Self-determination (March 17 2014 5:54 pm) <<http://www.valuewalk.com/2014/03/ukraine-crimea-self-determination/>> accessed June 8 2014

³ Michele Capeleto, Does Self-determination entail an automatic right to secession? (May 2 2014) <http://www.e-ir.info/2014/05/02/does-self-determination-entail-an-automatic-right-to-secession/> accessed June 8 2014.

ხელისუფლების წყაროა ხალხი, მათ უფლება აქვთ დაამყარონ, შეცვალონ ან შეინარჩუნონ პოლიტიკური ინსტიტუტები¹. საინტერესოა ის ფაქტი, რომ საერთაშორისო სამართლის მიერ არ არის განსაზღვრული, თუ ვინ შეიძლება იყოს თვითგამორკვევის უფლების ბენეფიციარი. ცხადია, რომ ცალკეულ ჯგუფს, როგორცაა ბიზნესორგანიზაციები, პროფესიული ასოციაციები, ინდივიდუალური ოჯახები, სოციალური კლუბები და ა.შ არ არიან ამ უფლების ბენეფიციარები. იმისათვის, რათა თვითგამორკვევის უფლება გამოყენებულ იქნეს, საჭიროა მინიმუმ ორი კრიტერიუმის არსებობა. პირველ რიგში, ამ უფლების ბენეფიციარი უნდა იყოს პოლიტიკურად თანამიმდევრული (*Politically coherent*) საზოგადოება, რომელსაც უნარი შესწევს იყოს პოლიტიკურად დამოუკიდებელი და ამასთან მისი წევრები იზიარებდნენ საერთო ღირებულებებს. მეორე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ტერიტორია, რომელიც უნდა იყოს როგორც გეოგრაფიულად ერთიანი, ასევე პოლიტიკურად ინტეგრირებადი. მიუხედავად ამ ორი კრიტერიუმის არსებობისა, რთული წარმოსადგენია ამ უფლების ყოველი პოლიტიკურად ერთიანი და ინტეგრირებადი საზოგადოების მიერ მისი გამოყენება, ვინაიდან მსოფლიოში წარმოუდგენელი გახდება მათი ტერიტორიების განსაზღვრა².

უნდა აღინიშნოს, რომ თვითგამორკვევის პრინციპი ყველაზე მეტად 60–70 წლებში წარმოჩინდა, როდესაც კოლონიურმა ხალხებმა დაიწყეს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. 1950 წლის დასაწყისში ბევრი ანტიკოლონიური პოლიტიკური ლიდერი ცდილობდა თვითგამორკვევის უფლება დაცული ყოფილიყო საერთაშორისო სამართლის მიერ, რომელმაც შედეგი გამოიღო და 1960 წელს მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლითაც განისაზღვრა თვითგამორკვევის უფლება, როგორც კოლონიური ქვეყნების სუვერენულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბების სამართლებრივი საფუძველი³. ამის შემდგომ თვითგამორკვევის უფლების იმპლემენტაცია მოხდა გაეროს წესდების 1-ელ (2) და 55-ე მუხლებში, რომელიც შემდგომ აისახა მრავალ სხვა საერთაშორისო დოკუმენტაციაში⁴. უნდა აღინიშნოს, რომ გაეროს შექმნამდე თვითგამორკვევის უფლება არ იყო აღიარებული საერთაშორისო სამართლის მიერ. ამერიკის შეერთებული შტატები და მასთან ერთად ბევრი ქვეყანა, თვითგამორკვევას განსაზღვრავდა, როგორც პრინციპს, რომელიც ეხებოდა ცალკეულ ინდივიდებს და არა უფლებას მისი კოლექტიური გაგებით (ხალხი). თვითგამორკვევის პრინციპის ინტერპრეტაცია დროდადრო სხვადასხვა სახით მოხდა. გაეროს წესდების ჩამოყალიბებისას მისი ავტორები არ გულისხმობდნენ დამოკიდებული ხალხის დამოუკიდებელ ხალხად გადაქცევას. მათი მთავარი მიზანი იყო სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობა და მათ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის დაცვა სხვა სახელმწიფოთა ჩარევისაგან. ამ არგუმენტის გასამყარებლად შეგვიძლია

¹Tomis Kapitan, Self-determination and International Order (The monist, Vol. 89, No. 2, the foundations of international order, April 2006) 358-359 <http://jstor.org> accessed June 15 2014.

²Tomis Kapitan, Self-determination and International Order (The monist, Vol. 89, No. 2, the foundations of international order, April 2006) 361 <http://jstor.org> accessed June 15 2014.

³Brad Simpson, Does Crimea have the right to join Russia? The answer isn't as clear as Moscow's critics or its defenders think (March 21, 2014). http://www.foreignpolicy.com/articles/2014/03/21/self_determination_in_the_age_of_putin_crimea_referendum accessed June 8 2014.

⁴Maya Abdullah, The right to self-determination in international law, scrutinizing the colonial aspect of the right to self-determination (Department of Law, School of Economics and Commercial Law, University of Goteborg, May 2006) 9-10.

პასუხი თვით წესდებაში ვეძებოთ. წესდება არ განსაზღვრავს ვინ არის ხალხი და, შესაბამისად, რა არის თვითგამორკვევის უფლების სამართლებრივი შედეგები¹.

ყირიმის საკითხი მეტად მნიშვნელოვანია თვითგამორკვევის უფლებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის კუთხით. 2014 წლის 16 მარტს ყირიმში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის 96,8 % მომხრეა, რომ ყირიმი გამოყოფილ იქნეს უკრაინის ტერიტორიიდან და რუსეთს შეუერთდეს. აღნიშნული რეფერენდუმი საშემსრულებლო პრეცედენტს ქმნის საერთაშორისო სამართალში, ვინაიდან ეს პირველი შემთხვევაა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, როდესაც სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის *de jure* ანექსია ხდება. რეფერენდუმი ჩატარებულია საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევით, კერძოდ დარღვეულია გაეროს წესდება, ჰელსინკის 1975 წლის აქტი და რუსეთის, ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის ვალდებულება უკრაინის მიმართ, რომელიც განპირობებულია ბუდაპეშტის 1994 წლის მემორანდუმით, რომლის მიხედვითაც უკრაინამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ბირთვული იარაღის წარმოებაზე უარის თქმის შესახებ, რომლის ძალითაც დაცულია უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა და პოლიტიკური დამოუკიდებლობა². ამასთან, რეფერენდუმი უკანონოდ გამოაცხადა უკრაინის დროებითმა მთავრობამ. რეფერენდუმი ჩატარეს რუსეთის კონტროლის ქვეშ მყოფმა ყირიმელმა სეპარატისტებმა. რუსეთის შეიარაღებული ოპერაცია გამართლებულ იქნა ყირიმის ეთნიკურად რუსი მოსახლეობის უფლებების დასაცავად. ყირიმის ეთნიკურად რუსი მოსახლეობის უბრალო სურვილი მოხდეს ტერიტორიის ანექსია არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დაირღვეს საერთაშორისო სამართლის ნორმები და სრულად უარყო ყირიმელი უმცირესობების და უკრაინელი ხალხის უფლება დაიცვას საკუთარი ტერიტორიული მთლიანობა³. რუსეთის მიერ ყირიმში გატარებულმა ქმედებებმა ცხადყო, რომ თვითგამორკვევის უფლება პოლიტიკურად ძლიერ სახელმწიფოთა ხელში შეიძლება კარგი იარაღი აღმოჩნდეს საკუთარი ინტერესების გასატარებლად. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ყირიმში მიმდინარე პროცესებმა შეიძლება თვით რუსეთისათვის გამოიღოს უარყოფითი შედეგები, ვინაიდან მის შედგენილობაში მყოფი ცენტრალური აზიის მუსულმანური რესპუბლიკებისათვის (დაღესტანი, ინგუშეთი, ბაღყარეთი, ბაშკირეთი, თათრეთი და სხვა) აღნიშნული რეფერენდუმი შესაძლოა კარგი გამოცდილება და მისაბაძი მაგალითი გახდეს.

თვითგამორკვევის პრინციპის ყველაზე დადებით მხარედ მოიხსენიებენ მის დემოკრატიულ ბუნებას, ვინაიდან პირდაპირი კავშირი აქვს ხალხის ყველაზე სენსიტიურ მხარესთან, განახორციელონ საკუთარი ნება. იმ შემთხვევაში, თუ თვითგამორკვევის უფლებას განვიხილავთ, როგორც დემოკრატიულ ფასეულობას, მისი ყველაზე უარყოფითი მხარე იქნება ქვეყნის დესტაბილიზაცია და არეულობა. იტალიის საერთაშორისო საჯარო სამართლის პროფესორმა ანტონიო კასესემ თვითგამორკვევის უფლება ამგვარად განსაზღვრა:

¹ პიტერ მაღანუკი. აკვარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (მეშვიდე შესწორებული გამოცემა, გამომცემლობა “დიოგენე”, 2005).

² Veronika Clegg, Referendum at Gun point and the crisis in Ukraine: Beyond the Propaganda (March 18 2014) <http://www.e-ir.info/2014/03/18/referendum-at-gun-point-and-the-crisis-in-ukraine-beyond-the-propaganda/> accessed June 9 2014

³ Brad Simpson, Does Crimea have the right to join Russia? The answer isn't as clear as Moscow's critics or its defenders think (March 21, 2014) <http://www.foreignpolicy.com/articles/2014/03/21/self-determination-in-the-age-of-putin-crimea-referendum> accessed June 9 2014

თვითგამორკვევა მიმზიდველია იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება მისი გამოყენება ან მისი გამოყენება მოხდება სხვებზე¹.

ანტონიო კასესეს სიტყვების ადვოკატად შეგვიძლია მოვიყვანოთ მე-20 საუკუნის მიწურულს ყოფილ იუგოსლავიაში, სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის, სისხლიანი დაპირისპირება. სერბ, ხორვატ, კოსოვოს მუსულმანურ მოსახლეობასა და ბოსნიელ ხალხებს შორის დაპირისპირებამ ასობით ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და მილიონობით ლტოლვილად გადააქცია. იუგოსლავიაში თვითგამორკვევის პროცესის სირთულე განპირობებული იყო ექვს წამყვან ერსა და თვრამეტ განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფს შორის დაპირისპირებით. შესაბამისად, მათი განცალკევება და ცალკე ტერიტორიებად გამოყოფა ფიზიკურად შეუძლებელი იყო. ყოფილ იუგოსლავიაში სისხლიანი შეტაკებებისა და არეულობის ძირითადი მიზეზი სლობოდან მილოშევიჩი იყო, რომელიც აქტიურად აპელირებდა სერბი ხალხის თვითგამორკვევის უფლებაზე სერბეთის გარეთ, მაგ., ბოსნია-ჰერცეგოვინასა და მაკედონიაში, ქვეყნებში, რომლებიც იუგოსლავიის დაშლის შემდეგ ცალკე სახელმწიფოებად ჩამოყალიბდა². ყირიმში რუსეთის მიერ ჩატარებული ოპერაციები ძალიან ჰგავს ფაშისტური გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის ანექსიას. გერმანელებმა ეს ფაქტი იმით ახსნეს, რომ ამ ტერიტორიაზე ძირითადად გერმანულ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თვითგამორკვევის პრინციპი/უფლება ერთგვარ სამართლებრივ იარაღად იქცა პოლიტიკურად ძლიერი სახელმწიფოთათვის, რათა ადვილად მოახდინონ მეზობელ სახელმწიფოთა ტერიტორიების ანექსია. თვითგამორკვევის პრინციპი, როგორც იდეა, ემსახურება ხალხთა თანასწორუფლებიანობას და საყოველთაო მშვიდობას, რომლისაც ნამდვილად სჯეროდა პრეზიდენტ უილსონ ვუდროს, თუმცა, თანამედროვე გაგებით, თვითგამორკვევის უფლება და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა მეტად ბუნდოვანია და პოლიტიკური ელფერით სავსე.

¹ Jan Klabbbers, The right to be taken seriously: Self-determination in international law (Human Rights Quarterly, Vol. 28, No. 1, February 2006, Published by The Johns Hopkins University press) 188 <http://jstor.org>, accessed 11 June 2014.

² Walter G. Moss, Crimea and the dark side of self-determination (March 18 2014) <http://hnn.us/article/155006> accessed 15 June 2014.

მერაბ რაჟავა,
სამართლის დოქტორი, პროფესორი

თვითგამორკვევის უფლება და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა

განხილულია საერთაშორისო საჯარო სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტები, როგორცაა თვითგამორკვევის უფლება და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა.

საუბარია იმ საერთაშორისო გამოწვევებზე, რაც აღნიშნულ ინსტიტუტებთან დაკავშირებით ბოლო წლებში იკვეთება არა მარტო საქართველოსთან, არამედ თანამედროვე გეოპოლიტიკურ პროცესებთან მიმართებაში.

მოცემულია ცნობილ მეცნიერეთა შეხედულებები თვითგამორკვევის უფლების საკითხთან დაკავშირებით და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის პრინციპების ინტერპრეტაციის პრობლემები.

MERAB RAPAVA,
Doctor of Juridical Sciences

RIGHT OF SELF-DETERMINATION AND TERRITORIAL INTEGRITY

This article deals with the right of self-determination and territorial integrity, which is one of the most important issues of Public International Law.

The author discusses the International Challenges, that deals with this Institute in the last years, relating not only to Georgia, but also to modern Geopolitical processes.

The author highlights the legal opinions of prominent Scholars and Specialists regarding to the right of self-determination. The author also discusses the problems relating to the interpretation of the principles of territorial integrity.

МЕРАБ РАПАВА,
доктор юридических наук

ПРАВО НА САМООПРЕДЕЛЕНИЕ И ЗАЩИТА ТЕРРИТОРИАЛЬНОЙ ЦЕЛОСТНОСТИ

Рассмотрены такие важные институты международного публичного права, какими являются право на самоопределение и защита территориальной целостности.

Автор рассматривает те международные вызовы, которые возникли в последние годы по этим институтам не только в отношении к Грузии, но и современных геополитических процессов.

Автор статьи подчеркивает мнения известных ученых и специалистов по вопросу о праве на самоопределение, а также обсуждение проблем толкования принципа территориальной целостности.

შინაარსი

სამოქალაქო (კერძო) სამართალი

ლევან ღუნდუა. ნომინალიზმის პრინციპის სამართლებრივი ბუნება	3
ასმათ ნეფარიძე. აქციებში ინვესტირების სამართლებრივი რეგულირების ასპექტები	13
ნანა როსეფაშვილი. ქართული საანდერძო ინსტიტუტის მოკლე ისტორიული მიმოხილვა	19
მარინე ჭყონია. უღავო წარმოების გადაზრდა სასარჩელო წარმოებაში	24
ეკატერინე ობოლაძე. სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა და მისი შემადგენელი ნაწილები	38
ნათია მარშანია. დაზღვევის ხელშეკრულების დადების მომენტი საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის მიხედვით	43

სისხლის სამართალი

გივი აბაშიძე. სისხლის სამართლის პროცესის სტადიების არსი სისხლის სამართლის პროცესის ერთიან სისტემაში	51
ტატიანა ლეონენკო. რელიგიური სიძულვილის ან მტრობის მოტივის ცნება და შინაარსი, როგორც დანაშაულებრივი ქმედებების პირადული მოტივაცია და მისი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა	59
მაქსიმ ლეონენკო. უკრაინის სისხლის სამართლის სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობა: სამართალდამცავი პრაქტიკის პრობლემები და შემდგომი რეფორმების პრიორიტეტული მიმართულების განსაზღვრა	68
ირაკლი იმერლიშვილი, იოსებ ხუციშვილი. საბადასახადო დანაშაულზე პირისათვის ბრალდების წაყენება და ბრალდებულის სახით დაკითხვა	74
იოსებ ხუციშვილი. პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება	82
იოსებ ხუციშვილი. პროკურორის შესავალი სიტყვა, მისი სტრუქტურა და მნიშვნელობა	92
მისეილ გაბუნია, შამილ ძამუკაშვილი. კრიმინოლოგია და ახარტული თამაშები	100
ოთარ ხინიკაძე. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	107
გოჩა ოჩიგავა. ჰომოფობია და საქართველო – ევროპული ინტეგრაციით განპირობებული პროცესი, თუ დიდი ხნის პრობლემა	116
მერაბ რაფავა. საქართველოს ორბანიზაციები, როგორც სამართალშემოქმედების სუბიექტები	134
მერაბ რაფავა. თვითბამოკვების უფლება და ტერიტორიული მილიანობის დაცვა	140

CONTENTS

CIVIL (PRIVATE) LAW

Levan Dundua. LEGAL NATURE OF THE PRINCIPLE OF NOMINALISM	3
Asmat Neparidze. ASPECTS OF THE LEGAL REGULATION OF INVESTMENT IN SHARES	13
Nana Rosepashvili. THE BRIEF HISTORICAL SURVAY OF THE GEORGIAN WILL INSTITUTE	19
Marine Chkonia. STIMULATION OF DISPUTE WITHIN UNCONTESTED PROCEEDINGS	24
Ekaterine Oboladze. THE STRUCTURE OF THE COURT JUDGMENT AND ITS COMPONENT PARTS	38
Natia Marshania. INSTANT OF THE MAKING THE INSURANCE CONTRACT ACCORDING TO THE LAW OF FOREIGN COUNTRIES	43

CRIMINAL LAW

Givi Abashidze. STAGES OF CRIMINAL LAW PROCESS	51
Tatiana Leonenko. CONCEPT AND MAINTENANCE OF REASON OF RELIGIOUS HATRED OR ENMITY, AS TO PERSONALITY MOTIVATION OF CRIMINAL ACTS AND ITS CRIMINAL LEGAL VALUE	59
Maksym Leonenko. EFFICIENT FUNCTIONING OF CRIMINAL JUSTICE IN UKRAINE: LAW ENFORCEMENT ISSUES AND IDENTIFICATION OF PRIORITY AREAS FOR FURTHER REFORM"	68
Irakli Imerlishvili, Joseph Khutsishvili. LODGING OF CHARGES TO THE PERSON FOR TAX CRIME AND ITS EXAMINATION AS A DEFENDANT	74
Joseph Khutsishvili. DISCRETIONARY AUTHORITIES OF THE PROSECUTOR	82
Joseph Khutsishvili. INTRODUCTORY WORD OF PROSECUTOR,ITS STRUCTURE AND SIGNIFICANCE	92
Mikheil Gabunia, Shamil Dzamukashvili. CRIMINOLOGY AND GAMBLING GAMES	100
Otar Khinikadze. JUVENILE JUSTICE IN GEORGIA	107
Gocha Ochigava. HOMOPHOBIA AND GEORGIA - DUE TO THE PROCESS OF EUROPEAN INTEGRATION OR A LONG-STANDING PROBLEM	116
Merab Rapava. INTERNATIONAL ORGANIZATIONS AND THEIR LEGAL PERSONALITY	134
MERAB RAPAVA. RIGHT OF SELF-DETERMINATION AND TERRITORIAL INTEGRITY	140

СОДЕРЖАНИЕ

ГРАЖДАНСКОЕ (ЧАСТНОЕ) ПРАВО

леван дундуа. ПРАВОВАЯ ПРИРОДА ПРИНЦИПА НОМИНАЛИЗМА	3
Асмаг Непаридзе. ПРАВОВЫЕ АСПЕКТЫ РЕГУЛИРОВАНИЯ ИНВЕСТИЦИЙ В АКЦИЯХ	13
Нана Росепашвили. КРАТКИЙ ИСТОРИЧЕСКИЙ ОБЗОР ГРУЗИНСКОГО ИНСТИТУТА ЗАВЕЩАНИЯ	19
Маринэ Чкония. ПЕРЕХОД БЕССПОРНОГО ПРОИЗВОДСТВА В ЖАЛОБНОЕ ПРОИЗВОДСТВО	24
Экатеринэ Оболадзе. СТРУКТУРА РЕШЕНИЯ СУДА И ЕГО СОСТАВНОЙ ЧАСТИ	38
Натия Маршания. МОМЕНТ ЗАКЛЮЧЕНИЯ ДОГОВОРА СТРАХОВАНИЯ ПО ПРАВУ ИНОСТРАННЫХ ГОСУДАРСТВ	43

УГОЛОВНОЕ ПРАВО

Гиви Абашидзе. СТАДИИ УГОЛОВНОГО ПРОЦЕССА	51
Татьяна Леоненко. ПОНЯТИЕ И СОДЕРЖАНИЕ МОТИВА РЕЛИГИОЗНОЙ НЕНАВИСТИ ИЛИ ВРАЖДЫ КАК ЛИЧНОСТНОЙ МОТИВАЦИИ ПРЕСТУПНЫХ ДЕЙСТВИЙ И ЕГО УГОЛОВНО-ПРАВОВОЕ ЗНАЧЕНИЕ	59
Максим Леоненко. ЭФФЕКТИВНОСТЬ ФУНКЦИОНИРОВАНИЯ СИСТЕМЫ УГОЛОВНОГО СУДОПРОИЗВОДСТВА УКРАИНЫ: ПРОБЛЕМЫ ПРАВОПРИМЕНИТЕЛЬНОЙ ПРАКТИКИ И ОПРЕДЕЛЕНИЕ ПРИОРИТЕТНЫХ НАПРАВЛЕНИЙ ДАЛЬНЕЙШЕГО РЕФОРМИРОВАНИЯ	68
Ираклий Имерлишвили, Иосиф Хуцишвили. ПРЕДЪЯВЛЕНИЕ ЛИЦУ ОБВИНЕНИЯ В НАЛОГОВОМ ПРЕСТУПЛЕНИИ И ДОПРОС В КАЧЕСТВЕ ОБВИНЯЕМОГО	74
Иосиф Хуцишвили. ДИСКРЕЦИОННЫЕ ПОЛНОМОЧИЯ ПРОКУРОРА	82
Иосиф Хуцишвили. ВСТУПИТЕЛЬНОЕ СЛОВО ПРОКУРОРА, ЕГО СТРУКТУРА И ЗНАЧЕНИЕ	92
Михеил Габуниа, Шамил Дзамукашвили. КРИМИНОЛОГИЯ И АЗАРТНЫЕ ИГРЫ	100
Отар Хиникадзе. ПРАВОВАЯ ОТВЕТСТВЕННОСТЬ НЕСОВЕРШЕННОЛЕТНИХ В ГРУЗИИ	107
Гоча Очигава. ГОМОФОБИЯ И ГРУЗИЯ – ВОЗДЕЙСТВИЕ ПРОЦЕССА ЕВРОПЕЙСКОЙ ИНТЕГРАЦИИ ИЛИ ДАВНЕЙШАЯ ПРОБЛЕМА	116
Мераб Рапава. МЕЖДУНАРОДНЫЕ ОРГАНИЗАЦИИ КАК СУБЪЕКТЫ ПРАВОПРИМЕНЕНИЯ	134
Мераб Рапава. ПРАВО НА САМООПРЕДЕЛЕНИЕ И ЗАЩИТА ТЕРРИТОРИАЛЬНОЙ ЦЕЛОСТНОСТИ	140

რედაქტორები: ლ. მამალაძე, დ. ქურიძე, მ. პრეობრაჟენსკაია

კომპიუტერული უზრუნველყოფა მ. შანიძის

გადაეცა წარმოებას 05.11.2014. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.12.2014. ქალაქის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 9,5.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77



Verba volant,
scripta manent